

დიაგნოზი ღმერთზე

დიაგნოზი მარადიულობაზე



დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ექიმ ვიქტორის ვებსაიტი,
თანასახელმძღვანელო სწავლებისათვის, მისი მეორე წიგნის
შესახებ ლექციები, წიგნები პირადი ავტოგრაფით და საკონტაქტო
ინფორმაციისათვის: www.goddiagnosis.com

გამოჩენილ ადამიანთა შეხედულებები ამ წიგნის შესახებ...

"დიაგნოზი ღმერთზე" არის დამაინტრიგებელი პიროვნული მოგზაურობა ცხოვრების აზრის ძიებაში. ექიმი ვიემანი გვიამბობს, თუ როგორი ცარიელი და, ბრაზით სავსე იყო მაშინ, როცა ყველაფერი ჰქონდა, რაც კი შეიძლება ამერიკულმა ოცნებამ შესთავაზოს ადამიანს: განათლება, ფული, მდგომარეობა, პოპულარობა, მოსიყვარულე მეუღლე და ოჯახი. ის გვიამბობს, რომ რელიგიის მოყვარული ფარისეველი ოპონენტების წინააღმდეგ ბრძოლა გადაიქცა მის უდიდეს სამედიცინო აღმოჩენად. ზუსტი კვლევა, კომპლექსური კითხვები და უშეცდომო დიაგნოზი – ის მკვდარი იყო. ამ წიგნის კითხვისას თქვენ არა მარტო მისი დიაგნოზის მტკიცებებს აღმოაჩენთ, არამედ განკურნებასაც. ეს წიგნი აუცილებლად უნდა წაიკითხოს ნებისმიერმა ადამიანმა, რომელსაც ცხოვრების ნამდვილი აზრის პოვნა სურს.

ალან თ. ე. ბენსონი ბაკალავრი ხელოვნების დარგში, სასულიერო პირი

ეს არის ყველაზე სიღრმისეული პიროვნული დამოწმება მარადიულობაზე პასუხის მაძიებელი ადამიანისა, რაც კი ოდესმე წამიკითხავს. ექიმი ვიემანი ისე ცხადად და დამაჯერებლად საუბრობს მოგზაურობის ყოველ ეტაპზე, რომ მკითხველის გულში წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი თანმიმდევრული პიროვნული ანგარიში, მისი წერილის დადებითი და უარყოფითი მხარეები და ისტორიული ინფორმაცია არის დამაჯერებელი, საბოლოო დიაგნოზი კი გულწრფელი. ეს არის ოცდაათ წელს გადაცილებული ექიმის აღმოჩენა, რამაც საბოლოოდ შეცვალა მისი ცხოვრება და, შესაძლოა, თქვენი ცხოვრებაც შეცვალოს.

მაიკ ჰოკეტი, ყოფილი იუესაფის პოლკოვნიკი

აუცილებლად წასაკითხი! გაყევით ავტორს უნილავისკენ მოგზაურობაში. ეს მონდომებული ექიმის დაკვირვებული თვალით დანახული და გამოძიებული მტკიცებულებებია. ერთად მოუწმეთ გულსა და გონებას დანაშაულის მსგავსი გამოძიების გასაღების მისაგნებად. თუმცა ეს არ არის წიგნი დანაშაულის გამოძიების შესახებ...

ბილ დანი

ჰეშმარიტება და მტკიცებულება, ანუ "დიაგნოზი ღმერთზე" მოგვითხრობს ავტორის გულში არსებულ კითხვებზე დაწვრილებით და მეცნიერულ პასუხებს ძიების შესახებ. ეს გავლენას მოახდენს მკითხველის გულზე და მის სულს წარუძღვება მარადიულობისაკენ.

ლინ ფორტუნისი, ადმინისტრატორი

მომაჯადოებელი მოგზაურობა ოჯახის მოსიყვარულე წარმატებული ქირურგისა, ვისაც, ამქვეყნიური სტანდარტების მიხედვით, ყველაფერი ჰქონდა ბედნიერებისათვის, რომელმაც აღმოაჩინა, რომ მისმა სიმდიდრემ

და წარმატებებმა მშვიდობისა და აზრის გარეშე, ცარიელი ცხოვრება მოუტანა. წიგნში "დიაგნოზი ღმერთზე" ექიმი ვიემანი იყენებს მიღებულ სამედიცინო განათლებას თავის ცხოვრებაში ყველაზე კრიტიკული დიაგნოზის დასასმელად.

ს. დუანე ტესტერი

დიაგნოზი? ღმერთი? მართლა? დიაგნოზი მოითხოვს მტკიცებულებას ანალიზისთვის. განა რწმენა ისეთი რამ არ არის, რომლის მტკიცებულებაც არ გაგვაჩნია? ექიმ ვიემანის დიაგნოზი გამოიწვევს თქვენში რწმენას, დაგაფიქრებთ, რატომ გწამთ და ცხოვრების მოტივაციას აღგიძრავთ თქვენი რწმენისამებრ.

რიკ ე. გრავეს

ექიმი ვიემანი ლაბორატორიის ექიმია, სტეტოსკოპის კვლევების შედეგად გვატყობინებს ადამიანთა მოდგმის დიაგნოზს. იგი ასკვნის, რომ ჩვენ არ ვართ სულიერად ჯანმრთელნი და ეს უბრალო სენი არ არის. უკვე თითქმის მკვდრები ვართ. მისი კვლევა ასკვნის, რომ ჩვენ ვერ გავხდებით უკეთესები ჩვენივე ძალით, მნიშვნელობა არა აქვს რამდენად კარგები ვართ და რამხელა რესურსი გაგვაჩნია. დიაგნოზსა და მკურნალობის გზას გვიჩვენებს ჩვენს მიერ ნახსენები ექიმი, ვინც აღიარა წარმატების მიერ მოტანილი უბედურების პარადოქსი. ეს წიგნი აუცილებლად უნდა წაიკითხოს ძიების პროცესში მყოფმა ყველა ადამიანმა.

ტომას კ. ვომბლი

ეს წიგნი მოგვითხრობს იმ ადამიანის შესახებ, რომელიც ჭეშმარიტებას ეძებს მოჩვენებითობით სავსე ქვეყნიერებაზე. მე ხუცესი ვარ და სხვადასხვა წყაროებიდან მრავალ წიგნს ვიღებ წასაკითხად და განსახილველად. გულწრფელად რომ ვთქვა, რამდენიმე თავის წაკითხვის შემდეგ ამ წიგნებს თაროზე ვაწყო. გრეგის წიგნი სხვა იყო, ის იყო გულახდილი, პირდაპირი, იუმორით სავსე, გამაცოცხლებელი და კარგი საკითხავი. მოვიხიბლე გრეგის ისტორიით, მისი გამოცდილებით, მის მიერ გაცდილი ემოციით და მისი ცხოვრების გულახდილი შეფასებით. ყველას ვურჩევდი ამ წიგნის წაკითხვას.

კლაი რიტერი, ვილმინგტონის კალვარის ეკლესიის უფროსი ხუცესი

ცხოვრების მიზნით და ბედით უკმაყოფილო ექიმ ვიემანს მკითხველი მიჰყავს ემოციურად ხელშესახებ, ცინიზმის, სკეპტიციზმის, აღმოჩენებისა და ცხოვრების გარდამქმნელ მოგზაურობაში. "დიაგნოზი ღმერთზე" დეტალური და მრავლისმომცველი დამოწმებაა წარმატებული და დახელოვნებული ქირურგისა, რომელიც თვითონ განიცდის "გულის ტრანსპლანტაციას." ეს არის პროვოკაციული და გამომწვევი წიგნი ნებისმიერი ადამიანისათვის, ვისაც ეჭვი ეპარება ღმერთის არსებობაში.

უილიამ ჯ. ვანარტოსი

ექიმ ვიემანის წიგნი არის საოცარი მოგზაურობა, თანმიმდევრული და ლოგიკური მიმოხილვა ქრისტიანობის საფუძვლების შესახებ მათი უარყოფის მიზნით. ძიებისას იგი განიცდის ღვთის სასიცოცხლო სუნთქვას და იმას იპოვის, რაც მის გულს ასე სწყუროდა ცხოვრების ჭეშმარიტი სიყვარულისთვის. ეს წიგნი არის უდიდესი წყარო მათთვის, ვინც ეძებს უხვ სიცოცხლეს.

ქერი ანდრეუსი

განა არის რაიმე ამაზე მეტი ცხოვრებაში? ეს კითხვა მრავალ ადამიანს უტრიალებდა თავში ისტორიის მანძლზე. ექიმი ვიემანი იწყებს საოცარ მოგზაურობას ამ კითხვაზე ნამდვილი პასუხის გასაცემად და ფაქტებზე ახლო დაკვირვების შემდეგ გვაწვდის დიაგნოზს. "დიაგნოზი ღმერთზე" აუცილებლად წასაკითხი წიგნია მათთვის, ვისაც ოდესმე უფიქრია ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან კითხვაზე პასუხის გაცემა.

ჯონი რივერა, ხუცესი, ქარის კალვარის ეკლესია

თუ გაქვთ კითხვა ან პასუხს ეძებთ, ან რაღაცის ნაკლებობას განიცდით ცხოვრებაში, ეს წიგნი თქვენთვის ყოფილა განკუთვნილი.

როდნი ფინჩი, უფროსი ხუცესი კარის კალვარის ეკლესიისა

ექიმი ვიემანი გაივლის საოცარი მოგზაურობის გზას. "დიაგნოზი ღმერთზე" წერის მკაფიო სტილით გამოირჩევა. თავისი სამედიცინო ცოდნითა და გამოცდილებით ავტორი გვაწვდის ძალიან ფასეულ დასკვნას მარადიულობის ძიების შედეგად. მისი წიგნი სასიამოვნო საკითხავია, ინფორმაციით სავსე, გამამხნევებელი და გულწრფელი. ეს არის "სწრაფად საკითხავი", – აზრიანი და სრული.

ავტორი გვთავაზობს მდიდრულ ინსტრუქციას საკუთარ ძიებასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. ეს წიგნი საინტერესო საკითხავია ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელსაც ეჭვი ეპარება წერილის სიმართლესა და ადამიანის სიცოცხლის განახლების შესაძლებლობაში და რომ, აღდგომის იდეა დასაწყისიდანვე შექმნილი იყო ადამიანის სიამოვნებისათვის.

დევიდ ს. ბრადენი

"დიაგნოზი ღმერთზე" ამხელს არსებულ მდგომარეობას და გვაწვდის პასუხს...

კაროლ კასლი

სამადლობელი

მრავალ ადამიანს მინდა მოვუხადო მადლობა ამ წიგნის დასრულებაში გაწეული დახმარებისთვის. მათი მონაწილეობა, დრო და შეხედულებები მეტად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. ჩემმა მეუღლემ, რუთმა, დიდი დრო დამითმო, გამამხნევა და ძალა შემმატა, რათა მრავალი საათი გამეტარებინა ამ წიგნის დასაწერად ბოლო შვიდი წლის განმავლობაში; ბილ დანი იყო დამრიგებელი, მეგობარი და რედაქტორი, რომლის შეხედულებებმაც წინამძღოლობა გამიწია და პერსპექტივა მომცა; დოქტორი ბილ ვანართოსი გახლდათ რედაქტორისა და დიზაინერის თანაშემწე; შეუდარებელია გრეგ მაკელვინის, როგორც რედაქტორის როლი, რომლის წერისადმი შემოქმედებითმა დამოკიდებულებამ და სწავლებამ უზომო გავლენა მოახდინა ამ წიგნის შექმნასა და დღის სინათლეზე მის გამოტანაში. ლესლიე და დიან უილიამსონები იყვნენ წიგნის შინაარსის, პუნქტუაციისა და გრამატიკის რედაქტორები.

აგრეთვე მადლობა მინდა გადავუხადო ადამიანებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს თავიანთი კომენტარებითა და იდეებით წიგნის საბოლოო ვარიანტის შექმნაში. მადლობას ვუხდით მათ, დახარჯული დროის, ინტერესით სავსე დამოკიდებულებისა და შრომაში მონაწილეობისათვის.

ბოლოს, მადლობას ვუხდით ღმერთს, ჩემი ცხოვრების ნამდვილ ავტორსა და ამ წიგნის იდეის შთამაგონებელს. ღმერთმა მომცა იმისი ძალა, რისი გაკეთებაც მის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

გრეგ ე. ვიემანი, ექიმი

დიაგნოზი ღმერთზე

ექიმის შემადრწუნებელი მოგზაურობა სიცოცხლეში
სიკვდილის შემდეგ

გრეგ ე. ვიემანი, ექიმი

საავტორო უფლება © 2010 დოქტორი გრეგ ვიემანი. ყველა უფლება დაცულია. გამომცემელთან შეთანხმების გარეშე არ შეიძლება ამ წიგნის არანაირი ფორმით - ელექტრონული, მექანიკური, ფოტო თუ სხვა, გადაკეთებული ვერსიის გამოყენება, გარდა მოკლე ციტირების ან მიმოხილვისა.

ავტორი: გრეგ ე. ვიემანი, ექიმი
რედაქტორი: გრეგ მაკელვინი
კორექტორები: დიან უილიამსი/ლესლი უილიამსი

ქართული გამოცემა 2015 წელი
მთარგმნელი: ლალი ჰანმერი
რედაქტორი: ლუხუმ მაისურაძე
კორექტორი: ელგუჯა გიუნაშვილი
Translator: Lali Hanmer
Editor: Lukhum Maisuradze
2nd editor: Elguja Giunashvili

ISBN-13: 978-0-9823554-7-3 ISBN-10: 0-9823554-7-5 V 1.0

სარჩევი

წინასიტყვაობა	14
პირველი თავი. ამერიკული ოცნება თუ სიზმარი?	16
შესანიშნავი არდადეგები	18
ციფრული მარადიულობა	20
მეორე თავი. მოგზაურობა მოთხილამურე გიჟები	22
ბავშვობა	24
სკოლა	25
კოლეჯი / უჩრედული მოლეკულური ბიოლოგია	26
ეკლესია / კაცი ჯვრით / "ჩვენი ქალაქი"	27
კოლეჯის ცხოვრება	28
სამედიცინო სკოლა / ქორწინება	29
მარკოს კუნძულები	31
ეკლესია	35
ახალი სამეზობლო	36
რუთის პირველი ბიბლიის შემსწავლელი ჯგუფი	38
მესამე თავი. კვლევის ფაზა I: ახალი აღთქმა ოთხი სახარება მათე და მარკოზი	41
ლუკა	42
იოანე	45
სამი კითხვა	46
სამ კითხვას პასუხი გაეცა	50
მოციქული პავლე	53
დიღემა და ბრძოლა	56
მეოთხე თავი. ძიების ფაზა 2: იესოს აღდგომა	57
სიკვდილი / დაკრძალვა / ცარიელი სამარხი	58
სხეული	59
შენედულებები	60
მცდარი მოლოდინი	62
რადიკალურად შეცვლილი ცხოვრება / ნებით სიკვდილი	63
მეხუთე თავი. ძიების ფაზა 3 ძველი ებრაული წერილი "ძველი აღთქმა" / მესია	65
წინასწარმეტყველებები მესიის შესახებ	69
მესიის სურათები / ებრაული მსხვერპლშეწირვის სისტემა	73
გამოსვლა	74
აბრაამი და ისაკი	75
მესიის უარყოფა	76
მიმოხილვა	77
მექვესეთავი. ძიების ფაზა 4 ახალი აღთქმის ისტორიული მტკიცებულებები უნივერსიტეტის პროფესორები	78
ახალი მტკიცებულება, რომელიც მოითხოვს გაცხადებას	80
ბიბლიოგრაფიული ტესტი	81

წერილისეული მტკიცებულების შემოწმება	82
1. შეცდომები, ცვლილებები და შეუსაბამობები	83
2. ოთხი სახარების ავტორები	84
პირველი ეკლესიის მტკიცებულებები	85
თვითმნილველების დამოწმება	86
ლუკას სამედიცინო ენა	87
3. იესო-ლეგენდა თუ ახალი რელიგიის დამფუძნებელი?	88
ტექსტის გარეგნული მტკიცებულებები / 1. არქეოლოგია	93
2. სხვა ძველი ხელნაწერები	94
სტუმრად კვლავ უნივერსიტეტის პროფესორთან	95
ქრისტეს საქმე	99
მეშვიდე თავი. გადაწყვეტილება	102
მერვე თავი. გამოღვიძება	108
პაციენტი	109
კარის მეზობელი	111
ეკლესია	112
ლღობა	114
მეცხრე თავი. ტრანსფორმაცია პირველი რამდენიმე მომენტი	118
პირველი დღე სამსახურში	119
პირველი ღამე სახლში	121
მომდევნო სამი დღე / ახალი ენა	123
გამოცდა / სატელევიზიო გამოცდა / მოძულებული მეზობლის გამოცდა	126
ინტერნეტით ვაჭრობის გამოცდა / ვოლმარტის გამოცდა	127
მეათე თავი. დიფერენცირებული დიაგნოზი / ისტორია, ნიშნები და სიმპტომები	129
ფიზიკური გამოცდა / ტესტი	132
სიმპტომების ანალიზი	133
სიმპტომების გამოცხადება	136
განსხვავებული დიაგნოზი	138
მეთერთმეტე თავი. წინასწარი დიაგნოზი	141
მეთორმეტე თავი. ცოდვის ავადმყოფობა	144
ჩემი არსებობის ბუნებრიობა	145
ადამიანი = სხეულს + სული; ან ადამიანი = სხეულს + პროგრამა	146
ცოდვის დაავადება / ცოდვის დაავადება = ღვთისაგან განშორებას = სულიერ სიკვდილს / ცოდვილი კაცი = დაცემული ფიზიკური სხეული ღვთისაგან განშორებული + მარადიული სული/ღმერთს განშორებული სული	147
მეცამეტე თავი. ცოდვის სიმპტომები	149
ცოდვის დაძლევა/ ცოდვისაგან განკურნება	152
განკურნების მექანიზმი	153
დახსნილი = სულიერად ცოცხალი = ადამიანის სული + სულიწმიდა (ერთობა/კავშირი) / დახსნილი = სულიწმიდა შენში = საუკუნო სიცოცხლე = ღმერთთან განახლებულ კავშირს / განკურნების შედეგები	154

ღვთის სიყვარული: უანგარო გაცემა	156
ძველი კაცი მკვდარია / ნელი, მაგრამ მიმდინარე შედეგები	157
სულიერი გაგება / მიმოხილვა	158
განკურნების მიღება	159
რეაქცია განკურნებაზე	160
მეთხუთმეტე თავი. საბოლოო დიაგნოზი	162
მეთექვსმეტე თავი. განკურნების აღიარება	164
მეჩვიდმეტე თავი. განკურნების ქვეტექსტები / ღმერთი / სამოთხე ..	167
ჯოჯოხეთი / სასწაულები / ბიბლია	168
დიდი სიცრუე	169
ჩემი ოჯახი და მეგობრები	170
მეთვრამეტე თავი. განკურნების გამოვლინება / შობის დეკორაციები და განათება	172
ადგილობრივი მაღაზია / რესტორნები	173
ოფისი	174
ტელევიზია	175
მეცხრამეტე თავი. ბიბლიის ქალბატონი	176
მეოცე თავი. ურთიერთობა	181
ლოცვა	183
ღვთის სიტყვა	184
მსახურება / მამა და ძე	186
დილის ლოცვები	187
გულის ცვლილება	188
სულიერი შეხვედრები / კარებში შესვლა და ღვთის ხმა	189
სიმშვიდეს გაყოლა	191
ოცდამეერთე თავი. ბავშვები	192
ოცდამეორე თავი. ოფისი / ექთნები	196
ექიმის ასისტენტი	198
ოცდამესამე თავი. პაციენტი და დაბეჭდილი განრიგი	201
სამედიცინო ისტორია / განრიგის სისტემური ჩანაწერი	202
სამედიცინო ისტორიები	204
ლაბორატორიის ჩანაწერები	206
ოცდამეოთხე თავი. განკურნების წამალი / საუკეთესო მეგობარი	209
ეკლესიის ხალხი	210
ხუცესი ოფისში	212
ეკლესიის ხუცესი	214
ავტორის შესახებ	220

წინასიტყვაობა

კოლეჯში სწავლისას ვნახე სპექტაკლი, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემს ცხოვრებასა და ყოველდღიურობის რეალურ აღქმაზე. "ჩვენი ქალაქის" თორტონ უილდერის ნაწარმოების მთავარი გმირი, ემილი გიბსი, ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც მშობიარობისას გარდაიცვლება და უკან დაბრუნების უფლებას მისცემენ, რათა ერთი დღით დააკვირდეს თავის ცხოვრებას. ემილი აღმოაჩენს დაკარგული დღეების საშინელებასა და მარადიულობის გარეშე დარჩენილ ქვეყნიერებას, რადგან ახლა თავის ცხოვრებას ახალი პერსპექტივიდან უყურებს. ის პირველად მიხვდება, რომ ყველა ისეა დაკავებული აქეთ-იქეთ სირბილით, მუშაობით და უმნიშვნელო საქმეების კეთებით, რომ ერთმანეთისთვის არ სცალიათ და ერთმანეთთან ყოფნითაც არ ხარობენ. მას ძალიან უნდა, რომ მისი ოჯახი ერთი წამით მაინც გაჩერდეს, რათა უბრალო რამ დააფასონ და გაიხარონ, მაგრამ ნურას უკაცრავად.

ემილი ხედავს, როგორაა ჩაკარგული ცხოვრების აზრი ყოველდღიურობის უკიდვანო ოკიანეში. ადამიანები არ აფასებენ ძვირფას წამებს, რომლებიც უკანმოუბრუნებლად მიჰრიან და უჩინარდებიან დროში. ემილი ასკვნის, რომ ადამიანებმა სიკვდილამდე არც კი იციან ცოცხლები რომ არიან. სიცოცხლეს მანამდე მიიჩნევენ საჩუქრად, ვიდრე არ წაერთმევათ.

ამ სცენარის მწარე ჭეშმარიტება ყველა მნახველისა თუ მკითხველის გულს ღრმად სწვდება. როცა ცხრამეტი წლის ასაკში პირველად ვნახე ეს სპექტაკლი, მივხვდი, რომ მთელი ცხოვრება ჩვენს ქალაქში გამიტარებია და არ ვიცოდი. გულმა მითხრა, რომ ეს ყველაფერი სიმართლეს შეეფერებოდა. შინაგანი ხმა მეუბნებოდა, რომ რაღაც ვერ იყო კარგად იმ ქვეყნიერებაზე, სადაც ვცხოვრობდი, მაგრამ ეს ყველაფერი მალე დამავიწყა კოლეჯის ყოველდღიურმა ცხოვრებამ და ჩვენს ქალაქში დავბრუნდი, იმ ადგილას, სადაც არ მინდოდა.

ცხოვრებაზე ჩემი საუკეთესო წარმოდგენა ის იყო, რომ უბრალოდ ვცხოვრობდი. არასოდეს დავფიქრებულვარ საკუთარ არსებობაზე ან მის მნიშვნელობაზე. დრო გადიოდა, სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ოჯახი იყო მთავარი საზრუნავი და სხვას არაფერს ვთვლიდი მნიშვნელოვნად. ერთი მიზნიდან მეორისაკენ ვისწრაფოდი. ყოველდღე მომავლის მოლოდინით ვიყავი დაკავებული, დრო კი მიჰქროდა.

ეს უფრო შესამჩნევი და გულისშემძვრელი გახდა დაოჯახების შემდეგ. მეჩვენებოდა, რომ შესანიშნავი შვებულებები და საუკეთესო მოგონებები ყოველთვის სწრაფად თავდებოდა. ვხვდებოდი, რომ ცხოვრება სწრაფად გამირბოდა ხელიდან; სურათებსა და საოჯახო ფილმებს არ შეეძლოთ რეალობის შეჩერება, პირიქით, ისინი სწორედ იმას მახსენებდნენ, როგორ სწრაფად გარბის დრო და როგორ არ შემიძლია მისი შეჩერება ან თავიდან დაწყება. იმასაც მივხვდი, რომ არასოდეს მეჩვენებოდა იმ ადამიანებთან გასატარებელი საკმარისი დრო, რომლებიც ნამდვილად

დიაგნოზი ღმერთზე

მიყვარდნენ. ჩემი ცხოვრება სწრაფად გარბოდა და მე უძლური ვიყავი მის შესაჩერებლად.

ცხადია, არ მინდოდა ჩემს ოჯახსა და ადამიანებთან ურთიერთობების დასრულება. გულს მარადიულობა სწყუროდა, თუმცა ამ ქვეყნიური რეალობა და ევოლუციის თეორია თავის საქმეს აკეთებდა. ზეწოლა, სტრესი და იმედგაცრუება ღრმად იყო გულში გამჯდარი. გულში, რომელიც პასუხისათვის ღაღადებდა ქვეყანაზე, რომელიც ამბობს, რომ პასუხი არ არსებობს. ჩვენი ოჯახი დიდ დროს ატარებდა ერთმანეთთან ჩვენს ქალაქში და თვალს ხუჭავდა იმ ფაქტზე, რომ ვერასოდეს შეძლებდა იმ სიყვარულის მოპოვებას, რომელიც გვინდოდა, რომ არასოდეს დასრულებულიყო. ძალიან ადვილი იყო ემილი გიბსი გამხდარიყავი და ყოველდღიურობისათვის შენი გულისა და გონების დაცვის უფლება მიგეცა. ჩვენს ქალაქში ცხოვრება კომფორტულია, ვიდრე გაიგებდე, სად ხარ. მე იქ მთელი ჩემი ცხოვრება გავატარე მოტყუებულმა.


არადა გული ეძებდა ადგილს, სადაც სიყვარული არასოდეს კვდება და არ მთავრდება, და ეს წამიძღვა განკურნებისკენ. მეგონა ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ ახლა გავიგე, რომ არაფერი მცოდნია. ქვეყნიერება მეუბნებოდა, რომ ყველაფერი მქონდა, მაგრამ, ნურას უკაცრავად, ადვილი არ იყო იმისი გაგება, რომ ღმერთი ჩემს გვერდით და ჩემს გარშემო იყო და მხოლოდ ერთი ამოსუნთქვა მაშორებდა მისგან. თუკი რამ მენახა ქვეყნიერებაზე, ყოველივე იმაზე მეტყველებდა, რომ მას არ ვიცნობდი. როგორც კი ღმერთის შესახებ დიაგნოზი დავსვი, ყველაფერი, ჩემი არსებობის პარადიგმიდან დაწყებული და ცხოვრების აზრით დამთავრებული, მყისიერად სიცრუვე გახდა.

გრეგ ე. ვიემენი, ექიმი

პირველი თავი

ამერიკული ოცნება თუ სიზმარი?

ოცდათექვსმეტი წლის ასაკში ყველაფერი მქონდა, რასაც კი მოვისურვებდი; მწვერვალს მივალწიე. პროფესიით ექიმი, კურსზე პირველი ვიყავი სწავლაში; პრაქტიკა წარმატებით გავიარე; მყავდა ლამაზი მეუღლე და ორი ვაჟი; ძვირფასი მანქანით დავდიოდი; მეცვა კარგი ტანსაცმელი; მყავდა საყვარელი ძაღლი და ვცხოვრობდი დიდებული ქალაქის შესანიშნავ სახლში. სამოთხეს მივალწიე დედამიწაზე ჩემი ძალებით – ამერიკული ოცნება ავიხდინე! ცხოვრებისეული პრობლემები გადავჭერი. სათითაო აგურის დადებით შევძელი საკუთარი სპილოსძვლის კოშკის აშენება, ქვეყნიერებისაგან შემოთავაზებული გეგმების საფუძველზე. მასწავლიდნენ საკუთარი თავით დაიმედებას, საკუთარი იმიჯის შექმნას, საკუთარი სამფლობელოს შენებას და ოჯახისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას. თავკერძა, ამბიციებით სავსე მებრძოლი ვიყავი; თვითღირსშეფასებისა და დროული გადაწყვეტილებების ფონზე სასურველ შედეგებს ვაღწევდი. ქვეყნიერება ტაშს მიკრავდა სამუშაოს კარგად შესრულებისათვის. ჩამოყალიბებული შეხედულება მქონდა ცხოვრებაზე – ამქვეყნიური წარმატება და კომფორტული ცხოვრების სტილი. მოკვდავი სიამაყით ვიყავი სავსე და სინამდვილეზე წარმოდგენაც კი არ მქონდა.



ჩემი ოჯახის სურათი 2002 წელს. ლამაზია, არა? არის თუ არა ეს ამერიკული ცხოვრების კარგი მაგალითი? როგორია ამერიკული ოცნებით ცხოვრება?

არადა, მარტოობაში ვგრძნობდი თავს; იმედგაცრუებულად; ვიყავი დაუკმაყოფილებელი, ცარიელი, გამწარებული და დაბნეული. რაღაც აკლდა ჩემს ცხოვრებას. არც ერთ ჩემს მიღწევას, საკუთრებას ან გამოცდილებას არ მოუტანია

ის, რასაც ველოდი. ვეცადე, ჩემი ცხოვრება შემევსო ჩემი ჰობით: სირბილით, ცურვით, ღვინით და სამთო ველოსიპედით; საკუთრებით: სპორტული მანქანებით, დიდი სახლით, სამკაულებით, ტანსაცმლით, საათებით და სტერეო აპარატურით; არც გართობას ვიკლებდი: კინოები, შვებულებები და ძვირფასი რესტორნები; ხალხი: წვეულებები, კულტურული ღონისძიებები და უამრავი მეგობარი. ყოველი მათგანი დროებით მანიჭებდა კმაყოფილებას, მაგრამ მათი მომხიბვლელობა და მიმზიდველობა სწრაფად ქრებოდა, ხანდახან იმავე ღამის შემდეგ, ან შეხვედრის დამთავრებისთანავე. მრავალი წელი გავატარე ერთი საგნიდან

მეორისაკენ სირბილში, გულის "პაემანის თამაშში".

დეპრესია მაშინ დამეწყო, როდესაც ჩემი გული მიხვდა, რომ ბევრი აღარაფერი დამრჩა გამოსაცდელი. მშვიერი ვიყავი და ვერ ვკმაყოფილდებოდი; მწყუროდა და ვერ ვრწყულდებოდი. რაც უფრო მეტს ჭამდა და სვამდა ჩემი გული, საქმე მით უფრო რთულდებოდა! იმ მდგომარეობამდე მივედი, რომ უკვე მომდევნო "რამის" შიშმა შემიპყრო, რადგან ვიცოდი, რომ იმას ვერ მივიღებდი, რასაც ველოდი.

ერთ დღეს მივხვდი: მთელი ცხოვრება ასე გავატარე და აქამდე ეს ვერ ვიგრძენი. რაც მეხსიერება მაქვს, ბავშვობიდან მოყოლებული, სათამაშოები და საჩუქრები ჩემს თვალში სწრაფად კარგავდნენ ფასს; სწრაფად მბეზრდებოდა და მღლიდნენ.

"გრეგ, რატომ არ თამაშობ შენი ფინბოლის მანქანით, მთელი წელი, რომ ოცნებობდი?" – მეკითხებოდა დედა, როცა ჯერ კიდევ რვა წლის ვიყავი. "მხოლოდ ერთი კვირაა რაც გიყიდეთ."

არაფერი მითქვამს. იატაკზე ვიჯექი მის გვერდით და ფრჩხილებს ვიკვნეტდი იმედგაცრუებისაგან. მისი მიღების მოლოდინი უფრო ამაღელვებელი იყო, ვიდრე მისით თამაში, და მალე მოძველდა კიდევ.

ამ მიზეზით, ერთი სული მქონდა, სანამ შემდეგ სათამაშოს მიყიდიდნენ. მდიდარი ოჯახის შვილი ვიყავი და შემდეგი სათამაშოც არ აყოვნებდა, გულს მიწყნარებდა. სიცარიელე არასოდეს გაგრძელებულა იმდენ ხანს, რომ მოწყენილობას კვალი დაემჩნია. ასანთის კოლოფი და მერსედესი, ლეგოები თუ აგურის სახლები, სუპერმენის საათიდან როლექსამდე, დაბეჭდილი მაისურებიდან არმანის მაისურებამდე. ახლანდელი ცხოვრების სტილი დიდი ხნის წინ დაიწყო.

შინაგანად სტერილურ, ცივ და შეთეთრებულ ცარიელ ოთახად ვგრძნობდი თავს და გულით სიმშვიდე და კმაყოფილება მწყუროდა. გული უძირო ქვევრივით იყო, რაც ყველას და ყველაფერს შთანთქავდა, უწყალოდ და შეუბრალებლად. გამუდმებით შეყვარებულებისაგან მიტოვებულად ვგრძნობდი თავს. ერთ წუთში აღფრთოვანებული ვიყავი ახალი შენაძენით, ჰობით ან ურთიერთობებით, მაგრამ მეორე წუთში იმედგაცრუებული. შეიძლება ყველაზე ამაღელვებელ ღონისძიებაზე ვყოფილიყავი და შინაგანად მაინც უკმაყოფილებას ვგრძნობდი. ხშირად ოჯახის წევრებისა და მეგობრების გარშემო ვიყავი და მაინც მარტო ვგრძნობდი თავს.

ვაგრძელებდი ჩემი წარსული ცხოვრების ანალიზს და პასუხს ვეძებდი, უცბად საინტერესო რამ გამახსენდა ოჯახის შვებულებების დროიდან. ყოველ წელს შობის არდადეგებზე კარიბიის ქვეყნებში მივდიოდი: არუბა, სენტ. თომასი და ბაჰამის კუნძულები. როგორც ბავშვს, ყოველთვის თვალში მხვდებოდა ის ფაქტი, რომ ხალხის უმეტესობა საცოდავები და მოწუწუნენი იყვნენ. ნებივრობდნენ ლამაზ დასასვენებელ ადგილებში და არაფერი დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ ეჭამათ და ესვათ, დრო გაეტარებინათ. მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მათი გარეგნული უიმედობა შინაგანი იმედგაცრუების გამოძახილი იყო. ახლა ვფიქრობ, იქ მოხვედრისთანავე თუ გრძნობდა ჩემი გული, რომ არც

ეს დამაკმაყოფილებდა და ვერ მივიღებდი იმას, რისი მიღებაც და გაგებაც პირადად მსურდა.

შესანიშნავი არდადეგები

2000 წლის გაზაფხულზე, როცა ჩვენი შვილები ორი და სამი წლისანი იყვნენ, დავგეგმეთ, რომ ოჯახის დიდ შვებულებას ჩრდილოეთ კაროლინის ზღვის სანაპიროზე გავატარებდით. ბავშვები საკმაოდ მოზრდილები იყვნენ იმისათვის, რომ პრობლემების გარეშე ეთამაშათ სანაპიროზე. ექვსი თვე ვგეგმავდი გონებაში ამ მოგზაურობას და მოუთმენლად ველოდი ოჯახურ, სასიამოვნო დროსტარებას. როდესაც მოწყენილობა მეწვეოდა ან სიცარიელეს ვგრძნობდი, საკუთარ თავს მოსალოდნელ დიდებულ არდადეგებს ვახსენებდი. იმედი და მოლოდინი ყოველთვის მამხნელებდა.

"ყმაწვილებო, სასურველი დრო დადგა! დღეს ზღვაზე მივდივართ. ოჯახის პირველი არდადეგები!" ფეთქებადი გეიზერივით ვიყავი; სიხარულისგან და ბედნიერებისგან აქეთ-იქით ვაწყდებოდი, ნივთებს ვაგროვებდი და ბარგს მანქანაში ვაწყობდი.

"შეხედე, რა მაქვს, მამიკო!" – მითხრა ორი წლის ბიჭუნამ ყურებამდე გაღიმებულმა. ხელში ახალი ლურჯი ვედრო და ნიჩაბი ეჭირა და მანქანისკენ მობაჯბაჯებდა. ექვსი საათი დასჭირდა სანაპირომდე მისვლას, მაგრამ ამ დრომ უცებ გაირბინა. ლოდინი აღარ შემეძლო.

"ეს ის არის!" – გავიფიქრე მე. ოჯახი მყავს, კარგი სამსახური მაქვს, ლამაზი ცოლი და ამერიკული ოცნებით ვცხოვრობთ. ეს შვებულება იქნება პასუხი იმ სიცარიელესა და იმედგაცრუებაზე, რაც შინაგანად მფიტავდა.

ზღვაზე ჩასვლისთანავე კულ-დე-საკის ქუჩაზე დაქირავებული სახლისაკენ გავწიეთ, ოკეანის დიდებული ხედითა და კოტეჯის მოძრავი ჭერით. ფანჯარა ჩამოვწიე და ტალღების ცემის სასიამოვნო ხმა მომესმა. ოკეანის გრილმა ნიავემ აავსო მანქანა. დიახ, ეს ის არის! – გავიფიქრე მე. შემდეგ სიხარულით შევყვირე: "ეს ის სახლია! ყველანი აქ ვართ!" ბავშვებს ერთი სული ჰქონდათ გარეთ გამოსულიყვნენ, კოვბოების შეჯიბრის მონაწილეებივით აქეთ-იქით ხტოდნენ.

სწრაფად შევედით სახლში და ბარგი ამოვალაგეთ. ყველანი საცურაო კოსტუმებში გამოვქეყეთ და სანაპიროსკენ გავწიეთ. ორჯერ მომიხდა ბარგი-ბარხანის მოსატანად შინ წასვლა. სათამაშო ბულოდოზერები, ვედროები, ბადეები, ქოლგები, წყალი, წასახემსებელი, პირსაწმენდები, სკამები და ჟურნალ-გაზეთები. სანაპირო ულამაზესი და პერსონალური იყო. პირველი დღე ოცნების ახდენას ჰგავდა. ქვიშის სასახლეები, სანაპიროზე სეირნობა, ცურვა. მთელი დღე ნიჟარებს ვაგროვებდით. მეტი რა უნდა მომესურვებინა?

მეორე დღე უკეთესი იყო. დავიძინეთ, სასაუზმოდ რესტორანში წავედით და სალამოსაც იგივე გავიმეორეთ. სანაპიროზე დიდხანს გატარებული დროის შემდეგ ბავშვებს ჩაეძინათ, მე და ჩემი მეუღლე კი აივანზე ვისხედით და ტალღების ცქერით ვტკბებოდით.

მესამე დღეს გულმა რეჩნი მიყო, არ ვიცოდი, რატომ. ცოტა გაღიზიანებულიც ვიყავი და ვბუზღუნებდი. რა მჭირს? – მიკვირდა. გუშინდელივით ლამაზი და კომფორტული აღარ იყო ოკეანე, ქვიშა და დასვენება. ჩემი მოუსვენრობა იზრდებოდა. "ვიცი, რაც უნდა გავაკეთოთ. მოდი, მინიატურული გოლფი ვითამაშოთ და სალამოს ნაყინზე წავიდეთ!" – ვუთხარი ყველას. ამ იდეამ სწრაფად დააწყნარა ჩემი მშფოთვარე გული. ახალი თავგადასავლისკენ ვისწრაფოდი და ვერ ვხვდებოდი, რომ ძველ მახეში ვიყავი გაბმული.

მეოთხე დღეს დეპრესიით გამეღვიძა. ეს მოგზაურობა სწრაფად გაიპარა! თითქმის დასრულდა. რა სწრაფად გადის დრო! – გავიფიქრე. პირველმა სამმა დღემ ის კვირა მარადიულად გადააქცია, ახლა დასასრული მედგა თვალწინ და ნაცნობი ფიქრები მომეძალა. სანაპიროზე მოთამაშე შვილებს ვუცქერდი. ქვიშის დიდ გორაკზე სასახლეს აშენებდნენ. მათი საყვარელი ხმები ნამდვილი ტრაქტორის ხმას გამოსცემდნენ. "ურრრ. მმმ.." მოწყენილობანარევი სიხარულით უცქერდა მათ ჩემი გული. "როგორი ძვირფასი მომენტია! სად მიდის ეს მოგონებები? ჩემი შვილების მეხსიერებას შეწყვეტს ერთ დღეს არსებობას? ისინიც გადასამუშავებელ მასალასავით დაიკარგებიან მიწაში? ასე წლის შემდეგ ვილაცა ითამაშებს იმ მიწით, ერთ დროს ჩემი ოჯახი რომ იყო?"

შენება უკვე დაემთავრებინათ. სასახლეს ძლივს მიაღწევდით მათ ნამუშევარს. პატარა ტოტები იყო მიმოფანტული დროშების ნაცვლად მიწაზე. ბავშვები ცოტახანს უყურებდნენ თავიანთ გაკეთებულს, შემდეგ ბულოდოზერები ამოიღეს ჩანთებიდან. "რრრრ. რრრ. კკკუჰჰჰჰ! კუჰჰჰჰჰ!" ბულოდოზერებმა ახალი ხმა გამოსცეს სასახლის ნგრევისას. დაახლოებით ორი წუთის განმავლობაში ბავშვების ნაშრომი სანაპიროს დანარჩენ სილას გაუსწორდა. ისიც სილის მასას შეერია. "მივხვდი, რომ დედამიწაზე ცხოვრებაც ამას ჰგავდა. რატომ არ იყო ეს მგზავრობა ის, რასაც მოველოდი, თუმცა ეს არის ჩემს ცხოვრებაში ოჯახთან ერთად გატარებული საუკეთესო დრო? როგორ შეიძლება ასეთი რამ მოხდეს?" – მიკვირდა მე.

ყოველი დღე თანდათან უარესი ხდებოდა, ვიდრე არ წამოვედით. შემძულდა მეექვსე დღე. არაფრის გაკეთება არ მინდოდა. ერთი სული მქონდა, როდის დავტოვებდით იქაურობას და შინ დავბრუნდებოდით. მივხვდი, რომ არა მხოლოდ აღუვსებელი იყო ჩემი ცხოვრება მიუხედავად იმისა, რომ არაფერი მაკლდა, არამედ ევოლუციის სამყაროში, ნელ-ნელა ყველაფერი გადასამუშავებელ მასალას უბრუნდებოდა. მეტის მიღწევისა და გამოცდილების მიღების იმედი აღარ მქონდა და ყველაფერი, რაც გამაჩნდა, ცოლ-შვილის ჩათვლით, აზრს კარგავდა მარადიულობისა და მუდმივობის გარეშე. დადგებოდა დრო და ისინი თავიანთ მოგონებებთან ერთად გაუჩინარდებოდნენ. სახლში მიმავალმა ღრმა ფიქრებს მივეცი თავი.

როგორ და რატომ განვიცდი ამას ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო არდადეგების დროს?! დაუჯერებელი პარადოქსი. სირცხვილით ვერავის გაგუმხელდი ამას და შინაგანად მოვთქვამდი. წარსულში ეს იყო საგნების

ყიდვისა და ახალი გამოცდილების მოლოდინი, რითაც ხშირად ვაღწევდი მცდარი და დროებითი კმაყოფილების განცდას. როცა ვიყიდდი და გამოვცდიდი იმას, რაც მინდოდა, მოულოდნელად სიცარიელე მეწვეოდა ხოლმე და დეპრესიაში ვვარდებოდი. ერთადერთი გამოსავალი იყო უფრო ახალი ნივთი, უფრო დიდი და უფრო უკეთესი, ვიდრე აქამდე.

სამედიცინო სკოლა უნდა დამემთავრებინა. ორდინატურა უნდა დამემთავრებინა. ჩემი საკუთარი კლინიკაც უნდა მქონოდა და დიდი სახლიც. კარგი შვებულება უნდა გამეტარებინა. ეს აზრები წარმართავდნენ ჩემს ცხოვრებას. ახლა შორს აღარ ვიყავი ამ ოცნებებისაგან და მაინც იმავეს განვიცდიდი. ქვიშის ბოლო მარცვლები ჩამოცვივდა ქვიშის საათზე –

კიდეც ერთი მოულოდნელი იმედგაცრუება: ჩემს ცარიელ გულში ქვიშა აღარ იყო და ორმოების ამოვსება აღარ შემეძლო. ჩემ მიერ შექმნილი პარადიგმის მხრიდან ღალატს ვგრძნობდი, კმაყოფილების მრავალწლიან ძიებაში ხელმოცარული. რისი იმედილა უნდა მქონოდა ამის შემდეგ? სადღა უნდა მეძებნა პასუხი?

იმის განცდამ, რომ ამას სირცხვილის გამო



ვერავის ვეტყოდი, ენითაუწერელი ტანჯვა მომაყენა. უიმედობის თესლი ღვივდებოდა: ცინიზმი, სიმწარე, მოუთმენლობა, გაღიზიანება და სევდა იზრდებოდა სიცარიელის, მარტოობისა და აღსასრულის ჟამის მოახლოების კვალდაკვალ. უსასოობა დამეუფლა. ღვინის სმა იმ სიამოვნებას, სიმშვიდესა და სიწყნარეს მგვრიდა, ასე რომ მწყუროდა. თუმცა ვგრძნობდი, რომ ესეც ხელოვნური იყო, რადგან მოკლე დროით გრძელდებოდა იმასთან შედარებით, რასაც ვეძებდი.

გათამამებული და უმადური ადამიანის გრძნობა დამეუფლა ამერიკულ ოცნებაში ცხოვრებით უკმაყოფილების გამო. თეორიულად და, ერთი შეხედვით, ჩემი ცხოვრების წარმატების ისტორიით, წიგნი დაიწერებოდა, მაგრამ გულში შოკისმომგვრელი ცარიელი უფსკრული სუფევდა. მთელი ცხოვრება ვიშრომე ამ მდგომარეობის მისაღწევად? რა ზღედა? რას ვეძებ? რა მემართება? – ვყვიროდი შინაგანად.

ციფრული მარადიულობა

შესანიშნავი შვებულებიდან შინ დაბრუნებისთანავე ვეცადე, უმოწყალოდ სწრაფმავალი დრო ოჯახური ვიდეოფილმებისა და წვეულების სურათების გადაღებით შემეჩერებინა. ყველაფერი ჩავიწერე. ახალი კომპიუტერიც შევიძინე და ფილმებისა და დივიდის გადაწერაც ვისწავლე. თითქოს ბუღდოზერს ვუშლიდი ხელს ჩემი კომპის

დანგრევაში. ახლა უკვე მზად მქონდა საოჯახო ციფრული ჩანაწერები, რომლებიც შეიძლებოდა შთამომავლობისთვის გადამეცა რომ არ დავევიწყებინეთ. ვიმედოვნებდი, რომ თავადაც შევძლებდი, ნებისმიერ დროს მენახა ეს ჩანაწერები გახსენების მიზნით. ამის შემდეგ ისინი მუდამ იარსებებდნენ. კომპიუტერიდან ვეღარასად გამეჩქეოდნენ! დიახ! ეს ის არის! დროს ვაჯობე! დრო დავიჭირე!

ძვირფასი მოგონებების ხელში ჩაგდების განცდის კმაყოფილებამ, დაახლოებით ორი წლის მანძილზე, კომფორტი მომგვარა, ვიდრე ერთხელ განმეორებით ვნახავდი ჩანაწერებს.

"ძვირფასო, ამაღამ საოჯახო ვიდეოფილმებს ვუყუროთ", – ვუთხარი ჩემს მეუღლეს, გახარებულმა.

"კარგი. შესანიშნავია. ბავშვებს მოვიყვან". – მიპასუხა მან.

ყველა ტელევიზორის გარშემო შევიკრიბეთ. დივიდი ჩავრთე. ისე მიხაროდა მისი ნახვა, რომ ტელევიზორის წინ იატაკზე დავჯექი, როგორც ბავშვობისას მჩვეოდა.

დაიწყო თუ არა ფილმი, გულმა ჩაძირვა იწყო. როგორ გაიზარდნენ ბავშვები, – გავიფიქრე მე, – როგორ იცვლება ყველაფერი. დამავიწდა, როგორი პატარები იყვნენ. რა სწრაფად მიქრის დრო და საით? გეგონება, გუშინ იყო, მაგრამ სინამდვილეში ორი წელი გავიდა.

ხუთი წუთის შემდეგ ყურება აღარ შემეძლო. შოკი და შიში მომგვარა აღმოჩენამ, რომ ჩემივე პროექტმა უკუშედეგი გამოიღო. ზოგიერთმა სურათმა და ვიდეოფილმმა გამახსენა წუთისოვლის წარმავლობა. დროის შეჩერებისა და დატყვევების უუნარობის აშკარა სიცხადე წინანდელზე გამანადგურებელი აღმოჩნდა. უკვე აშკარა იყო, რომ ჩემს გულს მოგონებების ციფრულ მეხსიერებაზე მეტი სწყუროდა. მარადიულობა მწყუროდა, მაგრამ ის არ არსებობდა. დეპრესიამ ხელახლა შემომიტია ზღვის ტალღებივით. სარდაფში ჩავედი და ჭიქა ღვინო დავისხი ტკივილის გასაქარებლად. იმ დღიდან ფილმების გაკეთება და სურათების გადაღება შევწყვიტე. უფრო ადვილი იქნებოდა, თუ უკან აღარ მივიხედავდი.

მარტო ვიჯექი მისაღებ ოთახში და ღვინოს ვწრუშავდი. კედელზე რამდენიმე წლის წინანდელი საოჯახო სურათი ეკიდა. დაჟინებით ვუცქერდი მათ. მივხვდი, რომ სიმართლეს ვერ გავეჩქეოდი. ცხოვრება გამირბოდა და არაფრის გაკეთება არ შემეძლო. თითქმის ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე. ცრემლები მომადგა თვალებზე საოჯახო სურათების ცქერისას. რა მოგვივა? სად წავა ჩვენი მეხსიერება? რაღაც ვერ არის კარგად, ვერასოდეს ვიფიქრებდი საქმის ასე შემობრუნებას. ასე არ უნდა მიდიოდეს საქმე! როგორ მოვედი აქამდე? რა მემართება?! – მოვთქვამდი შინაგანად.

პირველმა ჭიქამ თავში დამიარა და პასუხის მოლოდინში წარსულისმოგონებებში გადავეშვი. ღმერთზე დიაგნოზის გამოტანის დრო მოახლოვდა. სკოლისდროინდელი უცნაური შემთხვევა ამომიტივტივდა მეხსიერებაში, რაც მას შემდეგ აღარასოდეს გამხსენებია. ამ მოგონებებს იქამდე გავყევი, სადამდეც მეხსიერება გამიწვდა.

მეორე თავი

მოგზაურობა

მოთხილამურე გიჟები

საშუალო სკოლის დამთავრებამდე მეგობრებთან ერთად სათხილამუროდ წავედი. ქრისტიანულ ჯგუფთან ვიყავი, მაგრამ არ ვიცოდი. მეგონა, რომ სათხილამუროდ მივდიოდი. ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობდა, სანამ პირველივე სადამოს კოტეჯის აივანზე გავიდოდით მთელი დღე სრიალისგან დაღლილები. კარგი კოტეჯი გვქონდა დაქირავებული მთებში. მიწა და ხეები თოვლს დაეფარა.

ისეთი დაღილი ვიყავი, რომ ერთი სული მქონდა, როდის დავისვენებდი. ქვის გულის ფორმაში დანთებული ცეცხლი გასათბობად მიხმობდა. მეც მისკენ გავემართე და სკამზე მოვკალათდი. ხელთათმანები და ფეხსაცმელები გავიძრე. ცივი ხელები ისე დამწინწკლოდა, გეგონება ნემსებსა და ქინძისთავეებს ურჭობდნენო. ტკაცუნა ცეცხლთან გაღებობა დავიწყე. უცბად ხუთი ადამიანი შემოვიდა ოთახში, თითოეულ მათგანს შავ ტყავში ჩასმული წიგნი ეჭირა ხელში, მომიახლოვდნენ და გარს შემომეხვივნენ. როგორც კი ეს ხალხი დავინახე, მაშინვე ვიფიქრე, რომ საქმე კარგად ვერ იყო. შიშმა ამიტანა, მაგრამ რატომ? ასეთი შეგრძნება მაშინ მეუფლებოდა ხოლმე, როცა რაღაც დანაშაულს ჩავიდენდი და პირზე დადგომას მიპირებდნენ. გონებაში მამაჩემის ყვირილის ხმა ჩამესმა, "გრეგ! გრეგ ედვინ, დაბლა ჩამოდი!"

"რატომ, მამიკო? დაკავებული ვარ", – ვცოყმანობდი პასუხის მოლოდინში; ვცდილობდი, გარდაუვალისათვის თავი ამერიდებინა.

"ახლავე ჩამოდი დაბლა!" – მკაცრად იმეორებდა ის და სიმძიმე სხეულზე მეცემოდა. ყურებმა წუილი დამიწყო. მან ყველაფერი იცის, – გავიფიქრე მე.

ხუთწამიანი მოგონება უცბად დასრულდა და მაშინღა მივხვდი, რომ ჯგუფი თავზე მადგა. გულმა ადრენალინის მოძალებისგან ძგერა დაიწყო. ანალოგიურ ზეწოლას მაშინ განვიცდიდი, როცა მამაჩემი მეძახდა. რატომ ვგრძნობ განსაცდელის მოახლოებას? – გავიფიქრე: – ცუდი არაფერი ჩამიდენია და არც ამ ხალხს ვიცნობ.

"რა ხდება?" – ვიკითხე შეცბუნებულმა და ვცდილობდი განცდები დამემალა.

"ღმერთის გჯერა?" – მკითხა ერთ-ერთმა, დანარჩენები კი დამაკვირდნენ. ვიდრე რამეს ვუპასუხებდი, მის გვერდით მდგომმა გოგონამ მკითხა: "ქრისტიანი გწამს?"

არაფერი მესმოდა საუბრის შინაარსისა და მათი მიდგომის შესახებ. მყისვე წამოვიჭერი ფეხზე. თავდაცვაზე გადავედი თუ არა, დაძაბულობა გამოვიდა ჩემი სხეულიდან. შინაგანად გაუკონტროლებელ სიბრაზესა და შიშს ვგრძნობდი. ასეთი განცდაც კარგად ნაცნობი გახლდათ ჩემთვის, მაგრამ არა ასეთი უცნაურობით. გეგონება, მუშტი-კრივის შეჯიბრში

ვიყავი! ბავშვობისდროინდელმა მოგონებამ გამიელვა: "მოდი, მშიშარა, საპასუხო დარტყმას არ აპირებ?"

"რატომ მეკითხებით?" – გამოვცერი სარკაზმულად და მათ მზერას თვალი ავარიდე. ყველა მათგანის გამოხედვაში რაღაც უცნაური შევამჩნიე, რის გამოც მოუსვენრობა დამეუფლა. გული მიცემდა. არ მინდოდა მათი შეხედვა. მინდოდა, გარეთ გავქცეულიყავი, მაგრამ მახეში ვიყავი გაბმული.

"ჩვენ გვინდა აგიხსნათ, როგორ შესცოდეს ღვთის მიერ შექმნილმა პირველმა ადამიანებმა – ადამმა და ევამ. მათმა ცოდვამ ისინი ღმერთს ჩამოაშორა და სიკვდილის ქვეყნიერებაზე შემოჭრა გამოიწვია. რამაც მათ შემდეგ დაბადებულ ყოველ ადამიანზე მოახდინა გავლენა, თქვენი და ჩემი ჩათვლით. იესო ქრისტე მოვიდა შენი ცოდვების გამოსასყიდად და განშორებასაც ბოლო მოელა."

ვიდრე გოგონა სხვა რამეს იტყოდა, მალევე ჩავურთე სიტყვა, "რაზე ლაპარაკობთ, ყმაწვილებო? ადამიანი მილიონი წელია, რაც არსებობს! ხუმრობთ?!" და დაძაბულობა შევნიშნე ჩემს ხმაში. ადამისა და ევას შესახებ აქამდე არასოდეს მსმენია და ამ ეგრეთწოდებულ ქრისტიანებს სჯეროდათ, რომ ეს ნამდვილი ისტორია იყო?!

"იესოს შენ უყვარხარ", – წამოიძახა ერთ-ერთმა ცამოწმედილზე. ახლა გაბრაზებული წამოვიჭერი. ვენები დამებერა, კანი ამეწვა და ოფლმა დამასხა.

"გოგონათ მართლა დავიჯერებ, რომ ეს კაცი ღვთისაგან მოვლენილია? თვრამეტი წლისა ვარ და არასოდეს არავისგან მსმენია ამის შესახებ! ევოლუციის საგანში გამოცდა ჩავაბარე: 'ლუსი [ეთიოპიაში 1974 წელს აღმოჩენილი ადამიანის ჩონჩხის 40 პროცენტი] სავარაუდოდ ადამიანსა და მაიმუნს შორის არსებული ნახტომის კავშირია!' – დავიყვირე და ხელებს ჰაერში ვიქნევდი.

უახლოეს სკამს ფეხი ვკარი და სხვა ცარიელ სკამებზე დარტყმამ ხმაური გამოიწვია. მათგან გავიქეცი. "გრეგ, რა მოხდა?" – მკითხა სკოლის მეგობარმა, რომელიც ოთახში მოპირდაპირე მხარეს იჯდა, გასასვლელ კარებთან ახლოს, საითკენაც გავრბოდი. გავჩერდი და შევხედე. "მოკეტე! უბრალოდ მოკეტე!" – დავიყვირე, ღია კარს დავეჯახე და მხეცებისაგან შორს გავიქეცი.

გვიან, იმავე ღამით, შიშმორეულნი მომიახლოვდნენ და ეცადნენ დაენახებინათ, თუ რას ამბობს ბიბლია ამ "ფაქტების" შესახებ, მაგრამ არც კი შემინებდავს. ამის შემდეგ თვალს ვარიდებდი მათ მთელი ამ მგზავრობის განმავლობაში, მაგრამ რამდენიმე დღე შინაგანად ვიტანჯებოდი. საკუთარი თავის წინაშეც კი არ შემეძლო იმის აღიარება, რომ ჩემი ცხოვრების პარადიგმა ტყუილი იყო. გამუდმებით ვეუბნებოდი მათზე საკუთარ თავს, რომ ისინი რელიგიის გიჟი და ფანატიკოსი მიმდევრები იყვნენ. თუ ადამიანი შექმნილი იყო და არა ევოლუციის შედეგი, მაშინ სკოლაში მასწავლიდნენ ამის შესახებ. როცა სკოლაში ევოლუცია ვისწავლეთ შექმნის შესახებ, მაშინ არავის არაფერი უხსენებია. არაფერი არ მეშლება, ვარწმუნებდი საკუთარ თავს,

თუმცა რაღაც ჯერ კიდევ წესრიგში ვერ იყო. რატომ ვიყავი ამაზე ასე გაბრაზებული? რატომ ვგრძნობდი, რომ, თითქოს, რაღაც ცუდი ჩავიდინე? – ვეკითხებოდი საკუთარ თავს ავტობუსით შინისაკენ მიმავალი. ფანჯარაში ვიჭყირებოდი და მინდოდა, რომ ამ ხალხისაგან შორს ვყოფილიყავი. მოგზაურობა ჩამაშხამეს.

როცა მშობლებთან შინ დავბრუნდი, ისევ გაბრაზებული და არეული ვიყავი. მშობლებს, რომ მომხდარის შესახებ ვუამბობდი, ხელები მიკანკალებდა და მისველდებოდა. მათ მითხრეს, რომ არ მენერვიულა ამაზე. "გასაგებია, შვილო, ზოგიერთი ქრისტიანი, შეიძლება, ფანატიკოსი იყოს. დაივიწყე. არა უშავს."

მეორე დღეს ყველაფერმა გამიარა და ღმერთის შესახებაც ყველაფერი დავივიწყე დიდი ხნით. ამის გაკეთება არც ისე რთული იყო, რადგან იშვიათად თუ გამეგონა რამ მის შესახებ.

კვლავ სავარძელში ვიჯექი და მახსენდებოდა. გონება უფრო შორს წავიდა. მთელი ჩემი ცხოვრება გავაანალიზე და ყურადღება გავამახვილე რამდენიმე შემთხვევაზე, რაც ღმერთს ეხებოდა.

ბავშვობა

დავიბადე ვიმინგტონში, დელაუერაში, 1967 წელს. მშობლების ერთადერთი შვილი ვიყავი, მაგრამ ღმერთი არანაირი ფორმით არ ყოფილა ჩვენი ცხოვრების ნაწილი. ჩემს მშობლებს რელიგიური წარსული ჰქონდათ, მაგრამ მათ ისურვეს, რომ მე თვითონ მიმეღო რწმენის შესახებ დამოუკიდებელი გადაწყვეტილება. რელიგიური ფარისევლობის გამო აქციეს მათ ზურგი რწმენას. ისე გავიზარდე, რომ არც მიფიქრია და არც მსმენია ღმერთის ან ღმერთების შესახებ. ეკლესიის მსახურებას არ ვესწრებოდი, არც ბიბლიაზე ვსაუბრობდით და არც ღმერთზე. ღმერთი აბსტრაქტული იყო, შორეული, შეუცნობელი და ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისათვის უმნიშვნელო საკითხი. ჩემს გარშემო არსებული ყოველდღიურობა მიმოწმებდა ამის შესახებ.

ღმერთის სახელი უკავშირდებოდა დედაჩემის დედას, მაგრამ ისიც იშვიათად თუ ახსენებდა რაიმეს ღმერთზე, უმნიშვნელოდ და ამიტომ არანაირი აზრი არ ჰქონდა ამას ჩემთვის. არადადეგებზე სადილის წინ "მამაო ჩვენოს" ლოცულობდა, მაგრამ ვინ იყო ის? მახსოვს, რომ მის სახლში ბიბლია რამდენჯერმე გადავშალე, მაგრამ არ ვიცოდი, რის შესახებ იყო ეს წიგნი. იგი ხანდახან "უფალზე" საუბრობდა, მაგრამ ვერაფერს ვიგებდი. როცა ცუდად ვიქცეოდი, მეუბნებოდა, რომ "ღმერთი დამსჯიდა." არ მახსოვს, რომ ეკლესიაში წავსულიყავით. სინამდვილეში ნორმალურად მიმაჩნდა წაუსვლელობა, რადგან სულ ეს იყო, რაც ვიცოდი. ის ყოველთვის მიდიოდა ეკლესიაში, მაგრამ ჩვენ სახლში ვრჩებოდით კვირა დღით.

თერთმეტი წლის ასაკში ქვეყნიერებამ უკვე გამოძერწა ჩემი გული. აი, რა დავწერე თერთმეტი წლისამ ავტობიოგრაფიაში:

ვიმედოვნებ, რომ ლამაზი სახლი მექნება, ირგვლივ უამრავი

ხეებით. ვგეგმავ, რომ ცოლს შევირთავ და შვილები მეყოლება. ვგეგმავ, რომ ბევრი ფული მექნება. თუ დიდი ფული მექნება, მაშინ მოწყალებასაც გავცემ, ღარიბებსაც დავეხმარები. ვგეგმავ, რომ წარმატებული ცხოვრება მექნება, რომ ყველაფერი კარგად წარიმართება. როცა მოვხუცდები, ფლორიდაში წავალ საცხოვრებლად. სიკვდილამდე მინდა, რომ ცოტა ვიმოგზაურო და ვნახო, როგორ ცხოვრობენ სხვა ხალხები და რითი ირჩენენ თავს. ვიმედოვნებ, რომ სიბერით მოვკვდები და არა რაღაც დაავადებით. არ მინდა, რომ ვიტანჯო. ვიმედოვნებ, რომ ცხოვრება დაახლოებით ისე წარმემართება, როგორც მოველი. ვფიქრობ, რომ სასიამოვნო და ბედნიერი ცხოვრება მექნება.

შესანიშნავი ბავშვობა მქონდა, ბევრი მეგობარი მყავდა, ლამაზი სახლი, კარგი მშობლები და ამერიკული ოცნებით ვცხოვრობდი. გარდა ბებიაჩემისა და იშვიათი შემთხვევებისა, ჩემი პერსპექტივიდან ღმერთი არ არსებობდა ჩემს მიერ მოსმენილ, დანახულ და ქვეყნიერებისაგან ნასწავლ საკითხებში. შობა მხოლოდ სანტა კლაუსი და საჩუქრები იყო. აღდგომა კი კამფეტები და კვერცხების ჰოვანა.

სკოლა

1985 წელს, თვრამეტი წლის ასაკში, დავამთავრე სკოლა. ჩემი საუკეთესო მეგობრები ებრაელები იყვნენ, მაგრამ რელიგიაზე არ ვსაუბრობდით. არ მახსოვს, რომ რელიგიაზე ან ღმერთზე გვესაუბრა სკოლაში, მხოლოდ სათხილამურო მოგზაურობისას ვიცლიდით საამისოდ. ყველანი დაკავებული ვიყავით სწავლით, გართობითა და ჩვენი ცხოვრებით. სკოლაში ღმერთი უადგილოდ იყო მიჩნეული, რადგან არასოდეს წარმოადგენდა სწავლების ან საუბრის ნაწილს.

ეკლესიაში მოსიარულე ხალხს ვიცნობდი, მაგრამ არც იესო ქრისტეზე საუბრობდნენ და არც ბიბლიაზე. სკოლაში არასოდეს დამინახავს მოსწავლე ბიბლია რომ წაეკითხა ან უბრალოდ, ხელში სჭეროდა. არასოდეს უხსენებიათ და არც სახალხოდ ყოფილა საუბარი იმაზე, რომ იესო ქრისტე მათი ცხოვრების ნაწილი იყო. ყველაფერი მხოლოდ ეკლესიაში "სიარულით" შემოიფარგლებოდა. ეს იმ ბავშვებსაც ეხებოდათ, ქრისტიანულ სკოლაში რომ დადიოდნენ. როგორც ვხედავდი, მათი და ჩვეულებრივი ბავშვების ცხოვრება ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდებოდა. ეკლესიისა და ყოველდღიურობის კავშირი აშკარა არ იყო. რასაც ისინი დახურულ კარს მიღმა ამბობდნენ და აკეთებდნენ, გარეთ არ გამოდიოდა.

ზაფხულის არდადეგების განმავლობაში "ქრისტიანულ" ბანაკებში ხშირად დავდიოდი, მაგრამ არც იქ იყო ღმერთზე საუბრები და დისკუსიები. ბიბლიისა და ქრისტეს შესახებ არასოდეს საუბრობდნენ. საკვირაო მსახურების გამო ბანაკის უმეტესი მონაწილენი იტანჯებოდნენ. ფლირტი, სმა, მოწევა და ფარული სექსუალური ურთიერთობები ხშირი იყო.

კოლეჯი

კოლეჯში პენ სტიეტის უნივერსიტეტში შევედი, მაგრამ პირველი სემესტრის შემდეგ დალავარის უნივერსიტეტში გადავიტანე საბუთები სახლთან ახლოს ყოფნის მიზნით, მას შემდეგ, რაც "გულმა დამარტყა." მაშინ ვერ ვხვდებოდი მიზეზს, მხოლოდ რამდენიმე წლის წინ მივხვდი, რომ განშორებისგან ვიტანჯებოდი. ეს აშკარად გამოვლინდა კოლეჯში წასვლისთანავე. ცამოწმენდილზე დამემართა მღელვარება, შიში და ბედისწერასთან მოულოდნელი შეჭიდება. ჩემმა გულმა და ნერვებმა მარცხი განიცადეს და არ ვიცოდი, რატომ.

უჯრედული მოლეკულური ბიოლოგია

სახლთან ახლოს ყოფნით მდგომარეობა გამოსწორდა. ვფიქრობდი, რომ ბიოლოგია ამერჩია მთავარ საგნად სამედიცინო სკოლაში. ჩემი ცხოვრების ამ რთულ დროსაც კი არ მიფიქრია ღმერთზე.

კოლეჯში სწავლის მესამე წელს, ერთი განსაკუთრებული შემთხვევა მოხდა, როცა ღმერთზე ფიქრი დავიწყე. უჯრედული ბიოლოგიის საკითხისა და დეენემის პრიმიტიული ფორმის ბაქტერიაში გენური რეგულაციის შესწავლისას.

როცა ვუყურებდი, როგორ ხსნიდა პროფესორი სისტემას, არაკომფორტულმა აზრმა გამიელვა თავში: როგორც ჩანს, ეს ჩახლართული დიზაინი და რეგულაციის ბილიკი გონებრივად ექვემდებარება ინჟინერიას. ახლოს გავაანალიზე დანახული და კიდევ უფრო გამაოცა შემდეგმა აღმოჩენამ: არსებობს ერთმანეთზე დამოკიდებული მრავალი ნაწილი, რომლებიც ერთმანეთის გარეშე არ ფუნქციონირებენ. ერთი ნაწილიც რომ მოაკლდეს, მთელი სისტემა ჩამოიშლება. როგორ შეიძლება ეს ასე იყოს ცხოვრების განვითარების გზის ფონზე?

ევოლუცია გვასწავლის, რომ ნელა, რამდენიმე მილიონი წლის განმავლობაში ცვლილებამ გამოიწვია ახალი ცვლილებები, რომლებიც ბუნების მიერ იქნა შერჩეული მათი ვარგისიანობის გამო, რაც სრულიად ინტეგრირების სისტემას წარმოადგენდა, თუმცა შეუძლებელი იყო თანმიმდევრულად განეცადა ევოლუცია.

იმასაც მივხვდი, რომ დეენემი შეიცავდა ინფორმაციას. როგორ შეიძლებოდა, რომ ჩვენს გენებში შემთხვევით გაშიფრულიყო ინფორმაცია, რაღაც დროის გასვლის შემდეგ? თუ წიგნს დავინახავ, ვიცი, რომ ვიღაცამ დაწერა ის. თუ საათს დავინახავ, ვიცი, რომ ვიღაცამ გააკეთა ის, – დავასკვენი მე. ეს აზრი არ მასვენებდა. გული მკარნახობდა "ინტელექტუალურ დიზაინერს", – მაგრამ ეს იმას ნიშნავდა, რომ რაც ვისწავლე, ყველაფერი ტყუილია. ჩემი გონება ებრძოდა იმ აზრს, რომ ეს შეუძლებელი იყო.

საკითხი უფრო ღრმად შევისწავლე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ შეიძლება ღმერთი არის ვიღაც, ვინც არსებობს სადღაც, აბსტრაქტულად. შეიძლება, მან შექმნა სიცოცხლე და შემდეგ ევოლუციამ გააგრძელა საქმე მისი ხელმძღვანელობით. სათხილამურო მოგზაურობისას ნანახი

წიგნი მომივიდა თავში აზრად, მაგრამ გადავწყვიტე, რომ ღმერთი ვერ იქნებოდა შემეცნებითი, პიროვნული, ან დღევანდელ ქვეყნიერებაზე აქტიური, ან ვიღაც იმაზე მეტი, რისი თქმაც მხოლოდ ფანატიკურ მორწმუნეებს შეეძლოთ მასზე. ჩემი მასწავლებლები, მშობლები, ან, სულაც, ახალი ამბები, იტყოდნენ ამის შესახებ რაღაცას. შეწუხებული და იმედგაცრუებული ვიყავი შინაგანად, მაგრამ შევძელი ამ კონფლიქტური იდეების დამალვა მათი ქვეტექსტისადმი შიშის გამო.

ეკლესია

მოგვიანებით, კოლეჯში სწავლისას, საეკლესიო მსახურებას დავესწარი, ჩემს შეყვარებულთან და მის მშობლებთან ერთად. ვგრძნობდი, რომ აქ ჩემი ადგილი არ იყო. მინდოდა გამოვქცეულიყავი, ისე, როგორც სათხილამურო მოგზაურობიდან. ვერ გამეგო, როგორ ხვდებოდნენ, რა ეგალობათ, ან რა ეთქვათ ერთდროულად. უბრალოდ, ჩემს შეყვარებულთან ერთად ყოფნა მინდოდა და მსახურებაზე ამოვყავი თავი. ვთვლიდი, რომ შესაფერისი იყო ასეთი საქციელი და ამით დიდ პატივს ვცემდი ჩემი შეყვარებულის მამას და მის ოჯახს. შევნიშნე, რომ სხვა ბავშვებსაც გაფანტვოდათ ყურადღება. ირგვლივ მიმოვიხედე და დავინახე, რომ ბავშვები ჭერში იყურებოდნენ, ერთ ადგილზე ვერ ისვენებდნენ, ზოგს ეძინა, ზოგი კევს ღეჭავდა ჩუმად და ხუცესისადმი სრულ უინტერესობას იჩენდა. თავი უკეთესად ვიგრძენი.

კაცი ჯვრით

ერთ დღეს, სასწავლებლის შენობის დერეფნის შუაგულში, ერთი თმაგაბურძგვნილი კაცი იდგა საკლასო ოთახის შესასვლელთან. მოყავისფრო-ნაცრისფერ წვერებზე ნასკვები გაეკეთებინა, დიდი ხის ჯვარი ედო მხარზე, თავს წინ და უკან იქნევდა და საკლასო ოთახებისაკენ სწრაფად მიმავალი სტუდენტების ჯგუფს უყურებდა. იგი აღგზნებული მოუწოდებდა სტუდენტებს ყვირილით: "მოინანიეთ! ნება მიეცით იესოს, თქვენი ცოდვებისა და ჯოჯოხეთისაგან დაგიხსნათ! თქვენი განათლება უსარგებლოა იესო ქრისტეს გარეშე. მოტყუებულები ხართ! ეს არ არის სამყაროს შესახებ! მოინანიეთ!" – არავინ უსმენდა. გიჟი იყო. მგონი სასწავლებლის პოლიციამ წაიყვანა ის.

"ჩვენი ქალაქი"

კოლეჯში დრამის გაკვეთილებზე დავდიოდი. დიდ სიამოვნებას მგვრიდა რამდენიმე საათიანი გაკვეთილები. სპექტაკლს უნდა დავსწრებოდი და მარტო წავედი თეატრში. "ჩვენი ქალაქი" თორნტონ უაილდერის ნაწარმოები გახლდათ, რომელიც ემილი გიბსმა გაასცენიურა. სპექტაკლი მოგვითხრობს ახალგაზრდა ქალზე, რომელიც მშობიარობისას კვდება და ერთი დღით უკან დაბრუნების უფლებას მისცემენ საკუთარ ცხოვრებაზე დაკვირვების მიზნით. ემილის აშინებს უქმად დახარჯული დროის შესახებ მოგონებები და სხვა პერსპექტივიდან მარადიულობის

გარეშე დანახული ქვეყნიერება. პირველად ხვდება, რომ ყველა ადამიანი ისეა დაკავებული აქეთ-იქეთ სირბილით, მუშაობით და უმნიშვნელო საქმეების კეთებით, რომ ერთმანეთისთვის არ სცალიათ და ერთმანეთთან ყოფნითაც არ ხარობენ. მას ძალიან უნდა, რომ თავისი ოჯახი ერთი წამით მაინც გაჩერდეს, რათა უბრალო რამ დააფასონ და გაიხარონ, მაგრამ, ნურას უკაცრავად!

ემილი მოთქვამს, თუ როგორ არის დაკარგული ცხოვრების მნიშვნელობა და აზრი ყოვლედლიურ ფუსფუსში. ის აცნობიერებს, რომ ძვირფასი მომენტები ნამდვილად არ არის დაფასებული ადამიანების მიერ. ემილი ასკვნის, რომ ადამიანებმა მანამდე არ იციან ცოცხლები არიან თუ არა, ვიდრე არ დაიხოცებიან. მანამდე მიიჩნევენ ცხოვრებას საჩუქრად, ვიდრე არ წაერთმევათ.

ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ამ სპექტაკლმა. იმიტომ მომხვდა გულზე, რომ მთელი ცხოვრება ჩვენს ქალაქში გავატარე და არ ვიცოდი. ინსტინქტურად წამომივიდა თვალზე ცრემლი. რას აკეთებ? მტკიცედ დადექი! – გავიფიქრე და თავშეკავებისაკენ მოვუხმე გონებას. ისეთი რამ არსებობს ცხოვრებაში, რომ არ ვიცი? მართალია ემილი გიბსის ცხოვრების შესახებ წარმოდგენა? შინაგანი ხმა მეუბნებოდა, რომ რაღაც ვერ იყო კარგად იმ სამყაროში, რომელშიც მე ვცხოვრობდი, მაგრამ სწრაფად დამავიწყა ეს ყველაფერი კოლეჯის აქტიურმა ცხოვრებამ.

კოლეჯის ცხოვრება

კოლეჯში სწავლისას ჩემსავე ოთახში მცხოვრები ორი ბიჭი რეგულარულად დადიოდა ეკლესიაში, მაგრამ მათი რწმენის დეტალებზე დისკუსია არასოდეს გაგვიმართავს. ისინი გულწრფელი და პატიოსანი ადამიანები იყვნენ, მაგრამ მე ავაშენე მათ წინაშე კედელი. მათთვის ღმერთი მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მე ეს არ მესმოდა, არც არასოდეს დაუტანებიათ ძალი, რაც ძალიან მომწონდა. სერიოზულად არასოდეს მიფიქრია მათ ეკლესიაში სიარულზე. ადამიანების უმრავლესობა კვირაობით სხვადასხვა ადგილებზე დადის ურთიერთობისათვის. მე ჯერ კიდევ დაკავებული ვიყავი ჩემი პირადი ცხოვრებით, კარგ დროსაც ვატარებდი და სამედიცინო სასწავლებლისათვისაც ვემზადებოდი.

ერთი სემესტრი რელიგიის ფილოსოფიას ვსწავლობდი კოლეჯში. მრავალი გამოჩენილი ფილოსოფოსისა და მათი რელიგიური წიგნების შესახებ ბევრი რამ შევიტყვეთ, მაგრამ არა ბიბლიის ან იესოს შესახებ. გვასწავლეს, რომ ადამიანებმა მრავალი თეორია შექმნეს ღმერთის შესახებ, ამქვეყნიურ სირთულეებთან თავის გართმევის მიზნით. "ღმერთის" რწმენა იყო ადამიანის პასუხი გარდაცვალების, ავადმყოფობისა და ტრაგედიების განცდის დაფარვის მიზნით. მასწავლეს, რომ არ არსებობდა ღმერთის შესახებ სწორი პასუხი და პატივი უნდა გვეცა ყველა რელიგიისათვის.

კოლეჯის არდადეგებს ზღვაზე ვატარებდი. მაშველი და დიჯეი ვიყავი. დროს ვატარებდი, ვცამდი, გოგონებს დავდევი და ვმუშაობდი. აი, სულ ეს ვიყავი. კოლეჯში კარგად ვსწავლობდი და მაგნა კამ ლაუდე

დავამთავრე. 1989 წელს უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელში შევედი.

სამედიცინო სკოლა

სამედიცინო სასწავლებლის პირველი სამი წლის მანძილზე დრო არ მრჩებოდა ძველებური გართობებისათვის. წიგნებში მქონდა თავი ჩარგული ოცდაოთხი საათის განმავლობაში, კვირაში შვიდი დღის მანძილზე. დიდ წარმატებას მივაღწიე სამედიცინო სკოლაში. კარგი მეხსიერება მქონდა და სწრაფად ვკითხულობდი, კლასში საუკეთესო ვიყავი.

ვსწავლობდი ადამიანის სხეულისა და მისი ფუნქციონირების შესახებ და ამაში ღვთის მონაწილეობაზე აზრი არც მომსვლია თავში, რადგან ევოლუციის თეორიის მჯეროდა. მედიცინა მთლიანად ადამიანის სხეულის შესწავლითაა დაკავებული, მაგრამ არსად არაფერი ყოფილა ნახსენები ღვთისა და შექმნის ისტორიაზე, ჩემს მიერ წაკითხულსა თუ მოსმენილში. ღმერთს, რომ რაიმე როლი ჰქონოდა ადამიანის სხეულში, მაშინ ვიფიქრებდი, რომ ერთი ადგილი მაინც იქნებოდა, რაც მის არსებობაზე მიუთითებდა. ჩემს ცხოვრებაში სულიერების არარსებობამ ჩემს გულს ისეთი დიდი დასვა და ისეთი გავლენა მოახდინა, რომ ვერც კი მივხვდი.

მახსოვს ადამიანის ტვინის გაკვეთა. პირველად ავიღე ხელში მოწიწებითა და გოცებით. არ შემეძლო, არ მეფიქრა, რომ ხელში მიჭირავს ტვინი, რომელსაც ჰქონდა სიცოცხლე, ოჯახი და მრავალი მოგონება და მეხსიერება. სად წავიდა ეს ყველაფერი? დაიკარგა? როგორ შეიძლება, ამ ჟელატინის მასას ჰქონდეს სიყვარული, გრძნობები და ემოცია? მივხვდი, რომ იგივე პრობლემა მქონდა შინაგანად. ჩემი ტვინიც ხომ ზუსტად ასეთია! სად წავა ჩემი მეხსიერება? ეს ყველაფერი ხომ ნერვები და ქიმიური მინარევებია და სხვა არაფერი? და შემეშინდა. ყველა ამ აზრმა გამიღვავა თავში, მაგრამ პასუხი არ ჩანდა. როცა მოვკვდები, ჩემი ცოლ-შვილის სიყვარული დაიკარგება და ხრწნილების საგანი გახდება? ამისაკენ ვისწრაფი? რაღაცა კარგად ვერ არის. ყოველთვის გული მიღონდებოდა და მუცელი მეწვოდა ამ გაკვეთილზე, მიხაროდა გაკვეთილის დასრულება.

მთელ ჩემს დროს სკოლა ნთქავდა. მარტო ვიყავი, მაგრამ ყოველთვის უსასრულო საქმით ვიყავი დაკავებული. კოლეჯის შეყვარებულიც დაკვარგე და უფრო მარტო ვიგრძენი თავი. თუმცა ღმერთი მაინც ყველაზე ბოლო საფიქრალი იყო ჩემს გონებაში. ოცდაოთხი წლის განმავლობაში არავინ და არაფერი მინახავს ისეთი, რაც მაფიქრებინებდა, რომ ის აუცილებელი ან სასურველი იყო.

კიდევ ერთი ყლოუზი ღვინო გადავკარი და გონებაში წარსულში მოგზაურობა გავაგრძელე. ჩემი ცხოვრებისთვის ამ კუთხით აქამდე არასოდეს შემხედვას.

ქორწინება

სამედიცინო სკოლის მესამე კურსზე შევხვდი ჩემს მომავალ

მეუღლეს, რუთს და ერთი წლის შემდეგ ვიქორწინეთ 1993 წელს. დიან, ეკლესიაში დავიწერეთ ჯვარი. ეკლესიის ხუცესს ორჯერ შევხვდით "ქორწინების გაკვეთილისთვის."

ხუცესი ძალიან კარგი ადამიანი გამოდგა; არ დაინტერესებულა ღმერთთან ჩემი ურთიერთობის სიმწირით ან, საერთოდ, არსებობით, რამაც კიდე უფრო დამარწმუნა, რომ ღმერთი არ იყო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ფიგურა. საცოლისთვის არაფერი მითქვამს, მაგრამ მოველოდი, რომ ხუცესი კუთხეში მიმომწყვდედა იესოს გამო, მაგრამ ასე არ მომხდარა. გოცებული დავრჩი. თუ ქრისტე ცოცხალი იყო, შეცნობადი და ცხოვრებისათვის ასეთი მნიშვნელოვანი, როგორც სათხილამურო მოგზაურობის წიგნი ამბობდა, მაშ რატომ არ მითხრა ხუცესმა, როცა გაკვეთილზე დასმული კითხვების პასუხიდან აშკარად იგრძნობოდა, რომ ღმერთი არ მწამდა? მან უსიტყვოდ განამტკიცა ჩემში ცხოვრებისეული მსოფლმხედველობა.

შინაგანი მედიცინის დარგში დავიწყე ერთწლიანი პრაქტიკა პენსილვანიის უნივერსიტეტის საავადმყოფოში. მთელი წელი განადგურებული ვიყავი. მხოლოდ მუშაობა, მუშაობა და მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ მუდამ მომაკვდავი ხალხის გარშემო ვიყავი, ადგილი არასოდეს ჰქონია ღმერთის ან გარდაცვალების შემდეგ სიცოცხლის შესახებ დისკუსიას არც ექიმებში და არც ექთნებში, რისი მოწმეც მე ვარ. საავადმყოფოში მკვდარი იყო მკვდარი.

აქამდე ღმერთთან ჩემი ურთიერთობის გამოცდილება მხოლოდ ნეგატიური იყო, ხუცესმაც კი ვერ შეძლო ჩემთან ღმერთზე საუბარი. საქმეები კარგად მიმდიოდა და კარიერისკენაც წარმატებით მივიწვედი. შესანიშნავი მეუღლე და შვილები მყავდა. ჩემი მშობლები ამყობდნენ ჩემით და ცხოვრება მშვენიერი იყო. საზოგადოებას ნამდვილად არ მოსწონდა ღმერთი და არც არანაირ ნიშანს იძლეოდა იმისას, რომ ღმერთი ნამდვილი და ცოცხალია. კოლეჯმა მასწავლა, რომ არ არსებობს აბსოლუტური ჭეშმარიტება და რომ ჭეშმარიტება დაკავშირებულია შენი რწმენის სისტემასთან.

1994 წელს გავხდი დიუკის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის რეზიდენტი დერმატოლოგიის განხრით. პირველი სამი წელი ბევრს ვმუშაობდი, მთელ დროს ვუთმობდი დერმატოლოგიის შესწავლას და ამავდროულად დაქორწინებულის ვიყავი. ჩემი მეუღლე ფარმაცევტის საქმით იყო დაკავებული. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა. თანამედროვე ცხოვრების პარადიგმა იყო წარმატება. ჩვენც ზუსტად ამას ვაკეთებდით.

რეზიდენტურის დროს, 1995 წელს, გადავვდივით აპექსში, ჩრდილო კაროლინაში და სახლი ვიყიდით. რუთი "ქრისტიანულად" იყო აღზრდილი, მაგრამ ჩვენი ქორწინების შემდეგ ეკლესიაში აღარ დადიოდა. რამდენჯერმე ეცადა ეკლესიაში წავყვანე შობასა და აღდგომაზე, მაგრამ უარი ვთქვი. თვითონაც არ ჩანდა ღმერთით დიდად დაინტერესებული. გარდა იშვიათი განსაკუთრებული შემთხვევებისა იგი ეკლესიაში არ დადიოდა. ჩემთვის აშკარა იყო, რომ ეკლესიაში მოსიარულები უბრალოდ

რელიგიურები იყვნენ. ამას კი ჩემთვის არანაირი აზრი არ ჰქონდა. უფრო სასარგებლო რამის გაკეთება შემეძლო კვირაობით, მაგალითად, შემეძლო დამეძინა, დამესვენა შეხვედრებისაგან გადაღლილს, მერბინა, ან მთაში წავსულიყავი ველოსიპედით.

ერთ დღეს ახალმა ნაცნობმა დაჰპატიჟა რუთი ეკლესიაში და ისიც წავიდა. მე სახლში დავრჩი. მომდევნო კვირას ეკლესიაში გაცნობილმა ქალბატონმა დაურეკა. ქალს მასთან ერთად სადღაც წასვლა უნდოდა. ისინი ტყეში წავიდნენ სასეირნოდ. იმ ქალმა რუთს იესო ქრისტეს რწმენის შესახებ დაუწყო საუბარი. რუთმა უხერხულობა იგრძნო და პირველივე შესაძლებლობისთანავე დაიძვრინა თავი. "ხომ გითხარი, რომ ისინი გიჟები არიან", – ვუთხარი მე რუთს. ასეთი პასუხი მასაც მოეწონა.

დიუკში სწავლა დავამთავრე და 1997 წელს კანის კიბოს ქირურგიულ ფაკულტეტს შევუერთდი. ერთი წლის შემდეგ საკუთარი კლინიკა გავხსენი ჩემს მენტორთან ერთად კარიში, ჩრდილო კაროლინაში. ეს პროექტი მოითხოვდა დიდ შრომას, რამაც ყველაფერს ჩამომამორა. ახლა "ჩვენი ქალაქის" ნამდვილად სრულყოფილებიანი მოქალაქე ვიყავი. ამავე წელს შეგვეძინა პირველი ვაჟი.

მარკოს კუნძულები

ჩვენი ვაჟი ერთი წლისა იქნებოდა, როცა ჩვენ რუთის მშობლებთან წავედით სტუმრად მარკოს კუნძულებზე, ფლორიდაში. მისი მშობლები ქრისტიანები იყვნენ და ბავშვის მონათვლა უნდოდათ.

"ძვირფასო, რას გააკეთებს ბავშვის ნათლობა?" – ვიკითხე მე.

"დარწმუნებული არა ვარ. მე მგონია, რომ თუ ბავშვი მოუნათლავი გარდაიცვლება სამოთხეში ვერ მოხვდება". – მიპასუხა მან. მის ხმაში ეჭვი იგრძნობოდა.

მე ავფეთქდი. "ეს აბსურდია!" მინდა, შენი მშობლების ხუცესს შევხვდე და ეს უაზრობა განვიხილო!" კბილებს ვაკრაჭუნებდი და ვგრძნობდი, რომ ვბრაზდებოდი. "კერავინ ვერ მეტყვის კერაფერს ჩემი ვაჟის შესახებ!" – შევყვირე მე.

მაღე მინდოდა შეხვედრა. გაბრაზებული ვიყავი და ერთი სული მქონდა, დებატები გამემართა. უკვე არ მომწონდა ხუცესი. ნახვამდე უკვე მაღიზიანებდა ეს ადამიანი. ჩემდა გასაოცრად, ზუსტად ის გრძნობა დამეუფლა, რაც სათხილამურო მოგზაურობისას. სიბრაზე, შიში, დაუჯერებლობა, უიმედობა და თვითკონტროლის ნაკლებობა ისადგურებდა ჩემს გულში. ვფიქრობდი, რატომ ვარ გაღიზიანებული და აფორიაქებული ყოველთვის, როცა საქმე ქრისტიანობას ეხება?

ფლორიდაში ჩავედით და მეორე დღეს მისი მშობლების ეკლესიის ხუცესს შევხვდით. შეხვედრამდე მთელი დღია აღელვებული ვიყავი. ხუცესი პატარა კაფეში უკან, მრგვალ მაგიდასთან იჯდა და ახალ დაფქულ ყავას წრუპავდა. ჩემდა გასაოცრად, ძალიან სასიამოვნო და ფართო ღიმილი ჰქონდა მშვიდ სახეზე.

"გვინდა, ჩვენი შვილის ნათლობის შესახებ გავიგოთ", – ვთქვი

უხეშად. ჩემდა გასაოცრად მან აგვიხსნა, რომ ამის გაკეთება საჭირო არ იყო და ნათლობა ბავშვს მაინც ვერ "დაიხსნიდა". მან თქვა, რომ ნათლობის მეშვეობით ხსნის იდეა არაბიბლიურია და ხშირად არასწორად ესმით. აგვიხსნა, რომ ეს ფორმა შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც გარეგნული ნიშანი ბავშვის ქრისტიანულად აღზრდისა. მან გვიჩვენა, რომ ბავშვი არ მოგვენათლა, თუ თავგამოდებული ქრისტიანები არ ვიყავით. ახლა შვება დამეუფლა და კარგად ვიგრძენი თავი. ასეთ პასუხს საერთოდ არ მოველოდი მისგან.

მინდოდა, რამდენიმე შეკითხვა დამესვა იმ საკითხთან დაკავშირებით ასე რომ მაწუხებდა. იგი წყნარად წრუპავდა ყავას მაგიდასთან ჩემს პირდაპირ.

"რას იტყვით ქვეყნიერებაზე იმ მილიონობით ადამიანის შესახებ, ვისაც იესო ქრისტე არ სწამს?" – ვკითხე მე ცოტა არ იყოს სარკაზმული ტონით და გავაგრძელე: – "გჯერათ, რომ თქვენ მართალი ხართ და ისინი ცდებიან, რომ ჯოჯოხეთია მათი ზვედრი?" ცოტა ხანს, ეფექტის მოხდენის მიზნით, შევჩერდი და შემდეგ დარწმუნებით დავამატე: "დარწმუნებული ვარ, რომ მოსიყვარულე ღმერთი ამ ხალხს მსჯავრს არ დასდებს. ვფიქრობ, რომ ყველა მართალია, მაგრამ სხვაგვარად. ეს მასწავლა მე საზოგადოებამ. განა შემწყნარებლობის ხანაში არ ვცხოვრობთ?" – და სკამის საზურგისაკენ გადავიხარე. დარწმუნებული ვიყავი, რომ საგონებელში ჩავაგდე.

მან თბილი თვალებით შემომხედა, ხშირ თეთრ წვერზე ხელი მოისვა და თქვა: "იესოა ერთადერთი გზა სამოთხისაკენ, რადგან ის არის ღმერთი და მხოლოდ ღმერთს შეუძლია მოკვდეს და გადაიხადოს ცოდვის საზღაური. სხვა რელიგიებს არ ჰყავთ მხსნელი და ცოდვაზე პასუხიც არ აქვთ. რაც არ იცი და არ გესმის ის არის, რომ ათასობით მისიონერია გაფანტული დედამიწის ზურგზე. ბევრი, ძალიან ბევრი ადამიანი მიდის იესო ქრისტესთან და იღებს ხსნას." შემდეგ მომიბრუნდა და დაამატა: "ნუთუ იმიტომ ხარ გაბრაზებული, რომ დახსნის მხოლოდ ერთადერთი გზა არსებობს; ნაცვლად იმისა, რომ იხარო, რომ არსებობს ეს გარანტირებული გზა სამოთხისაკენ და, რომ სამოთხე ნამდვილია?"

მისმა პასუხმა დამაბნია. ასე არასოდეს მიფიქრია. როგორც ადამიანების უმეტესობას, მეც მეშინოდა სიკვდილის და ევოლუცია სიმშვიდეს არ მგვრიდა, როცა საქმე სიკვდილზე მიდგებოდა.

"კარგით, მადლობა, დრო, რომ დამითმეთ", – ვთქვი სწრაფად საუბრის დასრულების მიზნით. მინდოდა, იქაურობას გავცლოდი, მაგრამ არ ვიცი, რატომ, გაღიზიანების, სიბრაზის და პანიკის ისეთი განცდა დამეუფლა, რომლის ახსნაც არ შემიძლო, თუმცა ეს ყოველივე ჩემთვის კარგად ნაცნობი განცდები გახლდათ. "გრეგ ედვინ ვიემან, დაბლა ჩამოდი, ახლავ!" – ყვიროდა მამაჩემი ჩემს გონებაში. ვიცოდი, რომ თუ წავიდოდი, განცდებიც დამტოვებდნენ. გარეთ გამოვედი და ყველაფერმა გაიარა, მაგრამ არ ვიცოდი, რომ ჩემი მეუღლის მამა მეორე რაუნდსაც გეგმავდა.

იმ საღამოს სიმამრმა მითხრა, რომ მისი ეკლესიის ორი წევრი მოვიდოდა ჩვენთან სასაუბროდ.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ კარზე კაკუნის ხმა გაისმა.

დავინახე, რომ კარი გაიღო და სახლში ერთი კაცი და ქალი შემოვიდნენ, ორივე, დაახლოებით ასე, სამოცი წლის ასაკისანი იქნებოდნენ. მოულოდნელად ამ შეხვედრის მნიშვნელობა და თანდასწრება ვიგრძენი. თითქოს, ვიღაც უხილავი შემოვიდა მათთან ერთად. რატომ ვგრძნობ ამას? რა ხდება? – ვფიქრობდი. – რატომ ვგრძნობ სიმშვიდეს ოთახში, როცა გაბრაზებული და იმედგაცრუებული უნდა ვიყო?!

არასოდეს ვარ მშვიდად, მხოლოდ ალკოჰოლის მიღებისას მეუფლება სიმშვიდე. დავიბენი და ცნობისმოყვარეობა დამეუფლა. ეს რამდენიმე წამში მოხდა და ვერავინ გრძნობდა, რას ვფიქრობდი და განვიცდიდი. ფლორიდული სტილის თეთრ სავარძელზე დავსხედით.

"ჩვენ გვსურს, რომ იესო ქრისტეს შესახებ გაიმბოთ", – თქვეს მათ თავაზიანად.

"კი ბატონო", – უპასუხა რუთმა. მინდოდა, მუჟღუგუნი მეკრა მისთვის, მაგრამ ისინი დაინახავდნენ და გავჩერდი.

მათ აგვიხსნეს, რას უწოდებდნენ "სახარებას." გვესაუბრნენ ღვთის მიერ ადამიანთა მოდგმის ცოდვისაგან დახსნის ისტორიაზე. დაახლოებით თხუთმეტი წუთი დასჭირდათ ამისათვის და სულგანაბული ვუსმენდი. მოკლედ, მათი თქმით, იესო ჩემი ცოდვებისათვის მოკვდა; მან დაიკავა ჩემი ადგილი და სასჯელი მიიღო ჯვარზე. თუ იესოს ვირწმუნებდი და ცოდვებს ზურგს ვაქცევდი, მაშინ ღმერთი მომიტევებდა და მარადიულ სიცოცხლეს მომცემდა. ძალიან ადვილი ჩანდა. გავოცდი, რომ ამ ყველაფერს აზრი ჰქონდა და მიმზიდველად გამოიყურებოდა, მაგრამ იმდენად არაბუნებრივი და იმდენად კარგი ჩანდა, რომ ძნელი იყო დასაჯერებლად. თქვეს, რომ იესოსთან პრობლემები მქონდა, მაგრამ განსაკუთრებით არ უხსენებიათ ჯოჯოხეთი. საუბრობდნენ და მიკვირდა, რატომ აქამდე არასოდეს მსმენია ამის შესახებ ოცდაათი წლის განმავლობაში, გარდა სათხილამურო მოგზაურობისა? ნუთუ ხალხი ამის შესახებ არაფერს იტყოდა აქამდე ეს რომ მართალი ყოფილიყო? მე აქამდე კმაყოფილი ვიყავი ჩემი ყოველდღიური ცხოვრებით. როგორ შეიძლებოდა, რომ რაღაც ცუდად ყოფილიყო ჩემს შემთხვევაში?

ჩემი გონება ერთი ფიქრიდან მეორეზე სწრაფად გადაბრუნდა. გული ისე სწრაფად მიცემდა, რომ თავადვე მესმოდა. უცნაური და გამაღიზიანებელი განცდა კიდევ დამეუფლა. ამჟამად იგი ჰგავდა ატრაქციონის მანქანას, როცა პირველი მანქანის მაღლიდან დაბლა დაქანებას ელოდები. მხოლოდ ვუსმენდი და არაფერი მითქვამს. მადლობა გადავუხადეთ და წავიდნენ. ვფიქრობ მიხვდნენ, რომ კითხვებით არ ვიყავი დაინტერესებული. მეშინოდა, რომ ატრაქციონის მანქანა დაბლა დაექანებოდა და დაიმსხვრეოდა. არ ვიცოდი, რა იყო ამ სიმაღლის ქვემოთ და არც მინდოდა, მცოდნოდა.

მათი წასვლის შემდეგაც ვგრძნობდი სიმშვიდეს გულში და მათ ნათქვამზე ვფიქრობდი. ეს უცნაური იყო ჩემთვის. არ ვიცოდი, რას ნიშნავდა თანყოფნა, ვგულისხმობ ღმერთის განცდას. რუთს ამას ვერ ვეტყვი, იფიქრებს, რომ გავგიჟდი, – გავიფიქრე მე. მათი სიტყვების თავიდან მოშორება ვერ შევძელი. ბიბლიის შესწავლის სურვილი გამიჩნდა,

არადა, მანამდე არ მინდოდა ამის გაკეთება. როგორც ჩანდა ჩემი გული ცვლილებას განიცდიდა, რბილდებოდა. რას ნიშნავს ეს ყველაფერი? არ შემძლია ბიბლიის წაკითხვა. ხალხი დამცინებს, იმდენად არ ჯდება ეს ჩემს ხასიათში.

სამი დღის შემდეგ სახლში წავედით. მთელი გზა ამაზე ვფიქრობდი. თუ ისინი მართლები არიან, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ რაც ცხოვრების შესახებ ვიცი, ყველაფერი ტყუილია. ვფიქრობდი, რომ ეს, უბრალოდ, ძალიან უცნაური იყო. იმ ღამით ძილის წინ რუთს ვკითხე: "არ გინდა, რომ ბიბლია წავიკითხოთ?" შინაგანად კი ჩემს თავს ვეუბნებოდი: დაუჯერებელია, რომ ეს შენ თქვი.

სასიამოვნო სიურპრიზი მივიღე პასუხად: "დიახ, ხვალ მოვიტან წიგნს. მოდი, ძილის წინ ერთად წავიკითხოთ ყოველღამე".

მეორე დღეს რუთი ახალი ბიბლიით დაბრუნდა შინ. შვება ვიგრძენი, რადგან მე თვითონ არ მინდოდა ყიდვა. ჩემთვის ამის გაკეთება დიდი სირცხვილი იქნებოდა.

ჩვენი კითხვა სამი ღამე ზედიზედ გაგრძელდა. ყოველღამე თითო თავს ვკითხულობდით. მესამე ღამეს წავიკითხეთ ადამისა და ევას შესახებ და, ეგრეთწოდებული, "ადამის ცოდვით დაცემის" შესახებ. როცა მათ ღმერთის წინაშე შესცოდეს. ეს ამბავი ზედმეტი იყო ჩემთვის. მე ვთქვი: "რუთ, ეს სისულელეა. მე მეცნიერი და ექიმი ვარ. ადამიანის სხეულს თერთმეტი წელი ვსწავლობდი. არ არსებობს, რომ ადამიანი არაფრისაგან იყოს შექმნილი. შეიძლება, ეს არის იგავი, ცხოვრებაზე, რომ გვასწავლოს რაღაც, მაგრამ ეს მართალი ამბავი არ არის." ისიც დამეთანხმა და კითხვა შევწყვიტეთ. კვლავ გაბრაზებული ვიყავი, მაგრამ არ ვიცოდი, რატომ. მაწუხებდა, რომ გაბრაზებული ვიყავი, რაც უფრო მაბრაზებდა.

შემდეგ სადამოს, როცა დასაძინებლად დავწექი, რუთს უკვე ეძინა. საბნიდან თავი გამოვყავი და ღამის ლამპის გვერდით ბიბლია დავინახე. შეიძლება სისულელედ მოგეჩვენოთ, მაგრამ ვიგრძენი, თითქოს მე მიყურებდა. ეს სულელური ისტორიები თავიდან ვერ მოვიშორე. რამდენიმე წუთში ბიბლია მეჭირა ხელში და ვკითხულობდი. რატომ განვიცდი ასეთ გრძნობებს ამ სულელური რელიგიური წიგნის წაკითხვისას? – გავიფიქრე და სიბრაზე ისევ აინთო. უფრო გავდიზიანდი, როცა გავიგე, რომ ადამი მიჩნეული იყო ყოველი ხორციელის მამად. რამდენიმე წუთის შემდეგ წავიკითხე, რომ, თურმე, ადამიანები ასეულობით წლობით ცოცხლობდნენ დედამიწაზე, და ხმამაღლა ჩავილაპარაკე: "ჰო, რა თქმა უნდა, და კიდევ რას იტყვით?!"

მომღეწნო სამი ღამე იგივე გრძელდებოდა. ნოეს კიდობნის ისტორიამ მოთმინების ფიალა ამივსო. "სულ ეს არის, მოვრჩი!" – ჩავიბუტბუტე და ზიზღით მოვისროლე ბიბლია იატაკზე, რამაც ხმამაღალი ბრაგვანი გააღინა.

ჩემს მეუღლეს ეძინა, მაგრამ ამ ხმამ გამოაფხიზლა. "რა ხდება?" – ჩაიბუტბუტა და წამოჯდა.

"ეს ბიბლია ისეთი ისტორიებითაა სავსე, რომ შეუძლებელია სიმართლე იყოს. ეს ყველაფერი უბრალო ხალხისგანაა გამოგონილი

ათასობით წლის წინ, რომლებიც ყველაფერს უარყოფდნენ და უკეთესი არაფერი იცოდნენ!" – ჩავილაპარაკე.

"ჰო, მაგრამ რატომ ხარ ასე ძალიან გაღიზიანებული? დაწყნარდი და დაიძინე", – მიპასუხა მან სამართლიანად.

"არ მეძინება!" – გადავტრიალდი და მუშტი დავარტყი საწოლს.

ჩემი გული ისევ იბრძოდა. კიბეზე ჩავდიოდი მამაჩემთან შესახვედრად და დანაშაულის ასაღიარებლად. ჩემს მეუღლეს შევხედე და ვთქვი: "1998 წელს, განათლებულმა კაცმა დარწმუნებით უნდა იცოდეს, რომ ეს ამბები დაუჯერებელია. მე მაქვს მტკიცებულება და მათ არა. ასეა, არანაირი მტკიცებულება არ გააჩნიათ! ჩემს მხარეს არის მეცნიერება და მათ არაფერი დარჩენიათ, თუ არა ბრმა რწმენა!"

რუთს არ უნდოდა საუბარში ჩარეულიყო. მან თავი გაიქნია და მოწყენილი ტონით თქვა: "დაიძინე და დაივიწყე ყველაფერი, დავიღალე." გადებრუნდა და დაიძინა. მე კი ვერ დავიძინე, შუალამემდე ვბორგავდი.

ეკლესია

მომღეწნო შაბათს მეზობელმა მიბიძგა ეკლესიაში წასასვლელად.

"ეკლესია კარგი იქნება შენთვის. ხალხს შეხვდები და ბიზნეს კონტაქტებს დაამყარებ მათთან", – მითხრა მან. "მე ასე არ ვფიქრობ, ეს ჩემი სფერო არ არის!" – ვუპასუხე. იმ საღამოს რუთმა მითხრა, რომ მისი მეგობრის მიერ რეკომენდირებულ ეკლესიაში წავსულიყავით. ეს ეკლესია იმ კონფესიისა იყო, სადაც რუთი ბავშვობაში დადიოდა. წასვლაზე დავთანხმდი. ვფიქრობდი, რომ არაფერი დაშავდებოდა.

გზადმიმავალი ვღუმედი, არ ვლაპარაკობდი. ეკლესიაში უდარდელად და ქედმაღლურად შევაბიჯე. სუსტი ადამიანების თავშესაყარი, ხელჯოხები, რომ სჭირდებოდათ. შეხედე ამ კაცებს! აზიზები არიან. მათი ცოლები წმინდანი თოჯინებით გამოიყურებიან. ცუდად მზდის და დავიღალე მათი სულელური სიცილითა და რობოტული სინარულის განცდის გამოხატვით.

ეკლესიაში რომ შევედით, მსახურება უკვე დაწყებული იყო. შიგნით რბილი სკამების სამი რიგი იდგა, დაახლოებით თხუთმეტიოდე რიგის ქვემოთ ყველა ფეხზე იდგა და გალობდა. სიმღერა ეკლესიის გარეთაც მძულდა. ირგვლივ მიმოვიხედე და დავინახე, რომ ადამიანებს ხელები მაღლა აღეპყროთ და თვალები დაეხუჭათ. "ეს რაღაა", – ჩავჩიურჩილე ცოლს. ბოლომდე ძლივს გავძელით. დამთავრებისთანავე გამოვიქცეით და ამის შემდეგ აღარც ბიბლიის შესწავლას, აღარც ეკლესიას და აღარც სულელურ ზღაპრებს ადგილი აღარ ჰქონდა ჩვენს ცხოვრებაში. ყველაფერი რელიგიური აქ დასრულდა. ამოვისუნთქე, როცა ორივე შევთანხმდით, რომ არანაირი საქმე აღარ გვქენებოდა რელიგიასთან.

დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. კიდევ უფრო უცნაური და სულელური ზღაპრები ვნახე სასწაულების შესახებ და ხალხი, რომელიც ისე იქცეოდა, თითქოს იცნობდა და განიცდიდა ღმერთს. მორჩა! ვიცოდი, რომ მართალი ვიყავი. ექიმი, კლასში

პირველი მოსწავლე, მეცნიერი, სწავლული, რომელმაც ამ სულელებზე უკეთესად ვიცოდი ეს საკითხი, ეკლესიაში არ დავჯდებოდი ჩემი თავის პატივისცემის გამო, და არც იმ საზოგადოებას შევუერთდებოდი, საკუთარ თავზე მართალი ადამიანების წარმოდგენა რომ ჰქონდათ. უარი ვთქვი ეკლესიაში სიარულზე ადამიანებთან ბიზნეს კონტაქტის დამყარების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მირჩევდა ამის გაკეთებას, არ მჭირდებოდა ასეთი კავშირები. მე ისედაც ვიცნობდი ამ ხალხს და არა მხოლოდ შაბათ-კვირას. ისინიც იმავეს ამბობდნენ და იმას აკეთებდნენ, რასაც მე.

სულ რომ არაფერი, მე და რუთი წარმატებულები ვიყავით და ფულსაც საკმაოდ ვშოულობდით; კარგი სახლი, კარგი სამსახური და ერთი ბიჭი გვყავდა. ეკლესიის, ან რელიგიის არანაირ საჭიროებას არ ვგრძნობდით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გამოვცადეთ ეს და ყველაფერი ძალზე უცნაური გვეჩვენა. ყოველთვის ვბრაზდებოდი და შოკში ვიყავი. აზრი არ ჰქონდა ისეთი რამის გაგრძელებას, რაც საბრალოდ გადამაქცევდა.

ისეთი მეგობრებიც გვყავდა, რომელთაც უფრო "ნორმალური" ეკლესია ეპოვათ, რომელიც სხვაგვარი გზით გადმოსცემდა ღვთის უწყებას, მაგრამ არც ეს გვანტერესებდა. კარგი ხალხის სახელი გვქონდა სამეზობლოში და ძალიან დაკავებულები ვიყავით საქმეებითა და პატარა ბავშვის აღზრდით. ყველაფერი დასრულდა. "როგორი შვებაა!" – გავიფიქრე. მესაიმოვნა ამ საქმის დასრულება.

ახალი სამეზობლო

1999 წელს უფრო დიდ სახლში გადავედი. ფული პრობლემას არ წარმოადგენდა ჩვენთვის და ცხოვრება სტრესის გარეშე მიდიოდა. მეორე ვაჟი შეგვძინა და ბავშვების პრობლემების მოგვარებით ვიყავით დაკავებული. ჩვენი მიზანი იყო, ბეჯითად მუშაობა და საპენსიო ასაკამდე, რაც შეიძლება, მეტი თანხის შენახვა ოჯახისთვის. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ფული მოგვითმს უსაფრთხოებასა და რაღაც დონეზე ცხოვრების შესაძლებლობას. იმას მივალწიეთ, რასაც ჩვენი საზოგადოება გვასწავლიდა, როგორც ცხოვრების პირველ მიზანს – ამერიკული ოცნება.

თუმცა ახალი სამეზობლო ძველისაგან განსხვავდებოდა. ძველ სამეზობლოში ყველა მეგობრული იყო, ისინი ყოველთვის გარეთ იყვნენ, საუბრობდნენ და ერთმანეთთან ერთი დიდი ოჯახივით დამოკიდებულება ჰქონდათ. ასეთ რამეს ახალ სამეზობლოში ადგილი არ ჰქონია. მრავალი მეზობელი გაჭირვებით გვამჩნევდა და "გამარჯობასაც" გაჭირვებით გვეუბნებოდა.

ერთ დღეს ახალ მეზობელს ვესაუბრებოდი, როცა ერთი ქალი მოგვიანლოვდა, რომელსაც აქამდე არასდროს შევხვედროდი; მან იმავე ქალს დაუწყო საუბარი, რომელსაც მე ვესაუბრებოდი და, თითქოს, მე ვერც მამჩნევდა. ეს ქალი ცდილობს მაჩვენოს, რომ მე აქ არა ვარ?

რა ხდება?! – გავიფიქრე. რამდენიმე წუთი დავიცადე, ვიდრე ძალიან უცნაურად არ მომეჩვენა სიტუაცია და წამოვედი. სახლში მიმავალი გააფთრებული ვიყავი, რადგან უკვე რამდენიმე კვირაა ამ ახალი სამეზობლოს პრობლემებს ვხედავდი.

"ეს რა სამეზობლოა! რა უცნაურობა სჭირს ამ ხალხს?! რატომ არის ყველა ასეთი უცნაური?!" – სახლში შესვლისას ვყვიროდი, რუთი დავინახე სამზარეულოში.

მას მომხდარი შემთხვევის შესახებ ვუამბე: "იცი, გავიგონე, რომ ეს ქუჩა ხელახლა შობილი ქრისტიანებით ყოფილა სავსე."

"ოჰ, რა სიკეთე მოაქვს ამას! ძველი სამეზობლო უფრო ნორმალური იყო!" – წამოვიძახე მე და თავმომწონე ღიმილითა და მოხიმიე ხმით დავამატე: "ზომ მეუბნებოდნენ, რაც უფრო ძვირია სამეზობლო, მით უფრო უცნაურიაო. და როცა ამ ქრისტიანებს უყურებ... ნამდვილი ზოოპარკია!"

სამსახურში კარგად მიდიოდა საქმე. იესოს შესახებ არც იქ საუბრობდნენ, გარდა ერთი გამონაკლისისა. ქალი, რომელიც ლაბორატორიაში მუშაობდა, ყოველთვის კითხულობდა ბიბლიას და "უფლისა" და მის ცხოვრებაში ღმერთის მოქმედების შესახებ საუბრობდა. ბიბლიის ქალბატონი თამი აშკარად არ გამოხატავდა ჩვენს ქვეყანაში არსებული რელიგიური თავისუფლებისადმი პატივისცემას.

"აბა, რა ამბავია მის თავს?" – ვკითხე ლაბორატორიის დირექტორს.

"ის, უბრალოდ, რელიგიურია", – მიპასუხა მან.

"რატომ კითხულობს ბიბლიას ყოველთვის?" – ვკითხე მე.

"ჰო, ცოტა არ იყოს სულელურად ჟღერს, არა?" – თქვა მან მიმიკით.

ორივემ ჩავიქირქილეთ.

ეს ქალბატონი ძალიან სასიამოვნო და თბილი ადამიანი იყო და სიმშვიდე მეუფლებოდა მასთან ურთიერთობისას. მისი რელიგიურობა უცნაური იყო ჩემთვის, მაგრამ ეს მისთვის იმაზე რეალური რამ იყო, ვიდრე აქამდე მენახა. როგორ შეიძლება, რომ საკუთარ ცხოვრებაში ღვთის მოქმედებებზე საუბრობდეს? ღვთის პიროვნულად მოქმედებას გულისხმობდა? – ვკითხე ჩემს თავს. – როგორ შეიძლება, ვინმე ისეთი რელიგიური იყოს, რომ მასთან ღმერთის საუბრისა სჯეროდეს? – მიკვირდა მე. დაკვირვებით ვადევნებდი ამ ქალბატონს თვალს ორი კვირის განმავლობაში და დავასკვნე, რომ რაც მას გააჩნდა, ამას მისთვის აზრი ჰქონდა.

ხშირად მიყვარდა ასეთი ხუმრობა ლაბორატორიაში. როცა ქარბორბალა დაარტყამს კაროლინის შტატს, მე "კიდობანს ავაშენებ!"

თამი ყოველთვის მპასუხობდა: "არა, ღმერთი აღარ აპირებს ამის განმეორებას. მან ასე თქვა." სიგიჟე ის არის, რომ ყველაფერი მან თქვა! საიდან იცოდა, რა თქვა ღმერთმა? მართლა სჯეროდა ნოეს კიდობნის? რა სისულელეა!

ერთხელ დიდ ქარიშხალს მოველოდით. ზუსტად მაშინ თავსხმა წვიმა იყო გარეთ. წვიმის ხმა ლაბორატორიაშიც ისმოდა სახურავიდან. გადავწყვიტე, ისევ გამეღიზიანებინა თამი. "ამალამ გაქცევას ვაპირებ!" – წამოვიძახე ამაყად.

"ასეთ ამინდში გარეთ გასვლა არ შეიძლება," – გამაფრთხილა მან.

"ღმერთიც კი ვერ გამიყვანს გარეთ!" – ვთქვი პასუხად უხეშად.

ის შეცბა და სწრაფად მივხვდი, რომ უხერხულობა გამოიწვია ჩემმა ნათქვამმა. გაცეხული სახით შემომხედა და წარბები შეჭმუხნა წინააღმდეგობის ნიშნად. სათხილამურო მოგზაურობის განცდა იწყებდა მოახლოებას. რა ვთქვი? ასე რატომ მიყურობს? ხომ არ ფიქრობს, რომ ღმერთი პირს ამიკრავდა უპატივცემულობის გამოხატვის გამო?

რუთის პირველი ბიბლიის შემსწავლელი ჯგუფი

2003 წლის ზაფხულში რუთმა გამოცა, როცა თქვა, ბიბლიის შემსწავლელ ჯგუფში უნდა დავიწყო სიარული.

"რა?! რამე გაფიქრებინა ამის გაკეთება?!" – ვკითხე ქედმაღლურად.

"დამპატიჟეს და, მგონი, მინდა კიდევ, რომ წავიდე", – თქვა მან გარკვევით.

"კეთილი, შეგიძლიათ მიბრძანდეთ თქვენს ბიბლიის გაკვეთილზე", – ვუპასუხე დამამცირებელი ტონით. გავღიზიანდი და ზიზღით გავიქნიე თავი. – "მხოლოდ რელიგიური უცნაურობა ნუ გახდება ჩემთან", – დავამატე და საუბრის თემას გადავუხვიე.

რაც არ ვიცოდი და მოგვიანებით შევიტყვე ის იყო, რომ რაღაც დაემართა რუთს რამდენიმე კვირის წინ. მაღაზიაში ყოფილა, როცა ვიღაცა ქალი მისულა მასთან, პატარა ფურცელი მიუწოდებია ხელში და წასულა. ფურცელზე დაწერილი ყოფილა: "რა იცით, რომ სამოთხეში მოხვდებით?" ფურცელი იქვე დაუგდია რუთს და შინ წამოსულა. ფურცელი სკამზე ეგდო დაჭმუჭნული და რუთს გულს უღრღნიდა. შინ მოსვლისთანავე მან ელ-ფოსტა შეამოწმა. დამთხვევა იყო – ფოსტით ბიბლიის შემსწავლელთა შეხვედრაზე ეპატიუბოდნენ. ამან გააოცა. გაიფიქრა, რომ შეიძლება ღმერთი მის ყურადღებას იპყრობდა. გადაწყვიტა, რომ ყოველ შემთხვევაში წასულიყო ბიბლიის შემსწავლელ შეხვედრაზე, სხვა თუ არაფერი, ქრისტიანულად იყო აღზრდილი.

რამდენიმე თვის განმავლობაში ესწრებოდა ბიბლიის შემსწავლელთა შეხვედრებს და ერთ დღეს, ცამოწმენდილზე წამოიძახა: "იესო მოდის და შენ ჯოჯოხეთში წახვალ!" რუთი ყოველთვის პირდაპირობით გამოირჩეოდა, მაგრამ ეს უკვე სიგიჟე იყო.

კიბეზე ავეყვი, წინ გავუსწარი და დამცინავი ტონით ვუთხარი: "ჰო, ნამდვილად მოდის!" – ვფიქრობდი, რომ ეს ქალები შეიძლება სვამდნენ ან ეწეოდნენ რაღაცას ბიბლიის გაკვეთილზე. საოცარი იყო, რომ ეს ჩვენს ქორწინებაზე არ ახდენდა გავლენას. ვგრძნობდი, რომ რასაც რუთი აკეთებდა უვნებელი იყო. დანარჩენ შემთხვევებში რუთი ნორმალურად იქცეოდა და არ მაწუხებდა.

არც მითოვებული ვყავდი. მან მიყიდა ჯომ მაკდაუელის წიგნი, ახალი მტკიცებულება, რაც მოითხოვს გამოცხადებას. დიდი წიგნი იყო. მან მშვიდად შემომხედა, მაგრამ მტკიცედ თქვა, "მინდა, რომ შენ ეს წიგნი წაიკითხო! ამ კაცს არ სწამდა იესო ქრისტი. იგი იმის დამტკიცებას ეცადა,

რომ ქრისტიანობა ჭეშმარიტება არ იყო, მაგრამ ამ ძიებისას მორწმუნე გახდა. ეს ძალიან ინტელექტუალური წიგნია."

ავიღე, თვალი გადავაკვე და ბუტბუტით ღამის ლამპის გვერდით დავდე საძინებელში.

კვლავ რეალობაში

მოგონებებში სეირნობა გამიგრძელდა და რუთმა გამომაფხიზლა, ზედა სართულიდან მეძახდა: "გრეგ, გრეგ, სადა ხარ? დაბლა ხარ? რას აკეთებ?" (ოჯახს ერთად უნდა გვენახა ფილმი).

მივხვდი, რომ დრო გამპარვია ღვინის წრუპვასა და ჩემს ცხოვრებაზე ფიქრში. სწრაფად შევყვირე: "ახლავე ამოვალ!" დარჩენილი ღვინო სწრაფად გადავკარი და ჭიქა ბარში დავტოვე. კიბეზე ნელა ავედი იმის მოლოდინით, რომ რუთი გაბრაზებული დამხვდებოდა.

"რას აკეთებდი დაბლა? მართო რატომ დავტოვე?" – თქვა მან მკაცრი ხმით.

"მართო ყოფნა მინდოდა. მძიმე კვირა მქონდა სამსახურში. მიხარია, რომ შაბათ-კვირაც მოვიდა."

"მოწყენილი ჩანხარ, ყველაფერი რიგზეა?"

"ჰო, კარგად ვარ. ოდესმე შეგიმჩნევია, როგორ გრძნობ სურათებიდან და ფილმებიდან, როგორი ხანმოკლეა ცხოვრება?"

"ჰო, მაგრამ რატომ ხარ გამოფიტული დღეს?"

"არ ვიცი. ცოტა არ იყოს პრობლემა მაწუხებს. ნუ იდარდებ. უბრალოდ დასაძინებლად მინდა წასვლა. გადაღლილი ვარ."

მოთმინების ზღვარი

მეორე დღეს სამეზობლო პრობლემა გართულდა და კულიმინაციას მიაღწია: "მამა, ბავშვებს არ უნდათ ქუჩაში ჩვენთან ერთად თამაში. ისინი არაფრად გვაგდებენ!" – ჩვენი ბიჭები სლუკუნით შემოვიდნენ ავტოფარების კარებში.

"რას ამბობთ?" – ვკითხე გაბრაზებულმა.

"მეზობლის ბიჭებს არ უნდათ ჩვენთან თამაში", – თქვა ერთ-ერთმა სლუკუნით.

"ყოველთვის, როცა სათამაშოდ მივდივართ, ისინი ისე იქცევიან, თითქმის ჩვენ იქ არა ვართ. არასოდეს გვეუბნებიან, რომ ერთად ვითამაშოთ," – დაამატა მეორე ბიჭმა. "და, მამიკო, ერთმა გოგონამ მეორეს უთხრა ჩემზე, რომ ის ნამდვილი ქრისტიანი არ არისო," – დაამატა მან.

გავშმაგდი. ახლა კი გადააჭარბეს ამ ქუჩაზე მცხოვრებმა ქრისტიანებმა და შვილები გააქეზეს. "მორჩა! ყელში ამომივიდა ეს ...!" – ვიყვირე. "დავიღალე მიუღებლობის, გაუცხოებისა და განდეგნილობის განცდით!" ჩემს ცოლს მივუბრუნდი და ვუთხარი: "ბიბლიას ვყიდულობ. დავუმტკიცებ ამ ფარისეველ ქრისტიანებს, როგორი თვალთმაქცები არიან!" ისე მაგრად მივკეტე კარი, რომ ჩარჩომ ზანზარი დაიწყო.

მეორე დღეს ლაბორატორიის თანამშრომელ ქრისტიან ქალს

ვკითხე, რა ხდებოდა სამეზობლოში. თამიმ, ბიბლიის ქალმა, წარბები შეჭმუნა, მაგრამ არაფერი უთქვამს. "თუ მე და ჩემი შვილები უნდა განგვსაჯოთ, ვიცოდეთ მაინც, რატომ? ქრისტიანულ მაღაზიაში მივდივარ ბიბლიის საყიდლად!" თამიმ თვალეზგაბრწყინებულმა შემომხედა. მე მგონი, გაცეცხლებილი კი გამოეხატა სახეზე. მაინც არაფერი უთქვამს. რატომ არ ეშინია, რომ დავუმტკიცო თავისი რწმენის მცდარობა? სინამდვილეში, თითქმის გახარებული კი ჩანდა ამ შემთხვევის გამო!

სამსახურის შემდეგ ქრისტიანულ მაღაზიაში წავედი და სხვა ბიბლია ვიყიდე. პირველ ბიბლიას ვერსად მივაგენით სახლში. როგორც კი მაღაზიას მივუახლოვდი, გულმა თრთოლვა დამიწყო და უხერხულად ვიგრძენი თავი. არ მინდოდა, რომ ქრისტიანული წიგნების მაღაზიაში ვინმეს დავენახე, განსაკუთრებით წიგნის ყიდვისას. მანქანა სამი მაღაზიის ქვემოთ დავაყენე, რათა მის წინ არავის დაენახა. შენიღბვის მიზნით ბეისბოლის ქუდი და სათვალეები მოვირგე. აქეთ-იქით მივიხედე, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ნაცნობი არავინ ჩანდა და მერე შევედი მაღაზიაში. უცხოპლანეტელივით ვგრძნობდი თავს. სწრაფად შევედი და გამოვედი. როცა შინ მივედი, მალე მივხვდი რაღაცას. ბიბლია ბიბლიას ჰგავს! ამაზე ყიდვის დროს არ მიფიქრია. ბიბლიის კითხვისას, რომ დამინახონ არ შეიძლება! უკან უნდა დავბრუნდე და იგივე პროცესი გავიარო!

იგივე მეთოდი გამოვიყენე ქრისტიანულ მაღაზიაში შესვლისას. ამჯერად, კომპიუტერით ბიბლიის შესწავლის ვერსია შევიძინე ჩემი კომპიუტერისათვის, რადგან მრცხვენოდა ვინმეს, რომ ბიბლიის კითხვისას დავენახე. პაციენტებს ყოველთვის მოჰქონდათ საკითხავი მასალა, მაგრამ არასოდეს მინახავს, რომ ვინმეს ბიბლია მოეტანოს. თუ ისინი არ კითხულობდნენ ბიბლიას, არც მე მინდოდა, ვინმეს დავენახე, რომ ბიბლიას ვკითხულობდი.

გადავწყვიტე, ახალი აღთქმით დამეწყო, რადგან ძველი აღთქმის კითხვისას მარცხი განვიცადე. წარმოდგენა არ მქონდა, რას წავიკითხავდი იესოს, მარიამის და ბრძენი კაცების გარდა. სუფთა გონებით დავიწყე მისი კითხვა და არანაირი წინასწარი წარმოდგენები არ მქონდა საკითხზე. არანაირი პირადი მიზანი არ გამაჩნდა. საბრძოლო მასალას ვეძებდი და არანაირი ინტერესი არ მქონდა თვით ქრისტიანობის შესახებ. მინდოდა, ლეგალური დოკუმენტი წამეკითხა ჩემი იდეების განსამტკიცებლად. კითხვა დავიწყე. წარმოდგენაც კი არ მქონდა, რა დამემართებოდა. ღმერთზე ლიაგნოზის დასმა იწყებოდა.

მესამე თავი

კვლევის ფაზა I:

ახალი აღთქმა

ოთხი სახარება მათე და მარკოზი

პირველი ორი სახარების კითხვით დავიწყე ახალი აღთქმა და მათე და მარკოზი ორ დღეში წავიკითხე. გონებრივად ზურგი ვაქციე ჩემს სამედიცინო სკოლას. ცოტა ხნით აქტუალური აღარ იყო ეს საკითხი. სამედიცინო სკოლის სტუდენტი მუდმივად წიგნების კითხვაშია. საბედნიეროდ, ძველისა და ახალი ინფორმაციის ერთმანეთში შერწყმის მოთხოვნილება დროებით უკანა პლანზე გადავიდა.

მათესა და მარკოზის ისტორიები საკმაოდ ჰგავდა ერთმანეთს. ვერ გავიგე, რა საჭირო იყო ერთი და იმავე ამბის ორჯერ მოყოლა? ახალი აღთქმის პირველ ოთხ წიგნს ერქვა "სახარება" და იესოს ცხოვრებას აღწერდა. ვიფიქრე, რომ სახარება მუსიკის ერთ-ერთი ტიპი იყო. ბიბლიის შემსწავლელი მასალა მიმოვიხილე და აღმოვაჩინე, რომ სახარება ნიშნავს "კეთილ უწყებას".

იესო გაიზარდა ჩრდილოეთ ისრაელის პატარა ქალაქ ნაზარეთში. მისი მშობლები ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ. ისიც ჩვეულებრივად ცხოვრობდა ოცდაათ წლამდე, სანამ სწავლებას დაიწყებდა. თითქმის არაფერი არ იყო ნახსენები მისი ადრეული ცხოვრების შესახებ, მაგრამ მიხვდებოდი, რომ ზურო ყოფილა.

იესო არც ერთ აქამდე ჩემს მიერ წაკითხული წიგნის გმირს არ ჰგავდა. მას ახასიათებდნენ, როგორც ბუნებაზე, შემოქმედებაზე, ცოდვაზე, სიცოცხლესა და სიკვდილზე ძალაუფლების მქონეს. ვფიქრობდი, რომ არავის შეეძლო ასეთი ძალაუფლების ქონა ღმერთის გარდა. ბიბლია ამბობდა, რომ იესოს შეეძლო ადამიანების ფიქრების გამოცნობა, ცოდვების პატიება და, რომ მან ისე განკურნა რომელიღაც ასისტანტის მსახური, რომ ის თვალთაც არ უნახავს. ეს თუ მართალი იყო, მაშინ ეს იმას ნიშნავდა, რომ იესოს ძალაუფლება ჰქონდა მსახურის სხეულსა და მის ავადმყოფობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფი კილომეტრებით იყო მისგან დაშორებული. განა ნამდვილი ღმერთის გარდა სხვა ვინმეს შეეძლო ამის გაკეთება? მიუხედავად იმისა, რომ ამ განკურნებების არ მჯეროდა, მაინც გაცეცხლდა იფიქრებდა იესოს მხრიდან განკურნებებზე პრეტენზია.

ჩემს სამედიცინო გონებას არ შეეძლო პარალიზებული კაცის ისეთი გზით განკურნება, როგორც ეს მათეს სახარების მეცხრე თავშია აღწერილი. იესომ უბრალოდ უთხრა ამ კაცს, რომ ამდგარიყო და გაეცლო, და ისიც

ადგა და გაიარა. მე ექიმი ვარ. ვიცი, რომ პარალიზება დიდი პრობლემაა, რაშიც მონაწილეობს ნერვები და კუნთები. მისი ფუნქცია კუნთები საშინლად იქნებოდა ატროფირებული წლების მანძილზე უმოქმედობის გამო, დასუსტებული და გამაგრებული. იმისათვის რათა კაცს მყისიერად გაეცლო, ნერვებიც და კუნთებიც მაშინვე უნდა აღმდგარიყო. ამისათვის საჭირო იყო ნერვებისა და კუნთების წამიერი აღდგენა. არავის, გარდა ღმერთისა, თუკი ის არსებობდა, არ შეეძლო ასეთი ფუნქცია გამართლება.

სახარება ამტკიცებდა, რომ იესო იყო ღმერთი, იესოც საკუთარ თავს ღმერთად აცხადებდა. სინამდვილეში, ეს იყო ის პირველი მიზეზი, რის გამოც რელიგიურ წინამძღოლებს მისი მოკვლა სურდათ, რადგან იმ დროს ღმერთად თავის გამოცხადება ღვთის გმობად ითვლებოდა. შემდეგი ადგილი კარგად მეტყველებს ამაზე:

მაშინ მღვდელმთავარმა უთხრა მას: "ცოცხალ ღმერთს გაფიცებ, გვითხარი, შენ ხარ ქრისტე, ძე ღმერთისა?" ეუბნება მას იესო: "შენ თქვი". მაგრამ მე გეუბნებით თქვენ: ამიერიდან იხილავთ კაცის ძეს, ძალის მარჯვნივ მჯდომარეს და ცის ღრუბლებზე მომავალს." მაშინ მღვდელმთავარმა შემოიხია სამოსი და თქვა: "მან ჰგმო. რაღად გვინდა მოწმენი? აჰა, ახლა გაიგონეთ გმობა. რას ფიქრობთ?" ხოლო მათ მიუგეს და უთხრეს: "სიკვდილის ღირსია" (მათ. 26:63-66)

იესოს მიერ ღმერთად თავის გამოცხადებამ მიიქცია ჩემი ყურადღება. სახარების მიხედვით, ის ყველა დანარჩენი ადამიანის მსგავსი იყო. არავის არაფერი განსაკუთრებული არ შეუმჩნევია მასში. როგორ შეეძლო, რომ ღმერთი და კაცი ყოფილიყო ერთდროულად? არ მჯეროდა მისი, მაგრამ ჩემს ყურადღებას მაინც იპყრობდა გასაოცარი განცხადება. ანალოგიური განცხადების შესახებ არ მსმენია არც ერთ რელიგიურ სისტემაში; არ მსმენია, რომ ოდესმე ვინმეს მსგავსი განცხადება გაეკეთებინოს. ვფიქრობდი: შეიძლება, იქნება ასეც არის.

იესოს მიერ მოყოლილმა ბევრმა იგავმა დამაინტრიგა. იგავი უბრალო მოკლე ისტორია ან ილუსტრაციაა ჭეშმარიტებისა და მორალური გაკვეთილის სასწავლებლად. დიდ სიღრმეს მოიცავდა. უნდა შევჩერებულიყავი და მათ მნიშვნელობაზე მეფიქრა. ჩანდა, რომ იესოს უნდა ჰქონოდა ადამიანის ბუნების წვდომის არაჩვეულებრივი უნარი. რაღაცა მეუბნებოდა შინაგანად, რომ შეიძლება ეს მართალი ყოფილიყო, მაგრამ არ ვიცოდი, რატომ. ჩუმად ვაგრძელებდი კითხვას. თუმცა ჩემი გადაწყვეტილების შესახებ ჩემს ცოლ-შვილსა და ლაბორატორიის თანამშრომელს გავანდე, მაგრამ მაინც არ მინდოდა, სხვებს გაეგოთ, რომ ბიბლიას ვკითხულობდი.

ლუკა

ლუკა არის ახალი აღთქმის მესამე წიგნი. ძირითადად, აქაც ანალოგიური ისტორია იყო მოთხრობილი. ამ შემთხვევაში რამდენიმე განსხვავებულმა საკითხმა მიიქცია ჩემი ყურადღება. ლუკა, წიგნის

ავტორი, ექიმი და შესანიშნავი ისტორიკოსიც ყოფილა. რის გამოც დამატებითი კვლევა ჩავატარე მის შესახებ.

გავიგე, რომ ლუკა სიზუსტით მოიხსენიებდა ქალაქების, ქვეყნებისა და მათი მმართველების სახელებს. თანამედროვე არქეოლოგებმა და გეოგრაფებმა დაამოწმეს ლუკას ისტორიული ნაწერების სიზუსტე, მაგრამ გამაოცა ამ ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების სიმრავლემ. ლუკას ნაწერებს აფასებდნენ თანამედროვე ისტორიკოსები, მის მიერ ძვირფასი და ადვილად გამოვლენილი ყველაზე ცნობილი ადრინდელი მწერლების ნაწარმოებები. სერ უილიამ მ. რამზე, ცნობილი ისტორიკოსი და არქეოლოგი, წერს:

ლუკა არის პირველი კლასის ისტორიკოსი; მისი ნაწერები უბრალოდ სანდო კი არ არის, არამედ ის ფლობდა ნამდვილ ისტორიულ განცდას... მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ავტორი უდიდესი ისტორიკოსების გვერდით უნდა დავაყენოთ.

ყურადღება მიაქციეთ ლუკას მტკიცე განცხადებას პირველი თავის დასაწყისში:

"რადგან ახლა ბევრმა მიჰყო ხელი ჩვენს შორის მომხდარ ამბავთა მწყობრ აღწერას ისე, როგორც გადმოგვცეს მათ, რომელნიც თავიდანვე თვითმხილველნი და სიტყვის მსახურნი გახდნენ, მეც მივიჩნიე, რომ მას შემდეგ, რაც გულდასმით გამოვიკვლიე ყოველივე თავიდან, ზუსტად აგიწერო, ღირსეულო თეოფილე, რათა შეიცნო იმ მოძღვრების ჭეშმარიტება, რომელიც ნასწავლი გაქვს" (ლუკ. 1:1-4).

ლუკა ამბობს, რომ თვით იესოს თვითმხილველებისაგან გამოიკვლია საქმე. იესოს სწავლება და მის მიერ მომხდარი სასწაულების ხილვა უამრავ ხალხს იზიდავდა. მას გამუდმებით უთვალთვალებდნენ რელიგიური წინამძღოლები, რომელთაც მისი ავტორიტეტის შერყევა სურდათ. ლუკამ ან თვითმხილველნი გამოკითხა სიფრთხილით, ან ისრაელში სტუმრად ყოფნისას შეამოწმა ამ ამბების სიზუსტე. იმ დროის ექიმებს ისტორიული ჩანაწერების გაკეთებასაც ასწავლიდნენ. ეს მან იესო ქრისტეს ამბების კვლევისას გამოიყენა. ლუკამ გააღვიძა ჩემი ცნობისმოყვარეობა და გულში, ცოტა არ იყოს, ეჭვი შემომეპარა. ვგრძნობდი, რომ შეიძლებოდა კოლეგის ნდობა.

ლუკას მიერ აღწერილი სასწაულები შეიცავდა ავადმყოფების განკურნებას. ჩემთვის ექიმზე უკეთესი მკვლევარი ვინაა უნდა ყოფილიყო ამ საქმეში. ამ ფაქტმა დამაინტრიგა, რადგან ექიმებს სასწაულების არ სჯერათ. ნებისმიერი ექიმი დასვამდა კვალიფიცირებულ შეკითხვებს და სამართლიანად შეაფასებდა მოწმეების მონათხრობს. ლუკა შეძლებდა ქრისტეს მიერ განკურნებულ ადამიანებთან ან თვითმხილველებთან საუბარს, მათ გამოკითხვასა და გამოკვლევას. ლუკა ირწმუნებოდა, რომ თითოეული სასწაული პირადად გამოიძია და მის სისწორეში დარწმუნების შემდეგ აღწერა სახარებაში. ბიჭოს! – გავიფიქრე. ამან უფრო მეტად დაარწმუნა ჩემი მეცნიერული გონება. უფრო ხშირად და

მიზანმიმართულად დავიწყე კითხვა.

როცა წავიკითხე, რომ იესომ პატარა გოგონა აღადგინა მკვდრეთით, ჩემს გაცეხებას საზღვარი არ ჰქონდა. მამამისი, იაიროსი, იესოსთან მოვიდა სასოწარკვეთილი, რადგან მისი გოგონა კვდებოდა. იესო, რატომღაც, სხვა შემთხვევამ შეაფერხა და გოგონა გარდაიცვალა. აი ლუკას ჩანაწერი:

სახლში რომ მივიდა, არავინ შეუშვა თავისთან ერთად, პეტრეს, იაკობის, იოანეს და გოგონას დედ-მამის გარდა. ყველა ტიროდა და გოდებდა. მან კი თქვა: "ნუ ტირით, არ მომკვდარა, არამედ სძინავს." ისინი კი დასცინოდნენ მას, რადგან იცოდნენ, რომ მკვდარი იყო. მან ხელი მოჰკიდა მას და შესძახა: "ადექი, ბავშვო!" და დაუბრუნდა სული და მყისვე წამოდგა. და ბრძანა, რომ ბავშვისთვის საჭმელი მიეცათ. გაოგნებული იყვნენ მისი მოძღვრებით. მან კი უბრძანა მათ, არავისთვის ეთქვათ ეს ამბავი (ლუკა 8:51-56).

ამ ამბავმა ისე იმოქმედა ჩემს გულზე, როგორც არასოდეს არაფერს უმოქმედია. ჩემი თავი გოგონას მამის ადგილას წარმოვიდგინე, რადგან მეც ორი პატარა შვილი მყავდა. ნუთუ ეს მართლა მოხდა? – ვეკითხებოდი საკუთარ თავს გამუდმებით. ვფიქრობდი, რომ შეიძლება ლუკა გოგონასთან პირადად საუბრისას აკეთებდა ამ ჩანაწერს. თუმცა დარწმუნებით ისიც არ ვიცოდი, ცოცხალი იყო თუ არა გოგონა იმ დროს, საოცარი ინტერვიუ იქნებოდა ეს ლუკასთვის. ექიმი დაწვრილებით გამოიძიებდა ასეთ სასწაულს. განკურნების სასწაული ერთია, მაგრამ მკვდრის გაცოცხლება მეორე. თუმცა ჯერ კიდევ არ მჯეროდა ამის, მაგრამ რაღაცას შინაგანად უნდოდა, რომ ეს მართალი ყოფილიყო. მივხვდი, რომ თუ ეს ფაქტი მართალი იქნებოდა, მაშინ მრავალ რამეს აეხდებოდა ფარდა.

ყოველთვის მეშინოდა, როცა რაღაც ხდებოდა ჩემს ოჯახში, რადგან ევოლუციის თეორიის მეშვეობით მასწავლეს, რომ ადამიანი სხვა არაფერია, თუ არა ორგანული ნაერთიდან განვითარებული ორგანო. გულით არ მინდოდა ამის დაჯერება, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკუთარი ოჯახი მყავდა. მინდოდა, რომ სიკვდილზე პასუხი ყოფილიყო ამქვეყნად. იაიროსის ქალიშვილის ამბავმა გამამხნევა, მიუხედავად იმისა, რომ რთული იყო მისი დაჯერება. გული მეუბნებოდა, რომ თუ ეს ფაქტი მართალი იყო, მაშინ საუკუნო ცხოვრებაც შესაძლებელია. არ მესმოდა, რას მეუბნებოდა გული, რადგან ჩემი ცხოვრებაზე გონებრივი წარმოდგენა არ იღებდა მარადიულობის ფენომენს. მარადიული ცხოვრება თუ ნამდვილი იყო, მაშინ ეს პასუხს გასცემდა ჩემი ოჯახისა და ჩემი მეხსიერების მომავალს. თუ ჩემს მეხსიერებას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა, მაშინ მას მარადიულობაში უნდა ჰქონოდა ფესვი. მარადიული უნდა ყოფილიყო მეხსიერება და საუკუნოდ გაგრძელებულიყო, რადგან ვერასოდეს ფლობ შენი საყვარელი ადამიანებისათვის საკმარის დროს. გაცეხული დავრჩი.

ამ დროს, უკვე დავიწყებული მყავდა ჩემი ქრისტიანი მეზობლები.

უკვე აღარ ვეძებდი მათი ფარისევლობის დამამტკიცებელ საბუთებს. მთელ დროს ქრისტეს შემეცნებას ვუთმობდი. თუ რაიმე საინტერესო ინფორმაციას წავაწყდებოდი, ამაზონზე ვყიდულობდი წიგნებს. მთელ თავისუფალ დროს ვუთმობდი კითხვასა და კვლევას.

იოანე

ახალი აღთქმის მეოთხე წიგნი არის იოანეს სახარება, მოციქულ იოანეს მიერ დაწერილი. მან სამი წელი იესო ქრისტეს გვერდით გაატარა. მოციქული იესოს ახლო მეგობარი იყო; იხილა მისი სასწაულები და ფიზიკურად ნახა იგი აღდგომის შემდეგ. მოციქულები განსაკუთრებით იყვნენ ამორჩეულნი და ღვთის მიერ სახარების საქადაგებლად წარგზავნილნი. მაშინვე მიმიზიდა ტექსტის შინაარსმა. განსაკუთრებით დავიწყე დაკვირვება იესოს ნათქვამი სიტყვების შინაარსზე.

საოცარი იყო იესო-ღმერთის, ადამიანის ფორმით არსებობა. იოანე ნათლად ამბობდა, რომ იესო იყო ღმერთი, რომელიც მის მიერ შექმნილ დედამიწას სტუმრობდა. ვფიქრობდი: ეს თუ მართლა მოხდა, ადამიანის მოდგმის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იქნებოდა. იესომ ერთი ბრძნული განცხადებაც გააკეთა, რომლის შესახებაც რამდენიმე დღე ვფიქრობდი. აი ისიც:

ეუბნება მას ფილიპე: "უფალო, გვიჩვენე მამა და საკმარისია ჩვენთვის." ეუბნება მას იესო: "ფილიპე, ამდენი ხანია თქვენთან ვარ და ვერ მიცნობ მე? ვინც მე მიხილა, მან მამაც იხილა. როგორღა ამბობ, გვიჩვენე მამა? არა გწამს, რომ მე მამაში ვარ და მამა ჩემშია? სიტყვებს, რომელთაც გეუბნებით, ჩემგან არ ვამბობ, არამედ მამა, რომელიც ჩემშია, აკეთებს თავის საქმეებს. მერწმუნეთ, რომ მე მამაში ვარ და მამა ჩემშია. თუ არა და, თვით საქმეებს მაინც ერწმუნეთ (იოან. 14:8-11).

იესო მოწაფეებს ეუბნება, რომ ისინი პირისპირ ხედავენ ღმერთს. იესო ამტკიცებდა, რომ ის იყო სხეულში მოვლენილი მამა. როგორც გავიგე, ეს ნიშნავს "ღვთის ინკარნაციას." გავოცდი, მაგრამ მთლად ვერ დამარწმუნა ამან. თუმცა ღრმად ჩამაფიქრა:

უთხრა მას იესომ: "მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე. ვინც მე მიწამებს, კიდევ რომ მოკვდეს, იცოცხლებს. ყველა, ვინც ცოცხალია და მე მიწამებს, არ მოკვდება უკუნისამდე. გწამს ეს?" (იოან. 11:25-26).

იესო აშკარად ამბობდა, რომ ის საუკუნო სიცოცხლეს ფლობდა. ბევრი რამ არ მესმოდა რელიგიის შესახებ, მაგრამ სხვა ისეთ რელიგიას არ ვიცნობდი, რომელსაც ოდესმე დაემოწმებინოს, რომ თვით ღმერთი მოვიდა დედამიწაზე, დაემოწმებინოს, რომ საუკუნო სიცოცხლე არსებობს და მისი მიღება შეუძლიათ ადამიანებს. გარდაცვალების შემდეგ სიცოცხლის დაპირებამ გონება მოიცვა და გულში იმედი ჩამისახა. ჯერ ამის შესახებ კვლევა-ძიება არ ჩამიტარებია, მაგრამ უკვე მშვენიერი აზრი იყო დასაფიქრებლად.

შევნიშნე, რომ განსხვავებული დამოკიდებულება და მოტივები მამოძრავებდა იესოს შესახებ კვლევებთან დაკავშირებით. გაბრაზებულმა დავიწყე ქრისტიანული ფარისევლობის წინაღმდეგ სამხილების ძიება, მაგრამ ახლა ეს ყველაფერი გაუჩინარდა. კითხვებზე პასუხს ვეძებდი გულში და ბიბლიის კითხვამდე არ ვიცოდი, რომ აქვე ყოფილა პასუხი. ჩანდა, რომ სიტყვებმა ფარდა ახადეს სიცოცხლის შესახებ სიღრმისეულ საიდუმლოს. ამ ამბებმა ისეთ რამეზე დამაფიქრეს, რაზედაც აქამდე არასოდეს მიფიქრია.

ვაგრძელებდი კითხვას და სიტყვები უფრო ცოცხალი მეჩვენებოდა. გული სწრაფად მიცემდა და ჟრუანტელი მივლიდა ტანში. რა მემართება? – ვფიქრობდი. ეს წიგნი მართლა მოქმედებს ჩემზე და არ ვიცი რატომ. როგორც ჩანს, პირადად მე მესაუბრება. სისუფელე იყო ასეთი აზრი, მაგრამ ჩემი გული დარწმუნებული იყო, რომ ეს სიტყვები განსაკუთრებით მე მეხებოდა. აღარ შემიძლო, რომ ბიბლიის შემსწავლელი გაკვეთილები არ მეკითხა კომპიუტერში.

მეორე დღეს, ნიუ ორლეანში თვითმფრინავით მგზავრობისას, იოანეს სახარების კითხვა გავაგრძელე. უკვე ისე ვიყავი ჩაფლული ახალ იდეებში, რომ აღარ მაინტერესებდა, ვინმე თუ დამინახავდა ბიბლიის კითხვისას. იოანეს სახარების კითხვისას მოულოდნელად ცრემლები წამომივიდა. შევწუხდი; საზოგადოებაში ვიყავი და თვალზე ცრემლი კი არ მომადგა, წყალივით მომდიოდა! რატომ ვტირი? რა მემართება? და ფანჯრისკენ შევტრიალდი შეშინებული, რომ ჩემს გვერდით მჯდომ კაცს არ დავენახე. თავი გავიქნიე და ორივე ლოყაზე ხელი შემოვირტყი "გამოსაღვიძებლად." ჩემს გვერდით მჯდომი მამაკაცი გაოცებული მაკვირდებოდა, მას სახეზე გაცემა ეწერა.

სიტყვები ისე ღრმად მოქმედებდა ჩემს შინაგანში, რომ არ შემიძლო მათი გაგება. დამაფიქრა მათმა გავლენამ და მოწოდებამ. ამ მოთხრობაში წარმოდგენილი ადამიანის საქციელი აბსოლუტურად გასაგებია. გავოცდი და საკუთარ თავს ვეკითხებოდი, როგორ არსებად შეიძლება ჩამოყალიბდეს ადამიანი ამ სიტყვების, მაგალითების ან გამოცხადების მიღების შემდეგ? ახლა კი აუცილებლად უნდა შევჩერებულიყავი და ნათქვამზე დავფიქრებულიყავი. ვიგრძენი, რომ რაღაცამ გავლენა მოახდინა გულის სიღრმეში.

სამი კითხვა

იესოს ჯვარცმა ოთხივე სახარებაშია აღწერილი, მაგრამ იოანეს სახარებისეულმა ვერსიამ რამდენიმე საკითხზე დამაფიქრა. აი ეს საკითხები:

1. რატომ არ შეიძლო იესოს ყველასთვის მიეცა საუკუნო სიცოცხლე, თუკი იგი ღმერთი იყო? უბრალოდ, რატომ არ აპატია ღმერთმა ყველას?
2. თუ იესო ღმერთი იყო, მაშინ რატომ გააკრეს ჯვარზე? რატომ უნდა მომკვდარიყო ჩემთვის საუკუნო სიცოცხლის

მოცემისათვის? მართლა იყო თუ არა საჭირო იესოს სიკვდილი?
3. რატომ არ მოგვცა ღმერთმა ზეცისაკენ მიმავალი მრავალი გზა ერთის ნაცვლად?

კარგა ხანს ვფიქრობდი ამ კითხვებზე. რატომღაც, პირველი სამი სახარების კითხვისას ქრისტეს წამების მნიშვნელობაზე ყურადღება არ გამიმახვილებია. ახალი აღთქმის კითხვის დასრულებამდე ამ კითხვებზე პასუხი უნდამეპოვა. რადგან ჩემი კომპიუტერული ბიბლიის შემსწავლელი ვერსია კითხვებზე პასუხსაც მოიცავდა, აქედან გამომდინარე, შევუდექი კვლევას.

პირველი, მხოლოდ ახლა გავიგე, რომ ცოდვილად ვიყავი მიჩნეული. ერთი წუთით დავფიქრდი ამ საკითხზე და ვაღიარე, რომ მართალი იყო. მომიპარავს, ტყუილიც მითქვამს, სხვა მრავალი ცუდი საქმეც გამიკეთებია, ისე როგორც ყველა სხვას. კარგით, ცოდვილი ვიყავი. მერე რა?

ბიბლიიდან ისიც გავიგე, რომ ჩემი ცოდვის საზღაური იყო სიკვდილი – საუკუნო სიკვდილი – და ფიქრებში გადავეშვი. სათხილამურო მოგზაურობისა და მარკოს კუნძულებზე სტუმრობის მოგონებები ამომიტივტივდა. თუ ღმერთი უცოდველი, სრულყოფილი და წმინდა იყო, მაშინ ვერ შეძლებდა თავის არსებობაში უწმინდურობის შეწყნარებას, ერთი ცოდვის შეწყნარებასაც კი. მხოლოდ მაშინ მივაღწევი ღმერთთან საუკუნო ცხოვრებას, თუ ცოდვები არ მექნებოდა. თუ საუკუნო სიცოცხლეს მასთან გავატარებდი ე.ი. საუკუნო სიკვდილს მის გარეშე. ეს ხომ არ ნიშნავს ჯოჯოხეთს? – ვფიქრობდი მე. მაშინ ეს იმას ნიშნავდა, რომ სიკვდილი ისეთი დასასრული კი არ ყოფილა, როგორსაც ევოლუცია მასწავლიდა, არამედ მარადიულობის დასაწყისი.

ვეცადე, ერთად მომეყარა თავი ყველაფრისათვის. ჩემი ცოდვები საშუალოდ დამაშორებდა ღმერთს, თუ არ არსებობდა მათი სრულად წარხოცვის გზა. როგორ შევძლებდი ამის გაკეთებას? ბიბლია მასწავლიდა, რომ ამის გაკეთება ჩემს ძალას აღემატებოდა, მაგრამ ღმერთმა შემომთავაზა ეს გზა თავისი ძის, ქრისტეს მეშვეობით. ბიბლიის ერთ მუხლში ვიპოვე ეს აზრი სრულად ჩამოყალიბებული:

ვინც ცოდვა არ იცოდა, ღმერთმა ის აქცია ცოდვად ჩვენს გამო, რათა ჩვენ გავხდეთ ღმერთის სამართალი მასში (2 კორ. 5:21).

ეს მუხლი გვასწავლის, რომ ქრისტეს მიერ ჯვარზე აღსრულებული საქმის გამო, ღმერთს შეუძლია, ცოდვილ ადამიანს უწყალობოს უმწიკვლოდ მის წინაშე დგომის უფლება. უცოდველი იესო რატომღაც ცოდვილი გახდა და ცოდვის სასამართლო აიტანა ჩვენი ცოდვების საზღაურის გადასახდელად. როგორი უცხოა, – გავიფიქრე. მაგრამ რაღაც ამბავი იყო. ეს ავტომატურად არ მომხდარა. ახლა უნდა მერწმუნა, რომ ქრისტე ღვთის ძე იყო, უნდა მეღიარებინა, რომ მან ჩემი ცოდვებისათვის დაღვარა თავისი სისხლი და ცოდვებისათვის ზურგი შემიქცია.

ღრო მჭირდებოდა ამ აზრების მისაღებად. ვგრძნობდი, რომ ამ ყველაფერს ჩემთვის აზრი ჰქონდა, მაგრამ მისაღებად მძიმე იყო. ჩემი

მიზანი ქრისტიანული დოქტრინის გაგება იყო, მაგრამ ვიდრე მის მიღებას ან უარყოფას გადავწყვეტდი, ცოტა ხანს უნდა მეფიქრა.

ძალიან დამაინტრიგა ახლახანს აღმოჩენილმა აზრმა ცოდვასა და სიკვდილს შორის სავარაუდო კავშირის შესახებ. ძალიან კარგად მესმოდა ფიზიკური სიკვდილის შინაარსი და მეშინოდა კიდეც მისი, ისევე როგორც ადამიანების უმრავლესობას. ყოველთვის მასწავლიდნენ, რომ სიკვდილი ადამიანური ბუნების და ევოლუციის მამოძრავებელი ძალის შედეგს წარმოადგენდა. რომლის ფონზეც, სიკვდილი ბუნებრივად ირჩევდა სუსტ და გადარჩენის უნარს მოკლებულ სიცოცხლის ფორმას ევოლუციურ ქვეყნიერებაზე: "ძლიერების გადარჩენა." სიკვდილი და შემთხვევითობა იყო "შექმნილი."

უნდა ვაღიარო, რომ არასოდეს მესმოდა ამ ევოლუციისა და სიკვდილის შესახებ. უბრალოდ, რატომ ვცოცხლობთ, თუ უნდა მოგვკვდეთ? რატომ ისწრაფის ადამიანის მოდგმა სიყვარულის, მოგონებებისა და ოჯახებისაკენ, მხოლოდ იმიტომ, რომ უცქირონ მათ ნელ-ნელა გაუჩინარებასა და გაქრობას? ვართ თუ არა ნამდვილად განვითარებული არსებები. მაშინ როცა ჩვენი სიყვარული სხვა არაფერია, თუ არა მსწრაფლმავალი ქიმიური რეაქცია, რომელიც ნელ-ნელა ერწყმის საბოლოო რეაქციას, სიკვდილს? მიუხედავად ამ მეცნიერული ახსნისა, არასოდეს არ იყო ჩემი გული კმაყოფილი სიკვდილის ამ განმარტებით. ვფიქრობდი, რომ შეიძლება თვითონ სიკვდილში ყოფილიყო ახსნა და პასუხის დასაბამი. ბიბლია ამბობდა, რომ სიკვდილის დასაბამი და მიზეზი იყო ცოდვა.

მიჭირდა ამ აზრის დაჯერება, რადგან, თავად ახალი აღთქმა ამტკიცებს, რომ სიკვდილი ადამიანთა მოდგმაში შევიდა ადამის ცოდვის მეშვეობით. თითქმის ისევე სათხილამურო მოგზაურობის გიჟებთან ვიყავი, მაგრამ შევეგუე ამ აზრს, რადგან ეს იძლეოდა იმის ახსნას, თუ რატომ არსებობდა სიკვდილი ამ ქვეყნიერებაზე. თან მიკვირდა, რადგან ადამისა და ევას ისტორია გვთავაზობდა იმ აზრს, რომ დასაბამიდან ადამიანი არ შექმნილა სიკვდილისათვის. ადამიანი, ბიბლიის მიხედვით, შეიქმნა საუკუნო სიცოცხლისათვის. რაც იმას ნიშნავდა, რომ რაღაც ვერ იყო კარგად ახლანდელ ქვეყნიერებაზე. სიკვდილი არ არის "ბუნებრივი", უბრალოდ "ცხოვრების ნაწილი", ან როგორც მასწავლეს, ევოლუციის განვითარების გზა, არამედ ტრაგედიის შედეგი, როცა ადამიანმა პირველად შესცოდა ღმერთის წინაშე.

ეს ახსნა საკმარისი იყო ჩემთვის, რადგან მარადიულობა მეწერა გულზე. არ მინდოდა სიკვდილი და ჩემი ოჯახის მიტოვება, რაც არასოდეს მეჩვენებოდა სამართლიანად და ბუნებრივად. შეიძლება, რომ ეს იყოს მიზეზი? _ ვფიქრობდი, – შეიძლება სიკვდილი იმიტომ მეჩვენება მცდარი და მტკივნეული, რომ უბრალოდ ეს ასე არ უნდა იყოს?

გამახსენდა პაპაჩემის სიკვდილი, როცა რვა წლის ვიყავი. დედაჩემი ქვითინით შემოვიდა ოთახში. თვალებზე ხელები ჰქონდა აფარებული, რომ ცრემლები დაეფარა. "შენი 'პოპ პოპი' გარდაიცვალა", – თქვა მან ქვითინით.

"რას გულისხმობ?" – ვკითხე მე.

"მოკვდა. წუხელ ძილში მოკვდა."

მანქანამ ბებიაჩემის სახლამდე მიგვიყვანა, სადაც ყველა ჩუმად იყო. შინ მისვლამდე არ განმიცდია სიკვდილის მნიშვნელობა. ის იყო ჩემთვის პირველი ახლობელი ადამიანი, რომელიც გარდაიცვალა. ძველი თეთრი სახლი ცარიელი ჩანდა. ის ჭიშკართან გვეგებებოდა ხოლმე, მაგრამ ახლა აღარავინ ჩანდა. როცა სახლში შევედი, შევნიშნე, რომ მისი სვიტრი სკამზე აღარ ეკიდა. მისი ოთახის ჩუსტები კარებთან აღარ ეწყო. ცივი, ცარიელი და მოწყენილი ჩანდა ყველა. ვერ გავიგე სად წავიდა და რატომ.

შიგნით, რომ შევედი, ბებია სამზარეულოში იყო. როგორც კი დაგვინახა, ტირილი დაიწყო. პოპ პოპის ეტლი რადიოსთან აღარ იდო. აღარ მომესმა მისი მოსაღმება. მისაღებ ოთახში შევედი და ტირილი დავიწყე. ძალიან მეწყინა. თითქმის ჩემი მეხსიერების ნაწილი ვიღაცამ წამართვა და უცნობ ადგილას მოისროლა. არანაირ ახსნა-განმარტებას არ ჰქონდა ადგილი. "კარგი და ხანგრძლივი ცხოვრებით იცოცხლა და გარდაიცვალა". არა! რაღაც იყო საშინლად არასწორი. არ ვიცოდი, როგორ გამომეხატა გრძნობები და ტირილი დავიწყე. მინდოდა, რომ დაბრუნებულიყო! მომენატრა მისი ჩახუტება! კიდეც ერთხელ მინდოდა მისი ხვრინვა მომესმინა.

მივხვდი, რომ არ გამოვმშვიდობებივარ. არასოდეს მითქვამს, რომ მიყვარდა. ამას ყოველთვის საჩუქრად ვიღებდი, როცა იქ ვიყავი. მასთან ერთად არ მითამაშია ბოლოს და ისე წავიდა თავისი მოხუცებულობის ასაკისათვის შესაფერისი მოვალეობის შესასრულებლად. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ სულ იქ იქნებოდა. "მამი მამიმ" ხელში ამიყვანა და მითხრა, რომ პაპა "უკეთეს ადგილას" წავიდა, მაგრამ სად იყო ეს ადგილი? მისი სიტყვები ჩემდა სანუგეშებლად გამოგონილად მომეჩვენა.

მეორე დღეს სამგლოვიარო ცერემონიალით გავემართეთ სასაფლაოსაკენ. გეგონებოდათ, გული მუცელში მქონდა. ყველა განსაკუთრებულად გამოწყობილიყო, უმეტესად შავებში. სასაფლაოსთან მივედი და წინ დავსხედით. კუბოს თავი ახდელი ჰქონდა და შემეძლო პოპ პოპის კუბოდან ამოყოფილი ცხვირის დანახვა. ვიღაცამ სიტყვა წარმოთქვა, მაგრამ არაფერი გამიგია, რადგან კუბოს ვუცქერდი დაჟინებით. ბოლოს, როცა გამოსამშვიდობებლად მივედი კუბოსთან, საშინელი, უცნაური და სამწუხარო შეგრძნება დამეუფლა, ამავდროულად გული ძალიან მიცემდა. პაპა ფერმიხდილი, ჩუმი და გაყინული ჩანდა. ველოდი, რომ ადგებოდა, მაგრამ არ ამდგარა.

როგორ იქნება ეს ჩემი პოპ პოპი? როგორ შეიძლება, რომ წასულიყო? რატომ? სად წავიდა? რას ნიშნავს ეს ყველაფერი? და ჩემი პატარა სასიამოვნო ცხოვრება სიკვდილმა დაარღვია.

ფიქრები ცოტა ხანს შეჩერდა და როცა კვლავ დაუბრუნდა რეალობას მივხვდი, რომ პაპაზე ვფიქრობდი. ახლა უფრო რთული იყო ამის ატანა, რადგან ახლა საკუთარი ოჯახი მყავდა. ჩემი შვილები და შვილიშვილებიც გამოსცდიან ამას ერთ დღეს ჩემზე? ღირდა ამაღ

ცხოვრება? ასეთი კითხვების ატანა აღარ შემეძლო და თავი დავაღწიე ფიქრებს. სად ვიყავი? ვეცადე წარსულის მოგონებებით გამოწვეული ტკივილი დამევიწყებინა.

ცოდვაზე ვფიქრობდი, როგორც სიკვდილის გამომწვევ მიზეზზე, მაგრამ ამაში მონაწილეობას იღებდნენ ადამი და ევა. ბიბლია ნათლად ამბობდა, რომ ისინი შექმნილნი იყვნენ. ვიცოდი, რომ ეს უბრალოდ იგავი ან ამბავი არ იყო, რადგან იესომ ახალ აღთქმაში მოიხსენია ისინი და მათი შვილი, როგორც რეალური ხალხი. იმასაც ვფიქრობდი, შეიძლება, რომ მართლა შექმნილი ვარ? შექმნის იდეა სისულელედ და შეუძლებლად მეჩვენებოდა, როცა თვრამეტი წლის ვიყავი, მაგრამ ახლა, უცნაურია მაგრამ, მიმზიდველად. შემთხვევითობაში არაფერი იყო მანუგეშებელი, აზრიანი ან გამამხნეველებელი. დრო, რომელიც მხოლოდ თავისთავად არსებობდა არაფერ სასიკეთოს არ გვპირდებოდა, გარდა არარსებობისა. თუ შექმნილი ვიყავი, მაშინ ღმერთმა შემქმნა, რაც იმას ნიშნავს, რომ ღვთისთვის ჩემს არსებობას აქვს ფასი და აზრი. ღმერთი ნაგავს არ შექმნიდა! ჩემს გულს სწყუროდა მნიშვნელობა, მაგრამ გონებამ სწრაფად უარყო ეს აზრი მისი შედეგებიდან გამომდინარე. თუ ეს მართალია, მაშინ როგორც ღვთის ქმნილება, მის წინაშე პასუხისმგებელი ვიყავი. ეს კი არ მინდოდა. უცნაური აზრები მაწუხებდა, მაგრამ მცირეოდენი შესაძლებლობაც, რომ არსებულიყო ამ აზრის სისწორისა, მინდოდა, რომ გამომეცვლია.

სამ კითხვას პასუხი გაეცა

უკვე შემეძლო ამ სამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მოველოდი, რომ ბრმა ან არალოგიკურ რელიგიურ პასუხებს აღმოვაჩენდი ზედაპირულ რწმენაზე დაფუძნებულს, მაგრამ ვცდებოდი. პასუხები სინამდვილეში გასაგები იყო, მაგრამ მე არ ვიყავი მზად მათ მისაღებად.

1. რატომ არ შეეძლო იესოს ყველასათვის მიეცა საუკუნო სიცოცხლე, თუკი ღმერთი იყო? რატომ არ აპატიებდა ღმერთი ყველას?

ერთი საინტერესო ანალოგია წავიკითხე, რაც პასუხების გაცემაში დამეხმარა. სასამართლოს წესისამებრ, თუ ჯარიმა დამეკისრა, უნდა გადავიხადო. მოსამართლე ვერ გამათავისუფლებს ჯარიმისგან იმის გამო, რომ კარგი და სასიამოვნო მოსამართლეა. ღმერთმა, როგორც სამართლიანმა მოსამართლემ ცოდვა უნდა დასაჯოს. მას არ შეუძლია, რომ უბრალოდ გააუქმოს საქმე. იმაზეც დავფიქრდი, რომ თუ ვინმეს ჩემი ვალი აქვს და პატიება მთხოვს, ეს იმას ნიშნავს, რომ მე გადავიხადე. ჩემთვის საფასური არ გაუქმებულა. ეს დამეხმარა მეორე კითხვაზე პასუხის გაცემაში.

2. თუ იესო ღმერთი იყო, რატომ აცვეს იგი ჯვარს? რატომ უნდა მომკვდარიყო ჩემი საუკუნო ცხოვრებისათვის? მართლა საჭირო იყო თუ არა იესოს სიკვდილი?

როგორც უკვე გავიგე, სამართლიანმა ღმერთმა ცოდვა უნდა

დასაჯოს, მაგრამ მოსიყვარულე ღმერთს ცოდვილების დახსნაც სურს. ის მოითხოვს საზღაურის გადახდას და გადაიხდა კიდეც ეს ვალი იესოს ჯვარზე სიკვდილით. თუ ჩემი ცოდვის საზღაური არის სიკვდილი და ღმერთისგან დაშორება, მაშინ ამის სანაცვლოდ სხვა ადამიანი უნდა მომკვდარიყო ჩემს მაგივრად. ღმერთი უნდა გამხდარიყო ადამიანი და მომკვდარიყო იმისათვის, რომ სრულყოფილად დაეკავებინა ჩემი ადგილი.

მივხვდი, რომ სხვა ცოდვილ ადამიანს არ შეეძლო ჩემი ადგილის დაკავება, მით უმეტეს მოკვდავ ადამიანს. მხოლოდ უცოდველ და სრულყოფილ ღმერთს შეეძლო მთელი ქვეყნიერების, წარსულის, აწმყოსა და მომავლის ცოდვებისათვის სიკვდილი. თუ ვინმეს ცოდვების საფასურად სიკვდილი შესაძლებელი იყო, მხოლოდ ღმერთს შეეძლო ასეთი სარისკო მისიის შესრულება.

ისიც აღმოვაჩინე, რომ ღვთის მიძღვნილების კიდეც ერთი მიზეზი გახლდათ ზეცაში შესვლის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. თუ ცოდვილ ადამიანს სჭირდება ღვთის წინაშე სრულად და უცოდველად დგომა, მის წიაღში ყოფნისათვის, მაშინ გასაგებია, რომ მხოლოდ ღმერთს შესწევს ამის შესრულების ძალა. მთლად არ მჯეროდა ეს ყველაფერი, მაგრამ ლოგიკურად სწორი იყო ახსნა.

3. რატომ არ შექმნა ღმერთმა სამოთხეში მოხვედრის მრავალი გზა ერთი ნაცვლად?

ეს ის საკითხი იყო, რაც, როგორც წესი, ბრაზს მგვრიდა. იდეა "ერთადერთი გზა სამოთხისაკენ" ძალიან მაღიზიანებდა. უკვე ჩავწვდი იდეის არსს, რომ ღმერთი უნდა მოსულიყო, როგორც ადამიანი და მომკვდარიყო. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ არავის შეეძლო ღვთის გარდა სრულყოფილი, უცოდველი მსხვერპლის გაღება და ადამიანის მოდგმის შემცვლელი ცოდვის საზღაურის გადახდა. თუ ღმერთი უნდა გამხდარიყო ადამიანი და მომკვდარიყო, მაშინ მართლა "ერთადერთი გზა" არსებობს განსაზღვრების მიხედვით. თუ იესო მართლა ღმერთი იყო და სიკვდილი ცოდვის საზღაური, მაშინ ის იყო ერთადერთი გზა. ეს უნდა მელაპრებინა საკუთარი თავის წინაშე. კიდეც ერთხელ ვიტყვი, რომ ეს ამტკიცებდა იესოს ღმერთობას და სიკვდილის მიზეზად კი, ცოდვას.

გული მომიღბა, რადგან გამაოცა ასეთმა ღმერთმა, თუ ის მართლა არსებობდა და საკუთარი შვილი გაიღო მსხვერპლად! მოწიწებას ვგრძნობდი, რომ ღმერთმა უარყო საკუთარი დიდება და იესო გამოგზავნა დედამიწაზე ჯვარზე სიკვდილისათვის ტანჯვის ასატანად. თუ ეს მართალი იყო, მაშინ მან ყველა შესაძლებლობა გამოიყენა ადამიანის მოდგმის დასახსნელად. "მხოლოდ ერთადერთი გზა", რაც აქამდე მაღიზიანებდა, სინამდვილეში ღვთის მიერ ჩვენთვის მიუწვდომელი არჩევანი იყო. თუ ღმერთმა ეს მართლა გააკეთა, მაშინ ეს იქნება ყველაზე საოცარი და დაუჯერებელი დახსნის მისია უსასრულო სიყვარულისა, რაც კი ოდესმე არსებულა.

ვფიქრობდი, რომ საკმაოდ გიჟური ამბავი მოიგონა ვილამს. ვის

შეეძლო ასეთი ამბის გამოგონება? დედამიწაზე, ადამიანის მოდგმის დახსნის მიზნით, ღმერთის კაცად მოვლინების შესაძლებლობა შეუდარებელი ამბავია, რაც უფრო დასაჯერებლად მომეჩვენა. შეიძლება, ეს ხალხს არ გამოუგონია. შეიძლება, რომ ეს ღვთისაგან იყოს?

მოკრძალებული განცდა არ მტოვებდა იმის გამო, რომ ღმერთი მოკვდა ჩემი ცოდვებისა და ღმერთთან საუკუნო განშორებისაგან გამოსხნისათვის. იესო იყო ცოდვისა და ჯოჯოხეთისაგან დამხსნელი. ქრისტიანული უწყება ახლა უფრო ზეციდან მოვლენილი დახსნის მისიად მეჩვენებოდა, ვიდრე ყალბ რიტუალად და ისეთ საკვირაო შარადად, როგორსაც აქამდე ვფიქრობდი. ეგრეთწოდებულ "მხსნელში" ნაგულისხმევი ნამდვილი მნიშვნელობა თანდათან ეხებოდა ჩემს გულს. მაკვირებდა ის აზრი, რომ ღმერთი დედამიწაზე ადამიანის სხეულში მოვიდა და პირადად ჩემთვის ღვთის დედამიწაზე მოსვლის აზრი სრულიად მიუწვდომელი გახლდათ. ჯერ კიდევ გაღიზიანებული და გაბრაზებული ვიყავი იმ აზრის გამო, რომ ვიღაცას უნდა დავეხსენი, მიუხედავად ამისა კითხვას მაინც ვაგრძელებდი. დავიბენი, რადგან ყველაფერი, რაც აღმოვაჩინე აზრს იძენდა. ეს იყო "კეთილი უწყება": და ის, რაც სინამდვილეში ჩემს გულს სურდა, მაგრამ ჩემს გონებას ჯერ კიდევ არ შეეძლო იმ სამყაროს საწინააღმდეგო აზრის მიღება, რომელშიც მე ვიზრდებოდი.

იოანეს სახარების ბოლო ფურცლებზე ვიყავი. უცბად გამინათდა გონება, როცა წავიკითხე:

"ბევრი სხვა სასწაულოც მოიმოქმედა იესომ მოწაფეების წინაშე, რაც ამ წიგნში არ დაწერილა. ეს კი დაიწერა, რათა ირწმუნოთ, რომ იესო არის ქრისტე, ძე ღმერთისა, და რომელთაც ირწმუნეთ, გქონდეთ სიცოცხლე მისი სახელით. ეს არის ის მოწაფე, რომელიც მოწმობს ამას და რომელმაც დაწერა ეს. და ვიცით, რომ მისი მოწმობა ჭეშმარიტია." (იოან. 20:30-31; 21:24)

გული მიმეწურა. იოანე ამბობდა: "მე იქ ვიყავი, დავინახე, შევეხე და ღმერთთან ერთად დავდიოდით. მარადიული სიცოცხლე მართლა არსებობს, იესო ქრისტეს მოქმედებიდან გამომდინარე. მე ვიხილე მისი აღდგომა." დიდხანს ვფიქრობდი მის განცხადებაზე. თუ მართალია, რომ იოანე ღმერთთან ერთად დადიოდა, ჭამდა და საუბრობდა. ეს, მართლაც, გასაოცარია! წარმოდგენა არ მქონდა, თუ სახარება ამ ინფორმაციას მოიცავდა. რატომ აქამდე არ ვიცოდი ამის შესახებ? ის ფაქტი, რომ ამ განცხადების ავტორმა საკუთარი თავლით იხილა ყველაფერი, ძალიან შეეხო ჩემს გულს.

ახალი აღთქმის პირველმა ოთხმა წიგნმა შეარყია ჩემი აზროვნება. ეს სახარებები მოიცავდნენ ინფორმაციას და იმედის ნამდვილ უწყებას, რაც აქამდე არასოდეს არ მსმენია, რასაც ნამდვილად არ მოველოდი და მათი ახსნა-განმარტებები გაოცებას იწვევდა ჩემში. ბიბლიამ ჩამითრია. უცნაურად ვგრძნობდი თავს მისით მოხიზლული. როგორც კი თავისუფალ დროს გამოვნახავდი, მაშინვე ვკითხულობდი. ჯერ კიდევ ბევრი წიგნი

იყო ახალ აღთქმაში, რომელიც არ წამეკითხა და არ მინდოდა სწრაფი გადაწყვეტილების მიღება. და კითხვას ვაგრძელებდი.

მოციქული პავლე

იოანეს სახარების მომდევნო წიგნი იყო საქმეები, რომელშიც ქრისტეს სიკვდილიდან მკვდრეთით აღდგომის შემდგომი ამბები იყო აღწერილი. ეს ახალი აღთქმის მეხუთე წიგნია და პირველი ქრისტიანების მიერ სახარების გავრცელების შესახებ გვიამბობს. თავდაპირველად შეხვედრები დაიწყო, რის შედეგადაც ეკლესიები დაარსდა.

საქმეების წიგნი მოიცავდა ამბავს კაცის შესახებ, რომლის სახელიც იყო სავლე, ებრაული რელიგიური წინამძღოლი, ვინც დევნიდა და ხოცავდა ქრისტიანებს. მრავალი ებრაელი რელიგიური წინამძღოლი ფიქრობდა, რომ იესო ქრისტეს შესახებ სწავლება მათ მიერ ღვთისაგან მიღებულ რელიგიურ კანონებს ეწინააღმდეგებოდა. ამაში იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ქრისტიანებს კლავდნენ და აპატიმრებდნენ. სავლეს ყველაფერი ჰქონდა ცხოვრებაში: კარგი განათლება, ხელისუფლებაში წამყვანი ადგილი და რელიგიურ წინამძღოლებს შორის თავისი მიძღვნილობით გამოირჩეოდა. სავლეს ცხოვრება მთლიანად შეიცვალა, როცა სავარაუდოდ აღმდგარ იესოს შეხვდა.

იესოსთან შეხვედრის შემდეგ, სავლე სრულიად მოექცა ქრისტიანების სიძულვილისა და მკვლელობისაგან და მათი დამცველი და ქრისტიანული რწმენის გამავრცელებელი გახდა, რამაც ძალიან გამოაცა. იმ დროს ებრაული რელიგიური წინამძღოლისათვის ქრისტეს აღიარება კარიერის დასასრულს მოასწავებდა. გამიჭირდება პავლეს საქციელის ლოგიკური ახსნა. არ მინდოდა, თვალი გამესწორებინა ამ გარდამქმნელი მოქმედების ნამდვილი მიზეზისათვის. საქმეების წიგნი აცხადებს, რომ იესო პირდაპირ და პიროვნულად გამოეცხადა სავლეს ქრისტიანების მოსაკლავად მიმავალს. თუ ეს მართალი იყო და სავლე მართლა შეხვდა ღმერთს, მაშინ მისი მოქმედების მიზეზი ხელთ მქონდა, მაგრამ თუ ეს მართალი არ იყო, მაშინ მისი ცხოვრების გარდამქმნელი მიზეზის პოვნა გამიჭირდებოდა, რამაც მართლა დამაფიქრა.

კითხვას ვაგრძელებდი და გავიგე, რომ სავლეს სახელი მოგვიანებით პავლეთი შეიცვალა და მას ახალი აღთქმის მრავალი წერილიც დაუწერია. კითხვა გავაგრძელე და პავლეს წერილებსაც გავეცანი. გამოაცა ამ კაცის იესოსადმი თავდადება. პავლეს საქციელს ვერანაირ ლოგიკურ ახსნას ვერ ვუძებნიდი, გარდა იმისა, რომ მან მართლა იხილა მკვდრეთით აღმდგარი იესო და მისგან იქნა იგი დადგენილი კეთილი უწყების გასავრცელებლად, ისე როგორც ბიბლია ამბობდა.

მოგვიანებით, პავლე ცხადჰყოფს იესოსადმი მის თავდადებას. პავლეს ზოგიერთი განცხადება მეტად ბრძნულია. მაგალითად, მან წერილი მისწერა ფილიპელთა ეკლესიას სადაც ამბობს:

"რადგან ჩემთვის სიცოცხლე ქრისტეა და სიკვდილი – მონაგები. მაგრამ თუ ხორციელი ცხოვრება ჩემი საქმის ნაყოფის მომტანია,

არ ვიცი, რა ამოვირჩიო. შეჭირვებული ვარ ამ ორი მხრიდან: ძალზე მსურს გავიდე და ვიყო ქრისტიანთან, რაკი ეს ბევრად უკეთესია, ხორცში დარჩენა კი უფრო თქვენთვის არის საჭირო". (ფლპ. 1:21-24)

რამ განაპირობა, რომ ამ ადამიანმა ასეთი სიტყვები თქვა, რომ დედამიწაზე ის იესოსთვის ცხოვრობდა? პავლე სრულად იყო დარწმუნებული, რომ ზეცაში მიდიოდა. ის დარწმუნებული იყო, რომ სიკვდილის შემთხვევაში იესოსთან იქნებოდა. სინამდვილეში უნდოდა კიდევ სიკვდილი, რადგან იცოდა რამდენად უკეთესი იყო სამოთხეში ცხოვრება. აქამდე არავისგან მომისმენია სიკვდილზე ასეთი მტკიცე დარწმუნება, რაღაც მომხვდა გულში.

პავლე იმ ადამიანებს არ ჰგავდა, რომელთაც რელიგიის შესახებ მოისმინეს და მოქცევა გადაწყვიტეს. ის იყო მოწმე და ქრისტიანობის დამფუძნებელი. იგი აცხადებდა, რომ პირადად შეხვდა აღმდგარ ქრისტეს და პირდაპირ მისგან მიიღო ინსტრუქციები. პავლე ამტკიცებდა, რომ პირდაპირ ღვთისაგან მიიღო ინფორმაცია; ამტკიცებდა, რომ ღმერთმა აირჩია ის ქრისტიანული რწმენის მაცნედ. თუ პავლეს ქრისტე არ უნახავს, მაშინ მას შეგნებულად აუგია საკუთარი ცხოვრება ტყუილებზე. ინტელექტუალური თეორიები და ყველაზე ფანატიკური რელიგიებიც კი ვერ ცვლიან ადამიანს სამუდამოდ და ვერ ახერხებენ მათ დარწმუნებას, თუ მათ იციან, რომ ეს ყველაფერი სიცრუეა. მრავალი რელიგიური ადამიანი უძღვნის საკუთარ თავს რწმენას, მაგრამ არ იციან, ეს ყველაფერი მცდარია თუ არა. თუმცა, მთელი გულით სწამთ ის, რასაც აკეთებენ.

თუ პავლემ, მართლა იხილა იესო, მაშინ პავლეს საქციელს აზრი ჰქონდა ამქვეყნიურად. მისი ცხოვრებისეული პარადიგმა შეიცვლებოდა. დიახ, უნდა დავთანხმებულიყავი: ეს, რომ მე შემთხვევით, მეც უნდა მიმეტოვებინა ყველაფერი და ღმერთს გავყოლოდი.

მოგვიანებით, იმავე წიგნში, პავლე ფილიპელებს წერს:

წინადაცვითილი ვარ მერვე დღეს, მე, ისრაელიანი, ბენიამინის ტომიდან, ებრაელი ებრაელთაგანი, რჯულით ფარისეველი, მოშურნედ მდევნელი ეკლესიისა, რჯულის სიმართლით, უმწიკვლო. მაგრამ, რაც ჩემთვის მოგება იყო, წაგებად ჩავთვალე ქრისტეს გულისთვის. ახლაც ყველაფერი წაგებად მიმაჩნია ჩემი უფლის იესო ქრისტეს ცოდნის უპირატესობისათვის, რის გამოც უარი ვთქვი ყოველივეზე და ყველაფერს ნაგვად მივიჩნევ, რათა ქრისტე შევიძინო და აღმოვჩინდე მასში არა ჩემი სიმართლით, რაც რჯულიდანაა, არამედ იმით, რაც არის ქრისტეს რწმენა, ღვთიური სიმართლე, რწმენის მიხედვით, რათა შევიცნო იგი და მისი აღდგომის ძალა და მისი ტანჯვებში თანაზიარება და მისი სიკვდილის ვემსგავსო (ფლპ. 3:5-10).

დამამუწავა ასეთი პერსპექტივის შეხება. პავლეს ყველაფერი ჰქონდა ცხოვრებაში და მოულოდნელად ყველაფერს უსარგებლოდ მიიჩნევს?! ქრისტიანების მკვლევლობიდან ამ აზრამდე?! იესოსთან

შენვედრის საბედისწერო მოგზაურობამდე პავლეს არც იესო უძებნია და არც ცხოვრებაზე პასუხები. იესოს მთელი ეს ისტორია იყო ღვთის მიერ ადამიანის დახსნის ინიციატივის შესახებ. როგორც ჩანს ქრისტიანობაში ღმერთი ეძებს ადამიანს. რამდენიმე საათი განცვიფრებამ მომიცვა. კითხვებმა წაღეკეს ჩემი გონება. თუ ღმერთი იყო ინიციატორი, გამოდის, რომ იგნორირებას ვუკეთებდი და უარს ვამბობდი ღმერთის მოწოდებაზე წარსულში? ბებიაჩემი, სათხილამურო მოგზაურობის გიჟმაჟები, კოლეჯის ბანაკის ბიჭები ჯვრით, სეკულარულ მოლეკულური ბიოლოგია, მარკოს კუნძულები და "ჩვენი ქალაქი" და მისი ჩემზე ეფექტის მოხდენის მცდელობა? თუ ღმერთი ნამდვილია, დღესაც აქტიურია?

ჩემი ყურადღება მიიპყრო პავლეს მიერ განხილულმა კიდევ ერთმა საკითხმა:

ვინაიდან თავიდანვე გადმოგეცით ის, რაც მე თავად მივიღე, რომ ქრისტე მოკვდა ჩვენი ცოდვებისათვის, როგორც წერილებშია და, რომ დაიმარხა და, რომ აღსდგა მესამე დღეს, და, რომ გამოეცხადა კეფას და შემდეგ თორმეტს. შემდეგ გამოეცხადა ხუთასზე მეტ ძმას ერთდროულად, რომელთაგან უმრავლესნი აქამდე ცოცხალნი არიან, ზოგმა კი განისვენა. შემდეგ კი გამოეცხადა იაკობს და შემდეგ ყველა მოციქულს. ხოლო ყველაზე ბოლოს, როგორც უდღეურს, გამოეცხადა მეც. (1 კორ. 15:3-8)

პავლე ამტკიცებს, რომ ხუთასზე მეტმა ადამიანმა იხილა აღმდგარი ქრისტე ერთდროულად. რამაც ძალიან გამაოცა. ახალი აღთქმის პირველი ოთხი წიგნის წაკითხვისას, რაც იესოს ცხოვრებას აღწერდა, ვფიქრობდი, რომ იესოს აღდგომა მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა იხილა. ერთდროულად ხუთასი ადამიანის მიერ ამ ფაქტის მოწმობა დიდი ამბავია. გავაგრძელე პავლეს წერილების კითხვა, უფო მეტიც, პავლე ამას მაშინ წერდა, როცა მისი განცხადება ყველაზე მეტად გამოიწვევდა სჯა-ბაასსა და უარყოფას, მაგრამ ეს არ მომხდარა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეთ აზრს არ შეიწყნარებდნენ პავლესდროინდელი ეპოქის ქრისტიანების მღვწელები. შეუძლებელია ასეთი ისტორიის შეთხზვა და მისგან ადვილად თავის დაღწევა, ეს ამბავი რომ მართალი არ ყოფილიყო. შეუძლებელი იყო, უბრალოდ, ამ განცხადების გაკეთება და მისგან თავის დაღწევა. სიმართლე რომ არ ყოფილიყო, რაში დასჭირდებოდა ასეთი რამის მოგონება? რატომ გაბედავდა? რა უნდა მოეგო პავლეს ასეთი ტყუილით? მან უკვე განიცადა მარცხი თავის კარიერასა და ცხოვრებაში, როგორც ებრაული რელიგიის ერთგულმა წინამძღოლმა. საქმეს რატომ გაართულებდა და რატომ დაირქმევდა მატყუარას? არც ერთი ამათგანი არ გამხდარა.

მისმა სითამამემ, მოწოდებამ და სრული გარდაქმნის მოტივაციამ გამაოცა. მუდამ სცემდნენ, აპატიმრებდნენ და დევნიდნენ იესოს შესახებ უწყების გამო, მისი ყველაფრის პასუხად მიჩნევის გამო. ეს არ იყო მიმზიდველი რელიგია, რომ შეერთებული ან გამოგეგონებინა და მიუხედავად ამისა, პავლემ ყველაფერი გაწირა უბედურების

გადასატანად? რატომ? მისმა მიძღვნილებით სავსე უწყებამ და თანმიმდევრულმა ცხოვრებამ დამაფიქრა.

დილემა და ბრძოლა

კითხვას ვაგრძელებდი და მთელი ახალი აღთქმა დავასრულე. ახლა მე დავდექი დილემის წინაშე. იესო წარმოდგენილი იყო როგორც ერთადერთი და ჭეშმარიტი ღმერთი, რომელმაც არა მხოლოდ შემქმნა, არამედ მოვიდა და მოკვდა ჩემი ცოდვისაგან გათავისუფლების მიზნით, რადგან ვუყვარდი. უფრო მეტიც, კვლევისა და ფიქრის გარეშე იესოზე ხელაღებით უარის თქმისას კარგად ვერ ვგრძნობდი თავს. ეს ყველაფერი მართალი რომ ყოფილიყო? ვეკითხებოდი ჩემს თავს, იყო თუ არა რაიმე უარყოფითი ამ უწყებაში? ჩემს მიერ ჩატარებული გამოკვლევები მაჩვენებდა, რომ არაფერი მინახავს უარყოფითი. ყველაფერი პოზიტიური იყო, მაგრამ რაღაც მაფერხებდა. გული მეუბნებოდა "დიახ", _, მაგრამ გონება მეუბნებოდა "გამორიცხე."

გამახსენდა ინტერნეტში ამოკითხული ინფორმაცია პოპულარული რწმენის შესახებ, რომ იესო იყო მხოლოდ მორალის დიდი მასწავლებელი და ბრძენი ადამიანი. ასეთი აზრი იმას გულისხმობდა, რომ იესოს ნამდვილი სასწაულები არ მოუხდენია და რა თქმა უნდა, არც ღვთის ნამდვილი ძე ყოფილა. იგი უბრალოდ კარგი ადამიანი იყო, რელიგიური წინასწარმეტყველი. ახალი აღთქმის წაკითხვისა და შესწავლის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ეს აზრი სიმართლეს არ შეეფერებოდა. სრულიად ნათელი იყო ჩემთვის, რომ ხორცი მისული იესო აცხადებდა საკუთარ თავს ღმერთად. ის რომ მხოლოდ დიდი მორალის მასწავლებელი ყოფილიყო, მაშ რატომ გაახმაურებდა სიცრუეს საკუთარი ვინაობის შესახებ? ასეთი მასწავლებლის უპირობო მიმდევრები კვლავ დარჩებოდნენ მის მოწაფეებად მისი გარდაცვალების შემდეგ? მცდარი დიაგნოზის დასმის შემდეგ, კვლავაც კარგი სახელი დარჩება ექიმს პაციენტის თვალში?

ძალიან დაბნეული ვიყავი, რადგან ისეთი პასუხები მომიღოდა თავში, რომ ინსტიქტურად აზრს იძენდა ჩემთვის, მრავალ საეჭვო კითხვას, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და გრძნობებს გაეცა პასუხი. მწვავე კონფლიქტს ჰქონდა ადგილი, რადგან პასუხები რადიკალური და ძალიან კარგი ჩანდა, იმდენად კარგი, რომ ჭირდა მათი ჭეშმარიტებად მიჩნევა. როგორც წესი, თუ რაღაც კარგი, ძალიან კარგია, ის სიმართლეს არ შეეფერება. დარწმუნებული ვარ, რომ რასაც ვკითხულობდი და ვსწავლობდი უბრალო იდეები არ იყო. ჩემს გონებას არ შეეძლო ასეთი აზრის შეწყნარება, თუმცა გულს კი სურდა პასუხის მიღება. უნდა გამეგრძელებინა: ან ყველაფერი ან არაფერი.

მეოთხე თავი

ძიების ფაზა 2:

იესოს აღდგომა

თუ საუკუნო ცხოვრება არსებობდა, მაშინ ის მეც მინდოდა მქონოდა. საკუთარ თავს ვეუბნებოდი, რომ ეს იქნებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რაზეც კი ოდესმე, პასუხი გამიცია. თუ იესო ნამდვილად აღსდგა მკვდრეთით, მაშინ ეს აღდგომა იყო იესოს, როგორც ღმერთის საბოლოო მტკიცებულება. ეს აღდგომა ამტკიცებდა, რომ იესომ აღასრულა ქვეყნიერების ცოდვებისათვის სიკვდილის მისია და ეს ფაქტი ადასტურებდა საუკუნო ცხოვრების არსებობას. იესო იქნებოდა ერთადერთი გზა, რადგან, როგორც ღმერთი, ადამიანთა მოდგმისთვის მოკვდა. ერთადერთი კითხვა რჩებოდა, შემეძლო თუ არა ამის ნამდვილად დაჯერება? ახლა ყველაფერი იესოს აღდგომაზე იყო დამოკიდებული. ეს ნამდვილად მოხდა? გადავწყვიტე, აღდგომის დეტალები გამომეკვლია. თუკი ყველაფერი იესოს ღმერთობაზე იყო დამოკიდებული, მაშინ ეს გამოცდა ყოფილა.

გამახსენდა ჩემი ცოლის მიერ მოცემული წიგნი. ზედა სართულზე ავირბინე. ჯერ კიდევ საწოლის გვერდით ტუმბოზე იდო, რომელიც რამდენიმე თვის წინ დავტოვე. ჩუმად მიღრღნიდა გულს სათაურის გამო, "ახალი მტკიცებულება, რომელიც მოითხოვს ვერდიქტს, ჯომ მაკდაუელის მიერ". ქვეცნობიერად, სიტყვა "მოთხოვნა" მიღრღნიდა გულს. ასეა? მოთხოვნილება! შემეძლო აქამდე შემეტყო ამის შესახებ, მაგრამ ხელუხლებლად მივაგდე. ვერავინ მაიძულებს წაკითხვას! ვამბობდი გულში, მაგრამ ახლა, ბედის ირონია, მისი წაკითხვა მსურდა.

ტუმბოსთან მივედი და შევჩერდი. ვყოყმანობდი, მალე ორივე ხელი ჩავჭიდე წიგნს და სათაური კვლავ წავიკითხე. რა მტკიცებულება? მიკვირდა. გაცემული შევცქეროდი წიგნის ზომას. სამედიცინო სკოლის წიგნებს მაგონებდა. წიგნს თვალი გადავაკვლე, იგრძნობოდა, რომ იგი პირველადი წყაროს ფაქტებითა და შეხედულებებით იყო სავსე. წიგნში მთელი თავი ეძღვნებოდა იესოს აღდგომას, ციტატები უხვად იყო. ინტერნეტში მოვიძიე ინფორმაცია ჯომ მაკ დაუელის შესახებ და ვნახე, რომ იგი ცნობილი ქრისტიანი და ქრისტიანული რწმენის დამცველი გახლდათ. უსიამო აზრები მიტრიალებდა თავში, მაგრამ მაინც მინდოდა წიგნის წაკითხვა. ციტატებში ნახსენები სხვა წიგნებიც შევიძინე. სახარებების კითხვისას დიდად არ ვწუხნდი, რადგან საკუთარი გადაწყვეტილების მიღება შემეძლო.

იესო ქრისტეს აღდგომის შესახებ ფაქტების ინტენსიურ კვლევას შევუდექი ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით. რა ფაქტები უნდა მომეძიებინა იესოს აღდგომის შესახებ? მინდოდა ადვილი და არასადავო ფაქტებით დამეწყო. რადგან ექიმი ვიყავი, ჯვარცმის სამედიცინო

ასპექტიდან საკითხის შესწავლას შევუდექი.

სიკვდილი

ნამდვილად მოკვდა იესო? "სწრაფი თეორიის" შესახებ წავიკითხე ახსნა-განმარტება. ეს თეორია ამბობდა, რომ იესო მართლა კი არ მოკვდა ჯვარზე, არამედ ცოცხალი დარჩა და სამარხიდან თავის დაღწევა შესძლო. რაც ნაწილობრივ ახსნას უძებნიდა მის ცოცხლად გამოჩენის ფაქტს. პირველივე შეხედვით, ძნელად დასაჯერებელი ფაქტი ჩანდა, მაგრამ მიხედვით, ყველაფერი თავად გამომეკვლია.

დაკრძალვა

მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარებები ქრისტეს ცხოვრებას აღწერენ და ამბობენ, რომ იესო დაიმარხა იოსებ არიმათიელის კუთვნილ სამარხში. იოსები იყო ებრაული რელიგიის ერთგული მიმდევარი და სინედრიონის წევრი. სინედრიონი წარმოადგენდა ებრაული რელიგიის მმართველ საბჭოს და მსჯავრს სდებდა იესოს სასამართლოზე. ლუკას მიხედვით, ეს იოსები იესოს საიდუმლო მოწაფე იყო და მონაწილეობა არ მიუღია სინედრიონის გადაწყვეტილებაში, მიუხედავად მისი წევრობისა. იოსები პონტოელ პილატესთან მივიდა და იესოს სხეული გამოითხოვა დასამარხად. ნიკოდემოსი, ებრაული რელიგიის კიდევ ერთი წინამძღოლი, დაეხმარა მას იესოს სხეულის დამარხვაში. მათ შემურვეს მისი სხეული, ტილოებში გაახვიეს და სუნნელებანი სცხეს. რატომ დახარჯა დრო და ძალისხმევა და ფული მისი სხეულის ტილოებში გასახვევად, თუ დამარხვას არ ფიქრობდნენ? ფაქტია, რომ ჩვენს წინაშე ორი არასასურველი მოწმეა და მათი მოქმედება ადასტურებს, რომ იესო ნამდვილად მოკვდა და დამარხეს.

ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ადრეული ქრისტიანები ამ ფაქტებს ვერ მოიგონებდნენ, თუ სიმართლეს არ შეეფერებოდა. ორი გამოჩენილი ებრაული რელიგიის წინამძღოლის მიერ იესოს დამარხვა დიდ სკანდალს გამოიწვედა იმ დროს. ამას სახალხოოდ დაგმობდნენ და ადვილად დაამტკიცებდნენ მის სიმცდარეს, მართალი რომ არ ყოფილიყო.

ბიბლია იმასაც ამბობს, რომ რომაელი ჯარისკაცების დაცვა იდგა სამარხის კართან და დიდი ჭკით იყო შესასვლელი დაფარული. იმ დროს, სამარხი კარებზე მიყუდებული დიდი ლოდით იკეტებოდა, როგორც წესი, სამარხზე მიყუდებული ლოდი ერთიდან სამ ტონამდე იწონიდა. ეს ფაქტი ორ მტკიცებულებას მატებს დაკრძალვის ამბავს და ისტორიული ფაქტებით ამყარებს მას. ამ ოთხ მოწმეს ემატება ორი ქალი და ორი მოწაფე, რაც შეადგენს რვა მოწმეს. იესო რომ არ დაემარხათ, მრავალი ადამიანი ადვილად უარყოფდა მის ვინაობას. კმაყოფილება მომგვარა იესოს ბიბლიური ვერსიით დაკრძალვის ფაქტმა. ეს იყო მეორე ფაქტი.

ცარიელი სამარხი

შემდეგ, უნდა დამედგინა, რომ იესოს დაკრძალვის მომდევნო

კვირა დღეს მისი სამარხი ცარიელი იყო. ჩემდა გასაოცრად, ამ ფაქტის დადასტურება უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა. სამარხის სივარდილის ფაქტი ისტორიულ ფაქტს წარმოადგენდა და დავასაც არ საჭიროებდა. სამარხი რომ ცარიელი არ ყოფილიყო, მაშინ ქრისტიანობა რამდენიმე დღეში დაინგროვდა. რელიგიური ავტორიტეტები ძალ-ღონეს არ დაიშურებდნენ იესოს სხეულზე ამბების შესათხზველად და მასზე აქა-იქ ჭორებსაც გაავრცელებდნენ. უფრო მეტიც, სახარება ამტკიცებს, რომ ებრაელმა წინამძღოლებმა ჯარისკაცებს ქრთამი მისცეს, რათა ეთქვათ, რომ იესოს სხეული მოიპარეს. რატომ იტყოდნენ ისინი ამას, სხეული რომ ჯერ კიდევ სამარხში ყოფილიყო? არ შემეძლო ამ ლოგიკასთან დავის წამოწყება.

პირველი მოწმეები იყვნენ ქალები, რასაც დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩემთვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა ებრაულ პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალების მოწმობა სანდოდ არ ითვლებოდა და არც სასამართლო აღიარებდა. კიდევ ერთი საინტერესო გადახვევა აღდგომის ისტორიასთან დაკავშირებით, რომლის შეთხზვის არანაირი სურვილი არ უნდა ჰქონოდა ავტორს.

თუ, როგორღაც, ქალები და მოწაფეები შეცდომით სხვა სამარხთან მივიდნენ, ამ შემთხვევაში გამოდის, რომ იესოს სხეული სხვა სამარხში იქნებოდა. დიდი დრო არ დასჭირდებოდა იესოს სხეულის პოვნას და ზარ-ზეიმით იერუსალიმის ქუჩებში მის ჩამოტარებას, ქრისტიანული უწყების განადგურების მიზნით. უხალისოდ დავთანხმდი იმ მოსაზრებას, რომ ცარიელი სამარხის საკითხი დავას არ ექვემდებარებოდა და მესამე ნამდვილ ფაქტთან გვქონდა საქმე.

სხეული

თუ სამარხი ცარიელი იყო, მაშინ სხეული სადღაც გაუჩინარდა. ისტორიული ფაქტია, რომ იესოს სხეული არასოდეს უნახავთ. სად უნდა წასულიყო? სამი სავარაუდო გზა არსებობდა. პირველი, იესოს გვამი შეიძლება მოწაფეებს წაეღოთ სამარხიდან. მეორე, ეს შეიძლება იესოს მოწინააღმდეგეებს გაეკეთებინათ (მაგალითად, რომაელებს ან იუდეველ წინამძღოლებს). მესამე ვარაუდი არის ის, რომ იესო აღსდგა მკვდრეთით.

იესოს მოწაფეებმა ხომ არ მოიპარეს მისი სხეული აღდგომის ფაქტების შეთხზვის მიზნით? პირველად, ჭკუაში დამიჯდა ეს იდეა, რადგან წლების განმავლობაში ახალი ამბების მოსმენის შედეგად დარწმუნებული ვიყავი, რომ რელიგიის მიმდევრები გაუგონარ ამბებს სჩადიოდნენ. ამ საკითხებთან დაკავშირებული დეტალების განხილვისთანავე, რატომღაც, ეს თეორიაც დაინგრა.

სხეულის მოსაპარად მოწაფეებს რომაელი ჯარისკაცების წინ უნდა გაეკლათ და რამდენიმე ტონიანი ჭვა გადაეგორებინათ სამარხიდან, ისე, რომ ვერავის შეემჩნია. რომაელი ჯარისკაცები კი სიკვდილით დაისჯებოდნენ, თუ სხეულის საკადრის დაცვას ვერ შეძლებდნენ. მოწაფეებს არანაირი მოტივი, ან ვარაუდი არ ჰქონდათ იესოს აღდგომის

გამოსაგონებლად. ისინი შოკმა მოიცვა და მოთქვამდნენ იესოს გარდაცვალების გამო. მიუხედავად იმისა, რომ იგი მეორედ მოსვლაზე ესაუბრებოდა მათ, ამისი შინაარსი ჯერ არ ესმოდათ და არაფერს მოელოდნენ, ასე რომ სხეულის ვითომდა აღდგომის მიზნით მოპარვას აზრი არ ჰქონდა. უნდა დავთანხმებულიყავი, რომ ეს სცენარი სარწმუნო არ იყო.

იესოს მტრებს შეეძლოთ, ადვილად შეთანხმებულიყვნენ რომაელ ჯარისკაცებთან და იესოს სხეული წაეღოთ, მაგრამ ისიც უნდა მელიარებიანა, რომ არც მათ არ ჰქონდათ საამისო მოტივი. თუ იესოს მტრებმა წაიღეს მისი სხეული, სწრაფადვე მოედებოდა მთელიერუსალიმს და სიმათლევ აღდგომის ფაქტზე, გახმაურდებოდა. რაც ქრისტიანობას ერთხელ და სამუდამოდ დაასამარებდა. იმასაც ვალიარებდი, რომ არც ეს იყო სამართლიანი ახსნა-განმარტება.

სახარება იმასაც ამბობდა, რომ ტილო, რომელშიც იესო იყო გახვეული სამარხში იდო. ტილო, რომელიც იესოს თავზე ეხვია, ცალკე იყო დაგრაგნილი. თუ სხეული ვილაცამ მოიპარა, რაში დასჭირდათ სახვევების მოხსნა? იოანე ამბობს, რომ ერთ-ერთმა მოწაფემ დაინახა სახვევები და მაშინვე ირწმუნა (იოანე 20:8). ლუკა გვეუბნება, რომ პეტრეს გაკვირვება გამოეხატა სახეზე სამარხში შეხედვისას (ლუკა 24:12). რატომ? ამ ორ კაცს, ისეთი რა უნდა დაენახათ ნაჭრების წყობაში, რომლის ახსნაც შეუძლებელი იქნებოდა. თუ ეს ნაჭრები სამი დღის შემდეგ მოხსნეს მიცვალებულს, შეუძლებელი იქნებოდა მათი თანმიმდევრობით დალაგება.

უცნაური აზრი მომივიდა თავში. თუ იესო აღსდგა, მაშინ ღმერთს დაუტოვებია დასამარხი ტილოები ხელუხლებლად, მიცვალებულის გახვევისას გამოყენებული თანმიმდევრობის მიხედვით, მაგრამ მასში სხეულის გარეშე. თუ ეს სიმათლეს შეეფერებოდა, როგორ ახსნას მოუძებნიდა ამ ფაქტს ადამიანი, რომ სხეული ტილოებიდან ხელის ხლების გარეშე ამოიღეს? შეიძლება, ეს ის სასწაული იყო, რამაც მოწაფეები გააოცა. რომაელები და ებრაელი წინამძღოლები, რა თქმა უნდა, შეამოწმებდნენ სამარხს, მაგრამ გაჩუმებას ამჯობინებდნენ. ამ ფაქტმა ხომ საერთოდ გამოაცა.

ამან მიმიყვანა ცარიელი სამარხის ამბის ახსნამდე: აღდგომა. შემდეგ გამოვიკვლიე ნამდვილად მომხდარი აღდგომის მტკიცებულებები.

შეხედულებები

ოთხივე სახარება განსხვავებულად აღწერს იმ ფაქტს, რომ აღმდგარი იესო ბევრმა ადამიანმა იხილა და შეეხო მას. რამდენიმე განსხვავებული მოსაზრებაც არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით, პავლე მოციქულის დოკუმენტის ჩათვლით. მაგალითად, პავლე, იოანე და ლუკა ამტკიცებენ, რომ იესო დანარჩენ მოწაფეებს გამოეცხადა. სამარხთან პირველად მისული ქალის შესახებ საუბრობენ მათე და იოანე. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, პავლე ახალი აღთქმის წიგნში საუბრობს ამ საკითხზე კორინთელთა 1 წერილში, რომ იესო ხუთასზე მეტ ადამიანს

გამოეცხადა ერთდროულად, იმასაც ამბობს, რომ მრავალი მათგანი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა ამის შესახებ წერდა. აღმდგარი იესოს გამოჩენის შესახებ თხუთმეტი სხვადასხვა ამბავია მოთხრობილი ახალ აღთქმაში.

ვერც ერთი დოკუმენტი ვერ ვნახე, რომელშიც ვინმე მის მიმდევრებს იესოს აღდგომის შესახებ შეედავებოდა. არანაირი პროტესტი არ ისმის, აგრეთვე, იესოს აღდგომასთან დაკავშირებით ებრაელებისა და იესოს მოწინააღმდეგეებისაგან. მათი სიჩუმე შოკისმომგვრელია. რატომ არ გააპროტესტეს აღდგომის ფაქტი, თუ სიცრუე იყო?

ახლა უნდა მომეძია ქრისტეს გამოჩენის მტკიცებულებისა და ქრისტიანობის გამოწმენდილზე გამოჩენის მიზეზი. ხომ არ დააჯერეს მოწაფეებმა საკუთარი თავი, რომ ქრისტე დაინახეს! იქნებ, აშკარა წარმოდგენასთან გვქონდა საქმე? მედიცინის თვალსაზრისით, წამლების გავლენის შედეგად ან ტვინის დაავადებების გამო, ადამიანს შეიძლება ჰალუცინაცია აწუხებდეს. რატომღაც, მალევე დავრწმუნდი, რომ ეს თეორია ნაკლებად იმსახურებდა მოწონებას. ეს არ ხსნიდა იმ ფაქტს, თუ რა დაემართათ მოწაფეების სხეულებს; და არც ტიპური ჰალუცინაციისა და წარმოდგენების ჩარჩოში ჯდებოდა. მაშინ მრავალ ადამიანს უნდა დამართნოდა ჰალუცინაცია ან მოჩვენება. მოწაფეების საქციელს არანაირად არ ახასიათებდა მოჩვენებები და ჰალუცინაციები. მოწაფეები ვერაფერს ვერ მოიგებდნენ ასეთი ისტორიის გამოგონებით. ბიბლია ნათლად საუბრობს იმის შესახებ, რომ მოწაფეებმა დაინახეს, შეეხნენ და ჰამეს კიდევ ფიზიკურად აღმდგარ იესოსთან ერთად. ჰალუცინაციას, სულს ან მოჩვენებას, არ შეუძლია ნამდვილი საკვების ჰამა ან შეხება. აღდგომის ფაქტი ჰალუცინაცია ან მოჩვენება არ იყო, შეიძლებოდა თუ არა, რომ იესოს მიმდევრებს, რომელთაც მისი მსახურების გაგრძელება სურდათ, შეგნებულად მოეგონებინათ აღდგომის ისტორია? შეიძლება თუ არა რომ, იესო ლეგენდა ან მითი ყოფილიყო?

თუ ეს მისი გარდაცვალებიდან მალევე მოხდა, ანალოგიური პრობლემის თავიდან აცილების მიზნით, იესოს მოწაფეების მიერ მისი სხეულის მოპარვა აზრს იძენდა, რადგან იესოს სხეულისაგან, მართლაც, უნდა გათავისუფლებულიყვნენ. არსად არ ჩანს იმისი მტკიცებულება, რომ მათ სხეული მოიპარეს, ან ის, რომ ეს შესაძლებელი იყო. რატომ აირჩევდნენ ისინი ქალებს ცარიელი სამარხის პირველად მნახველ მოწმეებად, მაშინ როცა მათ მოწმობას სასამართლო არ აღიარებდა? თუ შეთქმულებას ჰქონდა ადგილი, კარტების ასეთი განლაგება მათ სასარგებლოდ მეტყველებდა და ქალების მოწმეებად გამოყენება სულაც არ იქნებოდა მათთვის უხერხული. რა სავარაუდო მოტივი შეიძლებოდა ჰქონოდათ? თუ იესო მკვდარი იყო, თუ არ აღმდგარა, მაშინ მათ არანაირი ძალა ან დარწმუნება არ ექნებოდათ მსახურებისათვის. სინამდვილეში კი პირიქით მოხდა.

შესაძლებელია თუ არა, რომ იესოს ისტორია და მისი აღდგომა წლების განმავლობაში ლეგენდად იქცა? ბიბლიური ცნობების მიხედვით, ვერც ამას ვიტყვით. ეს არ ხსნის ჯვარცმის შემდეგ ცარიელი

სამარხის ამბავს ან ქრისტიანობის სწრაფ გამოჩენას. თუ მისმა შემდეგდროინდელმა მიმდევრებმა დაამატეს ან შეთხზეს ამბები, მაშინ ჯერ კიდევ იქნებოდნენ ის ადამიანები ცოცხლები, რომლებსაც ნამდვილი ფაქტები ემახსოვრებოდათ. რის გამოც ადვილად გამომჟღავნდებოდა ტყუილი. ჯერ კიდევ მრავალი დეტალი იქნებოდა შემონახული, რომელთა მეშვეობითაც ებრაული რელიგიის წინამძღოლები ადვილად დაამტკიცებდნენ ამ ფაქტის სიყალბეს. ლუკასა და საქმეების წიგნში ლუკა ამოწმებს, რომ თვითმხილველები გამოკითხა და საკუთარი თხრობა მათ ნაამბობზე დაამყარა.

ყველა ეს სცენარი გავანალიზებ გონებაში, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იყო ლოგიკური და ნამდვილ ფაქტებს არ შეესაბამებოდა. რაღაცამ გამოიწვია ცეცხლი ქრისტიანულ მოძრაობაში, რამაც მას ძალა მისცა, რომ სასტიკი წამებისათვის გაეძლო და არ ჩამქრალიყო. ეს მოცუბდა და ახსნას ვერ ვუძებნიდი. ებრაული რელიგიის წინამძღოლებიც კი მოელოდნენ მის ჩაქრობას, თუ იგი ნამდვილად ჭეშმარიტი ღვთის მიერ ბოძებული არ იქნებოდა.

წამოდგა სინედრიონში ერთი ფარისეველი, სახელად გამალიელი, რჯულის მოძღვარი, მთელი ხალხის მიერ პატივდებული და ბრძანა, მოციქულები მცირე ხნით გარეთ გაეყვანათ და უთხრა მათ:

"ისრაელელნო კაცნო, დაფიქრდით, რას უპირებთ ამ ადამიანებს. რადგან ამ დღეების წინ გამოჩნდა თევდა და თავი დიდ ვინმედ მოჰქონდა. ოთხასამდე კაცი გაჰყვა მას, მაგრამ ის მოკლეს და ყველანი, ვინც მორჩილებდნენ მას, გაიფანტნენ და არარად იქცნენ. ამის შემდეგ, აღწერის დროს, გამოჩნდა იუდა გალილეელი და დიდძალი ხალხი გაიყოლა. ისიც დაიღუპა და ყველანი, ვინც მას მორჩილებდნენ, გაიფანტნენ. ახლა გეუბნებით თქვენ: დაანებეთ თავი ამ ადამიანებს და გაუშვით ისინი, რადგან, თუ ადამიანისაგან არის ეს ზრახვა ან საქმე, ჩაიფუშება. ხოლო თუ ღმერთისაგან არის, მაშინ თქვენ ვერ ჩაფუშავთ მას და ვაითუ, ღმერთის მოწინააღმდეგენი აღმოჩნდეთ." (საქმეები 5:34-39).

რაღაც სხვამ მიიპყრო ჩემი ყურადღება იესოს მოწაფეების შესახებ, რომელთაც ნამდვილად იხილეს იესოს აღდგომა. ძალიან საინტერესო იყო ის ფაქტი, რომ ისინი უნდა დარწმუნებულიყვნენ იესოს ნამდვილად აღდგომის ფაქტში. პირველად მათ ეს არ სჯეროდათ! მოწაფეები განადგურებულნი იყვნენ, შეშინებულნი და არც მოელოდნენ მის აღდგომას. მათი წინამძღოლი მოკვდა და ისინი დამწუხრებულნი იყვნენ. მათი ოცნებები ქრისტესთან ერთად მოკვდა ჯვარზე.

მცდარი მოლოდინი

რატომ არ მოელოდნენ მოწაფეები იესოს აღდგომას? ებრაელთა ისტორიის გაცნობისას შევიტყვე, რომ ებრაელები სამხედრო წინამძღოლს

მოელოდნენ ისრაელში, რომელიც მათ რომაელი მჩაგვრელებისაგან გაათავისუფლებდა. ისინი ამ პიროვნებას უწოდებდნენ მესიას, რაც მხსნელს ნიშნავს. აღმოვაჩინე, რომ ზოგიერთ მათ რელიგიურ წინამძღოლს არც კი სჯეროდა აღდგომის. ვისაც სჯეროდა, ისინი ასწავლიდნენ, რომ აღდგომა მხოლოდ ქვეყნიერების დასასრულს მოხდებოდა. მოწაფეები არ მოელოდნენ ღვთის ძის ქვეყნიერების ცოდვებისათვის სიკვდილს, რაც მისი აღდგომით დასრულდებოდა. იესო არ შეეფერებოდა მათ მიერ მესიის შესახებ წარმოდგენილ სახეს. ისინი "მომავალი სასუფევლის" სავარაუდო პოზიციებზე დაობდნენ, რის შესახებაც ისწავლეს, რომ მალე მოვიდოდა მესია.

რადიკალურად შეცვლილი ცხოვრება

იესოს მკვდრეთით აღდგომის შემდეგ მოწაფეები რადიკალურად შეიცვალნენ. აღდგომამდე, იესოს დაპატიმრებისას, სამჯერ უარყო პეტრემ იგი და დანარჩენი მოწაფეები შეშინებული ცხვრებივით გაიფანტნენ. დეპრესიული და შეშინებული მორწმუნეობიდან ისინი მამაც და საუკუნო სიცოცხლის განმცხადებლებად გადაიქცნენ. დაპატიმრების, სიკვდილის შიშისა და ცემის მიუხედავად, რაც საქმეების წიგნშია აღწერილი, ისინი თამამად საუბრობდნენ იესოს აღდგომის შესახებ. ისინი საზოგადოებისაგან განდევნეს ებრაული რელიგიის მიმდევრებმა. რატომ გააკეთებდნენ მოწაფეები ისეთ რამეს, რაც პრობლემებს გამოიწვევდა? არ შემეძლო ამ მიზეზის ამხსნელი გზის პოვნა, რას უნდა გამოეწვია ამ ადამიანებში მოულოდნელი ცვლილება და არაებრაული რწმენის დამცველებად ჩამოყალიბება, უპრეცედენტო და ნაკლებ მოსალოდნელი ამბავი.

ნებით სიკვდილი

შემდეგი სიღრმისეული ფაქტი, რაც აღმოვაჩინე იყო ის, რომ იესოს დანარჩენი ათი მოწაფე, პავლეს ჩათვლით, მოწამეობრივად მოკვდა, რადგან მათ იესოს ღმერთობის სჯეროდათ და მის მკვდრეთით აღდგომას აცხადებდნენ. ხშირად მაფიქრებდა ფაქტი, რომ თუ იესო არ აღმდგარა სამარხიდან, მაშინ ეს ადამიანები ტყულისათვის მოკვდნენ? მიუხედავად ამისა, არცერთმა მათგანმა არ უარყო რწმენა, სასტიკი წამების, ტკივილისა და სიკვდილის მიუხედავად. მგონია, რომ ერთ-ერთი მათგანი მაინც გატყუდებოდა, რომ სცოდნოდა, რომ ეს ყველაფერი სიცრუე იყო. მაინც არ მეჯერებოდა.

მრავალი ადამიანი კვდება სიცრუისთვის, მაგრამ არ იცინა, რომ ეს სიცრუეა. მოწაფეებს ეცოდინებოდათ ტყუილისთვის, რომ კვდებოდნენ, თუკი ეს მათი მოგონილი იყო. ვინ გააკეთებდა ამას? ვფიქრობდი. თუ იესო არ აღმდგარა, მათი ყველა იმედიც ჯვარზე მოკვდებოდა. იესოს სიკვდილის შემთხვევაში ყველა დაპირება საუკუნო სიცოცხლეზე, ზეცაზე და ცოდვათა მიტევებაზე არარაობა იქნებოდა. აღმდგარი ხუროს შესახებ ცრუ ამბავი სრულიად უსარგებლო გახდებოდა მათთვის. ამ შემთხვევაში,

ძნელად თუ აღწერდი მოწაფეების იმედგაცრუების ყველა გზას.

მიმოხილვა

ისტორიულმა ფაქტებმა გვაჩვენა, რომ იესო მოკვდა და დაიკრძალა სამარხში, რომელიც მესამე დღეს ცარიელი იხილეს და არანაირი ახსნა-განმარტება არ ჰქონდათ მისი სხეულის ადგილ-სამყოფელის შესახებ. მომხდარიდან მალევე ბევრმა ადამიანმა იხილა და ურთიერთობა ჰქონდა აღმდგარ იესოსთან, რამაც გამოიწვია ქრისტიანობის სწრაფი გამოჩენა. ეს ახალი რელიგია დაიწყო იესოს ებრაელი მოწაფეების მიერ, მიუხედავად იმისა, რომ ეს რწმენა მათ ძველ რწმენასთან და მესიის მოლოდინთან წინააღმდეგობაში არ მოდიოდა.

ერთადერთი ლოგიკური განმარტება იყო იესოს აღდგომა. ფაქტებზე დაყრდნობით, ეს იყო ყველაზე საუკეთესო მტკიცებულება და გულისხმობდა ყველა სასწაულზე დიდ სასწაულს. ჩემს მეცნიერულ გონებას პრობლემა ჰქონდა ამ მოსაზრებასთან, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ახსნა-განმარტება არ მომეძებნებოდა. გული აღელვებული მქონდა, მაგრამ გონება სკეპტიკური რჩებოდა. გული და გონება ომს უცხადებდნენ ერთმანეთს. დაბნეული ვიყავი. იმედი გამიცრუვდა, რომ უკეთეს ბუნებრივ ახსნა-განმარტებას ვერ მივაგენი. გონებაში კიდეც ერთხელ გადავაკლე თვალი ფაქტებს. მივხვდი, რომ ქედმაღლური დამოკიდებულება მქონდა მათდამი წლების განმავლობაში სამედიცინო გამოცდილების შედეგად მიღებული განათლების გამო.

მეხუთე თავი

ძიების ფაზა 3:

ძველი ებრაული წერილი

"ძველი აღთქმა"

"პაციენტის კარდიოგრამა მჭირდება! შეიძლება, ინფარქტი დაემართოს!"
– დავუძახე ექთანს.

"კარგი, ექიმო ვიემან, ახლავე დავუძახებ კარდიოლოგების ჯგუფს."

სურათმა დაადასტურა, რომ პაციენტს ინფარქტი ჰქონდა. როგორც ექიმი, იშვიათად ვეყრდნობოდი ერთი სახის მტკიცებულებას დიაგნოზის მისაღებად. პრაქტიკის განმავლობაში დიდი დრო დავუთმე კარდიოლოგიას. ინფარქტის დიაგნოზი მხოლოდ იმ შემთხვევაში კეთდებოდა, როცა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად რამდენიმე მსგავს დასკვნას მივიღებდით. ეს იყო ელექტრო კარდიოგრამა, რამდენიმე განსხვავებული სისხლის ანალიზი და სხვა. როცა სისხლის ანალიზი გულის უჯრედის დაზიანებას გვიჩვენებს, მაშინ ერთ-ერთი ტესტი გულში ელექტრონულ ცვლილებებს უნდა აჩვენებდეს. ორივე ტესტიდან ანალოგიური შედეგის მღების შემთხვევაში ინფარქტი გარდაუვალია.

სერიოზულად დავფიქრდი იმაზე, რომ შესაძლოა არსებობს იესოს აღდგომის სხვა მოწმობაც, რაც სრულიად განსხვავდება ოთხი სახარების მტკიცებულებისაგან და თვითმხილველების ნაამბობისაგან. თუ ეს სარწმუნო წყაროა, მაშინ აღდგომა ნამდვილი ისტორიული მომენტი და მტკიცებულების ახალი წყარო იქნებოდა.

დაჟინებით უნდა გამოვდევენბოდი საქმეს და ჭეშმარიტებისათვის მიმეკვლია. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ძიების მომენტი. საუკუნო ცხოვრებასთან კავშირის გამო, ეს ყველაფერი ღირდა კიდეც ამაღ. თუმცა ცოტა არ იყოს სიზარმაცე და მოწყენილობა მძლევადა, მაგრამ აქამდე ხომ უფრო მეტი დრო მქონდა დახარჯული საფონდო ბირჟებისა და ინვესტიციების საუკეთესო გზების მოძიებაში და ახლა როგორ უნდა გავჩერებულიყავი, თუკი ნამდვილად არსებობდა ღვთის წარმოჩენის რეალური შესაძლებლობა?

მესია

იესოს მოწაფეები აღდგომის ფაქტს იმის დასამტკიცებლად იყენებდნენ, რომ იესო ნამდვილად იყო ჭკვენიერების მხსნელი, მაგრამ მხოლოდ ამით არ ცდილობდნენ ხალხის დარწმუნებას. მოქიცულებს წინასწარმეტყველების აღსრულებისა და იესოს ღმერთობის დასამტკიცებლად ებრაული წერილიდანაც მოჰყავდათ ადგილები. ხალხის უმეტესობას არ უხილავს აღმდგარი იესო, მაგრამ შეგეძლო,

ყველასთვის გეჩვენებინა წმიდა წერილი. ახალ აღთქმაში მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით, მოციქულები პირდაპირ ციტირებას აკეთებდნენ ძველი აღთქმიდან იესოს შობის, ცხოვრების, ჯვარცმის, დაკრძალვისა და აღდგომის შესახებ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ იესომ აღასრულა ეს წინასწარმეტყველებები. ეს იყო ის მთავარი მომენტი, რამაც ხალხი ქრისტიანობაზე მოსაქცევად დაარწმუნა, ებრაელების ჩათვლით. რატომ? ეს აუცილებლად უნდა გამეგო.

რომელი ადგილები ამტკიცებდნენ ამის შესახებ წერილიდან? ვფიქრობდი დაჟინებით. ძიება დავიწყე თუ არა, ადვილად მივაგენი პასუხს. ებრაული წერილი მრავალი სხვადასხვა ავტორის მიერ დაწერილი, დაახლოებით, ათასი წლის განმავლობაში შექმნილი ხელნაწერებისაგან შედგებოდა. ებრაელებს სჯეროდათ, რომ ეს წერილი იყო ღვთის სიტყვა. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ღმერთმა შთააგონა განსაკუთრებულ ადამიანებს და მათ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უწყება მისცა ჩასაწერად. წერილს მიიჩნევდნენ წმიდა წერილად. ადამიანები მას სათუთად ინახავდნენ ათასწლეულების მანძილზე. მთელ ცხოვრებას უძღვნიდნენ წერილის ზუსტად გადაწერას და მომავალი თაობებისათვის მის გადაცემას. წერილი მოიცავდა ისრაელის ისტორიას, გენეალოგიას, რელიგიური პრაქტიკის ადათ-წესებს, წინასწარმეტყველების ნაწერებს, საგალობლებსა და პოემებს. წერილის ბოლო ვარიანტი თარიღდებოდა ჩვ.წ.აღ-მდე 400 წლით.

აქამდე არ მიფიქრია იმაზე, რომ ებრაელები ელოდებოდნენ მესიის, მხსნელის მოსვლას, იმიტომ, რომ მათი წმიდა წერილი ლაპარაკობდა ამ წინასწარმეტყველებასა და მესიის შესახებ სხვა მრავალ ასპექტზე. ეს მათი ისტორიის ნაწილი იყო, რაც ებრაელებისა და იესოს მოციქულებისთვისაც კარგად ნაცნობი იქნებოდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ მესია იქნებოდა ადამიანი, რომელიც მათ მტრისაგან-რომაელებისაგან დაიცავდა.

ახალ აღთქმაში მრავალი მუხლი წამიკითხავს, რომელიც ამ აზრთან თანხმობაში მოდიოდა, მაგრამ დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. გამახსენდა, რომ როცა ვარსკვლავთმრიცხველები ჰეროდესთან მივიდნენ "ებრაელთა მეფის დაბადების ადგილსამყოფელის საკითხავად", მეფემ პასუხისათვის რელიგიურ წინამძღოლებს მოუხმო. იუდეველებმა უპასუხეს, დიახ, მესია, მათი წერილის მიხედვით, იუდეაში უნდა დაბადებულიყო. ძველი აღთქმის ტექსტს (მიქა 5:2) პირდაპირ ციტირებს მათე 6:2 მუხლი. ახალი აღთქმის ავტორები მიაწინებდნენ, როგორ უნდა აღესრულებინა იესოს ასეულობით წლის, და ასე გასინჯეთ, ათასი წლის წინ, მესიის შესახებ ებრაულ წერილში დაწერილი წინასწარმეტყველება.

იესო საკუთარ თავზე ამბობდა, რომ ის იყო წერილის აღმსრულებელი.

არ იფიქროთ, თითქოს რჯულის ან წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად მოვედი. გასაუქმებლად კი არა, აღსასრულებლად მოვედი. (მათე 5:17)

ის იმასაც ამბობდა, რომ ძველი ებრაული წერილი მის შესახებ

ლაპარაკობდა.

იკვლევთ წერილებს, რადგან გგონიათ, რომ მათში გაქვთ საუკუნო სიცოცხლე. ისინი კი ჩემზე მოწმობენ. (იოანე 5:39)

იესო პირდაპირ აცხადებდა, რომ ის იყო მესია.

ეუბნება მას ქალი: "ვიცი, რომ მოდის მესია, რომელსაც ჰქვია ქრისტე. როდესაც ის მოვა, ყველაფერს გაგვიცხადებს." ეუბნება მას იესო. "მე ვარ, ვინც შენ გელაპარაკები." (იოანე 4:25,26)

წარმოდგენაც კი არ მქონდა, რომ დღევანდელი ახალი აღთქმა და ძველი აღთქმა ერთმანეთთან მსგავსებაში მოდიოდა. მათ ბიბლიაში წიგნები სხვადასხვა თანმიმდევრობითაა განლაგებული, მაგრამ ტექსტის შინაარსი თითქმის იგივეა. აქამდე ეს არ ვიცოდი და ამის აღმოჩენა მეუცნაურა.

ბევრი არაფერი ვიცოდი რელიგიის შესახებ, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ქრისტიანობა და იუდაიზმი დღევანდელ მსოფლიოში ორი განსხვავებული რელიგიაა. ებრაელების უმეტესობასა და არაბებს არ სჯერათ ქრისტესი. ვერ წარმოვიდგენდი, რომ შეიძლებოდა რაიმე აღმომეჩინა ქრისტეზე ებრაულ წერილებში (ძველ აღთქმაში), განსაკუთრებით იმიტომ, რომ ძველი აღთქმა იესოს შობამდე 400 წლის წინ დაიწერა. იმიტომ არც იესო და არც ცნობა მის შესახებ, პირდაპირ თუ ირიბად, არ უნდა ყოფილიყო იქ, თუკი იგი ნამდვილად აღთქმული მესია არ იყო.

ახლა გავიგე, რატომ უარყოფდნენ ქრისტიანები "ახალ" რელიგიას, ისინი ხომ ძველი იუდაიზმის აღმსრულებლებად გვევლინებოდნენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქრისტიანებს ებრაული წერილის სჯერათ, როგორც ღვთის სიტყვის. მათ სჯერათ, რომ ებრაელთა ღმერთი არის ერთადერთი ჭეშმარიტი და ცოცხალი ღმერთი. ქრისტიანული რწმენა მოიცავს უწყებას ქრისტეს შესახებ, რომელსაც ებრაელები ელოდნენ და ამის შესახებ ბიბლიაშიც იყო ნაწინასწარმეტყველები. გავოცდი, როცა გავიგე, რომ ადრეული ქრისტიანები ძირითადად ებრაელები იყვნენ! მოციქულები და პავლეც კი. ლუკას სახარებისა და მოციქულთა საქმეების გარდა მთელი წერილი ებრაელების მიერ იქნა დაწერილი.

აშკარა იყო, რომ ამ წინასწარმეტყველებებს პოტენციურად დიდი ძალა ჰქონდა იესოს წინააღმდეგ ან სასარგებლოდ ნათქვამის კუთხით. თუ ძველი აღთქმა მართლა მოიცავდა შეუცდომელ წინასწარმეტყველებებს, რაც ქრისტემ აღასრულა, მაშინ ეს განამტკიცებდა აზრს, რომ იესო ქვეყნიერების დასახსნელი ღვთის გეგმა იყო. ვიცოდი, რომ შეუძლებელი იყო ვინმეს, რომელიმე ინდივიდის ცხოვრების შესახებ ზუსტად და შეუცდომლად ეწინასწარმეტყველა და მერე ეს დაწერილი ზუსტად აღსრულებულიყო, ზეციური კავშირის არ არსებობის გარეშე. ეს დაადასტურებდა წმინდა წერილის შთაგონებასა და შეუცდომლობას.

თუ წინასწარმეტყველებებს გადავხედავთ, იესოს მიერ ადამიანის ცოდვისაგან დახსნის ახალაღთქმისეული დოქტრინა ახალ კონცეფციას არ წარმოადგენდა. იესოს მოწაფეებს ახალი რელიგია არ

გამოუგონიათ. ისინი მოწმენი იყვნენ თავიანთი ებრაული რწმენისა და წინასწარმეტყველებების აღსრულების. რთული იქნებოდა იმის დაჯერება რომ იესო მხოლოდ ლეგენდა იყო ან მითი, თუ მისი ცხოვრება ნაწინასწარმეტყველები და აღწერილი იყო ძველ ებრაულ წერილში, როგორც მისი ავტორები აცხადებდნენ.

უმალვე მომხიბლა ამ აზრმა, რადგან მივხვდი, რომ ებრაელები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი ცოცხალი ღმერთისა სწამდათ, მათ ზეციური გამოცხადება ჰქონდათ ღვთისაგან, რომ მესია მოვიდოდა. დამთხვევაზე უფრო მეტად სამართლიანად მეჩვენებოდა ის ფაქტი, რომ ვინც ღმერთად აცხადებდა თავს, ის გამოჩნდა ასპარეზზე და ამტკიცებდა, რომ მესია მოვიდა. ამავდროულად დაბნეულიც ვიყავი, რადგან აღმოვაჩინე, რომ ებრაელებს არ სჯეროდათ, რომ იესო მათი მესია იყო.

ამის შემდეგ იბადებოდა კითხვა, რას ამბობდა მაშინ ებრაული წერილი მესიის მოსვლის შესახებ? როგორი იყო წინასწარმეტყველება, რამდენი, აღასრულა თუ არა იესომ რომელიმე წინასწარმეტყველება, თუ ყველა, თუ არც ერთი? თუ ეს წინასწარმეტყველებები ნამდვილად ღვთისაგან იყო და იესო ღმერთი იყო, მაშინ ყველა მათგანი უნდა შეესრულებინა. იმის გაგებაც მინდოდა, რატომ უარყვეს ებრაელებმა იესო, როგორც მესია, თუკი მან ყველა მათი წერილისეული წინასწარმეტყველებანი აღასრულა.

ვიდრე დასკვნას გავაკეთებდი, უნდა გამეგო რას ნიშნავდა წინასწარმეტყველება. გავიგე, რომ წინასწარმეტყველება ნიშნავდა მომავალი მოვლენების ზუსტ აღწერას. ეს იწერებოდა და ცხადდებოდა იმ ადამიანების მიერ, რომელთაც წინასწარმეტყველები ერქვათ. ეს იყო მათი ერთ-ერთი ფუნქცია, მაგრამ ამავდროულად სხვა ფუნქციებიც ეკისრებოდათ. მართლა მოიცავდა თუ არა ძველი ებრაული წერილები იესოს ცხოვრების დეტალებს, რომელთაგან ზოგიერთი იესოს დაბადებამდე ათასი წლის წინ დაიწერა? მინდოდა, სიმართლე გამეგო.

აშკარა იყო, რომ ძველ აღთქმაში იესოს "სურათებიც" არსებობდა. სურათი, რომელიც ამ კონტექსტში იქნა გამოყენებული, არის არაპირდაპირი კანონის მიღება მომავალ მოქმედებაზე წარსულში გაკეთებული განცხადების შესაბამისი სიზუსტით. ამ მოვლენის მეორე შესატყვისი სიტყვა არის "მოსწავება," რადგან მომავალს თანმიმდევრულად გვიჩვენებს, როცა მოსწავება მთავარ ხაზად გასდევს მოქმედებას.

ჯერ წინასწარმეტყველებებს გადავხედე, რადგან ისინი პირდაპირ შეეფერებოდა მესიის შესახებ წინასწარმეტყველებას, რაც ძველ აღთქმაში მოიპოვებოდა და მრავალი სხვადასხვა მწერლის მიერ იქნა დაწერილი ისრაელის ისტორიის სხვადასხვა დროს. წინასწარმეტყველებები, სავარაუდოდ, აღწერდა მესიის დაბადებას, ცხოვრებას, სიკვდილს და აღდგომას. ჩემი სასწავლო ბიბლია მრავალ ანალოგიურ საკითხს განიხილავდა. გადავწყვიტე, ჯერ ქრისტიანული ტრადიციების თვალთ შემეხედა საკითხისათვის და მერე მისი სხვა მხარე განმეხილა.

წინასწარმეტყველებები მესიის შესახებ

იმ წინასწარმეტყველებებით დავიწყე, რომლებიც მესიის დაბადების ადგილს შეეხებოდა. ეს დაიწერა მიქა წინასწარმეტყველის მიერ დაახლოებით ჩვ. წ. აღ-მდე 700 წლით ადრე.

დადგება და დამწყემსავს უფლის ძალით, უფლის, თავისი ღმერთის, სახელის სიდიადით, და მობრუნდება, რადგან ამიერიდან იდიდებს ის ქვეყნის კიდემდე. (მიქა 5:4).

მესია, რომელიც მუდამ იყო და მუდამ იქნება, ბეთლემში უნდა დაბადებულიყო. იესო ბეთლემში დაიბადა და აცხადებდა, რომ მარადიული ღმერთი იყო. ამან გამახსენა ერთი მუხლი, რომელიც იოანეს სახარებაში წამიკითხავს. იოანე იესოს შესახებ საუბრობს როგორც "სიტყვა". ის წერს:

დასაწყისში იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი.

სიტყვა ხორცი იქმნა და დაემკვიდრა ჩვენს შორის, მადლითა და ჭეშმარიტებით აღსავსე და ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება, როგორც დიდება მამისაგან მხოლოდშობილისა. (იოანე 1:1,14)

იოანე იესოზე ლაპარაკობდა, რომ ღმერთი გახდა კაცი. იესოს შეეფერებოდა ეს ორი წინასწარმეტყველება, მაგრამ ცოტა არ იყოს მაინც გაურკვეველი იყო.

დაახლოებით ჩვ. წ. აღ-დე 700 წელს წინასწარმეტყველმა, სახელად ესაიამ, დაწერა მესიის დაბადების შესახებ.

ამიტომ უფალი თვითონ მოგცემთ ნიშანს: ქალწული დაორსულდება და შობს ძეს და უწოდებს მას სახელად ემანუელს. (ესაია 7:14)

ამ ბოლო განცხადებამ ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. მესია ქალწულის მიერ უნდა დაბადებულიყო და შობილისათვის ემანუელი უნდა დაერქმიათ, რაც ნიშნავს "ჩვენთანაა ღმერთი." სკამიდან წამოვდექი და ღრმად ამოვისუნთქე, რადგან მივხვდი, რომ იესო სავარაუდოდ მარიამისაგან იშვა, რომლის შესახებაც ბიბლია ამტკიცებდა, რომ ქალწული იყო. თუ იესო ღმერთი იყო, მაშინ მართლა ყოფილა "ღმერთი ჩვენთან."

ეს იმდენად მნიშვნელოვანი წინასწარმეტყველება იყო, რომ გადავწყვიტე მასზე უფრო ახლო დაკვირვება გამეკეთებინა. ძველი წერილები ებრაულ ენაზე იყო დაწერილი, მე კი ინგლისურად ვკითხულობდი. ნამდვილად არსებობს თუ არა ებრაულ ენაში სიტყვა "ქალწული", – რადგან ეს სიტყვა ძალიან მნიშვნელოვანი იყო წინასწარმეტყველებისათვის? პასუხი იმაში მდგომარეობს, რომ ებრაულში არ არის განსაკუთრებული სიტყვა ქალწულისათვის. ამიტომ, ამ შემთხვევაში გამოყენებული სიტყვა ნიშნავდა ახალგაზრდა გაუთხოვარ ქალს. მაგრამ ებრაული წერილი ბერძნულადაც ხომ იყო თარგმნილი, იესოს შობამდე რამდენიმე ასეული წლის წინათ, რასაც "სეპტუაგინტა" ეწოდება. ბერძნულ ენას აქვს განსაკუთრებული სიტყვა, რომელიც

მხოლოდ ქალწულს ნიშნავს. მინდოდა გამეგო როგორ გადათარგმნა ეს სიტყვა ბერძენმა მთარგმნელმა, იესოს შობამდე რამდენიმე ასეული წლის წინათ. არა მგონია, რომ ქრისტიანები უბრალოდ თავიანთი დოქტრინის განსამტკიცებლად გულისხმობდნენ აქ ქალწულის შინაარსს. სეპტუაგინტა მომცემდა ამის შესახებ მიუკერძოებელ პასუხს. გავოცდი, როცა აღმოვაჩინე, რომ აქ ნახსენები ბერძნული სიტყვა ქალწულს ნიშნავდა. თუმცა არ არსებობდა იმის დამადასტურებელი გზა, რომ იესო ქალწულისაგან დაიბადა. მესია უნდა დაბადებულიყო დავით მეფის შთამომავლობაში. დავით მეფე ყველაზე ცნობილი ებრაელი მეფე იყო, ვინც იესომდე ათასი წლის წინ ცხოვრობდა. ებრაელებმა იცოდნენ, რომ მესია დავით მეფის შთამომავლობიდან უნდა დაბადებულიყო. შემდეგ გამახსენდა, რომ ლუკა და მათე, ორივენი საუბრობენ იესოს გენეალოგიაზე სახარებაში. მათე იოსების, ლუკა კი მარიამის შესახებ. იესოს ორივე მშობელი დავითის შთამომავალი იყო. ახლა გავიგე, რისი თქმა სურდა ამ ორ ავტორს. ისინი ამბობდნენ, რომ დავით მეფის გენეალოგიის მიხედვით იესო არის ნაწინასწარმეტყველები მესია.

ვაგრძელებდი წინასწარმეტყველების კითხვას, ვიდრე იმ ადგილს არ მივაღწევი, რომელიც დაახლოებით ქრისტეს შობამდე 1000 წლით თარიღდებოდა.

გამიხვრიტეს ხელნი და ფერხნი;

მთელი ჩემი ძვლები დაითვლება:

მომჩერებიან ნიშნის მოგებით.

ჩემს სამოსელს ინაწილებენ

და წილს იყრიან ჩემს კვართზე. (ფსალ. 21:17-18)

თავზარი დამეცა. ეს სიტყვები ზუსტად აღწერდა იესოს ჯვარცმის დეტალებს მანამდე, ვიდრე ადამიანის ჯვარცმით სიკვდილს შემოიღებდნენ! წერილი საუბრობს ხელებისა და ფეხების გახვრეტაზე მანამდე, ვიდრე ასეთი მეთოდი პრაქტიკაში დაინერგებოდა. აღმოვაჩინე, რომ ორი სხვა წინასწარმეტყველი საუბრობდა მესიის ხელ-ფეხის განგმირვაზე. როგორ შეიძლებოდა, ასეთი რამ მომხდარიყო? წარმოუდგენლად მიმაჩნდა ჯვარცმის გარდა წამების სხვა გზაზე მეფიქრა. ჩემი გონება იმის გარშემო ტრიალებდა, რომ ეს სამივე მწერალი ისეთი რამის შესახებ წერდა, რაც იმ დროს არ არსებობდა.

და ეს განსაკუთრებული წინასწარმეტყველება აღწერდა, რომ მესიის სამოსს გაინაწილებდნენ და წილს იყრიდნენ კვართზე. უნდა მეღიარებინა, რომ ეს სამივე წინასწარმეტყველება აღსრულდა იესოზე ათასი წლის შემდეგ. ეს ის საკითხი არ იყო, რაზეც ქრისტეს მანიპულირების მოხდენა ან მაგიური ძალით მისი გაკეთება შეეძლებოდა.

ჯარისკაცებმა, როცა ჯვარს აცვეს იესო, აიღეს მისი სამოსელი და ოთხ წილად გაყვეს, თითოეულს ჯარისკაცს ერთი წილი შეხვდა და ცალკე იყო კვართი. კვართი უკერველი იყო. თავიდან ბოლომდე ნაქსოვი. უთხრეს ერთმანეთს: "ნუ დავხვეთ, წილი ვყაროთ მასზე. ვნახოთ, ვის შეხვდება." რათა აღსრულებულიყო

წერილი: "გაინაწილეს ჩემი სამოსელი და წილი ჰყარეს ჩემს კვართზე." ჯარისკაცებმაც ასე გააკეთეს. (იოანე 19:23-24)

ახალი აღთქმის დამწერი ებრაული წერილის ციტირებას ახდენს და აცხადებს, რომ წერილი აღსრულდა. ებრაული წერილის ციტატები აშკარად ემთხვევა ახალ აღთქმაში მოხსენიებულ ციტატებს. ძალიან შთამბეჭდავი იყო, მაგრამ მაინც სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი. უფრო მეტი მინდოდა, რაღაც, რაც დამამტკიცებდა, რომ წინასწარმეტყველებები მართალი იყო.

მომდევნო წინასწარმეტყველება იყო ის, რასაც ვეძებდი, რომელიც ესაიას მიერ დაიწერა ქრისტემდე 700 წლით ადრე, რამაც წარმოუდგენლად გამოაცხადა.

მან იტვირთა ჩვენი სნეულებანი

და ჩვენი ტკივილებით გაიტანჯა,

ჩვენ კი ვფიქრობდით, რომ ნაგვემი იყო,

ღმერთის მიერ დასჯილი და დამცირებული.

მაგრამ ის დაჭრილი იყო

ჩვენი ცოდვების გამო,

და ტანჯული ჩვენი უკეთურების გამო;

ჩვენი სასჯელი მასზე იყო:

და მისი წყლულებით ჩვენ განვიკურნეთ.

ჩვენ ყველას გზა აგვებნა ცხვრებით

და თითოეული ჩვენგანი თავის გზას დაადგა.

და უფალმა მას დააკისრა, ყველა ჩვენგანის ცოდვები.

და მრავალთა ცოდვა იტვირთა

და ცოდვილებს გამოესარჩლა. (ესაია 53:4-6, 12)

მესია სხვების ნაცვლად დაიტანჯებოდა. მათრახით სცემდნენ. ამის კითხვისას მეგონა, ახალ აღთქმას ვკითხულობ მეთქი. ერთმანეთთან აშკარა მსგავსების გამო მოგონილი გეგონებოდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ეს სიტყვები იესომდე 700 წლით ადრე დაიწერა.

მოკლედ რომ ვთქვათ, მესია უნდა დაბადებულიყო ბეთლემში ქალწულისაგან, დავითის შთამომავლობაში. ხელ-ფეხს განუგმირავდნენ და ცოდვილი ადამიანების ნაცვლად ეწამებოდა. მისი არსებობა მარადიული იყო და უწოდებდნენ "ჩვენთანაა ღმერთი." იესომ ცხადად აღასრულა ყოველი წინასწარმეტყველება. ცნობისმოყვარეობაც მკლავდა და აჟიტირებულიც ვიყავი ერთდროულად. უფრო მეტიც ხომ არ იყო მოსალოდნელი?

შემდეგ წავიკითხე დანიელის წინასწარმეტყველება, რომელიც წინასწარ ლაპარაკობდა მესიის იერუსალიმში შობის დროზე. ახლა ეს იქნება შთამბეჭდავი, გავიფიქრე მე. განვცვიფრდი, როცა გავიგე, რომ იესოს იერუსალიმში ზეიმით შესვლის დღე ზუსტად ემთხვეოდა წერილისეულ უწყებას. ზუსტად! იმდენად დაუჯერებელი ჩანდა, რომ ტყუილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა!

დანიელიც ამბობს, რომ მესია მოკვდებოდა:

"სამოცდაორი შვიდეულის შემდეგ მოიკვეთება ცხებული და აღარავინ იქნება მასთან." (დანიელი 9:26)

ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან "მხსნელის" სიკვდილს არ მოველოდი. მართო მე არ ვფიქრობდი ასე. არც ებრაელები მოელოდნენ ამას, მაგრამ მათ წერილში ასე ეწერა. წერილი იმასაც ამბობდა, რომ მესია არა თავისთვის, არამედ სხვებისთვის მოკვდებოდა. უცნაური გრძნობა დამეუფლა ამის კითხვისას. გულში მოკრძალებული გრძნობა აღმიძრა დანიელის წინასწარმეტყველებამ, მესიის მოსვლისა და სხვისი ცოდვებისათვის სიკვდილის ფაქტმა. რამდენ ადამიანს შეიძლება, რომ შეეფერებოდეს ეს წინადადება ისტორიაში? დაბნეული ვიყავი.

ყოველთვის, როცა წინასწარმეტყველებას ვკითხულობდი და ვსწავლობდი, კიდევ ერთი წინასწარმეტყველების წაკითხვა მინდოდა. იესო ყოველთვის შეეფერებოდა ამ წინასწარმეტყველებებში წარმოდგენილ მესიას. მრავალი მათგანი შეიძლება დამთხვევად ჩამეთვალოს, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ყველა მათგანი ზებუნებრივ ძალას იძენდა. გონება იბრძოდა, "ეს შეუძლებელია. ყოველივე ეს დამთხვევაა. არ არსებობს, რომ ეს უწყება იესოს შესაბამებოდეს." მიუხედავად ამისა, გულში მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული პირდაპირი თუ არაპირდაპირი ციტატებით, მის შობამდე ასეულობით წლებით ადრე დაწერილით, რომ იგი ნამდვილად შეეფერებოდა იესოს.

მალე ძიება შევწყვიტე, რადგან უბრალოდ ძალიან ბევრი მტკიცებულება არსებობდა. მესიის შესახებ არსებობდა სამასამდე წინასწარმეტყველება. აქედან სამოცდაექვსი ყველაზე მნიშვნელოვანად ითვლება. იესომ ყოველი მათგანი აღასრულა. სტატისტიკურად რვა წინასწარმეტყველების შესრულებაც კი შეუძლებელი იყო. ჯომ მაკდაუელის წიგნში წავიკითხე ამ სტატისტიკის შესახებ, რომ შესაძლებელი იყო მხოლოდ 10^{17} , ან 100, 000,000,000,000,000-დან 1!!!

ეს წინასწარმეტყველებები ან ღვთივსულიერი იყო ან, უბრალოდ, ის დაწერეს ავტორებმა, რასაც ფიქრობდნენ, რომ უნდა დაეწერათ. ასეთ უწყებას, ადამიანების შემთხვევაში, 10^{17} ერთის ასრულების შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ იესოს შემთხვევაში ყველა მათგანი შესრულდა. თუნდაც მხოლოდ რვა წინასწარმეტყველების აღსრულება იმას ნიშნავს, რომ ღმერთმა შთააგონა მისი დამწერები, რაც გამორიცხავს შემთხვევითობას.

სტატისტიკური შესაძლებლობა იმისა, რომ ერთი ადამიანი რვა მნიშვნელოვანი წინასწარმეტყველების შესრულებას შეძლებდა, მაშინ როცა იესომ სამასი მათგანი აღასრულა, იმდენად შეუძლებელი იყო, რომ ეს ნაწერები ღვთის შთაგონებაზე მეტყველებდა. არ ვიცოდი, რა მეფიქრა. მივხვდი, რომ მხოლოდ ღმერთს, თუკი იგი მართლა არსებობდა, შეეძლო ადამიანის ცხოვრების შესახებ ასეთი დაწვრილებითი დეტალების დაწერა მის დაბადებამდე.

ამ დროს უკან დავიხიე. არ შემეძლო ამ მოვლენის ახსნა. მისი

სინამდვილე სიგიჟედ მეჩვენებოდა. ძალიან ბევრი მტკიცებულება არსებობდა. უცბად თავში აზრმა გამიელვა, შეიძლება იესო შეგნებულად ეცადა წინასწარმეტყველებების შესრულებას, ვიდრე მივხვდებოდი, რომ მრავალი მათგანი უბრალოდ მის კონტროლს არ ექვემდებარებოდა. მიჭირდა წინასწარმეტყველებების რიცხვისა და მათი სიზუსტის მიღება. ეს იმას ჰგავდა, როცა დარწმუნებული ხარ რაღაცის ჭეშმარიტებაში, მაგრამ არ გასურს მისი აღიარება.

ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებებიც მოვიძიე ინტერნეტში და მესიის შესახებ წინასწარმეტყველებების კრიტიკას წავაწყდი. ზოგიერთები ამბობდნენ, რომ ეს მტკიცებულებები კონტექსტს არ შეესაბამებოდა, მაშინ როცა დანარჩენები ამბობდნენ, რომ ეს ნაწერები თავდაპირველად არ ატარებდა წინასწარმეტყველების ხასიათს. საინტერესო იყო სრულიად განსხვავებული მოსაზრებების მოსმენა იმავე წინასწარმეტყველებებზე. არ ვიცოდი, რა მეფიქრა ამ შეხედულებებზე. გადაწყვეტილების მიღებას თავი დავაღწიე "სურათების" კვლევა-ძიებაზე გადასვლის მიზეზით.

მესიის სურათები

როგორც უკვე ავღნიშნე, სურათი არის წინასწარ განცხადება ან "წინასწარ ქმედება" ანუ მომავალი მოვლენების წარსულში სრული სიზუსტით აღწერა. მომავალი არაპირდაპირაა აღწერილი მოქმედებებით ან სიტუაციებით, რომელიც წინასწარ მოასწავებს მის შესახებ. სურათი თავისთავად ატარებს წინასწარმეტყველურ ხასიათს, რადგან ის აღწერს იმ მოქმედებებს, მომავალში რომ უნდა მოხდეს. თუ ებრაული წერილი იესოს ჯვარცმის სურათს წარმოგვიდგენს ისრაელის ისტორიაში, მაშინ ეს იქნება ღვთივსულიერების ძლიერი მოწმობა. დამაჯერებლობისათვის სხვადასხვა ადგილები ერთმანეთს უნდა ეთანხმებოდეს, ახალ აღთქმისეული წერილი მსგავსი უნდა იყოს ძველისა.

ებრაული მსხვერპლშეწირვის სისტემა

გავცანი ებრაული მსხვერპლშეწირვის სისტემას, რაც სავარაუდოდ ღვთის მიერ უნდა ყოფილიყო ბოძებული. მათ რელიგიურ სისტემაში, უდანაშაულო ცხოველის სიკვდილი და მისი სისხლი იყო გამოყენებული ადამიანის ცოდვის გამოსასყიდად. მოკლული ცხოველი იკავებდა ცოდვილის ადგილს. გამახსენდა მარკოს კუინძულებზე ცოლ-ქმრის ნათქვამი სიტყვა: "იესო იყო უდანაშაულო და უცოდველი. ის შენს ნაცვლად მოკვდა. მისი სისხლის საშუალებით მოგეტევა შენი ცოდვები, თუ გჯერა მისი, მოინანიე და მიენდე მას." იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ ცხოველთა შეწირვა იესოს მოსვლამდეც არსებობდა მსხვერპლშეწირვის სახით, რაც ნამდვილად ეთანხმებოდა ახალი აღთქმის დოქტრინას. მსხვერპლშეწირვის იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ ცოდვის საფასური გადაეხადა და ეს პრინციპი ახალი არ იყო. წარმოდგენა არ მქონდა, რომ ებრაელებს წესად ჰქონდათ ცოდვის საზღაურის სიკვდილით

ჩანაცვლებისა და სისხლით გადახდის მტკიცე ტრადიცია. ვიფიქრე, რომ ილუსტრაცია და პარალელები ორ რწმენას შორის ორთაბრძოლას ნიშნავდა.

გამოსვლა

გამოსვლა იყო კიდევ ერთი რელიგიური ცერემონიალი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული იესოსთან. ამ დღესასწაულის შესახებ მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ჩემი ბავშვობის მეგობრები ერთი კვირის მანძილზე პურს არ ჭამდნენ, მის ნაცვლად ხშიადი უნდა ეჭამათ. ამაზე მეტი უნდა გამეგო. ძველი აღთქმის მეორე წიგნში, რომელსაც გამოსვლა ეწოდება ასეთ აღწერილობას წავაწყდი:

გამოსვლა იყო ძველი და ნამდვილი ებრაული ზეიმი. მას დღესაც აღნიშნავენ ებრაელები. ამ დღესასწაულს მოსეს მიერ ეგვიპტის მონობიდან ხალხის "აღთქმულ მიწაზე" გამოყვანისას ჩაეყარა საფუძველი, ხალხისა, რომლებიც მოგვიანებით ცნობილი გახდებიან, როგორც იუდაელები ან ებრაელები. ისინი ეგვიპტის ტყვეობაში იმყოფებოდნენ ოთხასი წლის განმავლობაში. ღმერთმა გააგზავნა მოსე ფარაონთან სათქმელად, "გაუშვი ჩემი ხალხი" – მაგრამ ფარაონმა უარი განაცხადა. შემდეგ ღმერთმა ცხრა სახის სასჯელი გაუგზავნა ეგვიპტის მიწას, მაგრამ ფარაონმა მაინც არ გაუშვა მონები. ბოლოს, ღმერთმა უთხრა მოსეს, რომ ბოლო სასჯელი შეცვლიდა ფარაონის გულს და ხალხს გაათავისუფლებდა. ეგვიპტის მიწაზე მცხოვრები ყველა ოჯახის უფროსი ვაჟი მოკვდებოდა გასამართლების იმ დამეს. ეს ენებოდა ყველას, ებრაელების ჩათვლით.

თუმცა ღმერთმა ამ სასჯელისგან თავის დაღწევის დეტალური ინსტრუქცია მისცა მოსეს. თუ ისინი ღვთის ინსტრუქციას რწმენით მიეყვებოდნენ, მაშინ მათი ვაჟები გადარჩებოდნენ. მათ სრულიად ჯანსაღი კრავი უნდა შეეწირათ და მისი სისხლი ეცხოთ კარის წირთხლზე. მათ უნდა ერწმუნათ, რომ ეს სისხლი დაიხსნიდათ მათ. თუ სისხლს კარის წირთხლს სცხებდნენ, მაშინ ღვთის მიერ გამოგზავნილი ანგელოზი "გვერდს აუვლიდა" მათ სახლებს და არაფერს ავნებდა მათ უფროს ვაჟებს. აი, როგორ მიიღო ამ დღესასწაულმა ეს სახელი.

დავფიქრდი ამაზე. ჯანსაღი კრავის სისხლის მეშვეობით შეიძლებოდა ღვთის სასამართლოსაგან თავის დაღწევა. შეუძლებელი იყო, შემშლოდა ან იგნორირება მომეხდინა ქრისტიანული დოქტრინის მნიშვნელოვან სიმბოლოზე, რომლის მიხედვითაც უცოდველი იესოს სიკვდილი და მისი სისხლი, რწმენით მიღების შემდეგ გაათავისუფლებს ხალხს ღვთის სასამართლოსგან.

იოანე ნათლისმცემლის ნათქვამი გამახსენდა, "აჰა, ღვთის კრავი, რომელმაც აიღო სოფლის ცოდვა!" (იოანე 1:29) ის ამოწმებდა იესოს საბოლოო მსხვერპლშეწირვაზე. თუ გამოსვლის დღესასწაულზე დაკლული კრავი გადაიხდიდა ქვეყნიერების ცოდვისათვის, მაშინ უნდა მეღიარებინა, რომ იესო იყო გამოსვლის დღესასწაულის კრავის ანალოგია. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგე, რომ იესო გამოსვლის

დღესასწაულის დღეს აცვეს ჯვარს. ეს კი ნამდვილად უცნაური დამთხვევა იყო.

კრიტიკა იბრძოდა და ამბობდა, რომ გამოსვლის კრავი არ იყო ცოდვების გამომსყიდველი. ისინი ამბობდნენ, რომ გამოსვლისათვის შესაწირი კრავი უნაკლო უნდა ყოფილიყო და აღნიშნავდნენ, რომ იესო სასტიკად სცემეს და გვემეს ჯვარცმისას.

მესმოდა მათი, მაგრამ არ ვეთანხმებოდი. ახალი აღთქმა ამტკიცებდა, რომ იესო უცოდველი იყო დედამიწაზე ცხოვრებისას. როგორც კრავი იყო "უცოდველი", ასევე ქრისტეც. სიკვდილის მეთოდს არანაირი კავშირი არ ჰქონდა მისი უცოდველობის სტატუსთან. ჩემში უარყოფით აზრს არ იწვევდა მისი ნაცემი და ნაგვემი სხეული. ანალოგიურ სიმართლეს შეესაბამებოდა მისი სიკვდილის სცენაც, რომლის მიხედვითაც ქრისტიანები დახსნილ იქნებიან ღვთის სასამართლოსგან.

გამოსვლის დღესასწაულის შესწავლისას აღმოვაჩინე, რომ ღმერთმა ებრაელებს კარის წირთხლზე სისხლის წასმის განსაკუთრებული ინსტრუქცია მისცა. კრავის სისხლი უნდა ჩაესხათ ავზში, ღია კართან. ეს ავზი იყო ორმოში, რომლის დანიშნულებაც იყო წვიმის წყლისაგან სახლის დაცვა. უსუპის კონა უნდა გამოეყენებინათ შესაღებად. უსუპის კონა უნდა ჩაედოთ სისხლიან ავზში და ჯერ კარის წირთხლზე წაეცხოთ და შემდეგ კარის ორივე ზედა მხარეს.

კინაღამ გული წამივიდა, როგორც კი გავაცნობიერე, რომ კარზე კრავის სისხლის ცხების პროცესი ჯვარს გამოსახავდა! ისინი ჯვარს გამოსახავდნენ უცოდველი კრავის სისხლით, რომლის სიკვდილმა და სისხლმაც დაიცვა ისინი ღვთის სასამართლოსგან! სურეალისტურად მომეჩვენა, როგორ იყო ეს დღესასწაული ებრაული ერის ისტორიაში ისე შესისხლბორცებული, რომ იესოს შობამდე 1,000 წლით ადრე ზეიმობდა ხალხი ამ დღეს?! გამოაცა ამ ფაქტმა "რამდენი სიმბოლო შეიძლება, აღმოაჩინოს აქ კიდევ კაცმა? რა სიგიჟეა!" ვთქვი ერთ დღეს ხმამაღლა ჩემს ოფისში.

აბრაამი და ისაკი

პირდალებული დამტოვა ჩემმა შემდეგმა აღმოჩენამ. დაბადების წიგნის ოცდამეორე თავში კაცს, სახელად აბრაამს, ებრძანა, რომ წაეყვანა თავისი ერთადერთი ძე მთაზე და მსხვერპლად შეეწირა ღმერთისთვის. ეს ვაჟი მამასთან ერთად წავიდა და საკუთარი ზურგით აიტანა მთაზე შეშა. იგი მამამისის ნებას ემორჩილებოდა. ამ მთას ერქვა მორია. სამი დღის მანძილზე აბრაამი თავის შვილს უკვე მკვდრად თვლიდა. ბოლო წუთებში კი ღმერთმა კრავი გამოაჩინა ისაკის ნაცვლად.

მცირეოდენი კვლევის შედეგად აღმოვაჩინე, რომ ეს ამბავი იმ ადგილებში ხდებოდა, სადაც იესო აცვეს ჯვარს, ადგილი, რომელიც ცნობილია გოლგოთის მთად. იესომაც სხვისი დახმარებით აზიდა ამ მთაზე ხის ჯვარი, როგორც ღვთის ძემ. იესოც მამამისის-ღმერთის ნებას ემორჩილებოდა, ისევე როგორც ისაკი აბრაამს. სამი დღის განმავლობაში

იესო მკვდარი და სხვების ნაცვლად შეწირული მსხვერპლი იყო.

კიდევ ერთი წაკითხული მუხლი გამახსენდა.

რამეთუ ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყნიერება, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე. (იოანე 3:16-17)

აბრამმა და ისაკმა დახსნისათვის ახალად აღმოჩენილი პირველსახის იმიტაცია განახორციელეს იმ ადგილას, სადაც 1400 წლის შემდეგ იესოს აცვამდნენ ჯვარს! შეიძლება ითქვას, რომ ეს სურათი სრულყოფილი არ არის, რადგან ისაკი არ მომკვდარა, მაგრამ სიკვდილის მონაცვლეობითი პრინციპი იგივეა და ღმერთმა კრავი გამოაჩინა ისაკის ნაცვლად. კრავი, რომელიც მართლა მოკვდა.

აქ მხოლოდ რამდენიმე საკითხს შევხვებით. განცვიფრებული დავრჩი, როცა აღმოვაჩინე, რომ ებრაელთა წერილში მრავალ ასეთ ანალოგიას აქვს ადგილი. ვეცადე, ისეთ რამეზე მეფიქრა, ასეთი შეუდარებელი სიმბოლო რომ ექნებოდა, მაგრამ ვერაფერს მივაგენი. იმედგაცრუებული და გახარებული ვიყავი ერთდროულად. თავს კუთხეში მიმწყვდეულად ვგრძნობდი.

ეს წინასწარმეტყველებები და სურათები გაურკვეველი კი არ იყო, არამედ აშკარა, ცხადი, ზუსტი და ალეგორიულად აღწერდა ისეთ ცხოვრებას, რომელიც იესო ქრისტეს შეეფერებოდა. შეუძლებელი იყო მოტივის შეთხზვა ან იმის ფიქრი, რომ ამ წინასწარმეტყველებებს გადახრა ახასიათებდათ. პირველ რიგში, ეს ყველაფერი მანამდე დაიწერა, ვიდრე ეს ამბავი მოხდებოდა და ამ ნაწერების იესო ქრისტეს შობამდე დათარიღებული ასლებიც არსებობდა. რადგან მრავალ ებრაელს არ სჯეროდა იესოსი, აქედან გამომდინარე ისინი არ ეცდებოდნენ, იესოსთვის მოერგოთ წინასწარმეტყველება. მათი ურწმუნოება იმის მტკიცე მოწმობაა, რომ მათი წერილი ზუსტად იყო დაცული.

შეუძლებელი იყო ფაქტების უარყოფა. როგორ შეიძლებოდა აბრაამსა და ისაკს იმავე ადგილას მოეწყობათ ეს ცერემონიალი და იმაში დაგედანაშაულებინა, რომ ეცოდნებოდათ, აქ რა მოხდებოდა ათასი წლის შემდეგ? წინასწარმეტყველებები და ფაქტები დაიწერა იესოს შობამდე მრავალი სხვადასხვა ავტორის მიერ ათასი წლის განმავლობაში, რომლებიც ერთმანეთს საერთოდ არ იცნობდნენ. იესოს მიერ შესრულებული სასწაული უბრალოდ მისი მცდელობის გარეშე ხდებოდა. მაგალითად, შეუძლებელი იყო დაბადების ადგილი თვითონ ამოერჩია.

მესიის უარყოფა

საკუთარ თავს ვკითხე, თუ მათი წერილის მიხედვით ფაქტები ასე აშკარა იყო, რატომ უარყვეს ებრაელებმა ქრისტე, როგორც მესია? პასუხი იყო არა, ყოველ შემთხვევაში ყველას არ უთქვამს უარი ქრისტეზე. უარყოფელები, ძირითადად, ებრაული რელიგიის წინამძღოლები იყვნენ. ისინი მოელოდნენ მეფეს, რომელიც დედამიწაზე იმეფებდა, ვინც

მათ რომის მმართველობისაგან გაათავისუფლებდა. დრო არ მქონდა, რომ ყველა დეტალი გამომეძია, მაგრამ აშკარა იყო, რომ ამ წინამძღოლებმა სწორად ვერ გაიგეს წინასწარმეტყველება, ისინი, ამასთან ერთად, უფრო ბილდებოდნენ საკუთარ ძალაუფლებასა და ხალხის კონტროლს, რასაც იესოს სწავლება ეწინააღმდეგებოდა.

ახალი აღთქმა ცხადად ამბობს, რომ მრავალმა ებრაელმა ირწმუნა იესო-მესია, რამდენიმე რელიგიური წინამძღოლის ჩათვლით. იესო დაკრძალულ იქნა იოსებ არიმათიელის, მაღალი რანგის რელიგიური წინამძღოლის მიერ. შემდეგი წინამძღოლი იყო ნიკოდემოსი, ვინც მორწმუნე გახდა. პირველი ეკლესია თითქმის სრულად ებრაელი მორწმუნეებისაგან შედგებოდა. აშკარა იყო, რომ ქრისტიანობა ებრაელებმა დაიწყეს.

მიმოხილვა

ძველი აღთქმის მოწმობამ უფრო დაამძიმა ჩემი გული და გონება. იესოს არა მხოლოდ შეეფერებოდა ზემოთაღნიშნული მესიის თვისებები, არამედ ისიც აღმოვაჩინე, რომ ჯვარცმის ქრისტიანული დოქტრინის საფუძვლები მიმოხილული იყო ებრაული რელიგიის პრაქტიკაში და მათ წერილში.

ვეცადე, გამერკვია შეცდომით ხომ არ მესმოდა ეს წინასწარმეტყველებები. იმას ხომ არ ვკითხულობდი, რაც არ ეწერა? სკეპტიკოსები მართლები ხომ არ იყვნენ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ქრისტიანები შემდეგ დაუბრუნდნენ ებრაულ წერილს ახალ აღთქმასთან მსგავსების მოძიების მიზნით? ყველაფერი ფრთხილად გადავსინჯე და უნდა ვაღიარო, რომ პასუხი იყო არა. ერთმა ფაქტმა კი მიიპყრო ჩემი ყურადღება. რატომ არის იმდენი რამ წერილში, რომ ნებისმიერ ბეჯით მკვლევარს შეუძლია იპოვოს ებრაულ წერილში იესოს ცხოვრებისათვის შესაფერისი მოვლენები? როგორ შევძლებ იმის ახსნას, რაც არც ისე ადვილია?

მინდოდა, გადაწყვეტილება მიმეღო და შემეწყვიტა ძიება ამისაგან თავის დაღწევის მიზნით. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს კინოში ვცხოვრობდი. უცნაური შეგრძნება იყო, შეხვედროდი ღვთის მოწმეს წიგნში, რომელიც ორი ათას წელს ითვლიდა, წიგნი, რომლისთვისაც არანაირი ფასი არ მიმინიჭებია მთელი ჩემი ცხოვრება და მისი მკითხველიც არავინ მინახავს. ნუთუ შეიძლება, რომ სიმართლე იყოს? როგორ? ლოგიკურად, თავს მოვალედ ვგრძნობდი დამეთმო დამაბუღოება, მაგრამ ჩემს მეორე მხარეს არ შეეძლო იმის წარმოდგენა, თუ რას ნიშნავდა ეს ჩემთვის, ჩემი ოჯახისა და იმ სამყაროსათვის, რომელშიც გავიზარდე.

ამას არ ვფიქრობდი მაშინ, როცა ჩემი ქრისტიანი მეზობლების წინააღმდეგ საბრძოლო მასალის მოსაპოვებლად დავიწყე მზადება. ახალსა და ძველ აღთქმას უამრავი ალაღმართალი მტკიცებულება ჰქონდა. თუ ღმერთს ვირწმუნებდი ამ დოკუმენტების მიხედვით, მაშინ მე თვითონ უნდა გამომეკვლია ისინი.

მეექვსე თავი

ძიების ფაზა 4:

ახალი აღთქმის ისტორიული მტკიცებულებები უნივერსიტეტის პროფესორები

გადავწყვიტე, ისტორიულად გამომეკვლია ახალი აღთქმის სიზუტე. დავიწყე ბიბლიის, როგორც ისტორიული დოკუმენტის მიკროსკოპით გამოძიება, რადგან ექიმი ვიყავი და მეცნიერული კვლევები პრაქტიკულად ჩამიტარებია. დადგა ემოციის გვერდზე გადადების დრო! იყო თუ არა ბიბლია ისტორიულად საიმედო დოკუმენტი? შეიძლებოდა თუ არა დამეჯერებინა ორი ათასი წლის წინათ დაწერილი ნაშრომისათვის? არის თუ არა ბიბლია დღეს იგივე, რაც დასაწყისში დაიწერა მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს მიერ? სინამდვილეში მათ დაწერეს, თუ არა ეს დოკუმენტი?

იმ დღეს მივიღე ერთი კომპანიის სარეკლამო შემოთავაზება, რომელიც კოლეჯის კურსებს ყიდდდა უნივერსიტეტის სამზადისისათვის. გაცემული დავრჩი, როცა საგნების სიაში ბიბლიის შესწავლის კურსიც დავინახე. მათ მხოლოდ ორი კურსი ჰქონდათ, მხოლოდ ახალი აღთქმის, ორი სხვადასხვა უნივერსიტეტიდან. ვფიქრობდი, უკეთესი იქნებოდა თუ არა, ამ ორი დიდი უნივერსიტეტის პროფესორების მოსმენით დამეწყო? ისინი თვინათ უნივერსიტეტებში განყოფილების უფროსები იყვნენ, მრავალი ხარისხისა და გამოცემების ავტორები. კარგად ნაცნობი იყო ჩემთვის მათი განათლების დონე და დარწმუნებული ვიყავი, რომ ნებისმიერ პროფესორს ეცოდინებოდა ახალი აღთქმის ფაქტები იმდენად საკმარისად, რომ სიმართლე ეთქვა.

აიპოვის მეშვეობით ვუსმენდი მათ ლექციებს და მალე დამეუფლა აბსოლუტური შეგრძნება, რომ მათ არ სჯეროდათ ახალ აღთქმაში ნამდვილი ისტორიული ფაქტების არსებობისა. რაც უფრო მეტს ვუსმენდი, მით მეტ დეპრესიაში ვვარდებოდი. იმედი მეკარგებოდა, რომ არსებობდა რაიმე ხელჩასაჭიდი ამ ქვეყანაზე აზრიანი ცხოვრებისა. თუმცა, ჩემი გონება საკუთარი განკარგულებით იყო შეზღუდული. ნაწილობრივ, შინაგანად ცუდად ვგრძნობდი თავს, მაშინ, როცა მეორე ნაწილი პარადოქსულად სიხარულს განიცდიდა. უცნაური ბრძოლა მიმდინარეობდა შინაგანად, რომლის გაკონტროლებაც არ შემიძლო.

ჩემს გონებას არ უნდოდა, აეღო იმ რწმენაზე პასუხისმგებლობა, რომლის მიხედვითაც მას ექნებოდა ჩემი ცხოვრების განკარგვის უფლება, მაშინ, როცა ჩემს გულს ანალოგიური პასუხები სურდა. ჩემს გულს წყუროდა საუკუნო ცხოვრება, მაგრამ ჩემი გონება აყოვნებდა მას საკუთარი მეთი გაჟღერებული ცხოვრებით. თუმცა, ჩემს გონებას გააჩნდა მძიმე ტვირთი: შიში. მეშინოდა ბიბლიური აბსოლუტური ჭეშმარიტების

ქვეტექსტისა, რადგან ისეთ კულტურაში ვიყავი გაზრდილი, რომელიც აბსოლუტური ჭეშმარიტების არ არსებობის აზრით ხარობდა.

ერთმა პროფესორმა თქვა, რომ იესოს შესახებ საკმარისი ისტორიული ფაქტები არ არსებობდა. ის დაჟინებით ირწმუნებოდა, რომ არც ერთი სახარება (მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე) არ დაწერილა თვითმნიშვნელების მიერ, არამედ იმ ხალხმა დაწერა, რომლებიც მოგვიანებით ცხოვრობდნენ, რომლებმაც ეს ისტორიები ხალხის ქრისტიანობაზე მოქცევის მიზნით გამოიგონეს. მან აღნიშნა, რომ ძველ ხელნაწერებში არ იყო ავტორების სახელები მოხსენიებული. სათაური "მათეს სახარება" იყო მოგვიანებით დამატებული, რაც თანამედროვე ბიბლიაში გაჩნდა.

გავაგრძელე მოსმენა და უფრო მეტი შეუსაბამოები მოვისმინე იესოს სიკვდილისა და აღდგომის ჩათვლით. მაგალითად, ლუკა აცხადებს, რომ ქალებმა ორი კაცი დაინახეს იესოს ცარიელ სამარხში, მათე ამბობდა, რომ იქ ერთი კაცი იყო და არა ორი. დაახლოებით ათი-თხუთმეტი ასეთი მაგალითი მოიყვანა პროფესორმა. თითოეული მათგანი თითქოს ჩაქუჩით მირტყამდა თავში.

ის იმასაც ამბობდა, რომ ისტორიკოსებს არც ადრეული ფაქტების და, მით უმეტეს, სასწაულების გამოცნობა არ შეეძლოთ. რის შედეგადაც, ისტორიკოსებს არ შეუძლიათ თქმა, რომ ესა თუ ის სასწაული მართლა მოხდა. ბიბლიური სასწაულები ღმერთს იწვევდა და მანაც ისე მოაგვარა, რომ ისტორიკოსებს არ შეეძლებოდათ მომხდარის გამოცნობა.

გეგონება, ვიღაცამ მცემა და ნოკაუტში ჩამავლო. თითქოს ახალი აღთქმის ისტორიული ფაქტების სარწმუნოებას ამცირებდა, თითქოს სასწაულები ისტორიის კვლევის საგანს არც კი წარმოადგენდა. გული დამიმწუხრდა, რადგან ძალიან მინდოდა, მიმეღო პასუხი ამ ქვეყნიერებაზე, სიკვდილისა და ევოლუციის უაზრობაზე, მაგრამ გული წინაღმდეგობით მქონდა სასვე.

გონება მეუბნებოდა, ამ პროფესორებმა იციან ჭეშმარიტება. მათ აქვთ ხარისხები, გამოცემები და ახალ აღთქმას წლების მანძილზე აკვირდებოდნენ. შეუძლებელია, რომ სცდებოდნენ იესოსა და ბიბლიის შესახებ. რა თქმა უნდა, ბიბლიის დამწერები გულწრფელნი იყვნენ და სჯეროდათ, რასაც სწერდნენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ყველაფერი მართლა მოხდა!

კვლავ ვაგრძელებდი მოსმენას! გადავწყვიტე სხვა პროფესორისთვისაც მომესმინა. ის ახალი აღთქმის გმირებს ისე წარმოგვიდგენდა, თითქოს რომანის გმირები იყვნენ, რაც უცნაურად მომეჩვენა. მათ ისე აღწერდნენ, როგორც სასიამოვნო ისტორიის გამოგონილ გმირებს, რომლებიც რელიგიურმა ხალხმა გამოიგონა. მათი ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდი მართალი იყო, მაგრამ უმეტესი მათგანი წლების განმავლობაში შეიცვალა. შინაგანად რაღაც არ ვეთანხმებოდი ამ პროფესორის აზრებს. ჩემი ემოციის ბრალი ხომ არ იყო ეს? – ვფიქრობდი. რა იცოდა, რა იყო მართალი და რა არა?

იმედგაცრუებისაგან მოსმენა შევწყვიტე და პირველ პროფესორს

დავუბრუნდი, სადაც გავჩერდი, იქედან გავაგრძელე. ახლა შევნიშნე, რომ ხანდახან სარკაზმული ტონი დაკრავდა მის საუბარს. მისი ხმის ტონი და მის მიერ წარმოდგენილი რამდენიმე განცხადება მეტყველებდა ამაზე. ვგრძნობდი, თითქოს ნაჯახით ხერხავდა რაღაცას, მაგრამ ვერ მივხვდი, რატომ. ძალიან შეუმჩნეველი იყო, მაგრამ მაინც შევნიშნე და განვცვიფრდი. გეგონება, დაფარული მოტივები ამოძრავებდა. აშკარად გადახრას ჰქონდა ადგილი. ისტორია უნდა ყოფილიყო ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ფაქტების წარმოდგენა ემოციისა და მიდრეკილებების გამოაშკარავების გარეშე.

შემდეგ ამ პროფესორმა გვასწავლა ერთ-ერთ მის ლექციაში, რომ იესო თავს ღმერთად არ აღიარებდა. რატომ უნდა ეთქვა პროფესორს ისეთი რამ, რაც არასწორი იყო და ადვილად შეიძლებოდა მისი დამტკიცება? და იმ მომენტში დავინახე დიდი წითელი დროშა. ჩემი გული ნოკაუტის ცემისაგან ძვრდა და სიხარულით წამოვიძახე, "ეს მართალი არ არის და ეს შენც იცი!" ჩემი გული გვიყვიროდა მეც და პროფესორსაც. ვიცოდი, რომ ეს სიმართლეს არ შეეფერებოდა და შეუძლებელი იყო პროფესორს სიმართლე გამოჰარვოდა. ბიბლიაში ცოტა ხნის წინათ წაკითხული ადგილი გამახსენდა.

"ჩემი მამა, რომელმაც მომცა ისინი, ყველაზე დიდია და არავის ძალუძს მათი გატაცება ჩემი მამის ხელიდან. მე და მამა ერთი ვართ." კვლავ აიღეს ებრაელებმა ქვები მის ჩასაქოლად. მიუგო მათ იესომ: "ბევრი კარგი საქმე გაჩვენეთ მამისაგან, რომელი ამ საქმეთაგანისთვის მქოლავთ?" მიუგეს მას ებრაელებმა: "კეთილი საქმისთვის კი არ გქოლავთ, არამედ ღმერთის გმობისთვის და იმისთვის, რომ კაცი ხარ და ღმერთად მოგაქვს თავი." (იოანე 10:29-33).

სავსებით მისაღები იყო თუ პროფესორს პიროვნულად არ სჯეროდა იესოს ღმერთობა, მაგრამ რატომ ამბობდა, რომ იესოს ასეთი განცხადება არასოდეს გაუკეთებიაო? რატომ არ ამბობდა სიმართლეს; დაე, ხალხს გადაეწყვიტა, როგორც სურდა?

ეს გასაღები ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რადგან ახლოს ვიყავი მისი ქადაგების მისაღებად. რაღაც ისე ვერ იყო, ალბათ მალულ მოტივს ჰქონდა ადგილი პროფესორის შემთხვევაში. გადავწყვიტე, რომ სხვაგან მომეძია ინფორმაცია. რამდენიმე მნიშვნელოვან შეკითხვას წავაწყდი, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ პასუხებს, მაგრამ მქონდა ამაზე პასუხები? დავგეგმე, რომ კვლავ დავუბრუნებოდი ამ საკითხს დაწვრილებითი დეტალების მოსაძიებლად.

ახალი მტკიცებულება, რომელიც მოითხოვს გაცხადებას

რა უნდა მეთქვა ჯომ მაკდაუელის დიდ წიგნზე, მტკიცებულება, რომელიც საჭიროებს განცხადებას? სადაც უკვე მრავალი კრიტიკული ინფორმაცია აღმოვაჩინე აღმდგარი იესოს შესახებ და მისი მეოთხედიც კი არ წამიკითხავს. დიდად არ მზიზღავდნენ ახალი აღთქმის სწავლულები

და მათი ნაშრომები. მინდოდა, გამეგო რა მტკიცებულებებზე ლაპარაკობდა მაკდაუელის წიგნი. ისტორიული ფაქტები და ანალიზის მოსმენა მინდოდა.

კიდევ უფრო მეტი მოვიძიე ინტერნეტში და აღმოვაჩინე, რომ შინაარსი, ძირითადი აზრი და დასკვნა დებატებს იმსახურებდა. მთელი ვებსაიტები ვნახე, რომლებიც ამ წიგნის თითქმის ყოველ ასპექტს ეწინააღმდეგებოდა. მრავალი კომენტატორი სიბრაზეს ვერ მალავდა, რამაც მათ მოტივებზე დამაფიქრა. გადავწყვიტე, კითხვა გამეგრძელებინა და ორივე მხარის არგუმენტებისათვის ნათელი გონებით შემეხედა.

შემდეგი მიმოხილვა არის ჯომ მაკდაუელის სასწავლო წიგნის ინტერნეტში არსებულ კრიტიკაზე.

ახალ აღთქმაში მართლა იყო აღწერილი ისტორიული ფაქტები, ამიტომ ისინიც უნდა მიგვეჩნია ისტორიის ნაწილად და წყაროდ.

როგორ აღიარებდნენ ისტორიულ დოკუმენტს ზუსტ ისტორიულ დოკუმენტად? გავიგე, რომ ამისათვის სამ კითხვას იყენებენ: ბიბლიოგრაფიული ტესტი, ტექსტში და ტექსტს გარეთ არსებული მტკიცებულების ტესტი.

ბიბლიოგრაფიული ტესტი

ახალი აღთქმის ორიგინალური ხელნაწერი უკვე აღარ არსებობს. დღემდე მხოლოდ ასლების ასლებია შემონახული. ბიბლიოგრაფიული ტესტი პასუხობს კითხვას "რამდენად სარწმუნოა ასლები?" პასუხი დამოკიდებულია ორ ინფორმაციაზე. 1. არსებული ასლების საერთო რაოდენობა. 2. ასლებსა და ორიგინალს შორის არსებული დროის სხვაობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ მათე ახ. წ. აღ-ის 60–იან წლებში წერდა და ყველაზე ადრეული პირი, რაც კი მოიპოვებოდა, იქნებოდა ჩვ. წ. აღ-ის 200 წლით დათარიღებული, მაშინ დროის ინტერვალი ყოფილა 140 წელი. ძველი ხელნაწერები უფრო საიმედო იქნებოდა, თუკი მრავალი ასლი იარსებებდა დროის მოკლე ინტერვალში. მრავალი ასლის ფლობა გვაძლევს შედარების შესაძლებლობებს, რომ დავაკვირდეთ, რამდენად განიცადა დროთა განმავლობაში ტექსტმა ცვლილება და რამდენად ზუსტად იწერებოდა იგი. რაც უფრო მოკლე დროშია ტექსტი გადაწერილი, მით უფრო ზუსტია იგი, დროის მატებასთან ერთად მატულობს შეცდომებიც.

გავოცდი, როცა გავიგე, რომ ახალი აღთქმა ისტორიულად დამტკიცებული წიგნია. ეს ფაქტი ამცირებს ნებისმიერ სხვა ლიტერატურას. არა მხოლოდ შედარებით მეტი ხელნაწერებია, ვიდრე სხვა ძველი ისტორიული ნაწერებისა, არამედ დროის მანძილი დედანსა და ასლს შორის ძალიან უმნიშვნელოა!

გავიგე, რომ 20 000 მეტი ახალი აღთქმის ხელნაწერი არსებობს. არ შემეძლო ამის დაჯერება-ოცი ათასი! ილიადას, მომდევნო საუკეთესო ძველ ლიტერატურას, აქვს მხოლოდ 643! ძველი ნაწერების უმეტესობას, რომლებიც აღიარებულია როგორც ისტორიული ფაქტები, დღეს არ აქვს ასი ხელნაწერიც კი! უფრო მეტიც, სხვა ნაწერების უმეტესობის ასლები

1,000 წლიანი ინტერვალით თარიღდება.

ახალი აღთქმის შემთხვევაში კი დედანსა და ასლს შორის დროის ინტერვალი 60 წელს მოიცავდა. ახლა მართლა გაოცებული დავრჩი. "რატომ არ არის ეს კარგად ცნობილი და გამოქვეყნებული ფაქტი? რატომ არ ისწავლება ეს სკოლაში?!" დავიყვირე ხმამაღლა ჩემს ოფისში. ეს დრო იმდენად ხელსაყრელად გამოიყურებოდა, რომ გეგონება თანამედროვე საზოგადოების განზრახ დათრგუნვას ცდილობენო.

ისიც გავიგე, რომ ახალი და ძველი აღთქმის წიგნების გადაწერის სიზუსტე დაცული იყო 99.5 პროცენტით. დიახ, არსებობდა გადაწერაში დაშვებული შეცდომები და შინაარსობრივი ცვლილებებიც, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ახდენდა გავლენას სიტყვის შინაარსზე. მათი უმრავლესობა არც კი შეიმჩნეოდა თარგმანში.

მაკდაუელის კრიტიკოსები აცხადებდნენ, რომ არ არსებობს ორიგინალური ხელნაწერის ნამდვილი ავტორი, ნამდვილი მწერლები უცნობები არიან და არსებობს სამასწლიანი სხვაობა სახარების პირველ ხელნაწერსა და რეალურად დაწერილს შორის. ისინი იმასაც აღნიშნავენ, რომ დროის მცირეოდენი სხვაობა გავლენას არ ახდენს ისტორიულ სამართლიანობაზე.

შემდეგი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა დიდი რაოდენობის ხელნაწერებისადმი იყო ტექსტში არსებული დამოუკიდებელი დამოწმებების ნაკლებობა, რადგან მრავალი ასლი უბრალოდ გადაწერილია ადრეული ხელნაწერებიდან.

ეს მნიშვნელოვანი შენიშვნები გულით მივიღე, მაგრამ ისტორიულ ჩანაწერებთან შედარებით ბიბლია უნდა მეღიარებინა ყველაზე აღმატებულად. მათი სტანდარტების მიხედვით, ძველ ისტორიულ კურსს არსებობა უნდა შეეწყვიტა.

წერილისეული მტკიცებულების შემოწმება

ჩემდა გასაოცრად, ბიბლიოგრაფიულმა ტესტმა დამიდასტურა, რომ დღეს არსებული ასლები გამოკვეთილად ახლოს დგას ახალი აღთქმის ავტორების მიერ შექმნილ ტექსტებთან. ისინი ძალიან კარგად იყო დაცული და ორი ათასი წლის შემდეგაც კი არ მოიცავდა გადამწერის გავლენას. ახლა ნამდვილად შემეძლო მერწმუნა, რომ ახალი აღთქმის შინაარსი ორიგინალური დოკუმენტის შინაარსს მოიცავდა.

თუ ჩემს მიერ წაკითხული ახალი აღთქმა კარგად იყო დაცული, მაშინ რამდენად საიმედო იყო მასში მოცემული ინფორმაცია? ეს შემდეგი კითხვა განსაზღვრავდა ისტორიული დოკუმენტების სარწმუნოობას. თუ ისტორიული ინფორმაცია არ არის სწორი და საიმედო, მაშინ მნიშვნელობა არა აქვს რამდენი ასლი გექნება და რამდენად კარგად იქნება იგი დაცული. კარგად დაცული ასლი უსარგებლოა, თუ მასში არსებული ინფორმაცია სარწმუნო არ არის.

ტექსტში არსებული მტკიცებულება განსაზღვრავს თვით ავტორების მიერ მტკიცებულების ანალიზს, ჭეშმარიტების თქმის უნარს,

ინფორმაციის მცდარად წარმოჩენის შესაძლებლობას და ნებისმიერ ტექსტში არსებულ ცდომილებებს, შეუსაბამობებს, ან ფაქტებს, რომლებიც უბრალოდ მცდარია მათ მიერ აღწერილ ინფორმაციაში. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი მოტივი არის არისტოტელეს გამოთქმა: "ეჭვის უპირატესობაა დედანის განხილვა და არა კრიტიკის მიღება."

1. შეცდომები, ცვლილებები და შეუსაბამობები

ბიბლიოგრაფიული ტესტი ამტკიცებდა, რომ ახალი აღთქმა კარგად იყო დაცული, მიუხედავად გადაწერისას დაშვებული უმნიშვნელო შეცდომებისა და სავარაუდოდ, რამდენიმე ცვლილებისა. თარგმანის შემდეგ ამ შეცდომათაგან უმრავლესობა აღარ შეიმჩნეოდა და შემორჩენილი შეცდომები კი არანაირ ცვლილებას არ ახდენდა წარმოდგენილ დოქტრინაზე. ამის შესახებ ძალიან ბევრს კამათობდნენ. თუმცა, ზოგიერთი საპატივსაცემო კრიტიკოსი აცხადებდა, რომ ზოგიერთი ცვლილება და დამატება იესოს საწინააღმდეგოდ მეტყველებდა. მრავალი მათგანი გავაანალიზე და ვერ დავეთანხმე ამ მოსაზრებას. თუნდაც ეს მუხლები დაემატებინათ, შეეცვალათ, ან წაეშალათ, ახალ აღთქმისეული დოქტრინა მაინც უცვლელი რჩებოდა, მრავალ სხვადასხვა ადგილზე წარმოდგენილი მსგავსი მოსაზრებების საფუძველზე.

რას ვიტყვით შეუსაბამობებზე? უნივერსიტეტის პროფესორი ერთი და იმავე ამბის ოთხივე სახარებაში სხვადასხვაგვარად წარმოდგენის შესახებ მიუთითებდა. თუ უამრავ შეუსაბამო და მდარ ამბებთან გვექნებოდა საქმე, მაშინ ახალი აღთქმა ამ გამოცდას ვერ გაუძლებდა. თუ არსებობს ხელმოსაკიდი მიზეზი, მაშინ ადვილად შეიძლება შეეპაროს ეჭვი ადამიანს არისტოტელეს აფორიზმის ჭეშმარიტებაში.

პროფესორის მიერ ნახსენები ყოველი ცდომილება სათითაოდ გამოვიკვლიე. მე თვითონ გავაანალიზე და სასწავლო სახელმძღვანელოც გამოვიყენე, რომელიც უშუალოდ ეხება ანალოგიურ ისტორიებს. გავვოცდი, როცა დავინახე, რომ მრავალ მათგანს მარტივი ახსნა ჰქონდა. ოთხი სხვადასხვა ადამიანი ერთსა და იმავე ისტორიას სხვადასხვაგვარად აღწერდა და ზოგი მათგანი რაღაც უმნიშვნელო დეტალს გამოტოვებდა, ზოგი კი არა.

მაგალითად, მათე ამბობს, რომ იესოს ცარიელ სამარხში შესულმა ქალებმა ერთი ანგელოზი დაინახეს. ლუკა კი ამბობს, რომ "ბრწყინავ სამოსელში" შემოსილი ორი კაცი იხილესო. რომელია სწორი, ორი კაცი თუ ერთი ანგელოზი? მალევე მივხვდი, რომ შეიძლება ორივე ვარიანტი დასაშვები ყოფილიყო. ბრწყინვალე ტანისამოსში გამოწყობილი ორი ანგელოზი იყო იესოს ცარიელ სამარხთან. ლუკა ამჯობინებს, რომ არ ახსენოს სიტყვა ანგელოზი, თუმცა იგი "ბრწყინვალე სამოსის" ფაქტს აღწერს.

მათემ უბრალოდ სიტყვა ანგელოზზე გაამახვილა ყურადღება. მას არ უხსენებია, რომ მხოლოდ ერთი ანგელოზი იყო იქ.

ისიც აღმოვაჩინე, რომ არც ერთი ეს ცდომილება არ წარმოადგენდა

თხრობის მთავარ თემას, არამედ დეტალს. ახლა ცხადი იყო, რომ უნივერსიტეტის პროფესორი ისტორიის ცალ მხარეს წარმოგვიდგენდა. მან უმნიშვნელო დეტალები თხრობის მნიშვნელოვან გეგმაში მოაქცია და ყოველგვარი ახსნის გარეშე ამით თხრობის მთავარი თემა დააყენა. ისე რომ, გეგონება ახალი აღთქმის საწინააღმდეგო მასალას ეძებსო. რატომ უნდა გაეკეთებინა ასეთი რამ? თუ ადამიანი ვერ შეძლებდა საკუთარი კვლევების წარმოებას, მაშინ პროფესორის ნათქვამი უნდა ერწმუნა.

საიმონ გრინლიფი იყო ცნობილი პროფესორი, ჰარვარდის იურიდიული სკოლის პროფესორი, მან დაწერა წიგნი, რომელშიც აღწერა სასამართლო სისტემაში არსებული კანონების გამოყენებით გამოცდილი ოთხივე სახარების საიმედოობა. იესოს ოთხივე ბიოგრაფიის შეუსაბამოების შესწავლის შემდეგ, იგი ამბობს:

საკმარისი შეუსაბამობებია იმისათვის, რათა დაამტკიცო, რომ აქამდე არანაირი შეთანხმება არ არსებობდა მათ შორის; და ამავდროულად ისეთი შეთანხმება, რათა გვაჩვენოს, რომ ყველა მათგანი დამოუკიდებელი მწერალი იყო ერთი და იმავე ისტორიისა.

სინამდვილეში შეუსაბამოები ავსებდნენ სხვადასხვა ავტორის მონათხრობს და ადვილად გასაგებს ხდიდნენ მათ. ის ამბობდა, რომ თუ ოთხივე სახარება დეტალურად ერთმანეთის მსგავსი იქნებოდა, მაშინ მას გააკრიტიკებდნენ და გადაწერაში დასდებდნენ ბრალს.

უნივერსიტეტის პროფესორის მიერ ოთხ სახარებაში არსებული ცდომილებების და მათ სინამდვილეში ეჭვის შეტანის დამტკიცების მცდელობა სიმართლეს არ შეესაბამებოდა. გულწრფელად, რომ ვთქვა, მე ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავდი ტექსტში არსებულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით.

შემდეგი განსახილველი საკითხი იყო თვით ახალი აღთქმის ავტორების მიერ სიმართლის თქმის უნარიანობა ან მათ მიერ ინფორმაციის გაყალბების შესაძლებლობები.

2. ოთხი სახარების ავტორები

ისტორიული დოკუმენტის პირველი შემქმნელები ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ჰქონდათ თუ არა მათ სიმართლის თქმის შესაძლებლობა? რამდენად ახლოს იყვნენ ისინი მათ მიერ აღწერილი ფაქტების მიმდინარეობასთან? ამ შემთხვევაში, თვითმხილველების მოწმობა საუკეთესოა. ისტორიულად, ეს არის ფაქტთან ყველაზე ახლოს მისვლის გზა და ამიტომ არის იგი მის კანონიერ ფაქტად აღიარების საუკეთესო ვარიანტი.

ახალი აღთქმის კრიტიკულ კითხვას წარმოადგენს შემდეგი "არის თუ არა ოთხივე სახარება თვითმხილველების დამოწმება?" ახალი აღთქმა თავის თავზე ამოწმებს, რომ იგი დაწერილ იქნა თვითმხილველების ან ლუკასნაირი ადამიანების მიერ, რომლებმაც პირადად გამოიკვლიეს თვითმხილველებისაგან, მაგრამ უნივერსიტეტის პროფესორს ამ

აზრის საწინააღმდეგო არგუმენტებიც მოჰყავდა. მინდოდა, დამედგინა "ეყრდნობოდნენ თუ არა ახალი აღთქმის მწერლები საკუთარ რწმენას? ტყუილი ხომ არ გვითხრეს იესოს ბიოგრაფიის შესახებ, მათ მიერ შექმნილი ახალი რელიგიისთვის მიმდევრების შეძენის მიზნით?" თუ მათი მონათხრობი შეთხზული იყო და რელიგიური ადამიანების მიერ დოქტრინალურად რედაქტირებული, მაშინ მნიშვნელობა არ ჰქონდა იმ ფაქტს, თუ რამდენი ასლი იყო დაცული, რამდენად კარგად იყო თითოეული მათგანი შემონახული და არც იმას, თუ რამდენად თანმიმდევრული იყო ყოველი სახარება.

ეს კრიტიკული ინფორმაცია იყო ჩემთვის. ისეთ წერილს განვიხილავდი, სადაც ვიღაც ამტკიცებდა, რომ ღმერთი არსებობდა და მარადიულობის შესახებ პასუხს ფლობდა. ამდენად დარწმუნებული უნდა ვყოფილიყავი, რომ შეიძლებოდა მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს ნდობა, როგორც ჭეშმარიტი და ზუსტი მწერლებისა. უნივერსიტეტის პროფესორმა აღნიშნა, რომ არც ერთი სახარება არ შეიცავდა ავტორის სახელს. ის ამტკიცებდა, რომ ეს ფაქტი მოგვიანებით იქნა დამატებული. რა მტკიცებულებები თუ წინააღმდეგობები არსებობდა სახარებაში მათი ავტორობის შესახებ?

პირველი ეკლესიის მტკიცებულებები

გავიგე, რომ პირველმა ეკლესიამ დაადასტურა და დოკუმენტურად შეინახა ამ ადამიანების ავტორობის ფაქტი. ეს არ იყო უბრალო მტკიცებულება, არამედ დოკუმენტი. რამდენიმე ადამიანი აღნიშნავს თავის ნაწერებში ახალი აღთქმის ავტორების შესახებ. ესენი იყვნენ ქრისტიანი ავტორები, მიუხედავად ამისა შეიძლება სიყალბეს მაინც ჰქონოდა ადგილი.

საინტერესო ფაქტს წავაწყდი, თურმე პირველი ქრისტიანები, წერილშიც რომ ყოფილიყო მტკიცებულება, რომ თვით ქრისტი იყო ამ წერილის დამწერი, მაინც არ აღიარებდნენ მას, როგორც წერილს. საინტერესოა, რომ მტკიცებულების თანახმად ადრეული ეკლესია იმ ნაწერებსაც უარყოფდა, სადაც მოციქულების სახელები იყო ნახსენები, რადგან ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს მათი ნაშრომი არ იყო.

გარკვეული ირონიაა. ეკლესიამ აღიარა მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს ოთხივე სახარება, რომელშიაც მათი სახელები არ იყო და არ აღიარა "სახარება" სადაც მათი სახელებია ნახსენები. ჩემთვის ეს იყო იმის მტკიცე მოწმობა, რომ ისინი ძალიან ფრთხილად ეკიდებოდნენ სახარების ავტორიზაციის საქმეს. სიყალბე მაინც შესაძლებელი იყო, მაგრამ ამ ფაქტების შემდეგ უკეთესად ვგრძნობდი თავს.

ისიც აღმოვაჩინე, რომ ისტორიაში არაფერი იყო ამის საწინააღმდეგო. არ არსებობდა სახარების ავტორების ვინაობის საწინააღმდეგო ვერსია. ამ დროის განმავლობაში არავის არ დაუყენებია მათი ავტორობის საკითხი ეჭვის ქვეშ. მას შემდეგ რაც ქრისტიანობა ამდენ წინააღმდეგობას განიცდიდა და ამდენი მოწინააღმდეგენი ჰყავდა, უცნაურად მომეჩვენა

ის ფაქტი, რომ სახარების ავტორებისა და მათი ლეგიტიმურობის შესახებ არანაირი პრობლემა არ არსებობდა.

თუ მათემ, მარკოზმა, ლუკამ და იოანემ არ დაწერეს ეს სახარებები, მაშინ შეთქმულებს ცუდად წარუმართავთ საქმე და არასწორი ავტორები დაუსახელებიათ. მათე, გადასახადების ამკრეფი, მრავალ ადამიანს უნდა სძულებოდა, რადგან გადასახადის ამკრეფები თანამოძმე ებრაელებსაც კი სძულდათ. მარკოზი იყო პეტრეს მოწაფე, ვინც სავარაუდოდ პეტრეს მონათხრობი აღწერა იესოს ცხოვრების შესახებ. რატომ არ ამოირჩიეს იესოს მიმდევრებმა პეტრე, რომლის სახელიც საყოველთაოდ ცნობილი იყო, თუ ისინი სახარების გამოძერწვას აპირებდნენ, რატომ არ უნდა გამოეყენებინათ სახელი იმავე დოკუმენტში? ეს იქნებოდა აშკარა მოტივი და მეთოდი საქმის უკეთესად შესათხზველად.

თვითმხილველების დამოწმება

აქამდე ჯერ ვერ მივაგენი ისეთ მიზეზს, რის გამოც შეიძლებოდა სახარების ავტორთა უგულებელყოფა. ისტორიაში საკმაოდ მტკიცებულება იყო იმისათვის, რომ ეს ადამიანები ნამდვილად იყვნენ სახარების ავტორები და არაფერი მოიპოვებოდა მათ საწინააღმდეგოდ ხელმოსაკიდი. არსებობდა ნაწერები, სადაც თვითმარქვია ავტორების კვალი აშკარად იგრძნობოდა. ავტორები, ლუკა და იოანე აცხადებენ, რომ საკუთარი თვალთი იხილეს ყოველივე ან თვითმხილველებისაგან მოისმინეს დამოწმება. მაგალითად, იოანეს სახარების ავტორი აცხადებს, რომ საკუთარი თვალთი იხილა მომხდარი.

ბევრი სხვა ნიშანიც მოიმოქმედა იესომ მოწაფეების წინაშე, რაც ამ წიგნში არ დაწერილა. ეს კი დაიწერა, რათა ირწმუნოთ, რომ იესო არის ქრისტე, ძე ღვთისა, და რათა მორწმუნეებს გქონდეთ სიცოცხლე მისი სახელით. (იოანე 20:30-31).

იოანე ერთ-ერთ წერილში ამბობს, რომ იგი მონაწილე იყო ახალი აღთქმისა.

იმაზე რაც იყო დასაბამიდან, რაც მოგვისმენია და ჩვენი თვალთი გვინახავს, რასაც ჩავკვირებოვართ და ჩვენს ხელებს მოუსინჯავს, სიცოცხლის სიტყვაზე, რადგან სიცოცხლე გამოჩნდა და ჩვენ ვიხილეთ და ვმოწმობთ და გაუწყებთ თქვენ ამ საუკუნო სიცოცხლეს, რომელიც იყო მამასთან და გამოგვეცხადა ჩვენ. იმაზე, რაც გვინახავს და მოგვისმენია, გაუწყებთ, რათა თქვენც გქონდეთ თანაზიარება ჩვენთან, ხოლო ჩვენი მოზიარეობა არის მამასთან და მის ძესთან, იესო ქრისტესთან. ამას გწერთ, რომ სრულყოფილი იყოს თქვენი სიხარული. (1 იოანე 1:1-4).

ავტორი ლუკა თხრობის დასაწყისშივე ამბობს, რომ იგი თვითმხილველების მონათხრობს და მათ სიტყვას პირადად უცხადებს ნდობას.

რაკი უკვე ბევრმა მიჰყო ხელი ჩვენს შორის აღსრულებულ ამბავთა თანმიმდევრულ აღწერას, როგორც გადმოგვცეს,

თავიდანვე თვითმხილველებმა და სიტყვის მსახურებმა, მეც მივიჩნიე, რომ მას შემდეგ, რაც გულდასმით გამოვიკვლიე ყოველივე თავიდან, თანმიმდევრულად აგიწერო, ღირსეულო თეოფილე, რომ შეიცნო იმ მოძღვრების ჭეშმარიტება, რომელიც გისწავლია. (ლუკა 1:1-4)

სინამდვილეში ეს სიტყვები არ საუბრობს ნამდვილი ავტორის შესახებ, მაგრამ ამის დადგენა ადვილი იქნებოდა იმ დროს, როცა ეს წერილი დაიწერა. თუ იესომ მართლა მოახდინა ყველა ის სასწაული ისრაელში, რაც ახალ აღთქმაშია აღწერილი, ავადმყოფები განიკურნენ და ხალხმა მისი მსახურება იხილა; ეს იქნებოდა ადამიანთა მოდგმის ყველაზე დიდი სასწაული.

თუ ეს ყველაფერი მოგონილი და ტყუილი იყო, ლუკას განცხადება სისულელე იქნებოდა, პირველი ეკლესია ამით არ დაკმაყოფილდებოდა, რადგან მაშინ ეკლესია დიდ წინააღმდეგობას განიცდიდა. მკურნალმა ლუკამ მართლა იმოგზაურა პავლესთან და რა თქმა უნდა, შეეძლო ისრაელში მოგზაურობისას საქმის ჯეროვნად გამოძიება. ლუკა იმასაც ამბობს, რომ მრავალმა ადამიანმა დაწერა ამბავი იესოს ცხოვრების შესახებ. ეს იმას გულისხმობს, რომ როცა ის კვლევას ატარებდა, უამრავი მასალა ჰქონდა გამოსაძიებლად. ეს იყო თვითმხილველთა ჩანაწერები, რომელთა ავტორებიც იქნებოდნენ მოწაფეები და იესოს სასწაულების თვითმხილველები. თუ იესომ მართლა მოახდინა სასწაულები და მართლა ღმერთი იყო, მაშინ ადამიანებს გაუჩნდებოდათ მომხდარის ჩაწერის სურვილი. ჩემთვის ადვილი წარმოსადგენია, რადგან იქ რომ ვყოფილიყავი, მეც იგივეს კეთების სურვილი დამებადებოდა.

ლუკას სამედიცინო ენა

თუ ლუკამ მართლა დაწერა ეს სახარება და საქმეების წიგნი, რასაც ქრისტიანები ამტკიცებენ, მაშინ ადამიანი მართლა შეიძლება მოელოდეს მისგან სამედიცინო ტერმინოლოგიის გამოყენებას. რადგან მეც ექიმი ვარ, დავეთანხმები, რომ ექიმებს ძალიან გვიყვარს სამედიცინო ტერმინების გამოყენება, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც კი. აღმოვაჩინე, რომ 1882 წელს კაცმა, სახელად უილიამ კირკ ჰობარტმა, დაწერა წიგნი, წმინდა ლუკას სამედიცინო ტერმინოლოგია. ის გვიჩვენებს, რომ ლუკას სახარებასა და საქმეების წიგნში იმდენი სამედიცინო ტერმინოლოგიაა გამოყენებული, რამდენიც არსად მთელს ახალ აღთქმაში.

ლუკას სახარების პირველი თავის მეორე მუხლში ლუკა იყენებს ბერძნულ სიტყვას "აუტოპტეს", – რაც თარგმანით ნიშნავს "თვითმხილველს." ეს იყო სამედიცინო ტერმინი, რომელიც ლაპარაკობდა ადამიანის მიერ საკუთარი თვალთი მომხდარის დაკვირვების გამოხატვაზე. ჩვენეული სიტყვა აუტოპსი ამ ბერძნული სიტყვიდან მომდინარეობს. ლუკას სახარება და საქმეების წიგნი სავსეა ანალოგიური სიტყვებით, რაც სხვაგან არსად არ არის გამოყენებული ახალ აღთქმაში. ეს სამედიცინო ტერმინები მხოლოდ ამ ორ წიგნში გვხვდება.

ჩემთვის ეს იმას არ ამტკიცებდა, რომ ეს ორი წიგნი ლუკამ დაწერა, მაგრამ იმას კი მიდასტურებდა, რომ მის ავტორს კარგად ესმოდა მედიცინა. შემთხვევითობის შესაძლებლობა ძალიან მინიმალური იყო. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი ახალ აღთქმისეული ინფორმაცია. მოგვიანებით გადამწერი თუ ამბის შემთხვევითი ამის გაკეთებას ვერ შეძლებდა.

3. იესო-ლეგენდა თუ ახალი რელიგიის დამფუძნებელი?

ვერანაირ მტკიცებულებას ვერ მივაკვლიე, რომელიც დაადასტურებდა, რომ სახარება არ იყო დაწერილი მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს მიერ. ფაქტები, პირიქით, იმაზე მეტყველებდნენ, რომ სახარებები მათ მიერ დაიწერა. შემდეგი ძიების საგანი იყო ოთხივე სახარების შინაარსის სისწორე. გამოიგონა თუ არა ოთხივე სახარების ავტორმა აღდგომისა და ქრისტიანობის დოქტრინა? იყო თუ არა იესო ლეგენდებისა და რელიგიური ადამიანების მიერ თაობიდან თაობებს გადაცემული ისტორიების შედეგი, ისე როგორც უნივერსიტეტის პროფესორი ამტკიცებდა? ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ავტორები და მათი მოწმეები რაც არ უნდა მართალი თვითმხილველები ყოფილიყვნენ, სახარება თავს ვერ გაართმევდა ტექსტის სამართლიანობას, ავტორების მიერ ინფორმაციის დამახინჯების შემთხვევაში.

მას შემდეგ, რაც მათე, მარკოზი და ლუკა ცოცხალი მოწმეების ეპოქაში წერდნენ, ქრისტიანობის განადგურების მსურველი მოწმეების ჩათვლით, მაკდაუელი და სხვები დაობდნენ, რომ შეუძლებელი იყო ვინმეს ადვილად მოეხერხებინა ამ საკითხთან დაკავშირებით ტყუილების გავრცელება. ქრისტიანობის მოწინააღმდეგეები ადვილად შეძლებდნენ მის წინააღმდეგ წასვლას და სახარებაში ჩაწერილი მცდარი ინფორმაციის გამოაშკარავებას. ისრაელში ამ სასწაულების მხილველი და ამ სწავლების მსმენელი მრავალი ადამიანი დაადასტურებდა დაწერილის სიცრუეს.

მოველოდი, რომ წავაწყდებოდი ქრისტიანობის მოწინააღმდეგეების მიერ იესოს მოციქულების საფუძვლიან გამოწვევას, მაგრამ უშედეგოდ! არანაირ წინააღმდეგობას არ ჰქონია ადგილი სახარების ავტორებისა და მათი შინაარსის თაობაზე. აქ ისტორია დუმდა. ეს გამაოგნებელი ფაქტი იყო ჩემთვის, რადგან ოთხივე სახარება წერდა იესოს სასწაულებისა და აღდგომის შესახებ. ეს არ იყო ნორმალური, ყოველდღიური ისტორიული მოვლენა. ადამიანი ბუნებრივად მოელის ასეთ შემთხვევაში საზოგადოების გარკვეული ნაწილისაგან წინააღმდეგობას.

თუმცა, მოციქულებმა უფრო შორს გადადგეს ნაბიჯი. ისინი მომავალ თაობასაც ამცნობენ ჭეშმარიტების შესახებ.

"ისრაელიანო კაცნო, ისმინეთ ეს სიტყვები: იესო ნაზარეტელი, კაცი, ღმერთისაგან დამოწმებული თქვენთვის ძალებით, სასწაულებითა და ნიშნებით, რომლებიც ღმერთმა მოახდინა მის მიერ თქვენს შორის, როგორც თავადვე იცით." (საქ. 2:22).

უნდა მეღიარებინა, რომ ახალ აღთქმაში მოხსენიებულია, რომ ებრაული რელიგიის წინამძღოლებმა საკუთარი თვალთი იხილეს იესოს სასწაულები. მათ დაკითხეს დაბადებიდან ბრმა ადამიანი, რომელსაც თვალი აეხილა. მათ მისი მშობლებიც დაკითხეს იმის დასამოწმებლად, რომ ეს ყრმა ბრმადაშობილი იყო. იოანეს სახარებაში, მათ უნდოდათ ლაზარეს მოკვლა მისი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, რადგან მისი აღდგომის გამო მრავალმა ებრაელმა ირწმუნა იესო. საქმეების წიგნში, საპყარი კაცი განკურნებულ იქნა ტაძარში პეტრესა და იოანეს მიერ. რის გამოც ისინი რელიგიურმა წინამძღოლებმა საპყრობილეში ჩააგდეს. აი, რა თქვეს რელიგიურმა წინამძღოლებმა:

როდესაც დაინახეს პეტრესა და იოანეს ასეთი სიმტკიცე და მიხვდნენ, რომ ისინი უწიგნური და უბრალო ადამიანები არიან, გაუკვირდათ. იცოდნენ კი, რომ ისინი იესოსთან ნამყოფები იყვნენ. ხოლო მათთან მდგომ განკურნებულ კაცს რომ ზედავდნენ, სათქმელი აღარაფერი ჰქონდათ. უბრძანეს მათ სინედრიონიდან გასვლა და ერთმანეთში დაიწყეს თათბირი. თქვეს: "რა ვუყოთ ამ ადამიანებს? მათ მიერ, რომ მოხდა ეს ცხადი სასწაული, ცნობილია იერუსალიმის ყოველი მკვიდრისთვის და ამის უარყოფა არ შეგვიძლია." (საქ. 4:13-16).

ასეთ განცხადებას მყისვე შეეწინააღმდეგებოდნენ და ადვილად არავინ დაიჯერებდა, გამოგონილი რომ ყოფილიყო. ებრაელი რელიგიური წინამძღოლები მაშინვე იტყოდნენ, რომ ეს არ მომხდარა, მაგრამ ეს არ უთქვამთ. უნდა ვაღიარო, რომ მათი სიჩუმე ძალიან დამაინტრიგებლად მომეჩვენა. მივხვდი, რომ თუ მათ მართლა იხილეს იესოს სასწაულები, მაშინ ეს იქნებოდა მათი სიჩუმის პასუხი. ამის შესახებ არ მიფიქრია ბიბლიის კითხვისას, მხოლოდ ჯომ მაკდაუელის მიერ მისი დღის სინათლეზე გამოტანის შემდეგ დავფიქრდი. ეს იყო მტკიცე საბუთი იმისა, რომ სახარება არ შეიცავდა მცდარ ან გაზვიადებულ ინფორმაციას, მაგრამ უფრო მეტი მინდოდა.

აზრს ვერ ვხედავდი იმაში, რომ პირველმა ქრისტიანებმა მოიგონეს აღდგომის იდეა. რა სარგებლისა და მიზნის გამო? რა მოტივით? მათი საკუთარი დოქტრინა მოითხოვდა, რომ აღდგომა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო.

მოციქული პავლე აცხადებდა, რომ თუ ქრისტე არ აღმდგარა, მაშინ ქრისტიანობა უსარგებლო იყო.

მკვდრეთით აღდგომა თუ არ არის, მაშინ ქრისტეც არ აღმდგარა. ხოლო ქრისტე თუ არ აღდგა, ჩვენი ქადაგებაც ფუჭია და ფუჭია თქვენი რწმენაც. მაშინ ჩვენ ღმერთის ცრუმოწმენი ვიქნებოდით, რადგან ვამოწმებთ ღმერთზე, რომ მან აღადგინა ქრისტე, რომელიც, გამოდის, არ აღუდგენია, თუ მართლაც არ აღდგებიან მკვდრები. რადგან, თუ მკვდრები არ აღდგებიან, არც ქრისტე აღმდგარა. ხოლო თუ ქრისტე არ აღდგა, თქვენი რწმენა ფუჭია და კვლავ თქვენს ცოდვებში ხართ. მაშინ

ისინი დაღუპულან, რომელთაც ქრისტეში განისვენეს. და თუ ჩვენ მხოლოდ ამ ცხოვრებაში გვაქვს ქრისტეს იმედი, ყველა ადამიანზე საცოდავნი ვყოფილვართ. მაგრამ ქრისტე აღდგა მკვდრეთით, განსვენებულთაგან პირველი. (1 კორ. 15:13-20).

პავლე სხვების მიერ არ მოქცეულა ქრისტიანობაზე და უბრალოდ არ ურწმუნია იესოს აღდგომა ტრადიციებსა და გაგონილზე დაყრდნობით. პავლე ამტკიცებდა, რომ მან პირადად ნახა აღმდგარი ქრისტე. არ შემდეგო, არ მეფიქრა, რატომ უნდა მოეგონებინა ქრისტეს აღდგომა და შემდეგ განეცხადებინა, რომ ქრისტიანობა აღდგომის გარეშე არარაობააო, თუკი აღდგომა არ მომხდარა?

რადაც სხვა ფაქტმაც დამაფიქრა. პირველ ქრისტიანულ ეკლესიას რამდენიმე წელი არ ჰქონია ახალი აღთქმა, ისე როგორც ჩვენ. მათი "ბიბლია" იყო ძველი ბერძნული წერილი, რომელსაც ისინი აქამდეც კითხულობდნენ. ახალი აღთქმა ამბობს, რომ მრავალმა ირწმუნა იესო, ებრაულ წერილში არსებული მესიის შესახებ წინასწარმეტყველების გამო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მრავალი ადამიანი მოექცა სახარების კითხვის, შესწავლისა და ანალიზის გარეშე. ამ ადამიანებს იესოს შესახებ ებრაული წერილიდან უმოწმებდნენ.

პირველი თაობის რწმენაზე მოქცევისათვის დამარწმუნებელი არგუმენტი და ლეგიტიმურობა იყო ძველი ებრაული წერილი. უკვე მე თვითონ ვნახე, თუ როგორ აღსრულდა მესიაზე წინასწარმეტყველება იესოში. ისინი სიძლიერით გამოიჩინოდნენ, რადგან ახალი აღთქმის ამბებისაგან დამოუკიდებლად არსებობდნენ დაახლოებით ოთხასი წლით ადრე. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის პროფესორის განცხადებას იმის თაობაზე, რომ ქრისტიანული დოქტრინა რელიგიური ხალხის მიერ მრავალი წლის განმავლობაში შეთხზული მითებისა და ლეგენდების შედეგი იყო.

თუ ქრისტიანული დოქტრინა რელიგიური ხალხის მიერ მრავალი წლის მოგვიანებით იქნა გამოგონილი, მაშინ როგორ შეიძლება ავხსნათ ის ფაქტი, რომ იგივე დოქტრინა ნაწინასწარმეტყველები იყო ებრაელთა წერილში? სრულიად სხვა საქმე იქნებოდა, გამოწმენდილზე რომ განეცხადებინა ხალხს, რომ ღმერთი ესტუმრა დედამიწას, მოკვდა ჩვენი ცოდვებისათვის და შემდეგ მკვდრეთით აღდგა. უფრო დავუჭვდებოდი იმ მოულოდნელი რელიგიით, რომელსაც არანაირი საფუძველი ან პირობა არ ჰქონდა.

რაც ვისწავლე და რაშიც დავრწმუნდი, ის იყო, რომ ქრისტიანობას ადვილად შეეძლო თავისი საწყისებისა და ფესვების ძველ ებრაულ წერილში მოძიება, რადგან იესო ზუსტად შეეფერებოდა მესიას. ცოდვის შესაწირავის მაგალითებიც კი მოიძებნებოდა ებრაულ წერილში. სრულ სიყალბეს შეეფერებოდა ნათქვამი, რომ იესო მრავალი წლის მანძილზე შექმნილი მითი ან ლეგენდა იყო.

ახალი აღთქმა ამბობს, რომ ყოველივე ეს მომდინარეობს ძველ ბერძნული წერილის წინასწარმეტყველებებიდან და იქ აღწერილი

სურათებში იხილავთ ამ ყოველივეს. მათ იხილეს გამოცხადება, რაც ნაწინასწარმეტყველები იყო აღსრულებამდე ოთხასი წლით ადრე. ის ფაქტი რომ დღეს შემეძლო დამედასტურებინა ამ წინასწარმეტყველებების სინამდვილე, ლეგიტიმურობა და მისი უნიკალურად აღსრულების ფაქტი, აბათილებდა წლების მანძილზე შექმნილი მითის ან ლეგენდის თეორიას. შეუძლებელია თქვა, რომ რაღაც მრავალი წლის შემდეგ შეიქმნა, როცა ძირითადი ამბავი და დოქტრინა, რომელსაც აკრიტიკებ, ნაწინასწარმეტყველები და დაწერილი იყო მის აღსრულებამდე ოთხასი წლის ადრე.

ჩემთვის ძალიან ცხადი გახდა, რომ პროფესორები შეგნებულად არიდებდნენ თავს ამ საკითხზე მსჯელობას. ისე იქცეოდნენ, თითქოს ეს ამბები და დოქტრინა იესოს სიკვდილის შემდეგ მოულოდნელად გამოჩნდა და ყოველგვარი საფუძვლის გარეშე აკეთებდნენ განცხადებას. ჩემთვის აშკარა იყო, რომ შეუძლებელია ახალი აღთქმის ძველი აღთქმისაგან იზოლირება, მაშინ როცა ახალი აღთქმა ამტკიცებს, რომ იგი მთლიანად დამოკიდებულია ძველი აღთქმის შესრულებაზე. ეს პროფესორები უარყოფდნენ ებრაული წერილის მტკიცებულებებს.

რადგან თავიდანვე გადმოგვცით ის, რაც მე თავად მივიღე, რომ ქრისტე მოკვდა ჩვენი ცოდვებისათვის, როგორც წერილებშია, რომ დაიმარხა და აღდგა მესამე დღეს, როგორც წერილებშია. (1 კორ. 15:3-4)

პირველი ქრისტიანები აცხადებდნენ, რომ იესო ქრისტეს სიკვდილი და აღდგომა ზდებოდა "წერილის მიხედვით." ისიც გავიგე, რომ პავლე ყოველთვის სარგებლობდა და მიმართავდა ძველ ებრაულ წერილს, როცა ვინმეს იესოს შესახებ უამბობდა. ახალ აღთქმაში პავლემ დაწერა რომაელთა წერილი, რომელზეც მრავალნი ფიქრობენ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი დოქტრინალური წიგნია ბიბლიაში. სულ რომ არაფერი, ახალ აღთქმას აქვს დაახლოებით 343 პირდაპირი ციტირება ებრაული წერილიდან, 2, 309 მტკიცებულება მათ შესახებ და მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის პროფესორი ამტკიცებდა, რომ ქრისტიანობა იყო ლეგენდებისა და შექმნილი ისტორიების შედეგი? უბრალოდ წერილის ციტირება არაფერს ამტკიცებდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ მოციქულების დოქტრინა უდაო კავშირში იმყოფებოდა ებრაულ წერილთან.

უნდა გამოვტყუდე, რომ იესოს სახელის გარდა ყველაფერი ზედმიწევნით იყო ნახსენები წინასწარმეტყველებაში. არ შემეძლო, შემეწყვიტა იმაზე ფიქრი, რომ ქრისტიანები ამ წერილიდან იმას კითხულობდნენ, რისი დანახვაც მათ სურდათ. წინასწარმეტყველებები და სურათები იყო ზუსტი და ცხადი. უბრალოდ, აზრი არ ჰქონდა იმის მტკიცებას, რომ მათი რელიგია შეთხზული იყო მითებისა და ნაამბობებისაგან.

იესო იმასაც ამტკიცებდა, რომ ის იყო ებრაელთა ღმერთი, რომლის შესახებაც ეწერა ებრაელთა წერილში!

"ჯერ 50 წლისაც არა ხარ და აბრაამი გიხილავს?" უთხრა მათ

იესომ: "ჴეშმარიტად, ჴეშმარიტად გეუბნებით თქვენ: სანამ აბრაამი იქნებოდა, მე ვარ." მაშინ აიღეს ქვები მის ჩასაქოლად, მაგრამ იესო თვალს მიეფარა და გავიდა ტაძრიდან. (იოანე 8:57-59).

ჩემს სასწავლო ბიბლიაში წავიკითხე, რომ "მე ვარ" იყო ღვთის სახელი, რომელიც მოსეს აუწყა ღმერთმა.

და უთხრა მოსემ ღმერთს: "კარგი, მივედი ისრაელის ძეებთან და ვუთხარი: თქვენი მამების ღმერთმა მომავლინა-მეთქი თქვენთან. და მკითხეს, რა არის მისი სახელიო, რა ვუთხრა მათ?" და უთხრა ღმერთმა მოსეს: "მე ვარ, რომელიც ვარ." და თქვა: "ასე უთხარი ისრაელის ძეთ – 'მე ვარ' მგზავნის-თქო თქვენთან. კვლავ უთხრა ღმერთმა მოსეს: "ასე უთხარი ისრაელის ძეთ: 'უფალმა, თქვენი მამების ღმერთმა, აბრაამის ღმერთმა, ისაკის ღმერთმა და იაკობის ღმერთმა მომავლინა თქვენთან.' ეს არის ჩემი სახელი უკუნიითი უკუნისამდე და ეს არის ჩემი სახსენებელი თაობიდან თაობამდე" (გამოს. 3:13-15).

იესომ უთხრა ებრაელებს, რომ ის იყო "მე ვარ", მათი ღმერთი. ამიტომაც სცადეს მისი ჩაქოლვა. მისი განცხადება მაინცდამაინც არ მომეჩვენა ჴეშმარიტებად და არც დავურწმუნებივარ, მაგრამ არ შემეძლო ახალ აღთქმასა და ძველ წერილს შორის კავშირის უგულებელყოფა. ეს ამკარად აუქმებდა იმ შესაძლებლობას, რომ ახალი აღთქმის დოქტრინა ლეგენდა ან წლების მანძილზე შექმნილი ისტორია იყო.

რელიგიურ ფანატიკობას არ ვაპირებდი, მაგრამ არც ლოგიკისა და ფაქტების იგნორირება შემეძლო.

ძალიან გაღიზიანებული ვიყავი უნივერსიტეტის პროფესორზე, საუკუნო სიცოცხლის საკითხზე სწავლებისას რომ არ გამოუყენებია ეს მტკიცებულებები და ფაქტები. თუ აპირებდნენ ისინი ამ შეკითხვების დასმას, მაშინ რატომ არ გასცეს სავარაუდო პასუხები? რა თქმა უნდა, ისინი მოელოდნენ წინააღმდეგობებს და მზადაც უნდა ყოფილიყვნენ ამისათვის. მე არა მაქვს ხარისხი რელიგიაში, მაგრამ მაინც მივაგენი მრავალ მნიშვნელოვან ფაქტს და პასუხს, რომლებიც მათ შეგნებულად უგულებელყვეს.

მოკლედ რომ ვთქვათ, აღმოვაჩინე, რომ ახალმა აღთქმამ წარმატებით გაიარა გამოცდა ტექსტში არსებული მტკიცებულებების შესახებ. ცოტა არ იყოს უცნაურად მომეჩვენა, რადგან რაც უფრო ღრმად ვსწავლობდი საკითხს, უფრო საინტერესოდ მეჩვენებოდა იგი. რასაც საერთოდ არ მოველოდი. გარეგნულად ახალი აღთქმა რელიგიურ ზღაპარს ჰგავდა, მაგრამ სინამდვილეში მტკიცე ისტორიულ და ანალიტიკურ ნიადაგზე ვიდექი. შეცდომები და ცვლილებები არც მაინცდამაინც მნიშვნელოვნად შეუსაბამო იყო. წინასწარმეტყველებები და მათი აღსრულება ძველსა და ახალ აღთქმას შორის მტკიცე კავშირზე მეტყველებდა.

არ შემეძლო რაიმე ხელმოსაკიდი მტკიცებულების პოვნა, რომლის

მიხედვითაც ვიტყოდით, რომ სახარებები არ დაწერილა მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს მიერ. არ არსებობდა ამ აზრის საწინააღმდეგო მოსაზრება. მათ მიერ საკუთარი ნაწერების გაყალბების ვარაუდმა არ გაამართლა, მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისში დამაჯერებლად გამოიყურებოდა. ლოგიკური მოტივისა და მოწინააღმდეგე თვითმხილველთა გაუჩინარება, რომლებიც ახლა მდუმარებას ამჯობინებდნენ, მაშინ როცა, აქამდე მისი განადგურების დიდი სურვილი ჴქონდათ, ჩემთვის დამაჯერებელი ფაქტი იყო. იესოს ოთხი ბიოგრაფია იმასაც შეიცავდა, რასაც მატყუარა მწერალი ეცდებოდა და ქალების მიერ აღმოჩენილი ცარიელი სამარხის ისტორიას თავს აარიდებდა.

დაინგრა უნივერსიტეტის პროფესორის ყალბი თეორია იესოს ოთხი ბიოგრაფიის მიერ ლეგენდებისა და წლების მანძილზე მონათხრობების შეკრების შესახებ. ვალიარე, რომ იესო არა თუ შეეფერებოდა მესიის მიერ ოთხასი წლის წინ ნაწინასწარმეტყველებ მოდელს, არამედ ახალაღთქმისეული დოქტრინა მსგავსი იყო იმ წერილებისა და საბოლოო გამოცდაზე გადავდი.

ტექსტის გარეგნული მტკიცებულებები

ეს ბოლო გამოცდა ეძებს გარეგნულ ისტორიულ წყაროებს დასადასტურებლად ან შესააწინააღმდეგებლად იმისა, რაც აღწერილია ისტორიულ დოკუმენტში. სხვა რა წყაროები არსებობს ისტორიაში, რომელიც კითხვის ქვეშ დააყენებს ნაშრომს? იყო თუ არა იესო ნახსენები ახალი აღთქმის გარეთ სხვა ისტორიულ წყაროებში? შეიძლება თუ არა იმ სახელებისა და ისტორიული ადგილების არსებობის დამტკიცება არქეოლოგიური გათხრების მტკიცებულებებისა და სხვა ძველი ნაწერების შედეგად? ეს შეკითხვა შესანიშნავად მომეჩვენა.

1. არქეოლოგია

პირველად არქეოლოგიური სფერო გამოვიკვლიე. გაცემული დავრჩი, როცა დავინახე, რომ არსებობდა მთელი რიგი წიგნებისა, რომლებშიც არქეოლოგები ადასტურებდნენ ბიბლიაში ნახსენები უთვალავი ფაქტების, ხალხებისა და ადგილების არსებობას. გაცემული დავრჩი, როცა დავინახე, რომ არც ერთი არქეოლოგიური კვლევა არ ადასტურებდა რაიმე ბიბლიური ფაქტის სიყალბეს.

ათასზე მეტი მაინც იყო ასეთი აღმოჩენა! უკვე ვიცოდი, რომ ლუკა შესანიშნავი ისტორიკოსი იყო. ახლა უფრო ახლოს დავიწყე დაკვირვება მის მტკიცებულებებზე.

სავარაუდოდ, ექიმმა ლუკამ დაწერა ლუკას სახარება და ახალი აღთქმის მეხუთე წიგნი-საქმეები. თავის ნაწერებში ის ლაპარაკობს მრავალი გეოგრაფიული ადგილის, დროისა და მმართველების სახელების შესახებ. არქეოლოგია ამტკიცებდა ამ ტექსტის სისწორეს.

ბატონმა უილიამ რამზემ საკუთარ არქეოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით გადაწყვიტა, არ დათანხმებოდა ლუკას ნაწერებს და მის

მიერ ნახსენები ფაქტების კვლევა დაიწყო, რის შედეგადაც, საერთოდ, შეიცვალა აზრი და რამდენიმე ახალი ფაქტიც კი აღმოაჩინა ლუკას თეორიების მხარდასაჭერად. ლუკას ნაწერები იმდენად დეტალური და ზუსტი იყო, რომ ლუკა აშკარად მის მიერ აღწერილი ისტორიული ფაქტების ეპოქაში ცხოვრობდა.

რამდენიმე შემთხვევა წავიკითხე, სადაც ისტორიკოსები კითხვის ქვეშ აყენებდნენ ლუკასა და მის საქმიანობას და არასანდოდ მოიხსენიებდნენ, რადგან მათ არ სჯეროდათ ზოგიერთი მის მიერ აღწერილი ფაქტისა და იმ დროს მისი დამტკიცება ადვილი არ იყო. თანამედროვე ეპოქაში ჩატარებულმა კვლევებმა ლუკას მიერ ნახსენები ფაქტების სისწორე დაადასტურა, რის გამოც თანამედროვე არქეოლოგებმა აზრი შეიცვალეს. მათვე, მოგვიანებით, ბიბლიაში სხვა მწერლების მიერ მოხსენიებული ფაქტებიც დაადასტურეს.

მაგალითად, პილატე პონტოელი, კაცი, რომელმაც იესოს ჯვარცმა მიუსაჯა, მრავალ ადამიანს არ სჯეროდა, რომ იგი ისტორიული პიროვნება გახლდათ. 1961 წელს ნაპოვნი იქნა ქვაზე შესრულებული წარწერა მისი სახელითა და ტიტულით.

კმაყოფილი ვიყავი იმ ფაქტით, რომ არქეოლოგია მხარდაჭერას უცხადებდა ბიბლიას იმ საკითხებში, სადაც შეეძლო. ეს არ ამტკიცებდა, რომ რელიგიური დოქტრინა ჭეშმარიტი იყო, მაგრამ იმას კი ამტკიცებდა, რომ მის მიერ მოხსენიებული ხალხი, ადგილები და დრო სარწმუნო გახლდათ.

2. სხვა ძველი ხელნაწერები

ახლა სხვა ძველ ხელნაწერებს მივუბრუნდი. ჯერ ქრისტიანულ ნაშრომებს გადავავლე თვალი, რათა გამეგო, რა გვქონდა ხელთ, მიუხედავად იმისა, რომ იქ გაყალბების დიდი საშიშროება არსებობდა. მეორე საუკუნით დათარიღებული რამდენიმე დოკუმენტი მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს ავტორობას ადასტურებდა. დაახლოებით ჩვ. წ. აღ-ის 130 წლით დათარიღებული ფიერაპოლისური პაპირუსი წერდა, რომ მარკოზმა ჩაიწერა პეტრეს შესახებ ინფორმაცია და, რომ მათე იყო ერთ-ერთი სახარების ავტორი.

ირინეოსი, რომელიც სწავლობდა ვინმე პოლიკარპესთან, რომელიც პირადად იცნობდა მოციქულ იოანეს, ძლიერი განცხადება გააკეთა ოთხივე სახარების ავტორობის შესახებ. ის აცხადებდა: "იმდენად მტკიცეა ოთხივე სახარების საფუძველი, რომ თვით ერეტიკოსებიც კი დარწმუნებულნი არიან მის სისწორეში." ვერც ერთი ამ ადამიანთაგან ვერ ამტკიცებდა ავტორობა არასანდოობას, არამედ ამტკიცებდნენ, რომ იმ დროს არანაირი ეჭვი არ ყოფილა მათი ავტორობის შესახებ.

იესო არაქრისტიანულ ნაშრომებშიცაა ნახსენები. ძველ ებრაულ ნაწერებში, რომელსაც ეწოდება თალმუდი, მას ბრალად სდებდნენ ჯადოქრობას, რაც თავისთავად იყო იმის მტკიცებულება, რომ იესო რაღაც არაჩვეულებრივს აკეთებდა. იმასაც ამბობდნენ, რომ იესო გამოსვლის

დღეს აცვეს ჯვარს და რელიგიურ წინამძღოლებს მისი მოკვლა სურდათ. ეს განსაკუთრებით დამაჯერებლად ჟღერდა, რადგან დაწერილი იყო იმ ადამიანების მიერ, რომელთაც არ სჯეროდათ იესოსი, როგორც მესიისა.

რომაელი ისტორიკოსი, ტაციტუსი საუბრობს პილატე პონტოელის მმართველობის დროს მომხდარ იესოს ჯვარცმაზე. იმასაც წერს, რომ ქრისტიანების წარმოდგენა ქრისტეს აღდგომაზე "მცდარი" არისო. პირველ საუკუნეში მცხოვრებმა ებრაელმა ისტორიკოსმა, იოსებ ფლავიოსმა, დაგვიტოვა ნაწერები, რომლებიც მრავალ ბიბლიურ ფაქტს ადასტურებენ. პირველი საუკუნის რომაელი ავტორი და მცირე აზიის მმართველი პლინიუს უმცროსი ახსენებს, რომ ქრისტიანები იესოს ისე ემსახურებიანო, როგორც ღმერთს. მეორე საუკუნის ბერძენი მწერალი, ლუკიანე, სარკაზმულად წერს, რომ მათ (ქრისტიანებს) სჯერათო უკვდავებისა და თავიანთი წინამძღოლის ჯვარცმის.

მაკდაუელის კრიტიკა გამოწვლილვით განიხილავდა ამ ნაწერებსა და მათ სანდოობას. არგუმენტების სია საკმაოდ დიდი და, ცოტა არ იყოს, საეჭვოდ მომეჩვენა. გეგონება არგუმენტების მოძიებას მისი უარყოფის მიზნით ცდილობდნენ. თუმცა, მომწონდა ამ საკითხთან დაკავშირებული ალტერნატიული მოსაზრებების კითხვა.

ახალმა აღთქმამ საბოლოო გამოცდა ჩააბარა. არსებობდა არქეოლოგიური და არაქრისტიანული წყაროები, რომლებიც ახალი აღთქმის სიზუსტეს, ქრისტესა და პირველი ქრისტიანების დოქტრინას ემხრობოდა. გამოცდა, საკითხთან დაკავშირებით, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ მასალასა და ჩემს მიერ შესწავლილ მასალას შორის სხვაობამ. თითქმის ნულის ტოლი იყო. თითქმის ამ ყველაფრის შესახებ ოდესმე მისწავლია კიდეც. ეს ყველაფერი შესანიშნავად მეჩვენებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანი არ ვიყავი. რატომ არ ლაპარაკობდნენ და აცხადებდნენ ქრისტიანები ამ ინფორმაციას? იცოდნენ კი? – ვფიქრობდი მე.

სტუმრად კვლავ უნივერსიტეტის პროფესორთან

ახალმა აღთქმამ აშკარად გაიარა ყველა ისტორიული გამოცდა და ყველა ძველ ისტორიულ დოკუმენტსაც გადააჭარბა გასაოცარი მანერით. ჩემთვის გასაკვირი იყო ის ფაქტი, რომ იესო ქრისტეს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე უფრო მეტი ინფორმაცია და ნაშრომები გვქონდა, ვიდრე საერთოდ მთელი ძველი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების შესახებ. თითქმისდა ან მართალი არ იყო, ან მართალი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვნახეთ, რომ ეს ყველაფერი სიმართლეს შეეფერებოდა.

იმეელი გავუგზავნე ახალი აღთქმის უნივერსიტეტის პროფესორს, რომელსაც არ სჯეროდა, რომ ახალი აღთქმა ისტორიული რეალობა იყო. ახლა უფრო მეტი ვიცოდი და მინდოდა, გამეგო რას იტყოდა პროფესორი. მე ვკითხე, რატომ არ სჯეროდა, რომ ახალი აღთქმა სიმართლე იყო. პროფესორი მოწყალე გამოდგა და მიპასუხა. პასუხში ის ამტკიცებდა, რომ დაწერილი ახალი აღთქმა კი არ იყო პრობლემა, არამედ ის რომ ამ

მწერლების რელიგიურ რწმენაზე გავლენა მოახდინა ისტორიულმა რეალობამ. ამ პასუხმა გამოავა, რადგან იესოს მოწაფეებს წარმოდგენაც კი არ ჰქონიათ მოსალოდნელზე. იესოს ჯვარცმისას მათი რელიგიური რწმენა დახშული იყო. ისინი მოელოდნენ, რომ იესო სამხედრო წინამძღოლი იქნებოდა, ვინც ისრაელს რომაელთა მმართველობისაგან დაიხსნიდა. ისინი არ მოელოდნენ ღმერთის მიერ ადამიანთა ცოდვების გამოსყიდვას. ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ არა ცოდვასა და მარადიულობაზე, არამედ თანადროულ ცხოვრებაზე. უფრო მეტიც, მათი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები თავდაყირა დადგა. ებრაული რელიგიური სისტემისათვის იესოს ღმერთად გამოცხადება ღვთისგმობას ნიშნავდა. მის განცხადებას აზრი არ ჰქონდა და ფაქტებს არ ეყრდნობოდა.

პროფესორს ვკითხე, "რა გწამთ?" მან თქვა, რომ არ იცოდა, რა ერწმუნა, რადგან ის სახარებაში აღწერილ მოვლენებს არ ესწრებოდა. პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ახალ აღთქმას ისე კი არ ასწავლიდა, თითქოს არ იცოდა, არამედ ისე, რომ ყველა ფაქტს არ შეეხო თავისი ლექციებში. გავიგე, რომ "არ შემიძლია, ვიცოდე" პოზიციას ჰქვია აგნოსტიციზმი. აგნოსტიციზმი ამბობს, რომ ადამიანებს არ შეუძლიათ იცოდნენ ჭეშმარიტება ღმერთის შესახებ. რაც, ცოტა არ იყოს, უცნაურად მომეჩვენა. თუ ახალი აღთქმა უფრო მეტად აღიარებული იყო, ვიდრე ნებისმიერი ძველი ისტორიული დოკუმენტი, მაშინ რატომ არ უნდა ერწმუნა? თუ ანალოგიური მეთოდები და სტანდარტები გამოყენებული იქნა სხვა ისტორიული დოკუმენტების შესასწავლად, რატომ არ შეიძლებოდა, რომ ახალი აღთქმის შემთხვევაშიც იგივე გამოგვეყენებინა, ამ საქმის სპეციალისტები ხომ სახარებას ეჭვგარეშე აღიარებდნენ ჭეშმარიტებად. მიუხედავად იმისა, რომ ახალი აღთქმის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია გვაქვს, ვიდრე ძველ ბერძნებსა და რომაელებზე, ამ უკანასკნელთა შესახებ ინფორმაცია სარწმუნოდ მიგვაჩნია და კითხვებს არ იწვევს.

მაგალითად, კეისრის "გალიური ომების" მხოლოდ ათი ნუსხა არსებობს და მათგან ყველაზე ძველი მოვლენიდან ცხრაასი წლის შემდგომი დროით თარიღდება. ახალი აღთქმის ექსპერტი, ბრუს მეთუგერი, წერს: "რამდენიმე მწერლის ნაშრომი დაცულია მცირეოდენი ცვლილებით... ამის საპირისპიროდ... ახალი აღთქმის ტექსტის კრიტიკოსები შეცბუნებულნი არიან ამ მასალის სიმდიდრით."

აშკარა იყო, რომ ბიბლიის ისტორიის ძიებისას სტანდარტები შეცვალეს. რატომ? იმიტომ, რომ ღმერთი, სასწაულები და სხვა მრავალი რამ, რისი რწმენაც არ სურს ხალხს, აღწერილია ახალ აღთქმაში. ეს კი უფრო და უფრო საეჭვო ხდებოდა ჩემთვის, რადგან ეს-ესაა გავიგე, თუ როგორ აღემატება ახალი აღთქმის ისტორიული უტყუარობა სხვა ნებისმიერ ისტორიულ დოკუმენტს.

მოდით, განვიხილოთ პროფესორის მტკიცებულებები, რომელთა სისწორეს ადვილად გაიგებთ, თუმცა ამბის მომსწრე არ ყოფილხართ:

როგორ მოკვდა იულიუს კეისარი?

ა. თავი მოიკლა.

ბ. საწოლში გაუსკდა გული.

გ. მახვილი ჩასცეს რომის სენატში.

დ. ეტლით, უბედური შემთხვევისას.

განი არის სწორი პასუხი. ან, ბანი და დონი მცდარია. სწორი პასუხი გამოირიცხავს მცდარ პასუხებს. ჩვენ არ ვამბობთ, რომ "არ არსებობს სწორი, ცნობილი პასუხი", ან: "არაუშავს, თუ შენ ირწმუნებ ან, მე ვირწმუნებ დონს და სხვა ირწმუნებს ბანს. კარგია, რომ ყველას გვაქვს განსხვავებული შეხედულებები." ჭეშმარიტება ჭეშმარიტებაა. აზრი შემეცვალა ამ პროფესორზე, რადგან ვიცოდი, რომ იესო ან აღსდგა მკვდრეთით, ან არა. მხოლოდ ერთი სწორი ისტორიული ფაქტი მოხდა ამქვეყნად.

ახლა დავრწმუნდი, რომ არ ღირდა ამ პროფესორთან კამათი. ისინი უარყოფდნენ ბიბლიის ისტორიულობას და ერთ-ერთმა მათგანმა უარყო ახალი აღთქმის აშკარა დოქტრინა რომ იესო ღმერთად აცხადებდა თავს. ის სტანდარტები, რომლებიც გამოიყენება ძველი ისტორიული დოკუმენტების შესამოწმებლად, უცბად, სახარების შემთხვევაში, შეიცვალა, საეჭვო გახდა, რადგან ახალი აღთქმა შეიცავდა სასწაულებს და ზეადმატებულ მოვლენებს. შინაგანად უცნაურად ვგრძნობდი თავს, რადგან ეს ყველაფერი თითქოს აშკარა ფაქტების უარყოფას ნიშნავდა და მხარს უჭერდა სწავლულთა, და აკადემიკოსთა მოსაზრებებს. ვგრძნობდი, რომ ეს იყო შეთქმულება, მაგრამ რატომ?

ბოლო საკითხმა ფართოდ ამიხილა თვალი, რომ რაღაც სასაცილო ხდებოდა უნივერსიტეტში პროფესორის მიერ ახალი აღთქმის სწავლებისას. ერთმა პროფესორმა თქვა, რომ ისტორიკოსებს არ ძალუძდათ, სცოდნოდათ რაიმე ღმერთზე და მისი სასწაულების ისტორიულად დამტკიცებაც შეუძლებელი იყო, რადგან მათი უტყუარობის ნაკლები შესაძლებლობა არსებობდა. მის განცხადებაში პრობლემა ის იყო, რომ იესო, სავარაუდოდ, ღვთის მიერ აღსდგა მკვდრეთით. თუ პროფესორს არ შეეძლო, რაიმე სცოდნოდა ღმერთის შესახებ, მაშინ მას ნამდვილად არ შეეძლო ეთქვა, რომ ეს არ მომხდარა ან ის, რომ ნაკლებად სავარაუდო იყო მისი რეალობაო. შეუძლებელია ორივე გზის არსებობა.

არც მე მწამდა იესოსი, მაგრამ მივხვდი, რომ თუ ღმერთი არსებობდა, მაშინ სასწაულები მართლა არ იქნებოდა სასწაულები. ღმერთისთვის შეუძლებელი არაფერი იქნებოდა. პროფესორის რწმენამ და განცხადებამ გააუფასურა მისი პოზიცია! განა ეს მარტივი ლოგიკა არ იყო? გავბრაზდი, რადგან გასულელებულად ვგრძნობდი თავს. ვაი, რომ იესოს აღდგომა სიმართლე იყოს? ამ ორი პროფესორის ყალბ და ლეგენდაზე დაფუძნებულ სწავლებას შეეძლო ჩემს მიერ ჭეშმარიტების ძიების შედეგები დაენგრია! გაბრაზებული ვიყავი მათი ყალბი განსწავლულობით.

ვფიქრობდი, შეიძლება პროფესორებს უნდოდათ, თავი აერიდებინათ იესოს ღმერთობის საკითხისათვის, რათა მის მიერ საკუთარი თავის ღმერთად გამოცხადება დაეფარათ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ

საკუთარ თავს დაარწმუნებ, რომ იესოს არასოდეს გამოუცხადებია თავი ღმერთად, მაშინ აღარ გაგიძნელდება მისი უარყოფა. ეს იმიტომ ვიცოდი, რომ ჩემს გონებაშიც გაიელვა ამ აზრმა! მაგრამ რაღაც შინაგანს მაინც არ სურდა იესოზე გადაწყვეტილების მიღება. მან ისეთი გადაწყვეტილების წინაშე დამაყენა, რომლის მსგავსი ისტორიაში არავის წამოუყენებია. შინაგანი ხმა მეუბნებოდა, რომ გავქცეულიყავი ამ გადაწყვეტილებისაგან. უნდა ვაღიარო, რომ ვადანაშაულებდი ამ პროფესორებს ახალი აღთქმის ისტორიული სამართლიანობის არ აღიარებისათვის, მიუხედავად მტკიცებულებებისა. თუმცა მე თავად არ ვაპირებდი მის აღიარებას, რატომ? რა მახევიანებდა უკან? დარწმუნებული არ ვიყავი.

იქნებ პროფესორები ცდილობდნენ, რომ პოლიტიკურად მართლები ყოფილიყვნენ? ალბათ პოპულარული გადაწყვეტილება არ იქნებოდა პროფესორისაგან ღიად ქრისტეს ღმერთად გამოცხადება, განსაკუთრებით იმ ეპოქაში, რომელშიც ხალხი ერთმანეთს სასამართლოში ასმენს შობის დღესასწაულზე საშობაო ფიგურების გამოფენისათვის. დამაინტრიგებელი აზრი მომივიდა თავში. ვინ მიუძღვნის საკუთარ თავს ისეთ კარიერას, რაც ჭეშმარიტება არ არის? ამ ქვეყნიერებაზე არ ვიცნობდი ამის გამკეთებელ ადამიანს. ვინ მიიღებს ხარისხს იმაში, რისიც არ სჯერა? როგორ შეიძლება, ადამიანმა დიპლომი მიიღოს უძველესი ხანის ისტორიის შესწავლაში, შემდეგ კი განაცხადოს, რომ მისი არ სჯერა ან ეს მართალი არ არის?

გულით ვგრძნობდი, რომ რაღაც ვერ იყო კარგად. მიჭირდა იმის დაჯერება, რომ ასეთი ჭეშმარიტების მცდარი ინტერპრეტაცია არსებობდა ჩვენს უნივერსიტეტებში. ისინი ჭეშმარიტებასაც კი არ წარმოაჩენდნენ, რომ ხალხს მისცემოდა არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. ნათელი აზრითა და მიუკერძოებელი გონებით დავიწყე ქრისტიანობისა და ბიბლიის წინააღმდეგ მასალების შესწავლა. ვანალიზებდი ამას და გავიფიქრე, რომ შეიძლება მივხვდი კიდეც, რა ხდებოდა.

შედეგი გამაოგნებელია, ახალი აღთქმა ჭეშმარიტია და სწორ ისტორიულ ფაქტებს მოიცავს. ყველაფერი, რაც აღმოვაჩინე ადასტურებდა, რომ იესო მართლა აღსდგა მკვდრეთით სამარხიდან. ამის გაგონებას არც მოველოდი და არც აქამდე მსმენია. ღრმად დავფიქრდი ამ ჭეშმარიტების ჩვენს საზოგადოებასა და კულტურასთან შერწყმის შესახებ. მივხვდი, რომ ამ მომენტზე თავდასხმა და არასწორი ინტერპრეტირება ადამიანის მოდგმის ისტორიის ნაწილია. თუ ახალი აღთქმა სწორი იყო, ასეთ შემთხვევაში, ჩვენი ქვეყნიერება შორს იდგა მნიშვნელოვანისაგან. ვფიქრობდი, თუ ძალიან დაშორდი ჭეშმარიტებას, შეიძლება თუ არა მისგან დამალვა? შიშმა და ურწმუნობამ მომიცვა.

უნდა ვაღიარო, მზად არ ვიყავი ამ ჭეშმარიტების მისაღებად, მაგრამ ჩემი გული და კვლევები მეუბნებოდნენ, რომ უნდა მეღიარებინა ეს ჭეშმარიტება. იმასაც მივხვდი, რომ თუ არ მივიღებდი გადაწყვეტილებას ე.ი. ჯერ კიდევ უარყოფილი ქრისტეს, ცუდად ვგრძნობდი თავს იმ ჭეშმარიტების გამო, რომ ღმერთი მოკვდა ჩემი დახსნისათვის. ნაწილობრივ, მინდოდა, ისეთი ხელმოსაკიდი მეპოვა პროფესორების

სწავლებაში, რომ მერწმუნა მათი და თავი დამელწია სინდისის ქენჯნისაგან. თუმცა დავეთანხმე იმ აზრს, რომ იესოს ღმერთად თავის გამოცხადების გამო, ბიბლია მეტ კვლევას იმსახურებდა. რადგან ჯერ კიდევ არ ვიყავი მზად მის მისაღებად, კვლავ ვაგრძელებდი კითხვას.

ქრისტეს საქმე

მინდოდა, ექსპერტებისათვის მომესმინა, რომლებიც სამართლიან და გაუყალბებელ დასკვნებს გააკეთებდნენ. ლიი სტრობელის მიერ დაწერილი "ქრისტეს საქმე" ჩემი ბოლო წიგნი გახდა. გამიტაცა ამ წიგნის კითხვამ, რადგან ლიი არ იყო ქრისტეს მორწმუნე. კარგად ცნობილია, რომ ის იყო რეპორტიორი, რომელმაც გამოიკვლია "ქრისტეს საქმე." რატომ? იმიტომ, რომ მისი მეუღლე ქრისტიანობაზე მოიქცა და იგი შიშობდა, რომ მისი ცხოვრება მოსაწყენი გახდებოდა.

"ვშიშობდი, რომ იგი სექსუალურ გრძნობებს დამალავდა, მისი უწმინდურად მიჩნევის გამო და ჩვენი ცხოვრების ამბლლებულ სტილს მთელი დამე ლოცვასა და ჭუჭყიან სამზარეულოში ყოფნას ანაცვალებდა", – წერდა ის.

ლიი სტრობელი ქრისტიანი არ იყო და მან ქრისტიანობის სირთულებები მიუკერძოებლად გამოიკვლია. მან ქრისტიანობის ყველა სფეროში მოღვაწე ოცდაათ საუკეთესო და დიდად პატივდებულ სწავლულს ჩამოართვა ინტერვიუ. ყველა მათგანი ენებოდა იესოს ცხოვრების სხვადასხვა საკითხს და ქრისტეს შესახებ მნიშვნელოვან შეკითხვებს პასუხობდა.

სტრობელის წიგნის მოკლე მიმოხილვა ქვემოთაა მოცემული.

მტკიცებულების ტიპი	კითხვის პასუხები	ექსპერტის ვინაობა
1. მოწმეების მტკიცებულება	შეიძლება თუ არა, ვენდოთ იესოს ბიოგრაფიას? დაწვრილებით არის თუ არა ბიოგრაფიები გამოკვლეული?	გრეგ ლ. ბლუმბერგი, დოქტორი
2. დოკუმენტური მტკიცებულება	იყო თუ არა იესოს ბიოგრაფია ჩვენამდე საიმედოდ დაცული?	ბრუს მ. მეტზეგერი, დოქტორი
3. დამადასტურებელი დოკუმენტები	არის თუ არა სანდო წყაროები იესოს შესახებ მისი ბიოგრაფიის გარდა?	ედვინ მ. იამაუნი, დოქტორი

მტკიცებულების ტიპი	კითხვის პასუხები	ექსპერტის ვინაობა
4. მეცნიერული მტკიცებულება	ეთანხმებიან, თუ ეწინააღმდეგებიან იესოს ბიოგრაფიას არქეოლოგები?	ჯონ მაკრეი, დოქტორი
5. საწინააღმდეგო მტკიცებულება	იყო თუ არა იესოს ისტორია მისი რწმენის მსგავსი?	გრეგორი ა. ბოიდი, დოქტორი
6. მსგავსი მტკიცებულება	მართლა იყო თუ არა იესო დარწმუნებული იმაში, რომ იყო ღვთის ძე?	ბენ ვიტერინგტონ მესამე, დოქტორი
7. ფსიქოლოგიური მოწმობა	იესო შეშლილი ზომ არ იყო, როცა ღვთის ძედ აცხადებდა საკუთარ თავს?	გერი რ. კოლინსი, დოქტორი
8. იესოს ხასიათი	დაიცვა თუ არა იესომ ღვთის ხასიათის თვისებები?	დონალდ ა. კარსონი, დოქტორი
9. ანაბეჭდების მტკიცებულება	მხოლოდ იესო შეეფერებოდა მესიის თვისებებს?	ლოუის ს. ლაპიდეს, მისტერ. დ.თ.მ.
10. სამედიცინო მტკიცებულება	მოჩვენება ზომ არ იყო იესოს სიკვდილი და მისი აღდგომა კი მასხრობა?	ალექსანდრე მეტერელი, დოქტორი მედიცინის დარგში
11. დაკარგული სხეულის მტკიცებულება	მართლა დაიკარგა თუ არა იესოს გვამი სამარხიდან?	უილიამ ლეინ კრეიგ, დოქტორი
12. გამოჩენის მტკიცებულება	იხილეს თუ არა იესო ცოცხალი ჯვარცმის შემდეგ?	გერი ჰაბერმასი, დოქტორი
13. მდგომარეობრივი მტკიცებულება	არის თუ არა სხვა რაიმე მტკიცებულება იესოს აღდგომის შესახებ?	ჯ.პ. მორელანდი, დოქტორი

გამოცა მათმა მტკიცებულებების წარმოდგენამ და მრავალ რთულ საკითხზე პასუხებმა და განსაკუთრებულმა შეკითხვებმა, რომლებზეც აქამდე ასე არასოდეს მიფიქრია. მათი პასუხები იყო სანდო და ლოგიკური

და საკმარისზე მეტად დააკმაყოფილა ჩემი კრიტიკული გონება. იმან უფრო გამოცა, როცა დავინახე, რომ ამ განათლებულ ხალხს მართლა სწამდათ იესოსი.

მისტერ სტრობელის წიგნის დასრულების შემდეგ, ყოველ ჩემს კითხვას პასუხი გაეცა. გავთავისუფლდი, გახარებული და შეშფოთებული ვიყავი ერთდროულად. როცა საკუთარ თავს ვუთხარი "ოხ! ყველაფერი დასრულდა!" გონებაში უამრავმა აზრმა გამიელვა ერთდროულად. ვიყავი თუ არა მზად შემდეგი ნაბიჯისთვის? რას ნიშნავდა ეს? თან უნდა მეტარებინა თუ არა ბიბლია მისი მიღების შემთხვევაში? როგორ უნდა შემეხედა ბიბლიის ქალბატონისთვის სამსახურში? მუხლმოყრილს უნდა მელოცა ყოველდღე? ეკლესიაში უნდა მევლო? რას ვიტყვით დაღევაზე, გინებასა და წვეულებებზე? ამის შემდეგ ეს მოსაწყენი იქნებოდა? იფიქრებდა თუ არა ხალხი ჩემზე, რომ უცნაური ვიყავი? იმ მეზობლების მსგავსი ვიქნებოდი, მე რომ მძულდა? რას გავაკეთებდი? ყველა ამ კითხვაზე პასუხი უკვე მქონდა, მაგრამ ახლა გადაწყვეტილების მიღების დრო დადგა.

მეშვიდე თავი

გადაწყვეტილება

"ძვირფასო? რას აკეთებ? კომპიუტერზე მუშაობისა და წიგნების კითხვის მეტი არაფერი გაგიკეთებია ბოლო კვირების განმავლობაში. არ შეგიძლია, ცოტა ხანს ყველაფერი გადადო და დამელაპარაკო?" – ჩამომძახა ჩემმა მეუღლემ საძინებლიდან. "კარგი. ახლავე ამოვალ", – ვუპასუხე მე. კიბეებზე ავდიოდი და ვგრძნობდი, რომ გონება მზად იყო მოჭარბებული ინფორმაციისაგან ასაფეთქებლად. ეს წნევა მახსენებდა სამედიცინო სასწავლებელს, როცა ათასობით ახალი ფაქტი და კონცეფცია უნდა გვესწავლა ერთი კვირის განმავლობაში.

საძინებელში შევედი, ის საწოლზე იჯდა. ბავშვები იატაკზე ისხდნენ და ტელევიზორს უყურებდნენ.

"მოვჩი!" – წამოვიძახე მე.

"კარგი! ბოლოს და ბოლოს! რას აკეთებდი მთელი ამ დროის განმავლობაში?" – მკითხა მან.

"იმ წიგნს ვკითხულობდი შენ რომ მომეცი", – წავიბუტბუტე მე.

"წიგნი? რა წიგნი?"

"ის წიგნი, ახალგაზრდა კაცს რომ არ სჯეროდა ქრისტიანობისა. ქრისტიანობის სიცრუის დამტკიცება გადაწყვიტა და ბოლოს მორწმუნე გახდა", – ჩავიბუტბუტე ისევ.

რუთი რაღაცას უყურებდა საწოლში და თავდახრილი მელაპარაკებოდა, ვიდრე არ ვახსენე წიგნი, რომელსაც ვკითხულობდი. მაშინვე გაკვირვებულმა ამომხედა. უმეტესად კომპიუტერზე ვკითხულობდი, ან გვიან ღამით, და არ იცოდა, რას ვაკეთებდი.

ახლა დაჟინებით მიცქერდა. "რას ფიქრობ?" – მკითხა მან და გაოცება დაეხატა სახეზე.

უხერხულად ვიგრძენი თავი. "ბევრი უნდა ვიფიქრო", – ვუპასუხე მე. დაახლოებით თხუთმეტი ოცი წამის განმავლობაში სიჩუმე ჩამოწვა. ვფიქრობ მოელოდა, რომ მეტს ვიტყოდი, მაგრამ არაფერი მითქვამს. რატომ აღრჭიალებს კბილებს? – მიკვირდა მე.

"სასაცილო სახე გაქვს და ძალიან ჩუმად ხარ ამ ბოლო დროს. კარგად ხარ?" თქვა მან მოთხოვნის ტონით. "დალლილი ვარ და მინდა, დავწვე", – ვთქვი თავაზიანად. ბოლო კვირების განმავლობაში დავსუსტიდი და ჩაფიქრებული გამოვიყურებოდი, რაც ჩემს მეუღლეს არ გამოპარვია. ყველაფერი, რასაც ვკითხულობდი და ვიკვლევდი, ძალიან შორს იყო იმ სამყაროსაგან, სადაც გავიზარდე და ამან ჩემზე დიდი ეფექტი მოახდინა. ამის მეტი არაფერი აღარ მითქვამს, დავწექი და მაშინვე ჩამეძინა.

მეორე დღე შაბათი იყო და დილით ძილი გავაგრძელე. ტრაქტორის ხმაურმა გამაღვიძა, სახლში რომ დარბოდა. "ტრრრრ. ღრრრ. ხხხხ", – დუდღუნებდნენ ჩვენი ბიჭები. ბიჭები დაბადების დღეზე მიდიოდნენ და გახარებულები იყვნენ. მე კი სახლში მარტო დარჩენა მიხაროდა.

დაახლოებით დილის თერთმეტზე წავიდნენ. მე ავდექი, დაბლა ჩავედი და გათბობა ჩავრთე.

ყველაფერზე ფიქრი მიხაროდა, როცა სიჩუმე და სიწყნარე იყო სახლში. მალევე შევნიშნე, რომ უცნაური განცდა მქონდა შინაგანად და გარეგნულადაც იმავეს ვგრძნობდი, მაგრამ არ ვიცოდი რას. ვგრძნობდი, რომ რაღაც უცნაური ხდებოდა ჩემს გარშემო. თითქოს ვიღაცა იყო აქ და თან არ მჯეროდა. ბუხარში ცეცხლის ალის ციმციმს ვუყურებდი და ვფიქრობდი.

ჩემი კითხვა და კვლევა დასრულდა. ახლა გადაწყვეტილების მიღების დრო დადგა. რა უნდა მექნა იესოსთან დაკავშირებით? ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რასაც არასოდეს მოველოდი. მეზობლებზე გაბრაზებულმა ბიბლიის მეშვეობით ქრისტიანების გასამტყუნებელი მოსაზრებების ძიება დავიწყე და ახლა პირადად უნდა გამამეწყვიტა, იესო იყო თუ არა ღმერთი.

ჩემდა გასაოცრად, მთლიანად ჩამითრია ახალმა აღთქმამ. არ მოველოდი, ჩემი ცოდვებისაგან დახსნის მიზნით ღვთის განკაცებას და მის ჯვარცმას ჩემდამი უსაზღვრო სიყვარულის გამო. გარეგნულად ეს რთული დასაჯერებელი ჩანდა, მაგრამ რაც უფრო ვუღრმავდებოდი საკითხს, მით უფრო სარწმუნო ჩანდა იგი. თვითმხილველთა მოწმობები მქონდა ყველაზე რთულ შეკითხვებზე. ძველი ებრაული წერილის წინასწარმეტყველებების წაკითხვისას ვერ გაექცეოდი მესიის მოსვლის უწყებას. ყველაზე მეტად იესო აკმაყოფილებდა მესიის მოთხოვნებს.

თუმცა, ერთი შეხედვით, აღდგომის ამბავი სასურველ ან რელიგიურ ზღაპრად მოგეჩვენებოდათ, მაგრამ სწრაფად გახდა დამაინტრიგებელი და ძნელად თავდასაღწევი დილემა. აღდგომის შესახებ ყველაზე აშკარა მტკიცებულება ის იყო, რომ იესო ნამდვილად აღსდგა მკვდრეთით! შეუძლებელი იყო, დაგეთვალა ამ ფაქტის გამო ადამიანთა ისტორიაში მომხდარი ცვლილებები. ადამიანები გარდაიქმნენ, ცხოვრება შეცვალეს, ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგეები დუმილს ამჯობინებდნენ, მხოლოდ შემამოფოთებელ დასკვნაზე აკეთებდნენ კომენტარს, დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც იესო მკვდრეთით აღსდგა. ჩემდა გასაოცრად, უნივერსიტეტის პროფესორმა ეს ყველაფერი უკუღმა გაიგო. მტკიცებულებების გულწრფელი გამოძიების შემდეგ, აღდგომა ნამდვილად იყო დასაშვები ფაქტი.

რთული იყო საკუთარ თავთან იმის აღიარება, რომ ზებუნებრივი ძალა მონაწილეობდა ამ საქმეში. აღდგომის უარსაყოფად ხელმოსაჭიდის ნახვას ცდილობდა გონება, მაგრამ ჩემი კვლევები ადასტურებდნენ, რომ იგი ნამდვილად მოხდა. რაც უფრო მეტად ვცდილობდი იესოს აღდგომის ფაქტთან შეწინააღმდეგებას, უფრო მეტად ვრწმუნდებოდი მის ჭეშმარიტებაში.

საოცარია, რომ ბიბლია ყველაზე სარწმუნო წიგნი იყო ისტორიაში. მან ყველა გამოცდა გაიარა, კარგად იყო დაცული და შეძლო ყველაზე რთული კითხვებისათვის პასუხის გაცემა და ყველაზე რთული მოთხოვნების დაკმაყოფილება. საკუთარ თავს ვეკითხებოდი, თუ

მტკიცებულება ამდენად შეუმცდარია, მაშ რატომ არ არის ყველა ქრისტიანი? ჩემი გული და გონება მთლიანად იყო მოცული ჩემს მიერ წაკითხულითა და ნასწავლით. მიუხედავად იმისა, რომ გულით მინდოდა მართალი ვყოფილიყავი, გონება ყოველი საეჭვო საკითხის მკაცრად გამოძიებაში მარწმუნებდა. ყოველთვის, როცა ერთ პრობლემაზე ვფიქრობდი, მალევე მეძლეოდა საბოლოო პასუხი.

გახლეჩილი ვიყავი ჩემი კვლევების, ლოგიკის და ყველა იმ ფაქტის შედეგად, რომელიც ქრისტიანობის ჭეშმარიტების დაჯერებისაკენ მიმიძღოდა. ჩემი მეორე მხარე კი მაფიქრებდა, აქამდე რატომ არაფერი მსმენია პრაქტიკულად ქრისტიანობის შესახებ ოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში, გარდა რამდენიმე შემთხვევისა. შეიძლება თუ არა, რომ ასეთი მარადიულად მნიშვნელოვანი საკითხი იგნორირებული და დავიწყებული იყოს ამ ქვეყანაზე? ვეკითხებოდი საკუთარ თავს. ეს საშინელება იყო. რას ვიტყვით ევოლუციაზე? როგორ შეიძლება ავხსნათ სხვა რელიგიები ამ ქვეყნიერებაზე? სათხილამურო მოგზაურობის ჯგუფის უცნაური წევრების მსგავსი უნდა გავხდეთ? არ შემიძლია ქრისტიანად გახდომა! ხალხი დამცინებს, გავიფიქრე მე.

ინტელექტუალურ გადაწყვეტილებაზე მეტად იმის მეშინოდა, თუ რა გავლენას მოახდენდა იგი ჩემს ცხოვრებაზე. არ მინდოდა "ქრისტიანის" იარლიყი მოეწებებინათ ან კარგი მოჩვენებითი სტილით მეცხოვრა, რაღაც ქრისტიანობას ვთვლიდი. არ მინდოდა ხალხისაგან შეკითხვების მოსმენა, ეკლესიაში რომ დავენახე. შემიძლია თუ არა, ამის შემდეგ, სადმე სამხიარულოდ წასვლა? როგორ უნდა მეთქვა ხალხისათვის, რომ გადავწყვიტე რელიგიური გავმხდარიყავი? არ იფიქრებდნენ, რომ უცნაური ან სუსტი ვიყავი, ან დიდი შეცდომის დამალვას ვცდილობდი?

გეგონება ინტელექტუალური საქანელა ვიყავი, ხან ზემოთ, ხან ქვემოთ. როგორც კი არგუმენტის ერთ მხარეს კარგად ვიგრძნობდი თავს, მაშინვე მეორისკენ მივექანებოდი. არაფერი აღარ ემატებოდა საქმეს. არ შემეძლო მოწმობასთან, წერილთან და ქრისტიანობის წარმოდგენებთან შერიგება იმ გარემოს გავლენის გამო, რომელშიც მე გავიზარდე. ან ქრისტე მართლა არ იყო ღმერთი, ან ქვეყნიერება გზას იყო აცდენილი. ამ სხვაობებმა ძალიან დამაფიქრეს.

ჩემი გული და გონება იბრძოდა ახალი აღთქმის დაჯერება არ დაჯერების საკითხში. რას ვიტყვით სასწაულებზე? რთული იყო სასწაულების მიღება, დაუჯერებელი და წარმოსახვითი ჩანდა. მიჭირდა ზებუნებრივი ახსნის მიღება, როცა გარემო, რომელშიც მე გავიზარდე, სავსებით ნატურალისტური იყო. მიუხედავად იმისა, რომ სასწაულები საუკეთესო ახსნა იყო აღდგომისა და ქრისტიანობის გამოჩენისა, მაგრამ გონებაში რაღაცას მაინც არ სურდა მისი მიღება.

უცბად ტონიანი აგურივით დამეცა რაღაც თავში. ღმერთი ამოვიღე არსებობის შესაძლებლობიდან! ბიბლიას ისე განვიხილავდი, თითქმის ღმერთს არ შეეძლო არსებობა, ან უბრალოდ არ არსებობდა, რადგან მთელი ჩემი ამქვეყნიური გამოცდილება მიჩვენებდა, რომ ღმერთი უსარგებლო და უცნობი იყო. თუ ის არსებობდა და იესო მართლაც ღმერთი იყო,

მაშინ სასწაულები სასწაულები აღარ ყოფილა. თუ ბიბლია ჭეშმარიტება იყო, მაშინ ღმერთს ადვილად შეეძლო სამყაროსთან "ლაპარაკი". მაშინ არაფრის გაკეთება არ იქნებოდა ღმერთისთვის რთული. "შეუძლებელი" ახლა ადვილად შესაძლებელი გახდა.

თუ ღმერთი ნამდვილად არსებობდა, ყველა რთული კითხვა გაუჩინარდებოდა. არალოგიკური იყო განმეხილა წიგნი ღმერთის შესახებ, ღმერთის რეალურად მიჩნევის გარეშე. ეს დამენმარა სასწაულების იდეის მიღებაში. ერთადერთ პრობლემად ის რჩებოდა, რომ თუ ღმერთი რეალური იყო, რატომ უარყოფდა მას ქვეყნიერება, დაობდა და მრავალ განსხვავებულ იდეებს ასაბუთებდა მის შესახებ?

დავიღალე, იმედი გამიცრუვდა და დავიბენი. უცნაურად ვგრძნობდი თავს, ამდენ დროს რომ ვხარჯავდი იესოსა და მისი აღდგომის შესახებ. ვისაც ვიცნობ, არასოდეს უხსენებია ბიბლია ან იესო და ახლა მთელ ჩემს თავისუფალ დროს ვატარებდი რელიგიური საკითხების შესწავლაში. როგორც კი გადაწყვეტილების მიღების დროს გადავდებდი, მაშინვე უკან მიბრუნდებოდა აზრი. ვიცოდი, რომ გადაწყვეტილების მიუღებლობა ნიშნავდა იესოს უარყოფას, რადგან გადაუწყვეტელობაც გადაწყვეტილებაა. არ შემეძლო ჩემს მიერ ნასწავლსა და წაკითხულზე ფიქრის შეწყვეტა. გადავწყვიტე, რომ დადგა დრო, მიმეღო გადაწყვეტილება ან ერთი ან მეორე მხარისაკენ. ვიცოდი, რომ ინტელექტუალურ თვითმკვლელობას არ ვჭკრეტდი, ან ბრმა ნაბიჯს არ ვდგამდი არარსებული რწმენისაკენ. გოცებული ვიყავი ამდენი ინფორმაციის არსებობით, ფაქტებითა და მტკიცებულებებით, რაც ქრისტიანობასა და ბიბლიას მხარს უჭერდა. ამის გარეშე უკვე დიდი ხანია ქრისტიანობას სხვა რელიგიების გზას გავუყენებდი. თუ გადავწყვიტე, რომ ვირწმუნო, ძალიან კომფორტულად ვიგრძნობდი თავს ახალი რწმენის მტკიცე საფუძვლების გამო.

შემდეგ რაღაც შინაგანმა მითხრა: ეს ყველაფერი უბრალოდ ინტელექტუალური ვარჯიშია. რა მნიშვნელობა ექნება, მიიღებ, თუ არა ღმერთის რწმენისა და ეკლესიაში სიარულის გადაწყვეტილებას? თუ შენი ანალიზიდან გამომდინარე გადაწყვიტე, რომ ეს ჭეშმარიტებაა, საკმარისია? არ არსებობს თანამედროვე რეალობა ამ ყველაფრის შესახებ. უძველესი ისტორიიდან ღმერთისა და მისი დოქტრინის შესახებ კამათობ. შინაგანი კონფლიქტი მძვინვარებდა.

"გრეგ? გრეგ? სახლში ვართ", – დაიყვირა რუთმა გარაჟის კარის გაღებისთანავე. ვერ ვუპასუხე, რადგან კვლავ ღრმად ვიყავი ფიქრებში ჩაფლული. სავარძელში დამინახა და გააგრძელა, "რას აკეთებ? რატომ არ მპასუხობ?"

"მაპატიე, ფიქრმა გამიტაცა. კარგი დრო გაატარეთ?" პატარა ფეხისნაბიჯების ხმამ ოთახი აავსო, ბავშვები გარაჟიდან სიხარულით მორბოდნენ წვეულებაზე მიღებული საჩუქრებით ხელში. მაშინვე სამზარეულოს მაგიდაზე დაყარეს საჩუქრები და საჭმელს მშვიდი დათუნიებით დაეტაკნენ.

"ბავშვებმა კარგი დრო გაატარეს. შენ რა გააკეთე?"

"სავარძელში ვიჯექი და ვისვენებდი."

"ცოტა არ იყოს უცნაურად და წყნარად გამოიყურები. არასოდეს ისვენებ", – თქვა რუთმა.

"კარგად ვარ. უბრალოდ, ბევრ რამეზე ვფიქრობ. მოგვიანებით გაეტყვი."

"კარგი. მე და კიმი საყიდლებზე მივდივართ ცოტა ხნით. ბავშვებს მიხედუ."

ბავშვებთან თამაშში გავერთე. ჩემს გონებას კარგი დასვენება და სხვა რამეზე ფიქრის გადატანა სჭირდებოდა.

იმ ღამით აეროპორტში უნდა წავსულიყავი. რუთის და მოფრინავდა. ექვსი საათი იქნებოდა, რომ ჯერ ისევ პირველ სართულზე ვიყავი და ბიბლიას ვკითხულობდი ლეპტოპში. იოანეს სახარებიდან ერთმა ადგილმა მიიპყრო ჩემი ყურადღება, რამდენიმეჯერ წავიკითხე ერთი და იგივე.

თომა, ერთი თორმეტთაგანი (ტყუპად წოდებული), არ იყო მათთან, როდესაც იესო მოვიდა. უთხრეს მას სხვა მოწაფეებმა:

"ჩვენ ვიხილეთ უფალი!" მან უთხრა მათ: "თუ არ ვიხილავ მის ხელებზე ნალურსმევს და არ ჩავყოფ თითს ნალურსმევში და ხელს – მის ფერდში, ვერ ვირწმუნებ." რვა დღის შემდეგ მისი მოწაფეები კვლავ შიგა ოთახში იყვნენ, და თომაც მათთან ერთად იყო. შევიდა იესო დახშულ კარებში, დადგა მათ შორის და თქვა: "მშვიდობა თქვენდა!" მერე თომას უთხრა: "მომეცი შენი თითი და იხილე ჩემი ხელები. მომეცი შენი ხელი და ჩადე ჩემს ფერდში, და ნუ იქნები ურწმუნო, არამედ გწამდეს." მიუგო თომამ და უთხრა მას: "უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!" ეუბნება მას იესო: "იმითომ მირწმუნე, რომ მიხილე. ნეტარ არიან, ვისაც არ ეუნახივარ და მირწმუნებს." ბევრი სხვა სასწაულიც მოიმოქმედა იესომ მოწაფეების წინაშე, რაც ამ წიგნში არ დაწერილა. ეს კი დაიწერა, რათა ირწმუნოთ, რომ იესო არის ქრისტი, ძე ღმერთისა, და რომელთაც ირწმუნეთ, გქონდეთ სიცოცხლე მისი სახელით. (იოან. 20:24-31)

თუ ეს მართალი იყო, მაშინ ეს იყო კაცი, რომელმაც პირადად იხილა ღმერთი და მასთან ერთად ცხოვრობდა. ის მთელს ქვეყნიერებას სწერდა, რათა მათ გაეგოთ მომხდარი. ამ ფაქტზე მოგვიანებით დაფიქრებისას მას, ალბათ, ხშირად მოიცავდა გაოცება, როცა გააცნობიერებდა, თუ რა მოხდა მის ცხოვრებაში და რისი მოწმე გახდა.

თომასავით ვგრძნობდი თავს, ვისაც უნდოდა რომ ერწმუნა, მაგრამ შემდეგ ყურადღება გადავიტანე იესოს ნათქვამზე. თითქოს მე მელაპარაკებოდა. მე ის ვარ, ვისაც იესო არ უნახავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც შემიძლია, ვირწმუნო, – გავიფიქრე მე.

ბოლოს გადავწყვიტე: კმარა, მწამს. ინტელექტუალურად შემიძლია, მივიღო ქრისტიანობა. ახლა შემიძლია ეკლესიაში წავიდე. ეს არ მომკლავს. რა უნდა დავკარგო? ჯერ კიდევ ვნერვიულობდი, როცა

ეს ნაბიჯი გადავდგი გონებაში. გული სწრაფად მიცემდა და ძალიან ვნერვიულობდი ამ გადაწყვეტილების მიღების გამო.

"გრეგ? გრეგ! ჩემი დის მოსაყვანად უნდა წახვიდე", – გადმოძახა რუთმა მაღლიდან.

"კარგი, მივდივარ." მანქანა სიბნელეში მიდიოდა და სიჩუმე იდგა. როგორც წესი, რადიო ყოველთვის ჩართული მქონდა. ჯერ კიდევ ღრმად ვიყავი ფიქრებში გართული. მინდოდა, ხმამაღლა მეტქვა საკუთარი თავისთვის: "მწამს!" თუმცა ჩემს ირგვლივ არავინ იყო. ჩემს გარშემო რაღაცის არსებობის განცდა ახლა უფრო გამიძლიერდა ვიდრე ოდესმე. რაღაცის გამო, შევყოყმანდი და ხმამაღლა არ ვთქვი არც ერთი სიტყვა, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნის წინ გონებაში ვთქვი.

მთავარგზაზე გადავდიეთ უარა, მანქანაში ხმამაღლა ვთქვი: "მწამს, მჯერა, რომ იესო მოკვდა ჯვარზე ჩემი ცოდვებისათვის და მკვდრეთით აღდგა." როგორც კი ეს სიტყვები ვთქვი, თავი უცნაურად და მშვიდად ვიგრძენი ერთდროულად. უკვე რელიგიური გავხდი? აეროპორტისაკენ მივდიოდი და ვფიქრობდი თუ როგორ უნდა შეცვლილიყო ჩემი ცხოვრება დღეიდან.

გადაწყვიტე, წახვიდე ეკლესიაში, ჩაიცვა შესაფერისი სამოსი, ქადაგებებიდან მიიღო შემეცნება და ეცადო, იყო კარგი ბიჭი. ღმერთი დაინახავს ჩემს სიკარგეს და ერთ დღეს სასუფეველში მოვხვდები. ის დაინახავს და გაიგებს, რომ შეგნებულად გავწიე ძალისხმევა, ვყოფილიყავი ქრისტიანი და ღმერთს ეს მოეწონება. პრობლემა არ არის. რა არის აქ უცნაური? ასეთი ფიქრის შემდეგ უკეთესად ვგრძნობდი თავს. შემიძლია ამ ქრისტიანული ამბების აღსრულება!

არ მიფიქრია, რომ სხვა რამეებიც არსებობდა ქრისტიანობაში. ყველაფერი ისე დიდი ხნის წინ წავიკითხე, რომ აღარ მახსოვდა დარწმუნებით ვიცოდი, რომ უნდა მერწმუნა. უბრალოდ, უნდა მივნდობოდი საკუთარ კვლევასა და გულის და მიმელო იგი. მიხაროდა, რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი დასრულდა, მაგრამ დასრულდა კი? წარმოდგენაც კი არ მქონდა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო.

მერვე თავი

გამოღვიძება

ორშაბათი დილა იყო და სამსახურში მეჩქარებოდა. მწვანე შუქი აინთო და ჩემს წინ მდგომი მანქანა მაშინვე არ დაიძრა. "შე იდიოტო! მწვანე ნიშნავს წასვლას! გაზზე დააჭირე ფეხი და წადი!" – დავუყვირე ჩემს წინ მდგომ მანქანას. როგორც იქნა, ნელა გადაადგილდა. გაღიზიანებული მივდევდი უკან ვიდრე გასწრების ნიშანი გამოჩნდებოდა. როგორც იქნა, გვერდი ავუარე და გავუსწარი. "დიახ!" – წამოვიძახე. ხომ ვუჩვენე სერიო.

შემდეგ შუქნიშანთან სხვა მანქანა იდგა ჩემს მარჯვნივ. წითელ შუქს თვალს არ ვაშორებდი და თან გადამკვეთ შუქნიშანს ვუყურებდი პერიოდულად. რაც ჩემი შუქნიშნის ჩართვის მოახლოებას მიმანიშნებდა. დავინახე, რომ ყვითელი შუქი აინთო, მოტორი ჩავრთე და გაზს ფეხი დავაჭირე. როგორც კი ჩვენს მხარეს მწვანე შუქი აინთო წინ გავიჭერი. სარკეში დავინახე, რომ ჩემს მარჯვნივ მდგომი მანქანა მტვერში გაეხვია და გამარჯვებულის შეგრძნებით მარჯვენა მხარე დავიჭირე.

სულიწმიდა?

სამსახურში მივედი და ჩემს ლაბორატორიაში კომპიუტერს მივუჯექი. თამი, ბიბლიის ქალი, მაგიდასთან იჯდა და კითხულობდა. ადგა, ნელა მომიახლოვდა და მკითხა, "როგორ მიდის შენი ბიბლიის კითხვის საქმე?" როგორც კი ჩემსკენ გამოემართა ვიფიქრე, რომ ამ კითხვას დამისვამდა და მოვემზადე. ჯერ მზად არ ვიყავი, რომ ვინმესთვის მეთქვა ჩემი ქრისტიანად გახდომის გადაწყვეტილების შესახებ, ან ბიბლიის რომ მწამდა.

ჩემი პასუხი იყო მოკლე: "კარგად. ბევრი წავიკითხე და ახლა ფიქრის ეტაპზე ვარ."

ქალმა სახეზე სასაცილო გამომეტყველება მიიღო, წარბები ასწია და თქვა: "ვლოცულობ, რომ თვით სულიწმიდა გამოგეცხადოთ." და წავიდა. თითქოს იცოდა, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო. წარმოდგენაც კი არ მქონდა, რა თქვა, მაგრამ შემერცხვა, რომ მეკითხა. გონებაში მიტრიალებდა მისი ნათქვამი მთელი დღის მანძილზე. რას გულისხმობდა?

იმ დღეს გვიანობამდე ვმუშაობდი შინ, როცა ყველას ეძინა. მისი სიტყვები ექოსავით გაისმოდა ჩემს გონებაში. "ვლოცულობ, რომ თვით სულიწმიდა გამოგეცხადოთ." უცბად, თითქოს, რაღაც მომეჩვენა. რა არის სულიწმიდა? ჯერ კიდევ დაძაბულად ვგრძნობდი თავს ჩემში არსებული განცდის გამო, რაც უფრო აშკარად შესამჩნევი გახდა იმ ქალის სიტყვების შემდეგ. რამე უნდა დამემართოს? რამე უნდა გამოჩნდეს? – ვწუხდი. ხომ არ ვსულელობ?

უცბად შევებრუნდი და უკან მივიხედე, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ სკამის უკან არაფერი იყო. უჰ! ყველაფერი ნათელია, – გავიფიქრე და შვებით ამოვისუნთქე. ცოტა ხნის შემდეგ ჭერში ავიხედე, რომ დამენახა იქ

ხომ არ იყო რამე. ვერ გამეგო, რისი მოლოდინი მქონოდა და სულელურად ვიქცეოდი. შეიკავე თავი! – შემოვუძახე ჩემს თავს. არაფერი მახსენდება სულიწმიდის შესახებ ჩემი წაკითხულიდან, არც სათხილამურო მოგზაურობიდან, არც მარკოს კუნძულების შემთხვევიდან.

სახლში გვიანობამდე მუშაობისას თამის ნათქვამზე ვფიქრობდი ხოლმე. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს რაღაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ არ ვიცოდი, რა.

პაციენტი

მომდევნო კვირას ახალი პაციენტი მყავდა, ვინც მართლა ამირია გონება. მოდი, მას უბრალოდ დავარქვათ პაციენტი. ორშაბათი დილა იყო და კლინიკაში უამრავი პაციენტი და მომსახურე პერსონალი ირეოდა. ექთანმა მითხრა, "დღეს 'დამატება' გვაქვს." განრიგს შევხედე და დავინახე ლურჯი მელნით რეგულარული პაციენტების სიის ქვეშ მიწერილი კაცის სახელი. როგორც წესი, ჯერ რეგულარული პაციენტები უნდა მიგველო, რასაც დაახლოებით ოცდაათ წუთში მოვრჩი და ნომერ მეოთხე ოთახში წავედი, სადაც 'დამატებითი' პაციენტი მიცდიდა.

ის ტანმალალი იყო და სამედიცინო მაგიდაზე იჯდა სახით ჩემსკენ. ორმოცდათი წლის იქნებოდა, მოკლე ნაცრისფერ-ყავისფერი თმები ჰქონდა. ფეხები საწოლის კიდეზე გადმოევიდა და აქანავებდა, ხელები კი მუხლისთავებზე დაეწყო. მუქი ლურჯი თვალები ჰქონდა იშვიათი ნათლით მოცული, რამაც მაშინვე მიიპყრო ჩემი ყურადღება. ახლოს დავაკვირდი და სათხილამურო მოგზაურობის მონაწილედ რომ შევიცანი, კინაღამ გავგიჟდი. მისი თვალები დაჟინებით შემომცქეროდა, ცოტა არ იყოს უხერხულად, მაგრამ, დარწმუნებით. მას თბილი და კეთილი ღმილი ჰქონდა.

მის სამედიცინო ფორმაზე გადავიტანე ყურადღება. კანის კიბო ჰქონდა, რაც ჩემი სპეციალობა იყო. ჩვეულებრივ, რუტინას შევუდექი – პაციენტის ავადმყოფობის ისტორიის მიმოხილვას. გავიგე, რომ ის ეკლესიაში მუშაობდა. ამან სხვა მხრივ მიიქცია ჩემი ყურადღება – ჩემი ქრისტიანად გახდომის გადაწყვეტილების გამო.

"ესე იგი, თქვენ ეკლესიაში მუშაობთ?" – ვკითხე მე.

"დიახ, ბატონო", – მიპასუხა მან უბრალოდ, მცირე ემოციით. ნათელი თვალებით მიცქერდა. მე არაკომფორტულად ვგრძნობდი თავს.

როცა მის კანს ვათვალიერებდი, იგი ჩვეულებრივ იწვა მაგიდაზე და ჭერს შესცქეროდა. სიმშვიდის უცნაური შეგრძნება ჰქონდა. ჩანდა, რომ არ წუხდა თავის ავადმყოფობაზე, რაც ძალიან უჩვეულოდ მომეჩვენა. ასეთ დროს ადამიანების უმეტესობა ნერვიულობს, დაინტერესებულნი არიან მათი მომავლით, ან სკამზე მოძრაობენ და ათასობით შეკითხვას მისვამენ.

"რაიმე შეკითხვა ხომ არ გაქვთ?" – ვკითხე მე.

"არა, ბატონო, ყველაფერი კარგად იქნება", – მიპასუხა მან და ისევ ჭერს მიაჩერდა.

რადაც არაჩვეულებრივს ჰქონდა ადგილი მის შემთხვევაში. ექთანი მის უკან იდგა (პაციენტი მას ვერ ხედავდა), ექთანმა მხრები აიჩეჩა და ისეთი სახით შემომხედა, მეუბნებოდა, არ ვიცი, რა სჭირს ამ ადამიანს.

ექთანი პაციენტს საოპერაციოდ ამზადებდა და მე ოთახიდან გამოვედი. მას პატარა სიმსივნე ჰქონდა მარცხენა მხარეს. როცა პირველი პროცედურის ჩასატარებლად დავბრუნდი, ისევ მშვიდად იწვა, მაღლა იხედებოდა უზრუნველად. მშვიდი და უდარდელი ღიმილი და გამოხედვა ჰქონდა. იგი ჩემსკენ შემობრუნდა, როგორც კი მის სახეზე მუშაობა დავიწყე. არაფერი უთქვამს, მაგრამ უცნაურად შემომხედა. მისი თვალები და გამოხედვა წუხილს გამოხატავდა.

ეს კაცი ისე მიყურებს, თითქოს სიყვარულით არის სავსე! – გავიფიქრე. – არა სხვანაირი, არამედ მზრუნველი სიყვარულით. ეს ბებიაჩემისეულ სიტხტს მაგონებდა და იმ განწყობას მგვრიდა, რასაც ბებია. გული ამიფართხალდა და მინდოდა, რაც შეიძლება მალე გავცლოდი ამ კაცს. მცირე მონაკვეთი დავამუშავე შუბლზე, ექთანმა ჩემი შეცბუნება იგრძნო და უცნაურად შემომხედა. რა ემართება ამ კაცს? რამ მოახდინა ჩემზე ეფექტი? – მიკვირდა მე.

კანის ზედა ნაწილი გავუსუფთავე და ოთახიდან გამოვედი. შეხვევის შემდეგაც არ შევსულვარ მის ოთახში, არ მინახავს, როგორ იყო ავადმყოფი, რასაც, როგორც წესი, ჩვეულებრივ ვაკეთებდი სხვა დროს. ცოტა უცნაური განცდა მქონდა ამ ადამიანის მიმართ. კანის კიბოს ნიშნულში მაშინვე ლაბორატორიაში გავაგზავნეთ გამოსაკვლევა. დაახლოებით ნახევარ საათში მასალა მზად იყო მიკროსკოპით გამოკვლევისათვის. საბედნიეროდ, კანის კიბო მთლიანად გამჭრალიყო და ოპერაციას აღარ საჭიროებდა. დაე, წავიდეს აქედან, – გავიფიქრე მე.

ექთანს ვუთხარი: "გაამზადე გასაწერად. ჭრილობა იმდენად პატარაა, რომ თვითონ შეხორცდება. გაკერვა არ სჭირდება." გაწერისას პაციენტის ოთახში უნდა შევსულიყავი. იგი სკამზე იჯდა და მელოდებოდა. პატარა, თეთრი სახვევი ჰქონდა თავის მარცხენა მხარეს. მას კარგი ამბავი ვუთხარი და კვლავ ისეთი სახით მიყურებდა. ძნელია იმ გამოხედვის ზუსტად აღწერა, რასაც მე ვგრძნობდი. მას არაფერი უთქვამს და არაფერი უკითხავს. უბრალოდ მიყურებდა. შემდეგ მოულოდნელად შემომხედა თვალებში და მკითხა: "მიიღეთ თუ არა იესო ქრისტე თქვენს ღმერთად და პიროვნულ მხსნელად?"

გავოგნდი და ცოტა ხანს უსიტყვოდ ვიდექი. ცხოვრებაში ყველაზე რთულ სიტუაციაში ვიგრძენი თავი. სახეზე სისხლი გამეყინა; გავთეთრდი და შინაგანი ზეწოლა ვიგრძენი. ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდებოდა. რატომ მეკითხება ამას?! ლაპარაკი არ შემეძლო. გავშეშდი. ისე მიყურებდა, თითქოს იცოდა, რა ხდებოდა ბოლო კვირების განმავლობაში. პაციენტის ზურგს უკან მდგომ ექთანს შევხედე. ექთანს წარბები აეზიდა და პირი ღია დარჩენოდა, სრულიად გაოცებული იყურებოდა. ჩემი ათწლიანი ექიმობის განმავლობაში, არასოდეს მყოლია ისეთი პაციენტი, ასე ცამოწმენდილზე, ასეთი რამ რომ ეთქვას.

"უჰ! უჰ! უნდა წავიდე, ლაბორატორიაში", – დავიწყე ბჟუტური.

ძალიან სწრაფად გამოვედი ოთახიდან, პირდაპირ სამზარეულოში წავედი და სკამზე დავეშვი. გული სწრაფად მიცემდა და ოფლმა დამასხა. ჭიქაში ცივი წყალი ჩამოვისხი და სულმოუთქმელად დავლიე. იმავე ძალას ვგრძნობდი გარშემო. მოვიშალე, მაგრამ სამსახურში ვიყავი და ძალა უნდა მომეკრიბა.

"რა ხდებოდა?" – მკითხა სამზარეულოში შემოსულმა ექთანმა.

"წავიდა?" – ვკითხე მე.

"წავიდა. ახლახანს გავაცილე."

"საკმარისია. საქმეს უნდა დავუბრუნდე", – ვთქვი მე და ავდექი. არ მინდოდა მასთან ამის შესახებ საუბარი და საქმეები მოვიმიზეზე. საბედნიეროდ, მართლაც დაკავებული დღე გვქონდა, რაც მომხდარის დავიწყებაში დამეხმარა. თუმცა მუდმივი თანდასწრების განცდა არ მტოვებდა იმ დღიდან მოყოლებული.

იმ ღამით, რუთმა უკვე იცოდა, რომ რადაც მოხდა.

"რა გემართება? უცნაურად იქცევი", – თქვა მან, ალბათ სიჩუმის გამო. როგორც წესი, სახლში ხმამაღალი საუბრის სურვილით ვბრუნდებოდი ხოლმე. პასუხი არ გავეცი და ისე დავტოვე. აივანზე გავედი ფიქრებისთვის. ბიბლიის ქალის მიერ ნათქვამზე დავიწყე ყურადღების გამახვილება: "იმედი მაქვს, რომ სულიწმიდა თვითონ გამოგეცხადებათ." რას გულისხმობდა? რას გულისხმობდა? – ვფიქრობდი მე.

"ალბათ თვითონაც არ იცის!" – ჩავიბუტბუტე, თავის დასაიმედებლად.

რადაცა ვგრძნობდი ჰაერში, განსაკუთრებით მაშინ, როცა მარტო ვიყავი – თითქოს ვიღაც, თუ რადაც იყო იქ. უცნაური აურა ტრიალებდა ჩემს გარშემო, რასაც ვგრძნობდი – ძალიან თბილი და მშვიდი, თუმცა ველავდი, რადგან არ ვიცოდი, ეს რა იყო. არავისთვის მითქვამს. განსაკუთრებით, რუთისთვის. დარწმუნებული ვიყავი, ყველა იფიქრებდა, რომ შევიშალე. საბედნიეროდ, რუთმა მარტო დამტოვა და საქმის გამოძიება არ დაიწინა, მაგრამ ვიცი, რომ გაოცდა.

როცა შინ ვბრუნდებოდი, სიმშვიდე და სიწყნარე მინდოდა, მაგრამ ამ დროს ჩვენი მოუსვენარი ბავშვები არღვევდნენ სიწყნარეს. რუთი და მე ადრე მივდიოდით დასაძინებლად. მისთვის არ მითქვამს ადრე დაძინების მიზეზი, არ მითქვამს რატომ არ მინდოდა ჩემს სამუშაო კაბინეტში მარტო ყოფნა. ცოტა არ იყოს დაბნეული ვიყავი "თანდასწრების" გამო.

კარის მეზობელი

მეორე დღეს ეზოში ვიყავი და კარის მეზობლები მოვიდნენ. ვისაუბრეთ და თავის ეკლესიაში დამშატიყეს კვირის მსახურებაზე. "უბრალოდ მინდა, რომ იმ ეკლესიაში მოხვიდე სადაც მე დავდივარ. ისინი უბრალოდ ასწავლიან ბიბლიასა და ღვთის მსახურებას", – მითხრა მან. გაოცებული ვიყავი, რადგან ღმერთზე არ გვისაუბრია და მან არაფერი იცოდა ჩემი ძიების შესახებ.

"არ ვიცი", – ვუხარი მხრების აჩეჩვით.

"კოსტუმის ჩაცმა არ გინდა. შეგიძლია, ჯინსი და მაისური ჩაიცვა", – თქვა კაცმა, რომელსაც აღფრთოვანება ემატებოდა. მგონია, შვება შემნიშნა ჩაცმის კოდთან დაკავშირებით. ის მიხვდა, რომ ახლა უფრო დავინტერესდი და განაგრძო: "მათ ყავის ბარი და ესპრესოც აქვთ."

მეც ამის მოსმენა მინდოდა. ყავა ძალიან მიყვარდა, განსაკუთრებულ ჩაცმაზე მაინცდამაინც არ ვგიჟდებოდი და უკვე გადაწყვეტილებაც მიღებული მქონდა ეკლესიაში წასვლაზე, მაგრამ, ცოტა არ იყოს, მეთაკილებოდა პირადი ინიციატივით ამის გაკეთება. ისიც არ მინდოდა, რომ სადღაც გამოვჩენილიყავი და ნაცნობებს კითხვებით ავევსე: "რას აკეთებო აქ?" არ მინდოდა ხალხს სცოდნოდა, რომ ბიბლიას კკითხულობდი და ქრისტიანობის შესახებ კვლევებს ვაწარმოებდი.

"კარგი. წამოვალ", – ვუპასუხე მე.

"შესანიშნავია. შეგიძლიათ გამომყვეთ. შენობა აქვე კუთხეშია."

"მაშინ შეგხვდებით."

შინ შევედი და ვფიქრობდი, როგორ მეთქვა ეს რუთისთვის. ცოტა არ იყოს, თავს უცნაურად ვგრძნობდი. რუთი სამზარეულოში იჯდა მაგიდასთან ბავშვებთან ერთად. "დევიდმა მთხოვა, კვირას მასთან ერთდ წავიდე ეკლესიაში. არ ვიცი, მინდა თუ არა წასვლა."

მე ვცრუობდი, რადგან, სინამდვილეში, წასვლა მინდოდა, მაგრამ არ მინდოდა, ძალიან დაინტერესებული გამოვჩენილიყავი მის თვალში.

"მართლა? აპირებ?" – მკითხა მან და სახეზე გაოცება გამოეხატა. ვფიქრობ, რომ ეს მისთვის სასიამოვნო შოკი იყო.

"რას ფიქრობ?" – ვუპასუხე მე. ისევ ჩემს გეგმას მივდევი, რათა არ ეფიქრა, რომ წასვლა მინდოდა და მას ვაძლევდი საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ნებას.

"მე მგონი, ყველანი უნდა წავიდეთ", – თქვა მან.

"კარგი. ვეტყვი." – ვუთხარი და ეზოში გავედი, რათა ეფიქრა, რომ დევიდისთვის პასუხი უნდა დამებრუნებინა. არ მინდოდა, სცოდნოდა, რომ უკვე დავთანხმდი დევიდს.

ეკლესია

კვირა ღლეც დადგა და ჯინსი და მაისური ჩავიცვი. რუთმაც შარვალი და ბლუზა ჩაიცვა. ბავშვებს დავუძახე და მანქანაში ჩავსხი. მანქანა მეზობლის სახლს უკან გავაჩერე, რომელიც უკვე გველოდებოდა. გზადმიმავალი, ცოტა არ იყოს, უცნაურად ვგრძნობდი თავს, თითქოს მუცელში პეპლები დაფრინავდნენ. სულ რომ არაფერი ვთქვათ, ჩვენი წინანდელი საეკლესიო გამოცდილება სახარბიელო ვერ იყო.

ეკლესიამდე მოკლე გზა იყო; შენობა იქვე, ქუჩის ქვემოთ იდგა. როცა დევიდმა მანქანა გასაჩერებელ ადგილზე შეატრიალა ვიფიქრე, რომ გზა შეეშალა. "ძვირფასო, ის მოლში მიდის", – ვთქვი მე.

მან ხელი გაიმშვირა და თქვა: "არა, შეხედე, ნიშანი ამბობს – 'კალვარის ეკლესიაო.' აქ ეკლესია არის." მართლაც, ეკლესია იყო, მაგრამ არც გუმბათი ჰქონდა და არც მინა და არც თეთრი დერეფანი. შენობა იყო

დიდი, გრძელი, ერთსართულიანი და ხალხი ორივე კარიდან შედიოდა. ავტოსადგომი სავსე იყო მანქანებით და ბიჭებიც კი ჰყავდათ მოძრაობის მოსაწესრიგებლად. მართლა ამდენი ხალხი დადის ეკლესიაში? – მიკვირდა მე. ისიც შევნიშნე, რომ თითქმის ყველას ეჭირა ბიბლია. რატომ მოაქვთ ეკლესიაში ბიბლია? მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში მხოლოდ რამდენჯერმე ვყოფილვარ ეკლესიაში, მაგრამ არ მახსოვს, რომ ხალხს საკუთარი ბიბლიები ჰქონოდათ თან.

როცა შევედი, მაშინვე სახლში ვიგრძენი თავი. დაუჯერებელია, რომ თავს კარგად ვგრძნობ, – გავიფიქრე მე. აქ ხალხი ისეთი არ იყო, როგორებსაც აქამდე შევხვედრივარ. ქალბატონი შემომეგება კარში ფართო ღიმილით. "მობრძანდით", – თქვა მან და ბუკლეტი გადმომცა.

ახლადღაფქული ყავის ძლიერი არომატი შევიგრძენი და პირდაპირ ყავის ბარისაკენ წავედი, რომელიც შენობაში შესვლისთანავე ჩანდა ხელმარცხნივ. ესპრესოსა და რძის სურნელი იგრძნობოდა. როგორც ყურისათვის სასიამოვნო მუსიკა! ეკლესიაში მაინცდამაინც ლამაზად არ ჩანდა, მაგრამ ჩემთვის სამოთხიდან მოვლენილ ფაქტს ჰგავდა!

ლატე შევუკვეთე და თან მომავალ ხალხს ვუყურებდი, მომღიმარი სახეები, გულიანი გადახვევა და მშვიდობიანი და თბილი ატმოსფერო იგრძნობოდა ჩემს გარშემო. მაშინვე შინაგანმა შურმა შემიპყრო. რატომ არის ეს ხალხი ასეთი ბედნიერი? თითქმის ყველაფერი მაქვს, მაგრამ მაინც საცოდავად გამოვიყურები. შევეცადე, ზოგიერთი მათგანის შესახებ ანალიზი გამეკეთებინა საკუთარი თავის უკეთესად წარმოჩენის მიზნით.

შეხედე! წმინდა ქალწული მოდის. მოწყალე! ის კაცი კი ტანჯულია. დაეხმარეთ ტვირთის ზიდვაში, ვგმინავდი შინაგანად. ცოტა არ იყოს შინაგანად ვწუხდი, შევძლებდი თუ არა ეკლესიის სტილის გათავისებას. მე ამ ხალხს არ ვგავდი.

მუსიკა დაიწყო, ჩემს წინ დახურულ კარს მიღმა იფრქვეოდა მუსიკა. მეც იქეთ გავეშურე, კარები გავხსენით და რუთთან და ჩემს მეზობელ დევიდთან ერთად მსახურების დარბაზში შევედი.

იმ წუთშივე ენერგია და სიხარული დამეუფლა. ყველა გახარებული და გალობაში ჩართული ჩანდა. მსახურების განმავლობაში ხალხი თვალებს ხუჭავდა და ხელებს მაღლა ადარბობდა. ხანდახან ტაშსაც უკრავდნენ. შემეძლო მეთქვა, რომ რაღაცას განიცდიდნენ, მაგრამ არ მესმოდა, რას ან როგორ. ძალიან უცნაურად მომეჩვენა, მაგრამ ამავდროულად საინტერესო ჩანდა და მეც მიმიზიდა. მსახურება წესისა და რიგის მიხედვით მიმდინარეობდა. ისინი კმაყოფილებასა და პატივისცემას გამოხატავდნენ ღვთის მიმართ. ვგრძნობდი, რომ მშვიდები და აღვსილნი იყვნენ, რაც მე ვერასოდეს ვიპოვე და მუდამ ძიებაში ვიყავი. ეს როგორ შეიძლება? – ვფიქრობდი.

შური ისევ მეწვია. თვალდახუჭული ქალი სცენაზე მღეროდა, დასარტყამ ინსტრუმენტზე დამკვრელი კი ფართოდ გახელილი თვალებით ჭერში იცქირებოდა გაღიმებული. შეუძლებელია, რომ ამ ხალხს ის ჰქონდეს, რაც მე მაქვს. მათ არ აქვთ განათლება, წვრთნა და ის ცოდნა, მე რომ მაქვს, – ვფიქრობდი. მუსიკა საინტერესო ჩანდა, მაგრამ

დიდხანს გაგრძელდა.

როგორც იქნა, ზუცესი სცენაზე გამოვიდა ბოლო საგალობლის შემდეგ. მან ორმოც წუთიანი სწავლება ჩაგვიტარა პირდაპირ ბიბლიიდან. იგი მათეს სახარებიდან სათითაო მუხლს განიხილავდა. ყველა ადევნებდა თვალს წაკითხულს საკუთარ ბიბლიაში. ახლა კი მივხვდი, რატომ ეჭირა ყველას ბიბლია! მხოლოდ ორჯერ ვიყავი ეკლესიაში ჩემი სიცოცხლის მანძილზე, მაგრამ ეს სიტყვა სრულიად განსხვავებული იყო. წინა მსახურებებზე ბევრს ლაპარაკობდნენ, მაგრამ ეს კაცი უფრო მასწავლებელი ჩანდა. მან ყოველი წინადადება განმარტა და ხალხს წაკითხულის გაგებაში ეხმარებოდა, თუ რას ამბობდა ბიბლია. მას ბევრი არ უსაუბრია საკუთარ შეხედულებებზე, რაც მომეწონა. იგი მკაცრად იყო დამოკიდებული ბიბლიის ნათქვამზე.

ბოლოსმან ისაუბრა "ქრისტესმილებაზე." მოსაუბრემ რამდენჯერმე გაიმეორა ეს ფრაზა, რათა მიმხვდარიყავით, რომ ეს აუცილებელი იყო ღმერთსა და ადამიანს შორის ურთიერობისათვის. ვერ გავიგე ამის მნიშვნელობა. რას გულისხმობს პირადად ქრისტეს მილებაში? იესო ორი ათასი წლის წინ მოკვდა და ახლა ზეცაშია. როგორ შემიძლია მისი მილება? ვკითხე საკუთარ თავს. სინამდვილეში, განა ეს უკვე არ გავაკეთე, როცა გადაწყვეტილება მივიღე, რომ ბიბლია ჭეშმარიტება იყო და ეკლესიაში წამოსვლაზე დავთანხმდი?

საერთოდ, ძალიან მომეწონა მსახურება. გამაღიზიანა თემის კოლექტიურმა სინარულმა და მშვიდობამ, მაგრამ არ დავუშვი, რომ ამაზე გადამეტანა მთავარი ყურადღება. არავინ არაფერს გაიძულებდა, ინსტრუქციებს არ იძლეოდნენ, არც მიყურებდნენ, როგორც უცხოსა და განსხვავებულს. მომეწონა ყავა და ყოველდღიური სამოსით ეკლესიაში ყოფნა. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ფარისევლობაა ეკლესიაში საუკეთესოდ ჩაცმა, მერე სახლში დაბრუნება და ყოველდღიური ცხოვრების გაგრძელება. ჩემს ცოლს ვუთხარი, "შემიძლია, რომ კვირაში ერთხელ მოვიდე აქ." მას გაუხარდა, დევიდი კი ექსტაზში ჩავარდა. რატომ უხარია მას ეს ასე ძალიან? რა მნიშვნელობა აქვს ამას მისთვის? რაში აინტერესებს ჩემი ეკლესიაში წასვლა? – ვფიქრობდი მე.

ლღობა

მეორედღეს უცნაური რამ მოხდა. სახლში ვიყავი და ჩემს კაბინეტში ვმოუშაობდი გვიანობამდე. ყველას ეძინა. საქმის კეთება არ შემეძლო, რადგან იესოსა და ბიბლიაზე ვფიქრობდი. ჯერ კიდევ შეშინებული ვიყავი სულიწმიდაზე. თანდასწრება ჯერ კიდევ ჩემთან იყო და უფრო ძლიერდებოდა. ერთდროულად უცნაურიც იყო და დამამშვიდებელიც. პაციენტის სიტყვა მიტივტივებდა თავში, "მიიღეთ უფალი იესო, როგორც თქვენი პირადი უფალი და მხსნელი?" მჭადაგებულმაც ეს არ იკითხა?

უცბად ჩემს ცუდ ჩვევებზე დავიწყე ფიქრი, გამახსენდა განსაკუთრებული შემთხვევები, როცა ვიღაცის წინაშე არასწორი რამ ჩავიდინე, ან ცუდი რამ ვთქვი ვინმეზე. დეტალურად გამახსენდა

ყველაფერი, ბავშვობიდან დაწყებული მოზარდობის ასაკით დამთავრებული. ამაზე ფიქრის გამო შიში უფრო დამეუფლა. სცენები გამუდმებით მოედინებოდა გონებაში. ვეცადე, დამევიწყებინა, მაგრამ მოდიოდნენ და მოდიოდნენ – გრაფიკული სიდიდით. ვუყურებდი, ნათლად ვხედავდი და ვიცოდი, რომ ყველაფერი მართლაც იყო:

"შენ ქალაჩუნა ხარ! ქალივით გაცვია!" – ვუთხარი ერთხელ დაწყებითი კლასის ამხანაგს სათამაშო მოედანზე. "ჩვენთან არ ითამაშო", – ვუხეზე მას. ბიჭი ატირებული გაიქცა. "რა არის, დედასთან გარბინარ?! – მივაწიე ყვირილით ეს სიტყვები.

"ჰეი, დოუ, მოდი, ქრისტი მივატოვოთ. ტუალეტშია და ვერ გაიგებს, სად წავდილი", – ვუთხარი ამხანაგს, მეოთხე კლასში რომ ვიყავი.

"რა უშნო ხარ. არც ერთ ბიჭს არ მოეწონები!" – ვუთხარი გოგონას მერვე კლასში. მას ისე შეეცვალა სახე, გეგონება, დაცხრილესო. ურწმონო სახით შემომხედა და შეწუხებულმა თავი გააქნია. მე უხერხულობისაგან გავიღიმე.

"არ მჯერა, რომ მომატყუე!" – მითხრა მეათე კლასში შეყვარებულმა ქვითინით. ეს როგორ გამიკეთე? არ გესმის, რომ მიყვარხარ?" – მკითხა მან თვალცრემლიანმა. ისე ქვითინებდა, რომ სუნთქვა უჭირდა. სულაც არ შევწუხებულვარ. "ის უფრო მოწონს", – ვუპასუხე ცივად.

"მე უფრო კარგად შევასრულებ დავალებას შენი ღამის კლუბისთვის. ეს დიჯეი რა მოსაწონია! მე დამიქირავე და გაჩვენებთ, როგორ უნდა საქმის წარმართვა", – ვუთხარი სავარაუდო დამქირავებელს. იმ დროს კოლეჯში ვიყავი. მე სამსახური ვიშოვე. იმ ბიჭმა კი დაკარგა.

"მამიკო, ჩემთან ერთად წამოხვალ და გარეთ ითამაშებ?" – მკითხა ოთხი წლის ბიჭუნამ, რომელსაც ბურთი ეჭირა ხელში. "ახლა არა! ვერ ხედავ, რომ დაკავებული ვარ?!" – ვუყვირე მე. მან ბურთი დააგდო და ატირებული გაიქცა.

"რა გემართება?!" – მკითხა რუთმა.

"არაფერი. მოკეტე და მარტო დამტოვე! ნუ გამიწყალე გული?" – შევუღრინე მასაც.

"მოთმინება არასოდეს გყოფნის და ყოველთვის ბეწვზე გიკილია ნერვები."

"სულ ასე უხეშად მელაპარაკები", – ამოიქვითინა მან.

"შეწყვიტე ტირილი და წადი აქედან. ახლა არ შემიძლია ამის მოგვარება!"

"კარგი!" – იყვირა მან და კარები მომიჯახუნა.

"ქალები - თავის ტკივილია..." ჩავიბურტყუნე ჩემთვის.

"თქვე მაიმუნებო! რას აკეთებთ! ახლავთ თქვენს ოთახში წადით!" – ვუყვირე ჩემს ორ ვაჟს, ოთხი და ხუთი წლისებს. ისინიც მაღლა გაიქცნენ ტირილით.

"დედა! დედა! რატომ გვიყვირის მამა?" მე დაბლა სართულზე

ვიყავი და მათ მიერ ოთახში მიყრილ-მოყრილ სათამაშოებს ვაგროვებდი. რუთი დაბლა ჩამოვიდა.

"რა გემართება? ყოველთვის რატომ უყვირი ბავშვებს?"

"სამსახურში მძიმე დღე მქონდა. მარტო დამტოვე", – ვუყვირე მე...

ასე სათითაოდ მოდიოდა გონებაში ფაქტები კინო ფილმებით. ეს საშინელებათა ფილმი გახლდათ, მე კი – ვარსკვლავი. დავინახე, როგორი სასტიკი, გულქვა, შურიანი, ამაყი, მიუტევებელი და უსიყვარულო ვიყავი მას შემდეგ, რაც წამოვიზარდე. ახლა სხვა კუთხიდან დავინახე საკუთარი თავი. იდაყვებით მაგიდას დავეყრდნე და თავი ხელებში ჩავრგე. ჩემმა სიმხცემ ტირილი მომგვარა. თითქოს ვიღაც მაჩვენებდა, ვინ ვიყავი სინამდვილეში და არ მომწონდა, რაც დავინახე.

ჭეშმარიტების მახვილმა განგმირა ჩემი გული მწუხარებისაგან. ცრემლები ღვარად მოედინებოდა სახეზე, ქვითინი მწუხარების ღრიალში გადაიზარდა. შემდეგ ღვთის თანდასწრება ვიგრძენი პირველად ჩემს ცხოვრებაში, რისი ახსნაც არ შემეძლო. ის ჩემს წინ იდგა გონებაში და მეშინოდა. შინაგანი შიში ვიგრძენი, რადგან ვიცოდი, რომ ცოდვილი და მკვდარი ვიყავი წმიდა ღმერთის წინაშე. დავინახე, როგორი დაცემული ვიყავი და კანკალი ამივარდა.

საძინებელში გავიქეცი და მუხლი მოვიყარე. ისე ხმამაღლა მოვთქვამდი, რომ არა მჯერა, როგორ არ გაიღვიძა მთელმა სახლმა. მწუხარებისა და შიშისაგან მოვთქვამდი. ვიძახდი: "ოხ, ღმერთო! მაპატიე. გთხოვ, მაპატიო. ძალიან დამნაშავე ვარ. ბოროტი ვარ. მაპატიე, ვწუხვარ! იესო, გთხოვ დამეხმარო!"

ვაგრძელებდი: "აღარ მინდა ასეთი რომ ვიყო. შემცვალე. ოჰ, იესო, გთხოვ შემცვალო! ისეთ ადამიანად მაქციე, როგორიც შენ გსურს, რომ ვიყო. მჯერა, რომ ჩემი ცოდვებისათვის ჯვარზე მოკვდი. შევცოდე შენს წინაშე. არ ვიცოდი. მართლა არ ვიცოდი..." – ვტიროდი გამწარებული.

ეს, დაახლოებით, ათი წუთი გაგრძელდა. სიმწრის ტირილისაგან გაურკვევლად ვლაპარაკობდი. დავნებდი, ღვთის მოწყალებას გადავეცი საკუთარი თავი და ბრალდებული კრიმინალივით ვითხოვდი შეწყალებას მოსამართლის წინაშე. როგორღაც ღვთის ძალა ვიგრძენი, რამაც უფრო ამატირა. არ ვგეგმავდი ემოციურ გამოსვლას და არც მინდოდა ამის გაკეთება, როგორც ამაყ და წარმატებულ პროფესიონალს და ზრდასრულ კაცს. სიტყვები უბრალოდ მოდიოდა. რაღაც დამემართა, რამაც გამოიწვია მონანიების, დანებებისა და შეწყალების თხოვნის სურვილი. არ ვიცოდი სხვა რამეს თუ ნიშნავდა ეს საჩიელი, გარდა იმისა, რომ ნერვებმა მიმტყუნეს. თუმცა, ეს ლოცვა კრიტიკული შემობრუნების ზღვარი იყო ჩემს ცხოვრებაში.

ბოლოს ემოციებისგან დავმშვიდდი, დავიცალე, ნელ-ნელა დავუბრუნდი ჩემს თავს. უცნაურად და შერცხვენილად ვგრძნობდი თავს, მიუხედავად იმისა, რომ მარტო ვიყავი. საძინებელში ფეხაკრეფით შევედი, დარწმუნებული ვიყავი, რომ რუთი მელოდებოდა, რათა ეკითხა,

რა მოხდა. მას ეძინა. საწოლზე ავედი, მოვემზადე დასაძინებლად. ვიწეკი და გამოუთქმელ სიმშვიდეს ვგრძნობდი. ჩვეულებრივ სიმშვიდეზე მეტს და რაღაც ისეთს, რაც აქამდე არასოდეს განმიცდია ცხოვრებაში.

წარმოდგენა არ მქონდა, რა შეეძლო ტირილსა და ემოციისაგან გათავისუფლებას, _გავიფიქრე მე. დასაძინებლად ისე დავწეკი, რომ არ ვიცოდი, რამე განსაკუთრებული თუ მოხდა ჩემს თავს. როგორც ბავშვს, ისე მეძინა. წარმოდგენა არა მქონდა, რომ ისეთივე ძველი კაცი აღარ გავიღვიძებდი.

მეცხრე თავი

ტრანსფორმაცია პირველი რამდენიმე მომენტი

დილით, როცა გავიღვიძე, ყველაფერი სხვაგვარად იყო, ყველაფერი. ვერასოდეს შევძლებ იმ მდგომარეობის ჯეროვნად ახსნას. თითქოს, დაბადებით ბრმა ვიყავი და ახლა ვხედავდი პირველად. თითქოს ოცდათექვსმეტწლიანი სიზმრიდან გამოვიღვიძე.

მალვიდარად დარეკა ექვსის ნახევარზე. ნელ-ნელა ვიღვიძებდი, მაგრამ ძილბურანში ვიყავი და დაბნეული. მალვიდარად მივწვდი, გამოვრთე, საწოლზე ჩამოვჯექი და ვგრძნობდი, რომ ყველაფერი რადიკალურად განსხვავებული იყო. უკიდვრად სიმშვიდეს ვგრძნობდი. საერთოდ აღარ მაწუხებდა ყოველდღიურობა ოდინდელივით. ზეწოლა გაქრა და წნევა, რომელიც დაბლა მცემდა, სადღაც გაუჩინარდა. ჯერ კიდევ ბნელ საძინებელში გავიარე და სააბაზანოში შევედი. ცხელი წყალი გადმომელვარა სხეულზე. რა შეიცვალა? გავისაპნე და თავზე შამპუნი წავისვი. თვალები დავხუჭე და შამპუნის ჩამობანას შევეცადე. უცბად აზრი მომივიდა. ჩემი გონება გაჩუმებულია! ჩვეულებრივი დაძაბულობა და ამბელვებული ფიქრები გაქრა!

იმ წუთში გავანალიზე, რომ შეგნებული ცხოვრების უმეტესი ნაწილი მრავალნაირ წუხილსა და ფიქრში გავატარე. სახლის ვალის გადახდის დროა; ბავშვები ავად არიან; მარაგი თავდება; ბანკში უნდა წავიდე, სარეცხი გამოვიტანო სამრეცხაოდან, სავარჯიშოდ წავიდე, მოვემზადო საუბრებისათვის, ტუალეტი შესაკეთებელია, მანქანის ზეთი შესაცვლელია... ანალოგიური ფიქრები მესხმოდა თავს თვალის გახელის წუთიდანვე წლების განმავლობაში. დღეს ეს ფიქრები გაქრა! რაც თავი მახსოვს გონებაში პირველად აღარ არის დაბნეულობა, შეჯიბრის განცდა, სტრესი და იმედგაცრუება, რაც დიდებულია! როგორც წესი, გადატვირთული გონებრივი მდგომარეობა ახლა მშვიდი, წყნარი და ცარიელია. "უცნაურია, მაგრამ შესანიშნავი", – ჩავიბუტბუტე ჩემთვის.

კბილის პასტა წავცხე ჯაგრისს და ჩვეულებისამებრ დავიწყე კბილების ხეხვა. ჩვევად მქონდა ბანაობისას კბილების გამოხეხვა. კბილებს ვიხეხავდი და ცხელი წყალი თავზე მესხმებოდა. ამ დროს აღმოვაჩინე მეორე საოცრება. თავს კმაყოფილად ვგრძნობ, მაგრამ რა არის ეს? სრულიად ახალი სახის მშვიდობამ დაისადგურა ჩემს გულში, რაზეც წარმოდგენა არ მქონდა. ახლახან გავიღვიძე. არაფერი შემიძენია და არც არაფერი მომხდარა განსაკუთრებული, ასე რომ ვგრძნობდე თავს. რა ხდება, რატომ ვგრძნობ თავს ასე? ნაცნობი განცდა, მაგრამ განსხვავებული გზით.

ეს იმ განცდას ჰგავდა, პირველად საჭესთან რომ დავჯექი. როცა პირველად მომესმა მისი მოტორის მუშაობის ხმა, მაშინ მქონდა ცხოვრების

ინტერესი და სტიმული, რაც არაჩვეულებრივი განცდა იყო. ყოველდღეს სიხარულით მოველოდი, რადგან კარგი მანქანით უნდა დავენახე ხალხს. პრობლემა მხოლოდ ის იყო, რომ ეს სიხარული მხოლოდ რამდენიმე კვირა გაგრძელდა და სიმართლე უნდა ითქვას, რომ რამდენიმე დღეში გახუნდა.

მაგრამ ახლა უყოყმანოდ ერთ წუთში ვდგები საწოლიდან! როგორც წესი, საწოლიდან ბუზღუნით ვდგებოდი, ცხოვრებით უკმაყოფილო და კიდევ ერთი სამუშაო დღის უხალისო მოლოდინით. ეს უცხოა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ სასურველი, ნათელი და წყნარი გონებაა.

ბანაობის ბოლოს წვერს ვიპარსავდი ხოლმე. საპარსი სახის ორივე მხარეს ჩამოვისვი და "ბრიტვა" გასარეცხად გავამზადე. მიკვირდა, როგორ სხვაგვარად იყო ყველაფერი. ანალოგიური გრძნობები განმიცდია წარსულში, მაგრამ იგი ყოველთვის იყო დაკავშირებული რაღაც ახლის შეძენასთან, ან რაღაც მნიშვნელოვანის ჩუქებასთან.

უცბად ვიგრძენი, რომ ეს განცდა რაღაცის მსგავსი იყო. გეგონება რაღაც შეძახილი! გეგონება, ორი ჭიქა ღვინო დავლიე-პირველი ორი! თავს მოსვენებულად ვგრძნობდი, ეიფორიაში და სიტუაციის გამო აღფრთოვანებული, როგორც კარგი ღვინისაგან შეზარხოშებული. ახლა ასეთი განცდა სისულელეა, გავიფიქრე-უბრალოდ ვბანაობ და მეტი არაფერი!

ღვინო მიმსუბუქებდა ყოველთვის დაძაბულობას, ცხოვრების საზრუნავსა და სიხარულისა და ბედნიერების შეგრძნებას მგვრიდა. თითქოს დანაკლისის მივსებდა, მაგრამ დიდხანს არასოდეს გრძელდებოდა. მეორე დღეს კი თავის ტკივილი მოჰქონდა ხოლმე. დღეს სხვა იყო. თავს დიდებულად ვგრძნობდი მიზეზის გარეშე. საკვირველება! არანაირი ალკოჰოლი. ახლა გავიღვიძე. კვირის დასაწყისი იყო და არა პარასკევი-დღე როცა ერთი სულით მოველოდი შაბათ-კვირის დასვენებას. გარაჟში ახალი მანქანა არ იდგა, არც შვებულება იყო მოახლოებული. შეიძლება, უბრალოდ კარგი ესპრესო მინდა, გავიფიქრე. ყავამ შეიძლება, გამოაფხიზლოს გონება და შეიძლება, მიხვდეს, რა ხდება.

საშხაპედან გადმოვვი, ჩავიცვი და დაბლა ჩავედი. ველოდებოდი, რომ გონება დამებინდებოდა და ზეწოლის განცდა ისევ დამიბრუნდებოდა. მაგრამ არა. ესპრესო გავამზადე და დავლიე. ერთი-ორი წუთი ველოდებოდი, რომ კოფეინი იმოქმედებდა და უცნაური, მაგრამ სასიამოვნო ნირვანადან გამომაფხიზლებდა. არაფერი შეცვლილა. კიდევ ერთი ჭიქა მოვამზადე და დავლიე, ჩანთები გავამზადე და მანქანაში ჩავჯექი. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს მთელი წელი ვოცნებობდი ამ მგზავრობაზე, მაგრამ სამსახურში მივდიოდი და არა ვეგასში. შვებულების მოახლოებისას ყოველთვის ვგრძნობდი ანალოგიურ ეიფორიას, სიხარულსა და აღფრთოვანებას მოახლოებული მოგზაურობის გამო.

პირველი დღე სამსახურში

მანქანაში ჩავჯექი და სამსახურისაკენ დავიძარი. სამსახურში

სწრაფად მისვლის სურვილი გამჭრობოდა. საავტომობილო მოძრაობა აღარ მაღიზიანებდა. გადამისწრო მანქანამ, მაგრამ არც დავუსიგნალე და არც თითი მიჩვენებია. მობილური დამავიწყდა, მაგრამ არ გავბრაზებულვარ. როცა წითელი შუქნიშანი გამოირთო, ადგილიდან სწრაფად მოწყვეტის სურვილი არც მქონდა, ჩემს გვერდით მდგომი მანქანის გასწრების მიზნით. "რა უცნაურია", – ვთქვი ხმამაღლა. მარიო ანდრეტი მისტერ როჯერსი გახდა?

სამსახურში მისვლისას ეს გრძნობა უფრო გაძლიერდა და ჩემი აუხსნელი პიროვნული ცვლილებები უფრო შესამჩნევი გახდა. გადატვირთული განრიგი მქონდა, მაგრამ ექთნები არ დამიდანაშაულებია. რთული და მომთხოვნი პაციენტიც მყავდა, მაგრამ მოთმინება არ დამიკარგავს.

ის იყო დღის პირველი პაციენტი. კარი გავაღე და პატარა, მოხუცი, ქალბატონი დავინახე პაციენტის სკამზე თეთრი ქაღალდით ხელში. დაჟინებული მზერით მიყურებდა. ოთახში შესვლისთანავე შეუსვენებლად დაიწყო საუბარი.

"ექიმო, ვიემან, კითხვების სია მაქვს და მინდა, რომ მიპასუხოთ", – თქვა მან მომთხოვნი ტონით და ფურცელი აათამაშა. ასეთი სია ყოველთვის ცუდის ნიშანია ექიმისთვის. თუმცა, იმის ნაცვლად, რომ მეთქვა არა! რა სია! ვთქვი, "რა თქმა უნდა, რით შემძლია დაგეხმაროთ?" სიგიჟე ის არის, რომ დარწმუნებული ვიყავი ჩემს გულწრფელობაში. მინდოდა, რომ დავხმარებოდი და პასუხი გამეცა მისი კითხვებისთვის. არ მიგრძენია გაღიზიანება ან რაღაც ამდაგვარი!

პირიქით... მზრუნველი და მოსიყვარულე ვიყავი. თითქოს შინაგანად რაღაცა მაძლევდა გულისხმიერების ძალას, ამ მომთხოვნი და რთული პაციენტისადმი. მოჩვენებითობა არ დამჭირვებია. ნამდვილი იყო! როგორც წესი, შემედლო სასიამოვნო ურთიერთობა მეთამაშა, მაგრამ გულში ვფიქრობდი ხოლმე, ნეტავ, მომამორამეთქი აქაურობას! ამის ნაცვლად, გაკვირვებული ვიყავი. რატომ მომწონს ეს ქალბატონი?

ექთანი მიხვდა, რომ ხასიათი შემეცვალა და ისე შემომხედა, თითქოს მეკითხებოდა, "რა გემართებაო?" ჩვეულებისამებრ, არ ვიქცეოდი ასე, მაგრამ ეს მე ვიყავი. უცნაური შეგრძნება იმავს სხეულში მცხოვრებმა კაცმა რომ ახალ ადამიანად იგრძნო თავი.

სახლში შეცბუნებული დავბრუნდი. ჩემი ყოველდღიური ცხოვრება სავსე იყო გაღიზიანების, იმედგაცრუების, სიცარიელის, მოუთმენლობის, სიმწარისა და ეგოიზმის განცდით, რაც უკვე აღარ არსებობდა. თითქოს დიდი სიმძიმე მომშორდა ცხოვრებიდან. მიზეზის გარეშე კმაყოფილი ვიყავი. წარსულში ყოველთვის ვიღაცაზე ან რაღაცაზე ვიყავი დამოკიდებული კმაყოფილებისათვის. მაგრამ ახლა სიხარულს ვგრძნობდი გულში ჩემი ცხოვრების გამო, რაიმე განსაკუთრებული მიზეზის გარეშე. რატომღაც მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული, რომ რაღაც დიდისა და უკეთესის და უფრო მეტის წყურვილი გაქრა. ვითომ სიმართლეა?

ყოველთვის ადრე მივდიოდი სამსახურში, ოჯახის წევრების

გაღვიძებამდე. როცა სახლში დავბრუნდი, მას შემდეგ, რაც ეს დამემართა, პირველად დავინახე რუთი. გარაჟის კარებიდან შევედი სახლში და რუთი სამზარეულოში იჯდა.

პირველი ღამე სახლში

"გამარჯობა, ძვირფასო", – ვთქვი მე. ის ვახშამს ამზადებდა და ბავშვები იატაკზე თამაშობდნენ. როცა შემობრუნდა და შემომხედა, სრულიად განსხვავებული თვალით შევხედე. მასთან საუბრის სურვილი დამეუფლა, რაც როგორც წესი, ხშირად არ ხდებოდა. მისი დაფასების გრძნობა დამეუფლა, რაც ახალი იყო. წარსულში უბრალოდ ვუყურებდი ამას. ეს ყველაფერი წამიერად მოხდა.

იგივე მოხდა ბავშვებთან მიმართებაშიც. "მამიკო!" დაიყვირეს მათ და ჩემსკენ გამოიქცნენ. გადავხედე და უცბად მტკიცე დარწმუნება დამეუფლა, რომ ორი ძვირფასი ბავშვის მამა ვიყავი. ჩემს ფიქრებში მათ დავუთმე მთავარი ყურადღება, მაშინ როცა, როგორც წესი, საკუთარ იმპულსებს ვუთმობდი მთავარ ადგილს.

ღრმა, უცნაური და ახალი აზრები მეუფლებოდა. ბავშვები თამაშს დაუბრუნდნენ, რუთი კი ვახშმის სამზადისს. მშვიდად ვიჯექი სამზარეულოში და ვხარობდი ცქერით. პირველად დავინახე ჩემი როლი ოჯახთან მიმართებაში, ახალი კუთხით. თითქოს ვიღაცამ ჩემი ცხოვრება დამანახა, როგორი მოკლე და მყიფე იყო იგი. მისი საუკეთესოდ გამოყენების სურვილი გამიჩნდა, მასზე წუწუნის ნაცვლად. უცბად თავში დამკრა. "ჩვენი ქალაქის" ემილი გიბსივით და ქრისტიანული მოთხრობის გმირი, ებენეზერ სკროგიესავით ვგრძნობდი თავს! თითქოს ზემოდან დავყურებდი ჩემს ცხოვრებას ყოველდღიური რუტინისაგან გამოფხიზლებული თვალით. ორმოცს ვუახლოვდები და თვალის დახამხამებაში გავლიე ცხოვრება. დაუჯერებელია, რომ ასე უმნიშვნელო საჩუქარივით ვუყურებ ჩემს ოჯახს, ვგმინავდი შინაგანად. აქამდე არასოდეს მიფიქრია, რომ ოჯახს არ ვაფასებდი, მაგრამ როგორღაც სიმართლეს ფარდა აეხადა მთელი ძალით. გული მეტკინა; ახლა კი ვუცქერდი ჩემს ოჯახს და ვხარობდი.

ვახშმობისას შიში დამეუფლა ამდენი ფიქრის გამო. დანაშაულმა, სირცხვილმა და წუწილმა აავსო გული, ვუყურებდი რუთს და ბავშვებს სასადილო მაგიდის გარშემო. ერთად სადილობა შეიძლება, სასწაულთა რიგიდან გამოგეპაროს. ასე რატომ ვფიქრობ? რა მემართება? მიკვირდა. დაჟინებით ვუცქერდი ჩემს ოჯახს. წარსულზე ფიქრი დავიწყე და მოგონებების ახალმა სერიამ დაჰბერა. ოთხნი ვისხედით მაგიდასთან და მხოლოდ მე ვხედავდი გონებრივ ბრალდებებს.

"გრეგ, ამ შაბათ-კვირას ბებიაშენი უნდა ვნახოთ", – მითხრა დედამ, საშუალო სკოლის მოსწავლე რომ ვიყავი.

"მე არ მოვდივარ. ჯებისთან უნდა დავრჩე იმ ღამით სტუმრად", – ვუპასუხე მე.

"მართლა უნდა წამოხვიდე. ბერდება და შეიძლება მეტად

ველარც ნახო."

"აჰ, არ მინდა წამოსვლა. იქ მოსაწყენია."

"გრეგ, ბებია მოკვდა. დაკრძალვა მომდევნო შაბათ-კვირასაა", – მითხრა დედამ ტელეფონზე. ღურჭამში ვიყავი, დერმატოლოგიაში ორდინატურაზე.

"არ შემიძლია ჩამოსვლა. ძალიან დაკავებული ვარ და შორს არის", – ვუთხარი მე.

"გრეგ! ის შენი ბებიაა."

მინდოდა წასვლა, მაგრამ მკვდარი ადამიანის ნახვა არ მსურდა. არ მინდოდა მისი ცარიელი სახლის ნახვა, რაც წარსულს მაგონებდა. სიკვდილს დავემალე და არ წავედი.

"ძვირფასო, შემოდი და, უბრალოდ, ჩემთან ერთად გაატარე დრო", – მითხრა რუთმა წვეულებაზე.

"არა, გარეთ დავრჩები ბიჭებთან. შიგნით შედი. კარგ დროს ვატარებთ", – დავუბრუნე პასუხი. ისიც უკან გაბრუნდა. "არ შეიძლება, რომ ცოტა ხანს მშვიდად ვიყოთ?" ვთქვი მე და ლუდი გადავკარი.

"ჰო. ცოლები - თავის ტკივილია" – წაიუნებოა ერთმა ყმაწვილმა. ყველამ გაიცინა.

"გრეგ, მშრალი რეცხვიდან შენი ტანსაცმლის წამოღება დამაიწიყდა. ვწუხვარ", – შეწუხებულმა თქვა რუთმა.

"შე -- რა გემართება? არაფრის გაკეთება არ შეგიძლია ჩემთვის?" მუშაობაც კი არ გინდა!" – დავიღრინე მე.

"რამდენი ჰოთ-დოგი გნებავთ სადილისთვის?" – მკითხა რუთმა თავაზიანად, როცა დერმატოლოგიის გამოცდისთვის ვემზადებოდი.

"მნიშვნელობა არა აქვს! რამდენიმე. აღარ შემეკითხო!" – ვუთხარი კბილების ღრჭიალით.

"გრეგ, დამშვიდდი. მინდა ვიცოდე, რამდენი გავამზადო", – მიპასუხა თავაზიანად.

მე გაბრაზებული ვიდექი. "თუ კიდეც მკითხავ, ამ ყავას თეთრ ხალიჩაზე გადავასხამ!"

უკან არ დაიხია. "რამდენი ჰოთ-დოგი? – მკითხა მან წყნარად. თვალელებში შევხედე და შავი ყავა თეთრ ფარდაგზე დავასხი. შავი ჩანჩქერივით გადაესხა ფარდაგს. "გითხარი, თავი დამანებე – მეთქი!" – დავიყვირე მე.

"მამიკო, შეიძლება ამაღამ ტრაქტორით ვითამაშოთ?" – მკითხა სამი წლის შვილმა.

"არა, ამაღამ არა. მე და დედაშენი მეგობრებთან მივდივართ."

"მამა, ჩამოხვალ და ჩვენთან ერთად სილობანას ითამაშებ?" – მკითხეს ბიჭებმა.

"ახლა არა. უნდა ვიმუშაო."

წარსულის მოგონებები გაქრა და შიმშილის გრძნობა დავკარგე.

მიუხედავად იმისა, რომ საკმარისი არ მიჭამია. რამდენიმე წამში გავანალიზე, თუ როგორი არამგრძნობიარე, ამაყი, ეგოისტი და მომთხვინი ვიყავი მრავალი წლის განმავლობაში. გული მიმეწურა და ცრემლი მომერია. ცრემლების დაფარვის მიზნით, ავდექი და თეფში ნიჟარაში ჩავდე. მთელი საღამო ბავშვებთან თამაშსა და რუთთან საუბარში გავატარე. უკეთესად ვგრძნობდი თავს.

ყველა წავიდა დასაძინებლად და გვიანობამდე დავრჩი კაბინეტში, რომელიც თავისუფალ საძინებელში იყო. თითქოს ნარკოტიკი მომერიაო, თითქოს ჩემი ძველი კაცი მოკვდა და ახალი აღსდგა. რა მემართება? ცოტა არ იყოს შემეშინდა და დავიბენი, მაგრამ თან მიხაროდა. ჩემი ოჯახი ახალგაზრდაა. მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ. ჯერ კიდევ არ არის გვიან! შემიძლია ჩემი ცხოვრების შეცვლა, პირობა მივეცი საკუთარ თავს.

მომდევნო სამი დღე

წავედი და მშვიდად დავიძინე, უკვე მეორე დღეა ასე ხდება. მეორე დღეც პირველს ჰგავდა. ახლა უფრო კომფორტულად ვგრძნობდი თავს ნაცნობ ცვლილებებთან. ვხარობდი მშვიდობისა და უშფოთველობის შეგრძნებით, რადგან აქამდე მუდამ გულდაჭრილი ვიყავი. ჯერ კიდევ მიჭირდა იმის დაჯერება, რომ სიზმარში არ ვიყავი. არა და აშკარად ცხადი იყო. მესამე დღეს შეშინებულმა გავიღვიძე. მეშინოდა, რომ კვლავ ძველ კაცს დავუბრუნდებოდი. ვიფიქრე, რომ რაც არ უნდა ყოფილიყო, ეს ღიძნანს არ გაგრძელდებოდა.

მალვიდარამ ექვსის ნახევარზე დარეკა. ნახევრად თვალელებანუჭული საათს მივწვდი და ეს საშინელი ხმა გამოვრთე. ჯერ კიდევ აქ არის სიმშვიდის შეგრძნება? ჯერ კიდევ სხვანაირი ვარ? დავიწყე გაღვიძებისთანავე ამაზე ფიქრი. ვაი, რომ დამეკარგა? ვაი, რომ ისევ ჩემს ძველ კაცსა და პიროვნებას დავუბრუნდე, რას გავაკეთებ? – ვფიქრობდი მე.

ავდექი, სააბაზანოში შევედი და სარკეში დავუწყე საკუთარ თავს ყურება. გაბურძნეული კაცი შემომცქეროდა სარკიდან. პანკივით გამოვიყურებოდი. რატომღაც არაფერი არ მადარდებდა. თავს მშვიდად ვგრძნობდი და არც სამსახურში წასვლის გამო ვღელავდი. ეს კარგის ნიშანია, გავიფიქრე მე. მალე მივხვდი, რომ ისევ ახალი კაცი ვიყავი.

"ღიას!" – წამოვიძახე. – "ღიას!"

ყოველ დილით ველოდი მას, აღარ მინდოდა ძველი მეს დაბრუნება და აღარც დაბრუნებულა. რა ხდება?

ახალი ენა

მეოთხე დღეს მივხვდი, რომ რაღაც აბსოლუტური დამემართა. პირველი სამი დღის განმავლობაში ეს გამომჩნა, რადგან დაბნეული და გადაღლილი ვიყავი. ადრე იყო და სამსახურში უნდა წავსულიყავი. ჩვეულებისამებრ, ესპრესო დავლიე და ჩანთების ჩალაგებას შევუდექი. "საფულე! სად არის ჩემი საფულე?!" – ვთქვი სასოწარკვეთილმა. მთელი

სახლი და მანქანა გავჩნრიკე და ვერსად მივაგენი! ზურგჩანთა, ჟაკეტები, ტანსაცმელი და სამზარეულო, სადაც ჩემს გასაღებებს და საფულეს ვინახავდი.

ადრე მძულდა გასაღებებისა და საფულის დაკარგვა. ვგიჟდებოდი. ახლა სხვაგვარად იყო ყველაფერი. ადრინდელივით გაბრაზებული აღარ ვიყავი, მაგრამ ჩემი ყურადღება სხვა რამემ მიიპყრო. რატომღაც, აღარ ვიგინებოდი. მეზღვაურის ენა დუმდა, როცა ჩვეულებისამებრ ალიაქოტს ავტენდი. უცბათ პანიკურ ძებნას თავი დავანებე და ცოტა ხანს მკვდარივით ვიდექი. ბოლო სამმა დღემ წამივით გამიელვა გონებაში და მივხვდი, რომ ერთი ცუდი სიტყვა არ მითქვამს! გამიკვირდა, მანქანაში ჩავჯექი და სამსახურისაკენ ისე გავწიე, რომ საფულეზე აღარც მიფიქრია.

წყევლის სიტყვები ჩემი ყოველდღიური ცხოვრების ლექსიკონი იყო, დაახლოებით მეზუთე-მექექსე კლასიდან. გონება საზაფხულო "ქრისტიანული" ბანაკის მოგონებებისაკენ გამექცა, სადაც ამ სიტყვების უმეტესობა ვისწავლე.

ჰეი, ენდი, მომაწოდე ის მუხუდო შე..., გთხოვთ!

დიდ სასაღილო დარბაზში ვსადილობდით, სადაც რვა დიდი

მაგიდა იდგა. ყოველი ჯგუფი ცალკე მაგიდაზე სადილობდა.

– ვიემან, თვითონ აიღე! – მიპასუხა მან.

– კარგი, შე...! – ვუპასუხე მე.

– სიტყვებს დაუკვირდი, ამოგარტყამ, შე...! უკან დაუბრუნეს.

ცუდ სიტყვებს ზედსართავებივით ვიყენებდი. ამაზე არც კი მიფიქრია. როცა რაღაც ისე ვერ იყო, ღვთისმგმობელ სიტყვებს ვიძახდი, "ღმერთი" ან "იესო" მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი არ მწამდა. ფიქრის გარეშე ვლაპარაკობდი, სიტყვები ავტომატურად მოდიოდა.

სამსახურში მისვლისთანავე სამუშაო მაგიდასთან დავჯექი. 'მაუსი' ავამოძრავე კომპიუტერის გამოსაცოცხლებლად, მაგრამ არაფერი მოხდა. ჩვეულებისამებრ, ცუდი სიტყვები წამომცდებოდა ან იესოს ვახსენებდი დამამცირებლად, მაგრამ ვდუმდი.

მაგიდის ქვეშ შევიხედე, რომ მენახა რაში იყო საქმე და ადგომისას მაგიდას თავი მივარტყი. თთქოს ჩაქუჩი მომხვდა თავში. "ოჰ! ოჰ!" დავიყვირე ტკივილისაგან, მაგრამ ჩვეული სიტყვები არ წამომცდენია. იმასაც მივხვდი, რომ შეგნებულად არ ვიკავებდი თავს ამ სიტყვებისაგან. ენაზე კბილს არ ვაჭერდი და არც ამ სიტყვების უთქმელობაზე ვამახვილებდი ყურადღებას. სიტყვები, უბრალოდ, გაქრნენ ჩემი ლექსიკონიდან, ოცდასამწლიანი წვრთნის შემდეგ.

იატაკზე დავრჩი, თავს ვიქავებდი და ვფიქრობდი, რა ხდებოდა. ჯერ კიდევ მაგიდის ქვეშ ვიყავი. ისეთი გაოცებული ვიყავი, ვერ ავდექი.

"რა მოხდა? ეს როგორ შეიძლება?" წყნარად ჩავიჩურჩულე ჩემთვის. ვეცადე, გასული ოთხი დღის განმავლობაში მომხდარის სავარაუდო მიზეზებზე მეფიქრა. რატომ ვგრძნობ თავს კმაყოფილად? რატომ გაქრა ცუდი სიტყვები ჩემი ლექსიკონიდან? რატომ ვარ კარგი იმ ადამიანებთან, ადრე რომ მაღიზიანებდნენ? რატომ მაქვს სიმშვიდისა და უშფოთველობის შეგრძნება? კითხვებს კითხვები მოსდევდა

გონებაში. დაახლოებით ხუთი წუთი დავრჩი მაგიდის ქვეშ, ყველაფერზე ვფიქრობდი და პასუხს ვეძებდი.

აზრიმომივიდათავში, რომახალიპიროვნებათავდაჯერებულობის, ეიფორიისა და კარგი ტირილის შედეგი იყო. შეიძლება, იმიტომ ვგრძნობ თავს კარგად, რომ ბევრი ნაგავი გამოვიდა გულიდან "ტირილისას". მახსოვს, რომ ყოველთვის უკეთესად ვგრძნობდი თავს კარგი ტირილის შემდეგ. ბევრი ემოციური ეპიზოდები არ მქონია ცხოვრებაში, მაგრამ ყოველთვის მათავისუფლებდა დაძაბულობისაგან. ეს ცვლილებები და გრძნობები წარსულისაგან სრულიად განსხვავებული ჩანდა.

შემდეგ ფარმაკოლოგიური შედეგი მივიჩნიე მიზეზად. შეიძლება შაკიკის აბებს ჰქონდეს საწინააღმდეგო ეფექტი, რომელსაც ყოველდღე ვიღებდი. ეს კარგ ჰიპოთეზად მომეჩვენა, მაგრამ რატომ უნდა გამოეწვია წამალს ასეთი უხეში შეცდომა? ვალიუმში ისეთი წამალია, რომელმაც შეიძლება, მოდუნება გამოიწვიოს, სიმშვიდის განცდა და მცირედი ეიფორია. მხოლოდ ერთხელ დამჭირდა მისი მიღება, თვალზე ოპერაციისას, რათა სათვალეების ტარება აღარ დამჭირებოდა. ვალიუმმა შეანელა ჩემი მეტყველების ტემპი და მოქმედებები, მიუხედავად ამისა, ასეთი სიმპტომები მაშინ არ იყო, ისინი არ ემთხვეოდა ჩემს მიერ ახლახან განცდილს. თუმცა არ შემეძლო, სხვა მიზეზებზე მეფიქრა, რასაც ასეთი დრამატული გავლენა შეიძლებოდა მოეხდინა ჩემზე. სამსახურში მთელი დღე მიზეზებზე ვფიქრობდი, მაგრამ ვერაფერს მივაკვლიე.

როგორც კი სახლში დავბრუნდი, მაშინვე წამლის ინსტრუქცია შევამოწმე, შემთხვევით ხომ არ შეეშალათ, რადგან მხოლოდ ეს იყო ჩემს მიერ მოფიქრებული საუკეთესო თეორია. სააბაზანოში შევედი და კარადა გამოვაღე. მოუთმენლად დავათვალიერე ბოთლები. სწრაფად ვიღებდი ბოთლებს ერთმანეთის მიყოლებით და ვხსნიდი. ისე სწრაფად ვაწყობდი მაგიდაზე, რომ რამდენიმე დაბლა დაეცა. აბების მონაცემების წასაკითხად შევჩერდი. ეს იყო ბეტა და არა ვალიუმი! ნახევრად იმედგაცრუებული და ნახევრადკმაყოფილი ვიყავი. თან მინდოდა და თან არა, რომ ჩემი მდგომარეობა წამლებისაგან ყოფილიყო გამოწვეული.

მცირე ხანს ვიდექი ბოთლით ხელში. მიზეზის გამომწვევმა საუკეთესო იდეამ არ გამიმართლა. მიუხედავად იმისა, რომ მედიკოსი ვიყავი, საკუთარი თავისთვის უნდა დამესვა დიაგნოზი.

გაოცებული დავრჩი. ჩემი ასაკის ადამიანმა არ უნდა იცოდეს, რატომ ხდება ასეთი დრამატული ცვლილება?

ბიბლიაზეც ვიფიქრე, მაგრამ გადავწყვიტე, რომ ბიბლიას არანაირი კავშირი არ ჰქონდა ამ საქმესთან. იესოს რწმენა და ეკლესიაში სიარულის გადაწყვეტილება ვერ ახსნიდა იმას, რაც მე დამემართა. თუ ღმერთი ნამდვილია და იესო თითქმის ორი ათასი წლის წინ მოკვდა, როგორ შეიძლება, რომ პირდაპირი კავშირი არსებობდეს ჩემთან 2003 წელს? როგორ შეიძლება, ამან ჩემი მდგომარეობა ახსნას?

გამოცდა

კარგი, გრეგ, შენი სამედიცინო გონება სამსახურს მოახმარე, – ვფიქრობდი ჩემთვის. როგორ შეიძლება, ერთჯერადი შემთხვევის გამო, გამოცდა ჩაატარო? ბოთლი დაბლა დავდე, ცოტა ხანს დავფიქრდი და აზრი მომივიდა. "ცუდ სიტყვებში ცვლილებას" მოვუწყობდი ექსტრემალურ გამოცდას.

სატელევიზიო გამოცდა

დაბლა ჩავედი და ფეხბურთის მატიჩის საყურებლად ტელევიზორი ჩავრთე. მიყვარდა ფეხბურთის ყურება. თუნდაც, ჩემი საყვარელი გუნდი არ ყოფილიყო მონაწილე, მაინც ადვილად ვერთვებოდი თამაშში. ჩემთვის ჩვეულებრივობას წარმოადგენდა ტელევიზორში ფეხბურთის მატიჩის ყურებისას გინება და ყვირილი, მით უმეტეს, თუ ჩემი საყვარელი გუნდი აგებდა თამაშს. საბედნიეროდ, ის გუნდი თამაშობდა, ძალიან რომ მიყვარს. ჯერ პირველი მეოთხედი იყო და უკვე აგებდნენ, მაგრამ ცუდი სიტყვა არ დამცდენია. მათი შეცდომები გამაღიზიანებელი იყო, მაგრამ ჩუმად ვიჯექი! გინების სურვილიც კი არ მქონია.

მეორე მეოთხედში მოწინააღმდეგე გუნდმა შემოუტია, მაგრამ არანაირი შინაგანი ემოცია. სიგიჟე იყო! იმპულსი, სიბრაზე და სიტყვები გაქრა. რაღაცის თქმას ვეცადე, მაგრამ არ გამომივიდა. ეს სიტყვები უკვე ჩემში აღარ იყო. ისე ვგრძნობდი, თითქოს ვიღაცასთან ერთად ვუყურებდი თამაშს.

მოძულებული მეზობლის გამოცდა

მომდევნო რამდენიმე დღე უცნაური იყო. ძველი მე აღარ ბრუნდებოდა, რისი ახსნაც ჯერაც ვერ მოვახერხე. გადავწყვიტე, ჩვენი ყვითელი ლაბრადორი, დეიზი წამეყვანა სასეირნოდ და თან მეფიქრა.

"მოდი, სასეირნოდ წავიდეთ. არ გინდა სასეირნოდ წასვლა?" ვუთხარი მას. მკვდარ ძროხასავით იწვა ზურგზე, მაგრამ "სეირნობის" გაგონებისთანავე წამოხტა. თავი დამიკრა მეორედ სიტყვის გაგონებისთანავე და კუდის ქიცინს მოჰყვა. მაშინვე კარებთან მივიდა. "მოდი, წავიდეთ, დეიზი", – ვთქვი და წავედი.

მინდოდა, დეიზისთან მართო ცუფილიყავი და მეფიქრა, მაგრამ მოულოდნელად იმ მეზობელს შევხვდი, 'ძალიან რომ მიყვარდა'. აქამდე, როცა კი შევხვედრივარ, მტრობას ვგრძნობდი მის მიმართ და ყოველთვის თავს ვარიდებდი. ჩემს მდგომარეობაზე ღრმად ჩაფიქრებული მივდიოდი და აი, ჩემს წინ დადგა მოულოდნელად.

"გამარჯობა, გრეგ, როგორ მიდის საქმე?" მკითხა ღიმილით. დიდხანს ვუყურებდი დაჟინებით. არ მესმოდა, რატომ აღარ ვიყავი გაბრაზებული, ან რატომ არ ვაგინებდი გულში. პირიქით, ოჰ, არა! მეგობრულ დამოკიდებულებას ვგრძნობ ახლა ამ ყმაწვილისადმი, მისადმი უმიზეზო კავშირს! ვეცადე, რაღაც შურისმაგვარი გრძნობა აღმეძრა შინაგანად, მაგრამ არ გამომივიდა. რაღაც შინაგანს მოსწონს ეს

ადამიანი ახლა ჩემში, ჩავიბურტყუნე ჩემთვის. მაგრამ, მოდი რა! ვიცი, რომ არ მომწონს. ვიცი, რომ არ მომწონს ის.

თხუთმეტი წუთის შემდეგ კვლავ ვსაუბრობდით და მხიარულადაც. უცხოელივით დავშორდი ამ კაცს. ვითომ მხიარულად გამოვიყურებოდი? მოლაპარაკე, მხიარული და ხალხთან ურთიერთობით დაინტერესებული ვიყავი? არ ვგეგმავდი ვინმესთვის ჩემი მდგომარეობის შესახებ საუბარს, რადგან იფიქრებდნენ, რომ გავცედი. მეშინოდა, რომ სამედიცინო საბჭო ექიმობის უფლებას ჩამომართმევდა შიზოფრენიის ან რაიმე ფსიქიური დაავადების გამო.

ინტერნეტით ვაჭრობის გამოცდა

მეორე დღეს მივხვდი, რომ ჩემი საგნების ძიებისა და შეძენის გამუდმებული სურვილი გამქრალიყო. გლობალურ ქსელში რაღაც სიახლის ძიების სურვილი გაქრა. წარსულში იმეელით ვყიდულობდი ყველაფერ ახალს, ან შეტყობინებას ველოდებოდი, ან თავად ვეძებდი. გადავწყვიტე, ეს სურვილიც გამომეცადა. კომპიუტერი ჩავრთე დაშევედი, ჩემს საყვარელ სავაჭრო საიტზე.

კარგით! ახალი ლურჯი რაგბი ეს-ესაა გამოსულა, მაგრამ ყიდვის არანაირი სურვილი არ აღმძვრია. არ მინდოდა. პოლოს მაისურებზეც ფასდაკლება ჰქონდათ, არც ეს არ მაინტერესებდა. ფეხსაცმელებზე 25 % ფასდაკლება, მაგრამ არც კი დამიწკაპებია. რაც არ უნდა მენახა, აღარაფრისადმი მქონდა მოტივაცია და აღფრთოვანება. "რა სიგიჟეა!" ვთქვი მე. "ვიცი, რომ რაღაცის ყიდვა უნდა მინდოდეს!"

მეტის ატანა აღარ შემეძლო. ეს გამოცდა კიდევ ერთხელ უნდა ჩამებარებინა. საკუთარ თავს ყველაზე უკეთ ვიცნობდი და გამოცდა გამოვიგონე. თუ ამასაც ჩავაბარებდი, ერთ საკითხში დავრწმუნდებოდი. ჩემი ექიმი უნდა მენახა! სამედიცინო პასუხი უნდა არსებობდეს.

ვოლმარტის გამოცდა

შობის დროს მაღაზიები საგიჟეთს ჰგავდა, მყიდველები კი – ნახირს. მანქანაში ჩავჯექი და უახლოეს მოლში წავედი. შეუძლებელი მისიის ხმა მესმოდა საკუთარ თავში. როგორც კი შეუხვდით, დავინახე, რომ ავტოსადგომი გადაჭედილი იყო მანქანებით და დაახლოებით ერთი კილომეტრის მოშორებით მომიწია გაჩერებამ. როგორც წესი, იქაურობას გავცვლებოდი, მაგრამ ახლა არ გავლიზიანებულვარ. არ ვიგინებოდი, იმედგაცრუებული და გაბრაზებული არ ვიყავი. ვიღაცამ კინალამ დამარტყა უკან, მაგრამ არ შევწუხებულვარ. ამ მიზნისათვის ჩემი შუა თითი პარალიზებული იყო და ვეღარ ვამოძრავებდი! შორს გავაჩერე მანქანა და ფეხით გავუდექი გზას.

უცბად გადავამოწმე. დაძაბულობა გაქრა. არასწორ დამოკიდებულებებს აღარ ვგრძნობდი. სწრაფად შესვლისა და გამოსვლის სურვილიც აღარ მქონდა. ავტოსადგომზე საშობაო ვაჭრობით გაქაფულ ხალხს გვერდი ავუარე. საერთოდ, არაფერი არ მაწუხებდა ქვეყნიერებაზე.

დიფერენცირებული დიაგნოზი

ვოლმარტიდან სახლში დავბრუნდი, რუთი და ბავშვები მაღლა იყვნენ და ტელევიზორს უყურებდნენ. "რას აკეთებდი, ძვირფასო?" მკითხა მან.

"ვოლმარტში ვიყავი", – ვუპასუხე მე.

"რა იყიდე?"

ცოტა ხანს შევყოვნდი და პასუხი დავაგვიანე. "სალეჭი რეზინი."

"სალეჭი რეზინი?" იკითხა მან.

"დიდი ისტორიაა."

"გრეგ, უცნაურად იქცევი. რა გემართება? ამ ბოლო ხანებში წყნარი და მოსაუბრე გახდი, მაგრამ დიდ დროს ატარებ მარტო. არ მესმის, რა ხდება."

"კარგად ვარ. უბრალოდ, ბევრი რამ მიტრიალებს თავში. ოფისში მივდივარ ცოტა ხნით."

იცოდა, უცნაურად რომ ვიქცეოდი, მაგრამ ამისი მიზეზი არ იცოდა. მზად არ ვიყავი ამაზე სასაუბროდ. ჯერ დიაგნოზის დასმა მინდოდა და ამაზე ფიქრში მინდოდა, მარტო ვყოფილიყავი. ოფისში მივედი და სკამზე დავჯექი. კალამი და ფურცლები ამოვიღე უჯრიდან და მაგიდაზე დავდე.

ჩემში არსებული ანალიტიკური და მეცნიერული ცოდნა ამოქმედდა. გადავწყვიტე, ნებისმიერი სამედიცინო პრობლემის მსგავსად განმეხილა სიტუაცია. სამედიცინო დარგში დიაგნოზს სვამენ ავადმყოფობის ისტორიის დეტალების, ნიშნების, სიმპტომების და მდგომარეობის გამოკვლევის შემდეგ. ფიზიკური გამოკვლევის დასრულების შემდეგ ვეძებთ მინიშნებასა და მიზეზებს, რაც დიაგნოზის დასმაში გვეხმარება. დეტალური ისტორიისა და ფიზიკური კვლევის შემდეგ განსხვავებული დიაგნოზი სახეუა. განსხვავებული დიაგნოზი არის სავარაუდო სნეულებების სია ან სიმპტომები, რაც შეიძლება პაციენტს ახასიათებდეს. ტესტის შემდეგ შეიძლება სწორი დიაგნოზის დასმა.

მე თვითონ გავხდი საკუთარი თავის პაციენტი. გადავწყვიტე, მომხდარის მიზეზის გამოსაკვლევად სამედიცინო დიაგნოზის პროცესს შევდგომოდი. ჩემს მიერ გაცდილი ნიშნები და სიმპტომები იმდენად უცნაურო იყო, რომ მარტო უნდა ჩამეტარებინა ეს პროცესი. ვშიშობდი, რომ ჩვეულებრივი ექიმი ან არ დამიჯერებდა, ან იფიქრებდა, რომ გიჟი ვიყავი და სამედიცინო საბჭოს გადამცემდა. ნაბიჯ-ნაბიჯ გავყევი კვლევასა და შედეგებს და აღმოჩენებს ვინიშნავდი. ჯერ ისტორიით დავიწყე, რაც ნიშნებსა და სიმპტომებს მოიცავდა.

ისტორია, ნიშნები და სიმპტომები

სიმპტომები ორი კვირის წინ დამეწყო მოულოდნელად, ემოციური დაცლის ფაქტის მეორე დღით. ჯერ აუხსნელი სიმშვიდე და

ველოდი, რომ ერთი ძველი, უცნაური თვისება მაინც წამოყოფდა თავს, მაგრამ არა.

ვოლმარტში შევედი. ქაოსი! გრძელი რიგები, ურიკები ერთმანეთს ეჯახებოდნენ, მოჩხუბარი მშობლები და დაძაბული სახეებით სავსე მაღაზია. აქ პიკის საათებში მოვაჭრე ნებისმიერი ადამიანი გაგიჟებოდა! შეუძლებელი მისიის მუსიკა კვლავ დაიწყო. ეს ის იყო! ეს იყო გამოცდა! მძულდა რიგები და ხალხმრავლობა და უკიდურესად მოუთმენელი ვიყავი. ძველი მე ვერ გადაიტანდა ამას რისხვისა და იმედგაცრუების გარეშე. დაიწყო! შინაგანი სიგიჟეები დაიწყო.

ბავშვები მეხეტეებოდნენ. ადამიანები ურიკებით მეჯახებოდნენ. იმედგაცრუებული და დაძაბული ხმებითა და მოლოდინით ვიყავი გარემოცული. ამას ჩემი ძველი კაცი უნდა გაეღვიძებინა, მაგრამ ასე არ მომხდარა! არ მიფიქრია, შე პატარა ხეპრე! ან ეს არ მითქვამს "გზიდან ჩამომეცალე!" ან "ემშაკმა დალახვროს, აბა ძირს თუ დამცემ!"

ცოტა ხანს მოვიცადე, მაგრამ არ ავფეთქებულვარ. კარგით, ვაღიარე ბოლოს, საკუთარ თავთან გამოცდის პირველი ნაწილი რომ ჩავაბარე, ამიტომაც გადავწყვიტე, რაიმე შემეძინა და სალაროსაქენ წავსულიყავი. ყველაზე იაფი რაც ვიპოვე, სალეჭი რეზინი იყო. სალაროები ისეთი გადაჭედილი იყო, რომ გასასვლელი ძლივს მოჩანდა. რიგებს ბოლო არ უჩანდა და ტანსაცმლის სექციამდე გრძელდებოდა. ხალხი ფარასავით აწვებოდა ერთმანეთს სალაროებამდე სწრაფად მისვლის მიზნით. ასეთ შემთხვევაში წნევა ძალიან მიწევდა, მაგრამ რიგის ბოლოში ვიდექი და არაფერზე ვდარდობდი!

მუშტი შეკრული არ მქონდა. კბილებს არ ვაკრაქუნებდი და ინსტიქტურად არ მძულდა ჩემს წინ მდგომი ხალხი. ისე გამაოცა ამ ყველაფერმა, რომ სიცილი დავიწყე! ისტერიული სიცილი ამივარდა, რამაც ჩემს გარშემო მყოფები გააღიზიანა. "არ ვდარდობ!" ვთქვი მე, მათი გაცემული სახეების საპასუხოდ. "მართლა არ ვწუხვარ!" უფრო ხმამაღლა ვთქვი. ჩემს წინ მდგომი კაცი კი სწუხდა. უკან შემობრუნდა, თვალები მოჭუტა, ტუჩები მოჭმუჭნა და ცუდად შემომხედა. არც ამან გამომიყვანა წყობილებიდან!

დაახლოებით ნახევარსაათიანი რიგის შემდეგ გაცემული, თავბრუდახვეული და დაბნეული მანქანისაკენ წავედი. ყოველთვის მძულდა სისუფელებით მონუსხვა, მაგრამ ვერასოდეს თავი ვერ დავაღწიე. როგორ გაუჩინარდა მოუთმენლობა და აღშფოთება?

სახლში მიმავალი მომხდარზე ვფიქრობდი. ცვლილებების შემდეგ პირველი რამდენიმე დღე ყველაზე უცნაური იყო ჩემს ცხოვრებაში. გონებრივად, სამედიცინო მიზეზებს ვეძებდი გასაანალიზებლად. ჩემი არსებობის ბუნებრივი გზა შეიცვალა, ვიფიქრე მე. რელიგია, ემოცია, გრძნობები, სურვილები, შინაგან ზღაპრებს არ შეუძლიათ ამის გამოწვევა. გადავწყვიტე, რომ დიაგნოზი მჭირდებოდა.

კმაყოფილება ვიგრძენი, რაც მდგომარეობაზე არ იყო დამოკიდებული. აღმოვაჩინე, რომ იმ დილით არ მჭირდებოდა ვინმეთი არ რაიმეთი კმაყოფილება. სიცარიელე, მარტოობა და გულგრილობა უხილავი მიზეზის გამო გაქრა. მას შემდეგ ყოველდღე ვხარობდი ცხოვრებით, განსაკუთრებული მიზეზის არ არსებობის მიუხედავად. იმისათვის, რომ წარსულში ეს განმეცადა, ყოველთვის მჭირდებოდა განსაკუთრებული წვეულებების მოლოდინი ან განსაკუთრებული საჩუქარი. ახლა ეს განცდა ყოველთვის თან მდევდა. საგნების შეძენისა და დაგროვების სურვილი გაუჩინარდა. ჩემს მიერ განცდილმა მშვიდობამ და სიხარულმა ჩაახშო ეს სურვილები.

გამუდმებული ზეწოლა, სტრესი, წუხილი და მღელვარება, რასაც ჩვეულებრივ განვიცდიდი ხოლმე, ისინიც გაუჩინარდნენ. ჩემი დამოკიდებულება აღარ იყო ცინიკური და მწვავე. დეპრესია, უიმედობა და გაღიზიანება შეცვალა ზეაღმატებულმა სიმშვიდემ.

იმ დილით ისიც შევნიშნე, რომ აღრინდელთან შედარებით მოთმინებას იმედგაცრუების ნაკლებობაც თან ახლდა. ამას მოჰყვა გულწრფელი და ნამდვილი სიყვარული იმ ადამიანებისადმი, რომლებიც არ მიყვარდნენ, უცნაურად მეჩვენებოდნენ და მალიზიანებდნენ; ეს არ იყო ძალდატანებითი. ეს მართლა მოდიოდა გულიდან. თავს ისე ვგრძნობდი თითქმის ახალი გული მქონდა და თუნდაც ჩემთვის არასახარბიელო, მაგრამ რაღაც კარგის გაკეთება მინდოდა. გაქრა სხვებისადმი გაღიზიანებელი, კრიტიკული, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება. აღარ ვფიქრობდი ასეთ რამეებზე, აღარ მინდოდა ძველებურად მოვქცეულიყავი.

ღრმა მგრძნობელობას განვიცდიდი რუთისა და ბავშვებისადმი, რაც ახალი და ცხოვრების გარდამქმნელი იყო. უცბათ გავაცნობიერე როგორ უარყოფდი მათ და როგორ გამეპარა თვალსა და ხელს შუა ძვირფასი დრო. ღრმად დავმწუხრდი და ძალიან მინდოდა შევცვლილიყავი; უკეთესი ქმარი და მამა გავმხდარიყავი. მინდოდა მათზე გადამეტანა ყურადღება და არა ჩემზე. ძველი ქცევის მიღმა არსებული მოტივები ეგოისტური იყო, ამან კი ჩემი სინდისი ამხილა.

მთელი ცხოვრება ეგოისტურად მიმღები და გამცემი ვიყავი. გარეგნული საქციელი შეიძლება კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ შინაარსით ეგოისტური იყო. გაცემდი, რაღაცის მიღების ან მიზნების მიღწევის მიზნით. ეგოისტურად ვიღებდი ცხოვრებისაგან იმას, რაც მსურდა. სხვების ხარჯზე ვაკეთებდი, რაც მინდოდა და როცა მინდოდა. ყველაფერი ჩემს გარშემო ტრიალებდა.

ახლა ეს თვისება გაქრა. პირველად მივხვდი ნამდვილი ეგოისტური ზრახვების დამამწუხრებელ მიზეზს. წარსულში შეგნებულად ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი, მაგრამ მაინც ვაკეთებდი. არა მხოლოდ ეს საქციელი მაწუხებდა, არამედ შევძელი მათი შეჩერება და შევიცვალე. ახლა ახალი ძალა მქონდა, რომლის შედეგადაც ეგოისტურ ქმედებებს აღარ ჩავდიოდი, მაგრამ არ შემეძლო ამისი მიზეზის ახსნა.

მაგალითად, იმ საღამოს სახლში რომ დავბრუნდი, ცოლ-შვილთან

გავატარე დრო, მარტო ბორიალისა და ტელევიზორის ყურების ნაცვლად. ეს იმიტომ კი არ გავაკეთე, რომ "მამის განრიგში" პლიუსი ჩამეწერა, არამედ იმიტომ, რომ ჩემს გულს მართლა სურდა ამის გაკეთება.

ეს მგრძნობელობა და ეგოიზმის გაცნობიერება შეცდომის ჩადენის დროსაც არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ რადიკალური ცვლილება განვიცადე ერთ ღამეში, შორს ვიყავი სრულყოფილებისაგან. ხანდახან ცუდი აზრები ისევ მაწუხებდა და ყოველთვის კარგად ვერ ვიქცეოდი. დრამატულად ვიცვლებოდი, მაგრამ პრობლემების წინაშე მაინც ხშირად ვიდექი. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ ახლა მესმოდა შეცდომები. წარსულში არა მარტო ბრმა ვიყავი მათ მიმართ, არამედ ვამაყოფდი კიდეც. მაგრამ ახლა, თუ რაიმეს ვიტყვი, ან გავაკეთებ არასწორად, საშინელი გრძნობა მეუფლება სიტუაციის გამოსწორებამდე. თითქმის გრძნობამ "იცის", – რადგან შიში მხოლოდ ბოდიშის მოხდის შემდეგ მტოვებს. ახლა ბევრად უფრო ადვილია თქმა "მაპატიე" და "გთხოვ, მომიტევოთ." აქამდე ძალიან იშვიათად ვამბობდი ამ სიტყვებს.

ყველაზე გასაკვირი ცუდი სიტყვების ლექსიკონიდან ამოღება იყო. მათ ყოველთვის ვიყენებდი ჩემს ლექსიკონში. ისინი ავტომატურად გაუჩინარდნენ ჩემი ბაგებიდან, ძალიან დიდი სტრესის დროსაც კი აღარ მახსენებენ თავს. ყველა ეს სიმპტომი და ნიშანი ერთ დღეს გამოჩნდა.

არც ცუდად ვგრძნობდი თავს, არც დაღლილი ან ქრონიკული ავადმყოფი ვიყავი. ჩემი ენერგია და საერთო მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა. არანაირი გონებრივი ავადმყოფობის ნიშანი, არც უჩვეულო ფიქრები და ქცევები-გარდა დადებითი ცვლილებებისა. წამალი, რომელსაც ყოველდღე ვიღებდი, არ შეშლიათ აფთიაქში. დიეტა არ დამიწყია და ალკოჰოლის მოხმარება არ შემიწყვებია. არ არსებობდა სხვა არაჩვეულებრივი ავადმყოფობის სურათი ან სიტუაცია. ძლიერი წამლებისა და მცენარეული ჩარევისათვის არ მიმიმართავს. არავის, არც ოჯახში და არც სამსახურში ანალოგიური სიმპტომები არ უხსენებია.

ერთადერთი განსხვავება ის გახლდათ, რომ ამ სიმპტომების დაწყებამდე ბიბლიისა და იესო ქრისტესადმი ინტერესი გამიჩნდა. სიმპტომების დაწყებამდე მრავალი საათი გავატარე ბიბლიის შესწავლასა და მისი სანდოობის ძიებაში, ნებისმიერ სავარაუდო კითხვაზე პასუხის გასაცემად და ქრისტიანად გახდომის გონებრივი გადაწყვეტილება მივიღე.

სიმპტომების წინა ღამეს ემოციური მსხვრევა განვიცადე და ღმერთს დანხარებისა და პატიებისათვის შევლაღადე. ეს იყო ცოდვაზე თვითდაკვირვებისა და გაცნობიერების მომენტი. შეგნებული გადაწყვეტილება მივიღე, იესო ქრისტეს ღმერთობა და მისი ჩემი პიროვნული ცოდვებისათვის სიკვდილი და აღდგომა ვირწმუნე. ემოციური მსხვრევა გავიხსენე და მივხვდი, რომ იესოსთან პირადი ურთიერთობის შემდეგ დაიწყო ჩემი ცვლილება და მიტევება.

თუმცა, იმ დროს, არაფერი განსხვავებული არც შემინიშნავს და არც მიგრძნია.

რელიგიური საკითხების შესწავლის შემდეგ უფრო მგრძნობიარე

გავხდი. მრავალი წლის განმავლობაში პირველად იმ ღამეს მეძინა ბავშვით. მეორე დილით მოულოდნელად დაიწყო ეს სიმპტომები.

ნიშნები და სიმპტომები ორი კვირის მანძილზე გრძელდებოდა და არანაირ ცვლილებას პირი არ უჩანდა. არც უარესდებოდა და არც მცირდებოდა, არამედ მტკიცედ იდგა. არ წყდება; ყოველთვის ჩემთან არის. სიმპტომები სავსებით ორიგინალურია; ასეთი რამ აქამდე არასოდეს განმიცდია. სხვები, განსაკუთრებით თანამშრომელები, რომლებიც მიკროსკოპით უყურებენ ყველაფერს, ამბობდნენ, რომ რაღაც განსხვავებულს ხედავდნენ ჩემში.

ფიზიკური გამოცდა

დიაგნოზის პროცესის შემდეგი ნაბიჯი იყო ფიზიკური გამოცდა. რაც გულისხმობს სხეულის კვლევას პასუხის ძიებაში. სახლის სამუშაო კაბინეტშიზედმეტი სამედიცინო ინსტრუმენტები მქონდა. გამოძახების შემთხვევისათვის ვინახავდი.

ფიზიკური კვლევა სრულიად ნორმალური იყო. მე თვითონ გამოვიკვლიე საკუთარი თავი, რადგან არავისთვის მინდოდა ჩემი მდგომარეობის გამხელა. წნევა, ტემპერატურა და გულისცემა ნორმალური იყო. ლიმფური ჯირკვლები არ გაზრდილა, გლანდები ნორმალური, მუცელშიც არაფერი მჭირდა. განსაკუთრებულს არაფერს ვგრძნობდი, არც სირბილეს, არც სხვა რაიმე შესამჩნევ ცვლილებას. თვითწარმართული ნევროლოგიური კვლევა სრულიად ნორმალური. რეფლექსები, ბალანსი და ტვინის სხვა ტესტებშიც არაფერი შეიმჩნეოდა. ფიზიკური კვლევის შედეგები ნორმალური მქონდა.

ტესტი

პროცესის შემდეგი ეტაპი იყო ტესტი. ტესტი არის ნიშნებისა და სიმპტომების ან ზუსტად გამოკვლევა, ან სხეულის ნაწილების გამოკვლევის რეპროდუქციული გზა. მეშინოდა პირად ექიმთან მისვლა და მიმდინარე მოვლენის შესახებ საუბარი. ვიცოდი, იტყოდა, რომ გადავირიე. თუმცა არანაირი სისხლის ანალიზი არ ჩამიტარებია. სურათის გადაღება მინდოდა თავზე ტვინის სიმსივნის შესამოწმებლად, მაგრამ მის გარეშე უნდა გამეკეთებინა.

თუმცა ყველა სიმპტომი შევამოწმე რათა დავრწმუნებულიყავი მათ რეპროდუქციულობასა და თანმიმდევრულობაში. ვოლმარტის ტესტმა რამდენიმე საკითხი გამოააშკარავა: რომ მქონდა მოთმინება, რაც სრულიად ახალი იყო; გრძელი და გიჟური საშობაო რიგები ნეგატიურად აღარ მოქმედებდა; სიბრაზე, სიძულვილი, იმედგაცრუება და ტემპერამენტი არ მქდავდებოდა სტრესის შედეგადაც კი.

ამ პროცესში ბევრი რამ ვისწავლე საკუთარი თავის შესახებ. ეგოისტი ვიყავი! ჩემი მოუთმენლობა სწორედ ამას წარმოაჩენდა. მე განსაკუთრებული ვარ და არ უნდა ვიდგე რიგში-სწორია! დაუყოვნებელი მომსახურებამსურს! სიბრაზე, იმედგაცრუება, სიძულვილი დამოთმინების

დაკარგვა დაკავშირებული იყო ეგოცენტრულ ხასიათთან. რიგში, ჩემს წინ მდგომი ხალხი მძულდა, რადგან ისინი მაიძულებდნენ ლოდინს. ანალოგიურად, იმედგაცრუება და სიბრაზე იყო ეგოიზმის მანიფესტაცია, როცა სასწრაფოდ არ შემსახურებოდნენ და არ მაკმაყოფილებდნენ. პირველად გავიგე, რომ ეს თვისებები დაკავშირებული იყო ნარცისიზმთან.

არასასიამოვნო მეზობლის ტესტი ადასტურებდა, რომ იმ ადამიანების მიმართ სიყვარული და ზრუნვა გამიჩნდა, რომლებიც ადრე არ მომწონდნენ. კითხვების სიით სამსახურში მოსულ მოხუცებულ ქალთანაც ანალოგიური დამოკიდებულება მქონდა. სრულიად განსხვავებულ თვისებებს ვავლენდი. სიყვარულს განვიცდიდი აქამდე არასასურველი ადამიანების მიმართ და არ ვშფოთავდი იმ საკითხებზე, რაც სხვა ადამიანებს აღიზიანებდათ. თავის მაგიდაზე მირტყმით, საფულის დაკარგვით და საყვარელი გუნდის მიერ მატჩის წაგების გამო უხამსი სიტყვების გაუჩინარების ტესტიც გავიარე. არც ერთ ამ სიტუაციაში არ წამომცდენია არასასურველი სიტყვები.

სიმშვიდე, სიწყნარე და კმაყოფილების განცდა ჯერ კიდევ არ მტოვებდა. მყვირალა ბავშვები, შარიანი ექთნები, ამაყი მძღოლებიც კი მგზავრობისას გზას რომ მიჭრიდნენ, თავს აღარ მახსენებდნენ. კაცმა რომ თქვას, გამუდმებით გავდიოდი გამოცდებს და წარმატებითაც ვაბარებდი. ჩემი ცხოვრების ყველა მხარე ადასტურებდა იმას, რომ ახალი პიროვნება გავხდი.

და ბოლოს, ინტერნეტით ვაჭრობის გამოცდისას, რაიმეს შეძენის სურვილიც აღარ გამჩენია. ყოველთვის საგნების ყიდვის სურვილი უცნაურად გაქრა.

ახლა შეგროვილი მასალის გაანალიზების დრო დადგა. დაბლა ჩავედი და ესპრესო დავლიე, რათა გვიანობამდე მეშეშავა.

სარდაფში ჩავედი და კარები მივიხურე. ცოლ-შვილს ეძინათ და არ მინდოდა მათი გაღვიძება. თერაპიისა და ქირურგიის წიგნები გადმოვიღე დახმარებისათვის.

სიმპტომების ანალიზი

ეს იყო განსაკუთრებულად შემაშფოთებელი პრობლემა, რადგან რა ცვლილებებიც პირველად განვიცადე, სასურველად მეჩვენებოდა. ვეცადე, დამედგინა, რამ გამოიწვია ჩემში ასეთი მოულოდნელი და დრამატული ცვლილებები უკეთესობისაკენ.

პირველად სიმპტომებზე დაკვირვებით დავიწყე. ყოველი მათგანი დავწერე, ჯგუფებად დავაწყვე და კატეგორიებად დაყოფის ფონისა და გზის ძიებას შევუდექი. აღმოვაჩინე, რომ სიმპტომები შეიძლებოდა ორ კატეგორიად დამეყო: მოულოდნელად გამოჩენილი ახალი სიმპტომები და მოულოდნელად გაუჩინარებული ძველი სიმპტომები.

არა მხოლოდ ძველი და ცუდი სიმპტომები დავკარგე, არამედ ახალი, კარგი თვისებებიც შევიძინე. აქამდე არასოდეს მიფიქრია ძველი გზის "სიმპტომებად" განხილვა. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ წუხილი,

აღელვება, სიბრაზე და სიცარიელე ნორმალური იყო. მათი გაუჩინარების შემდეგ ვიფიქრე, რომ დიაგნოსტიკურ პროცესში მათი მოქცევა მნიშვნელოვანი იყო. ზოგიერთი დაავადებისას სიმპტომები შეიძლება იმდენ ხანს გქონდეს, რომ ნორმალურად მიიჩნიო. მას შემდეგ, რაც დაავადება განიკურნება და სიმპტომები გაქრება, მერე ხვდები, რომ ეს ყველაფერი სიმპტომები იყო. ყველაფერი, რაც ჩემში შეიცვალა, ძველი და ახალი, ახლა დიაგნოზისათვის გამოცანა გახდა.

ყოველი წვრილმანი დავწერე, რაც კი შეიცვალა. სიაზე ცოტა ხანს დავფიქრდი და მივხვდი, რომ მათი კიდევ ორ კატეგორიად დაყოფა შემეძლო: სიმპტომები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს სხვა ადამიანებზე და სიმპტომები, რომლებმაც მხოლოდ ჩემზე მოახდინეს გავლენა და რომლებსაც შინაგანად განვიცდიდი.

ყველაფერი ცხრილში მოვაქციე დიაგნოსტიკური პროცესის გაადვილების მიზნით. ძველი და ახალი სიმპტომების ჯამი ცალ-ცალკე დავიანგარიშე, ცვლილებების რაოდენობის დადგენის მიზნით.

აი ისიც.

1. საკუთარ თავთან დაკავშირებული სიმპტომები	
ძველი სიმპტომები წავიდა:	ახალი სიმპტომები:
სიცარიელე, დაუკმაყოფილებლობა, მშვიდობა, სისასვე (სიცოცხლე სრულია)	მშვიდობა, სისასვე (ცხოვრება სრულყოფილია), კმაყოფილება
მარტოობა, გულგატეხილობა	სიყვარული, მშვიდობა
დეპრესიულობა, საცოდავი, ცინუკური	სიხარული
წუხილი, აღელვება, დაძაბულობა, წნეხი	სიმშვიდე, სიწყნარე
მოუთმენლობა, მომთხოვნელობა, შეუწყნარებლობა	მოთმინება
სიხარბე, თავკერძობა, თვითკმაყოფილება, ღორმუცელობა	გაცემა, მშვიდობა
ნეგატივიზმი, პესიმიზმი	პოზიტიურობა, ოპტიმისტურობა
2. სხვებთან დაკავშირებული სიმპტომები	
ძველმა სიმპტომებმა გაიარა:	ახალი სიმპტომები გამოჩნდა:
სიბრაზე, მოუთმენლობა, აჩქარება	სიხარული, საკუთარი თავის კონტროლი

უგულობა, სისასტიკე, უზრუნველობა, გამაღიზიანებელი, უხეში	სიკეთე, მზრუნველობა, უანგარიშო
სიძულვილი, მოუწონრობა, შური, სიბოროტე ზიზღი, სნობიზმი, მაწყევრობა, უხეშობა, უსიყვარულობა, არამეგობრული	სიყვარული
ანტაგონისტი, გაღიზიანებული, ცილისმწამებელი, უგულვებელმყოფელი, მტრული, უმადური, არადამფასებელი, უსიყვარულო, არამეგობრული, მიუტევებელი	სიკეთე
უმადური, დაუფასებელი	შეთანხმებული, სასიამოვნო
მწარე, გამაღიზიანებელი	სიყვარული
ჯიუტი, უხეში	მყარი სიყვარული
კონკურენტული სიამაყე (სხვების ჯობნის სურვილი)	ჯიბრისგან თავისუფალი (სხვებით სიხარული)
სულ/განსხვავებული სიმტომები: 62	სულ/განსხვავებული სიმპტომები: 16

ცხრილზე დაკვირვებისას რამდენიმე საკითხი შევნიშნე. პირველი, ძველი სიმპტომები იყო ცუდი და საზიანო, ახალი კი სასარგებლო, კარგი და უფრო ბრძნული. ძველი სიმპტომები უფრო ჩანლართული იყო და რაოდენობრივად მეტი, ვიდრე ახალი. სამოცდაორი ძველი თექვსმეტმა ახალმა შეცვალა! ახალი სიმპტომები უფრო მარტივი იყო.

ადრე ვიყავი საცოდავი, დეპრესიული, გაბრაზებული, ნეგატიური, მოუთმენელი და უბედური, რაც ახლა სიხარულმა შეცვალა.

წუხილი, აღელვება, დაძაბულობა, იმედგაცრუება, მარტოობა, სიცარიელე, გრძნობების დაუკმაყოფილებლობა და ცხოვრების სირთულეები შეცვალა ენით აუწერელმა მშვიდობამ, რაც გაგებას აღემატება. ორმა ახალმა სიმპტომმა შეცვალა ძველი.

არ შემეძლო მიზეზის ჩაწვდომა, მაგრამ სიმართლეს ვერ გავქეცეოდი. არასწორი მოქმედებების ან ცხოვრების უარყოფითი მხარის უფრო მეტი გზა არსებობდა, ვიდრე ეს საუბარით გამოიხატებოდა. ახალმა სიმპტომებმა გაამარტივეს ჩემი ცხოვრება. მშვიდობა, რასაც განვიცდიდი, ნაწილობრივ ასნივებდა გონების უბრალოებიდან, გულიდან და ურთიერთობებიდან.

ეს საინტერესო ინფორმაცია იყო, მაგრამ ვგრძნობდი, რომ უფრო

მეტის აღმოჩენა შეიძლებოდა. ნახევარი საათი დავცქეროდი ცხრილს და პასუხს ვეძებდი. თითქმის კროსვორდზე ვმუშაობდი, სიმპტომები, როგორღაც ისე ერგებოდნენ ერთმანეთს, რომ სურათი გამოდიოდა. ცხრილის რამდენიმე ნაწილი ერთმანეთს მოერგო, მაგრამ მთლიანად ვერ შეკრა. ვიცოდი, რომ ამ სიმპტომებს ისეთი კავშირი ჰქონდათ ერთმანეთთან, როგორც კროსვორდის ფიგურებს, მაგრამ ჯერ ვერ შევძელი მათი აწყობა.

ძველი სიმპტომებით დიდხანს ვცხოვრობდი და ახლით, მხოლოდ ორი კვირა. ვიცოდი, რომ ძველის გაუჩინარება როგორღაც კავშირში იყო ახლის გამოჩენასთან. ბოლოს, რაღაც მომივიდა აზრად, რამაც ფარდა ახადა საიდუმლოს და გამოცანა ახსნა.

სიმპტომების გამოცხადება

ძველი სიმპტომების ცხრილის პირველ ჯგუფში სიცარიელე და ცხოვრების უაზრობის განცდა იყო მთავარი მამოძრავებელი, რაც პიროვნულად და ურთიერთობებშიც აისახებოდა. ყველაფერი დაკავშირებული იყო ძირითად მნიშვნელობასთან. ძველი სიმპტომების ჯგუფი იყო ძირითადი ბირთვი, რომელიც დანარჩენების მიერ კონტროლდებოდა. დაკავშირების მიზნით დიაგრამის შედგენა დავიწყე. ეს ნაწილები სრულყოფილად შეერწყა ერთმანეთს.

სიცარიელემ გამოიწვია სიხარბე და საგნების შეძენის სურვილი, რადგან ვფიქრობდი, რომ მატერიალიზმი და წარმატება ცხოვრებაში იქნებოდა განკურნების წამალი. თუმცა ეს საგნები ითხოვდა ფულს, რამაც გამოიწვია კარიერასა და საკუთარ მიღწევებზე ფოკუსირება. თუ კარგი სამსახური მექნება და კარგად გადამიხდია, შევძლებ, ვიყიდო და ვნახო ის, რაც ჩემს სიცარიელეს შეავსებს. თუმცა, როგორც კი მიზანს მივაღწევდი, მალევე მეუფლებოდა იმედგაცრუება, გაღიზიანება და სიმწარე, რადგან ეს საგნები არ ავსებდნენ ჩემს გულს, ისე როგორც მოველოდი. ეს იწვევდა უფრო დიდის, უკეთესისა და უფრო მეტისადმი სწრაფვას, ეს კი – წრეზე ტრიალს ჰგავდა.

უფრო დიდის, უკეთესისა და უფრო მეტი საგნების წყურვილი მოითხოვდა უფრო და უფრო მეტ ფულს. ვერასდროს ვერ აკმაყოფილებდა ეს გზა ჩემს სურვილებს და ვერ ავსებდა სიცარიელეს, შედეგი უფრო მეტი აგიტაცია, იმედგაცრუება და საცოდაობა იყო. ეს განდა დასკვნა, რომელსაც არ უჩანდა დასასრული. ეს ციკლი იყო ყოველი ჰობის, შვებულების, მანქანის, ტანსაცმლის, სურვილებისა და ცხოვრების ინტერესის მამოძრავებელი ძალა. ყველაფერი, პირდაპირ თუ ირიბ კავშირში იყო მართლობის განცდასა და ცხოვრებით აღუვსებლობასთან. რასაც აქამდე არასოდეს მივმნვდარვარ.

გულის სიცარიელის ავსების უსასრულო და ამო პროცესი იწვევდა


საკუთარი თავის უპირატესობის განცდას და გათამამებულ ცხოვრებას, უგულობასა და სხვებზე უდარდელობას. საკუთარი თავის გარდა, არავისთვის არ მქონდა ენერგია და ადგილი.

როცა წარმატების განსაზღვრულ საფეხურს მივალწიე, წუხილის, შიშისა და აღელვების განცდა დამეუფლა. ახლა მესმოდა ამისი მიზეზი. ჩემი პრობლემა ცხოვრებით გამოწვეული კმაყოფილების, საკუთარი სიამოვნებისა და მიღწევების მძვინვარე ცეცხლით გამუდმებული კვება იყო. რაც უფრო მეტად ვკვებავდი, მით უფრო იზრდებოდა. განსაზღვრულ მომენტში მივხვდი, რომ თუ რამე დაემართებოდა ჩემს კარიერასა და ფულს, ცეცხლით გამოკვებას ველარ შევძლებდი და ამოებას ფარდა აეხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი მქონდა, რასაც ვითხოვდი, მაინც უკმაყოფილო ვიყავი ცხოვრებით. მძვინვარე ცეცხლი წვას აგრძელებდა და გათიშული და დაკავებული ვყავდი ჩემს გულში არსებული ხვრელის დავიწყების მიზნით.

ამ მანკიერმა ციკლმა და მისმა შედეგმა გამოიწვია დაძაბულობა, დეპრესია, ცინიზმი და სიმწარე. მთელი ცხოვრება ვმუშაობდი მწვერვალის მისაღწევად, მაგრამ ის უფრო შორს ჩანდა, ვიდრე დასაწყისში. ყველაფერი, რასაც მივაღწიე, ვხვდებოდი, რომ მარცხისთვის იყო განწირული. ყოველთვის ინტერესით აღსავსე მოლოდინი მქონდა ყველაფრისადმი, შენაძენის ან ახალი გამოცდილებისას, მაგრამ მიღებიდან მეორე დღეს ინტერესი ქრებოდა. შედეგი პარადოქსული იყო, წარმატებიდან უსასოობაში.

მთელი ეს პიროვნული მდგომარეობა ქმნიდა სხვებთან დამოკიდებულების ატმოსფეროს. ნებისმიერი ადამიანისადმი გამოვლენილი ყველა ცუდი თვისება ჩემი უსასოობიდან გამოსჰვიოდა. პიროვნული ტანჯვიდან გამომდინარე სიბრაზე, მოუთმენლობა და სარკაზმი სხვებზე გადაიქცეოდა. სისასტიკე, სიძულვილი და კრიტიკა იწვევდა სხვა ადამიანების ნგრევასა და ჩემს შენებას. მაგალითად, შეჯიბრისა და სიამაყის სურვილი, აღმატებისა და პირველობის განცდა საკუთარი შინაგანი ტკივილის ჩაყურების მიზნით იყო გამოწვეული. ვაგრძელებდი ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირებას. სიცარიელე იყო ყველაფრის ფესვი და საწყისი.

გამოცა, როგორ ადვილად გავიგე მიზეზი და დავინახე ის ბილიკი, რომელიც მხეცური ხასიათისაკენ მიმიძღოდა. ახალმა სიმპტომებმა მომაწოდა ძველთან დაკავშირებული გამოცხადება. თუ ცუდის საწყისი შინაგანი სიცარიელე იყო, მაშინ ჩემი ახალი მდგომარეობა აავსებდა და თავიდან მომაშორებდა დანარჩენის გამომწვევ მიზეზებს, რამაც დაწყებამდე გაარღვია წრე. დიაგრამა მაჩვენებდა, როგორ ეფექტს ახდენდა ძირითადი აზრის მნიშვნელობის ცვლილება ყველა დანარჩენზე, პიროვნულზე თუ ურთიერთობებზე.



ახლა განვიცდიდი ცხოვრებისადმი სიხარულს, მშვიდობას და კმაყოფილებას. აღარ მჭირდებოდა საგნების, ხალხის, ფულის ან გამოცდილებების გამოდევნება. ცხოვრებით კმაყოფილების მარცხი ყოველთვის იწვევდა იმედგაცრუებას, სიმწარესა და უბედურებას. ახლა თავისუფალი ვიყავი ამ ბოროტი წრისა და მწველი ცეცხლისაგან, რომელიც შთანთქავდა ჩემს დროსა და ენერგიას. სიხარბის ცეცხლი და საკუთარი თავისადმი შემწყნარებლობა გაქრა. ამის შემდეგ აღარ მჭირდებოდა მისი გამოკვება. უზარმაზარი ტვირთი და დაძაბულობა მომშორდა. ამ ცვლილებებმა დრამატულად გაამარტივა ჩემი ცხოვრება სულ რაღაც ორ კვირაში.

შინაგანმა ეიფორიამ, რაც ახლა ჩემგან დამოუკიდებლად არსებობდა და რასაც სიხარულს ვუწოდებდი, ასევე დრამატულად იმოქმედა ჩემს ურთიერთობებზე. მან გააძლიერა და შეცვალა ისინი შინაგანად თუ გარეგნულად. აღარ მსურდა სხვებისათვის რაიმეს წართმევა, ვინმეს დამცირება, ან ვინმეზე მაღლა დგომა, რადგან სრულფასოვნად ვგრძნობდი თავს ისეთად, როგორიც ვიყავი. აღარ მჭირდებოდა საკუთარ თავზე ყურადღების გადატანა. ახლა თავისუფალი ვიყავი სხვებზე ყურადღების გამახვილებისაგან, განსაკუთრებით, რუთსა და ბავშვებზე. პირადად სიმშვიდემ და კმაყოფილებამ პირდაპირ გილიოტინაზე გაიყვანა ჩემი ბოროტი ხასიათის ეს ნაწილი.

«ასაწყობი სურათის ნაწილები» ერთმანეთს სრულყოფილად შეერწყა. ისინი ერთად დავაწყვე დიაგრამის საშუალებით, რაც ყველა ძველ სიმპტომს უკავშირდებოდა (ილუსტრაცია იხილეთ ქვევით). ეს ილუსტრაცია გახლდათ ძველი სიმპტომების სრული სურათი. ისევე

როგორც ბავშვობაში ფიგურებით სურათისაწყობისას, როცა ფიგურებს შევკრებდი და სურათი გამოვიდოდა. საკუთარი გული დავინახე. დიაგრამამ დამანახა, რა ამოძრავებდა გულს ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში. სიმპტომები და დამოკიდებულებები გავლენას ახდენდნენ ურთიერთობებზე, მოტივებზე, სურვილებზე, ფიქრებზე, გრძნობებზე, ემოციებზე და სინდისზე. იცვლებოდა ჩემი ცხოვრების ყველა ასპექტი, იცვლებოდა პირადი ხასიათი. ეს იმას ნიშნავდა, რომ ახალ პიროვნებად გავდიხები შემდეგ ახალი გული მქონდა. როგორ მოხდა ეს? ნებისმიერ დიაგნოზს შეეძლო ამის ახსნა. შინაგანი ინსტიქტი მკარნახობდა, რომ ამაზე სამედიცინო პასუხი არ არსებობდა, მაგრამ მაინც მიწოდდა სავარაუდო შესაძლებლობები განმეხილა.

განსხვავებული დიაგნოზი

სავარაუდო დიაგნოზების სია შევადგინე. ნაკლებად სავარაუდო დიაგნოზებიც შევიტანე მათ სიაში, რათა ჩემი ანალიზის სისწორეში დავრწმუნებულიყავი.

განსხვავებული დიაგნოზი მოიცავდა შემდეგს: ფსიქიატრიული დაავადება, თვითდარწმუნების ეიფორია ემოციური მსხვრევის შედეგად, წამლები ან შინაგან ნივთიერებათა ცვლა, ენდოკრინოლოგიური დაავადებებისაგან გამოწვეული ჰორმონალური ბალანსის დარღვევა, ზოგადი ან ტვინის კიბო.

დაუშვებელი იყო ფსიქიატრიული დაავადებები, რადგან ჩემი ცოდნა, ფიქრები, ემოცია და მოქმედებები ნორმალური იყო. არც გაგიჟებული ვიყავი, არც გადაჭრებით აღელვებული, ჰიპერაქტიული, რასაც მანიის გამოწვევა შეუძლია. ჩემი საუბარი არ იყო სწრაფი ან წყვეტილი, რაც ამ დაავადებებს ახასიათებს.

თავიდან თვითდარწმუნების ეიფორია კარგ ვარაუდად მომეჩვენა, ვიდრე იმ სიმპტომებზე დავიწყებდი ფიქრს, რაც მე მახასიათებდა. ასე ვერ შეიცვლები, ვუთხარი საკუთარ თავს. ემოციები, გრძნობები და რეაქციები – მაგალითად, სიბრაზე, ღრმად არის დაკავშირებული ტვინთან, ნერვულ სისტემასთან და ჰორმონებთან და ნივთიერებათა ცვლასთან შუამავლობს. როგორც ექიმმა, ვიცოდი, რომ ჩემს მიერ განცდილი რადიკალური ცვლილებები უდრიდა ტვინში, ნერვულ სისტემასა და სხეულში ნივთიერებათა ცვლას. ეს პროცესები დაკავშირებულია სხეულში მოლეკულურ და ნივთიერებათა ცვლასთან. მე მჭირდებოდა დაიგნოზი, რომელიც შეეფერებოდა სიმპტომებს და კავშირში ექნებოდა სხეულში მიმდინარე ქიმიურ და ნერვულ ცვლილებებთან.

წამლები, ალკოჰოლი და სხვა ნივთიერებები, მშვიდობისა და მოსვენების ყალბ განცდას, რომ იწვევენ, სხეულის სხვა უჯრედებზე ცუდად მოქმედებენ. ზუსტად ამას ვეჭვობდი, რომ წამალს ან უცხო სხეულს შეეძლო ახალი მეს წარმოქმნაზე მოქმედება. წამალ ვალიუმს შეეძლო ასეთი ზემოქმედება, მაგრამ ეს წამალი არ მიმიღია. შაკიკების საწინააღმდეგო რეცეპტი შევამოწმე, მაგრამ მას არ შეეძლო ასეთი

სიმპტომების გამოწვევა. ეს წამალი სწორედ იყო დანიშნული და არც აფთიაქში მოუციათ შეცდომით. მარინუანასაც შეეძლო ანალოგიური სიმპტომების გამოწვევა, მაგრამ არც ამას ვიყენებდი.

თუ ჩემს სხეულში უცხო ნივთიერების შემოსვლის გარეშე შევიცვალე, ახლა შინაგანად წარმოქმნილი ნივთიერებები უნდა გამომეკვლია.

ნივთიერებათა ცვლის დარღვევას და ჰორმონალურ დისბალანსს ენდოკრინოლოგიური დაავადებების ფონზე, შეიძლება, კიბო და სხვა შინაგანი ცვლილებები გამოეწვია. თუმცა ასეთი მოულოდნელი და ფართო მასშტაბიანი დრამატული ცვლილება არა. ტიროიდებს, გლანდებს და ლორწოვან გლანდებს შეეძლოთ ემოციური და ფსიქოლოგიური სიმპტომების გამოწვევა, მაგრამ არა ასე უცებ. იგი არ შეეფერებოდა კიბოსთან დაკავშირებულ არც ერთ ჰორმონს ან ნივთიერებას, რომ ასეთი მასშტაბის ემოციური და პიროვნული ცვლილებები გამოეწვია. ასეთ თეორიას არ შეეძლო, აეხსნა იმ ადამიანებისადმი დადებითი დამოკიდებულება, რომლებიც აქამდე არ მომწონდნენ. როგორ შეიძლება, ასეთმა რამემ გავლენა მოახდინოს ბილწისიტყვაობის სურვილზე?! – ვეკითხებოდი საკუთარ თავს.

ტვინის კიბოც ანალოგიურ პოზიციაზე იდგა იმავე მიზეზის გამო. არც თავის ტკივილები მაქვს და არც ნევროლოგიური სიმპტომები.

ყოველივე ამის შემდეგ დიაგნოზი მაინც ვერ დავსვი და ვერც ვარაუდი დავუშვი. ახლა რა ვქნა? ახალი გული მაქვს, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა როგორ მივიღე იგი. არ ვიცოდი, რა მეფიქრა, ან რა გამეკეთებინა.

მეთერთმეტე თავი

წინასწარი დიაგნოზი

ღამის თორმეტი საათი იყო. ყველას ეძინა. მე კი ჯერაც სამუშაო კაბინეტში ვიჯექი. ფანჯარასა და მის ქვემოთ ცარიელ ჭურჭელს გავეშტერე თვალი. ამაყი ექიმი ვიყავი, ვისაც ადამიანის სხეულის შესახებ ესმოდა, მაგრამ ახლა წარმოდგენაც არ მქონდა, რა ხდებოდა მის თავს. ამ გამოცანით შეცბუნებული გული განსაცდელში იყო. დავიღალე და დაძინება მინდოდა. შეპყრობილი ვიყავი იმ ფაქტით, რომ ყველა სიმპტომები ერთმანეთს შეეფერებოდა, მიუხედავად ამისა, დიაგნოზი მაინც არ მქონდა ხელთ. გადავწყვიტე, მუშაობა გამეგრძელებინა შუალამემდე და მერე დამეძინა. ისევ დიაგნოზის საფუძველს დავუბრუნდი. ისტორია ყოველთვის კრიტიკულია. ვიგრძენი, რომ მნიშვნელოვანი იყო კვლავ წარსულს დავბრუნებოდი, სიმპტომების ირგვლივ დაკავშირებულ ფაქტებს, იქნებ რაიმე მნიშვნელოვანი გამომჩნია.

მას შემდეგ, რაც "ნორმალური" ვიყავი, ან რაც ჩემი ძველი მე დასაძინებლად წავიდა ღმერთთან ღადადის შემდეგ, ბიბლია და ქრისტიანობა ახალი იყო ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ეს არ ჩამითვლია განსხვავებული დიაგნოზების სიაში. გადავწყვიტე, ბიბლია ამელო და წამეკითხა. სიმპტომების შემდეგ პირველად ვკითხულობდი ბიბლიას. ორი კვირა იყო გასული, ახალი აღთქმა შემთხვევით რომ გადავშალე რომაელთა მეექვსე თავზე და კითხვა დავიწყე.

მყისიერად შევნიშნე, რომ ბიბლია ახლა უფრო გასაგები და საინტერესო გახდა. ბევრი ადგილი, რომელიც პირველად წავიკითხე, მთლად გასაგებადაც არ მეჩვენებოდა. რატომღაც, ახლა ყველაფერი მესმოდა რაც ეწერა და რასაც გვასწავლიდნენ. სიტყვა გაცოცხლდა და მისი მნიშვნელობა აშკარა გახდა. იგი ახალ პიროვნულ გავლენას ახდენდა. ახალსა და ხელშეუხებელ განცდას იწვევდა – პირველად სათვალეების გაკეთებას ჰგავდა. ახლა ადრინდელზე უფრო ცხადად შემეძლო "დამენახა" და წამეკითხა. უცნაური იყო. კითხვა დავიწყე და ვეღარ ვჩერდებოდი. სახარების კითხვის ახალი სურვილი დამეუფლა.

რომაელთა მეექვსე თავის შინაარსმა დამაინტერესა. იგი გვასწავლის, რომ რაღაც ნამდვილად ემართება პიროვნებას, როცა მორწმუნე ხდება. მოციქული პავლე, ამ წიგნის ავტორი, აცხადებს, რომ "ძველი კაცი მკვდარია" და ქრისტიანი "ცოდვისაგან თავისუფალი." კითხვა გავაგრძელე, რადგან ჩემს მდგომარეობასთან ახლოს იდგა. ორივე განცხადება კარგად ნაცნობი გახლდათ ჩემთვის. ცვლილების შემდეგ განვიცადე ცოდვისაგან გათავისუფლება. ვიგრძენი, რომ ჩემი ძველი მე წავიდა ან მოკვდა. ბოლო კვირის განმავლობაში ყოველმხრივ განსხვავებული პიროვნება ვიყავი. ძველი გრეგ ვიემანი პრაქტიკულად მკვდარი იყო ჩემს ცხოვრებაში. პავლე საგულდაგულოდ საუბრობდა ამ აზრის შესახებ და აცხადებდა, რომ ძველი კაცი "იესოსთან ერთად ეცვა

ჯვარს და "და აღსდგა ახალ ცხოვრებაში." რატომღაც, ვიგრძენი, რომ ეს მდგომარეობა ჩემს სიმპტომებს აღწერდა. რას გულისხმობდა პავლე? მისი აღწერილობა ხომ არ არის ჩემი პასუხი?

გული ამიჩქარდა და ხელისგულები გამოიფლიანდა. ვგრძნობდი, რომ რაღაც მნიშვნელოვანს მივაღწევი. ის, რასაც მე ვკითხულობდი ჩემს მდგომარეობას აღწერდა. რომაელთა მეშვიდე და მერვე თავებიც წავიკითხე უფრო მეტი ინფორმაციის აღმოჩენის მიზნით. მეშვიდე თავი გვასწავლის, რომ იესო არის პასუხი მათთვის, რომლებიც ცუდი საქციელის გამო იტანჯებიან, რასაც ადამიანი ვერ აკონტროლებს. ეს კონცეპტი ჩემს სიმპტომებს შეეფერებოდა, მაგრამ მერვე თავის წაკითხვამდე არ მესმოდა, როგორ შეეძლო ქრისტეს ამ საქმეში მონაწილეობა.

ამ თავში საუბარია იმის შესახებ, რომ ღვთის სული ცხოვრობს ქრისტიანში. პავლე ახსიათებდა ჭეშმარიტ ქრისტიანს, როგორც პიროვნებას, რომელშიც ღვთის სული ცხოვრობს. რამდენჯერმე წავიკითხე ეს ადგილი.

თქვენ კი ცხოვრობთ არა ხორციელად, არამედ სულიერად, თუკი ღმერთის სული ცხოვრობს თქვენში. ხოლო ვისაც ქრისტეს სული არ აქვს, ის მისი არ არის. და თუ ქრისტე თქვენშია, სხეული მკვდარია ცოდვისათვის, ხოლო სული ცოცხალია სიმართლისათვის. ხოლო თუ თქვენში იმყოფება მისი სული, ვინც მკვდრეთით აღადგინა იესო, მაშინ ის, ვინც ქრისტე იესო აღადგინა მკვდრეთით, თქვენს მოკვდავ სხეულებსაც გააცოცხლებს თავისი სულით, რომელიც თქვენშია დამკვიდრებული. ამიტომ, ძმებო, ჩვენ ხორცის მოვალენი არა ვართ, რომ ხორციელად ვიცხოვროთ. რადგან, თუ ხორციელად ცხოვრობთ, სიკვდილი არ აგცდებათ, ხოლო თუ სულით აკვდინებთ ხორციელ საქმეებს, იცოცხლებთ. რადგან ისინი, ვინც ღვთის სულით წარმართებიან, ღვთის შვილები არიან. რადგან არ მიგიღიათ მონობის სული, რათა კვლავ შიშში იყოთ, არამედ მიღებული გაქვთ შვილობის სული, რომლითაც ვლაღაღებთ: "აბბა, მამაო!" სწორედეს სული ემოწმება ჩვენს სულს, რომ ღვთის შვილები ვართ. ხოლო თუ შვილები – მემკვიდრენიც, ღვთის მემკვიდრენი და ქრისტეს თანამემკვიდრენი, თუ სინამდვილეში მასთან ერთად ვიტანჯებით, რათა მასთან ვიდიდოთ კიდეც. რადგან ვფიქრობ, რომ ახლანდელი ტანჯვანი არაფერია იმ დიდებასთან, რომელიც გამოცხადდება ჩვენს მიმართ. რადგან მთელი ქმნილება იმედით მოელის ღვთის შვილთა გამოცხადებას (რომაელთა 8:9-16).

რას ნიშნავდა ის, რომ ღვთის სული ცხოვრობს ჩვენში? როგორ შეიძლება ეს? სხვა ადგილებიც მოვძებნე და ამას წავაწყდი. ჩემი სასწავლო ბიბლია ანალოგიურ საკითხზე მრავალჯერ ამახვილებდა ყურადღებას, რაც ამ იდეის კვლევაში დამეხმარა.

მასში ხართ თქვენც, ვინც მოისმინეთ ჭეშმარიტების სიტყვა,

თქვენი ხსნის სახარება, იწამეთ იგი და დაიბეჭდეთ სულიწმიდის მიერ აღთქმული, რომელიც ჩვენი მემკვიდრეობის საწინდარია, საკუთრების გამოსასყიდად მისი დიდების საქებრად (ეფესელთა 1:13-14).

რამდენჯერმე წავიკითხე და ვეცადე, საკუთარ თავზე გადმომეტანა. მთავარ ფრაზაზე გავამახვილე ყურადღება – "როცა ქრისტეს ირწმუნებთ." რწმენის ეს მომენტი კრიტიკული მნიშვნელობის ჩანდა იმ მომენტისთვის, როცა ქრისტიანი იღებს სულიწმიდას. ჩემს ქრისტიანულ ცხოვრებას გადავავლე თვალი გასაღების მისაგნებად.

ჯერ ინტელექტუალურად ვირწმუნე ქრისტე, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ პირადად შევლაღადე ღმერთს მიტევებისა და შეცვლისათვის. გონებრივად აღიარების შემდეგ განსხვავებულად არ მიგვრძენია თავი, მაგრამ განსხვავებულ პიროვნებად გავიღვიძე მონანიებისა და იესოს წინაშე მთელი ჩემი გულის გადმოღვრიდან მეორე დილას. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ღვთის სული ცოცხლობს ჩემში?! ეს შესაძლებელია? მართლა ნამდვილია ქრისტიანობა? ხომ არ ახსნის ეს ჩემს ცვლილებას? ვკითხე საკუთარ თავს.

"თუ მე გიყვარვართ, ჩემი მცნებანი დაიცავით. მე მამას შევევედრები და ის სხვა ნუგეშისმცემელს მოგივლენთ, რათა თქვენთან იყოს საუკუნოდ. ჭეშმარიტების სულს, რისი მიღებაც არ შეუძლია სოფელს, რადგან ვერ ხედავს და არ იცნობს მას. თქვენ კი იცნობთ მას, რადგან თქვენთან რჩება და თქვენში იქნება. ობლად არ დაგტოვებთ, მოვალ თქვენთან. (იოანე 14:15-18)

ბიბლია ამბობდა, რომ დახსნილი ვიყავი და ღვთის სულიწმიდა ცხოვრობდა ჩემში. ეს იყო საოცრება. თუ ხსნას მოაქვს ცვლილებები პიროვნების არსებობაში, მაშინ ეს ყოფილა ჩემი სიმპტომების პასუხი, გავიფიქრე მე. წინასწარი დიაგნოზი უკვე მქონდა "დახსნილი", მაგრამ მინდოდა, გამეგო როგორ მოქმედებდა ეს და თუ შეიძლებოდა, მას ჩემი სიმპტომები აეხსნა. რას ნიშნავდა "ხსნა"? როგორ მივიღე დახსნა? იესო სულიწმიდას მიმართავდა, როგორც "მას", როგორც პიროვნებას. როგორ შეიძლება, რომ ის ჩემში იყოს? ვინ არის სულიწმიდა? რა კავშირში იყო ეს ჩემს სიმპტომებთან?

ძალიან გვიანი იყო და უნდა დამეძინა. მაგრამ პასუხი ისე მაინტერესებდა, რომ მინდოდა გამეგრძელებინა, მაგრამ თვალები სიმძიმისაგან მეხუჭებოდა. დასაძინებლად წავედი. გონებაში მაინც მიელავდა ფიქრები და კითხვები. ხვალამდე მოთმენა მიჭირდა. ვიცოდი, რომ რაღაც დიდს უნდა მივდგომოდი, მაგრამ წარმოდგენაც არ მქონდა, რამდენად დაუჯერებლად დიდი იყო იგი სინამდვილეში.

ცოდვის ავადმყოფობა

მეორე დღეს ნახევარგანაკვეთიანი სამუშაო დღე მქონდა. როგორც კი სამუშაოს მოვრჩი, მაშინვე ადგილობრივი წიგნების მაღაზიაში შევედი. მიწოდდა, უფრო მეტი გამეგო სულიწმიდაზე. მაღაზიაში შევედი და პირდაპირ რელიგიური სექციისაკენ წავედი. გამიხარდა, როცა ბილი გრემის „სულიწმინდა“ ვნახე თაროზე. შევიძინე და შინისაკენ გავწიე მის შესასწავლად. შუადღე იყო, ბავშვები სამ საათამდე სახლში არ მოვიდოდნენ, ჩემი მეუღლეც წასული იყო, ასე რომ სახლი ჩემს ხელში იყო. კაბინეტში მოვკალათდი და უცბად თვალი გადავაკლე წინა დღის აღმოჩენას. რამდენიმე საკითხი ჩავინიშნე კითხვისათვის მოსამზადებლად.

ახალი წიგნი გადავშალე და შესაფერის ინფორმაციას დავუწყე ძებნა. სამედიცინო სკოლამ მასწავლა ფაქტების პოვნის სწრაფი მეთოდი. აღფრთოვანებული ვიყავი შესავლის კითხვით. მაშინვე ვიპოვე რამდენიმე ახალი გაგება, რამაც ყველაფერი შეცვალა.

ბატონი გრემი ამბობდა, რომ ადამიანთა მოდემის პრობლემა ცოდვაში იყო. როცა პიროვნება "დახსნილია", ის დახსნილია ცოდვის მდგომარეობიდან. სრულად არ მესმოდა რას ნიშნავდა "ცოდვა", მაგრამ მივხვდი, რომ ის ამბობდა: ცოდვა ადამიანების ცუდი ჩვევებისა და საქციელის შედეგიაო. იესო იყო, როგორც ცოდვის "ავადმყოფობის" "წამალი". თუ გრემი მართალია, მაშინ, რაც მე დამემართა, განკურნებაა და არა უცნაური ავადმყოფობა. თუ ეს ასე იყო, ანალიზის პროცესი თავიდან უნდა დამეწყო, რადგან თუ ბიბლია მართალი იყო მაშინ დიაგნოზის დასასმელად საჭირო კვლევის პროცესი უკუღმა მქონდა წარმართული.

გარდაქმნამდე ვფიქრობდი, რომ ჯანმრთელი და ნორმალური ვიყავი. თუმცა ერთ დილას ახალ პიროვნებად გავიღვიძე, თუმცა ვწუხდი და მეგონა, რომ ავად ვიყავი არსებული სიმპტომების გამო. ვფიქრობდი, რომ ჩემი ასეთი ქცევა, პიროვნება და სინდისი მიუთითებდა ავადმყოფური მდგომარეობისაკენ, მისი მოულოდნელობის, რადიკალიზმისა და აუხსნელობის გამო. ვეცადე, დიაგნოზი იმ დაავადებების ფონზე დამედგინა, რა სიმპტომებსაც განვიცდიდი.

თუ ბილი გრემი მართალი იყო, მაშინ დიაგნოზის პროცესი უკუღმა წარმომართავს. ვიდრე დახსნილი ვიქნებოდი, მაშინ ვყოფილვარ ცოდვისაგან დაავადებული მთელი ცხოვრების მანძილზე და არ ვიცოდი. გარდაქმნის შემდეგ განცდილი სიმპტომები იყო იესო ქრისტესაგან განკურნების ნიშანი. ხსნის შედეგს ავადმყოფობად განვიხილავდი, რადგან არ ვიცოდი, დახსნილი რომ ვიყავი ან "დახსნა" რას ნიშნავდა.

თუ ცოდვა ავადმყოფობას ჰგავს, მაშინ ავადმყოფურად დამიწყია ცხოვრება და ცოდვის სენით ვყოფილვარ დაავადებული, თუმცა ვფიქრობდი, რომ ნორმალური ვიყავი. ბოლოს ისე განვიკურნე და დახსნილი

ვიქმენ, რომ არ ვიცოდი და ცვლილებებს არანორმალურად მივიჩნევდი. მთელი სიცოცხლე ცოდვისაგან დაავადებული ვცხოვრობდი დიაგნოზის გარეშე და ვფიქრობდი, რომ ნორმალური ვიყავი? შესაძლებელი იყო თუ არა, რომ ცოდვისაგან ისე ვყოფილიყავი დახსნილი და განკურნებული, რომ არ მცოდნოდა და მეფიქრა, რომ გავგიჟდი?! ეს იმდენად შორს იყო რეალობიდან, რომ შეიძლება შოკში ჩავვარდნილიყავი. თუ ეს მართალი იყო, მაშინ ჩემი არსებობისადმი დამოკიდებულება ბავშვობიდანვე არასწორი ყოფილა. აუცილებლად უნდა გამეგო, შესაძლებელი იყო თუ არა ეს. კარგად უნდა დავკვირვებოდი საკუთარ თავს გარდაქმნამდე, როცა (როგორც ახლა ვფიქრობდი) სავარაუდოდ, ცოდვის დაავადება მჭირდა.

კიდევ ერთხელ გადავხედე ცოდვისაგან "დახსნის" დიაგნოზს. შეიძლება, რომ ეს დიაგნოზი რეალობასთან ახლოს იდგეს და ისეთი ახსნა მოეძებნოს, რომელსაც ვირწმუნებ? ბილი გრემისა და ბიბლიის წიგნებს ჩავუღრმავდი, პასუხებსა და ინფორმაციას ვეძებდი. საკმარისზე მეტი ინფორმაცია ვიპოვე დიაგნოსტიკური პროცესის წარმართვაში დასახმარებლად. უნდა განმესაზღვრა დაავადების სიმპტომები, განკურნების მექანიზმი და განკურნების შედეგები. მას შემდეგ, რაც ამ საკითხების განმარტება და დახასიათება მექნებოდა, შევძლებდი მდგომარეობასთან მათ შედარებას და დავინახავდი, სამართლიანად ახსნიდა თუ არა ეს ჩემს მდგომარეობას.

ჩემი არსებობის ბუნებრიობა

ცოდვისაგან დაბადებიდანვე ვიტანჯებოდი გაუცნობიერებლად, როგორც ამას ბიბლია განმარტავდა, მაგრამ რა იყო „ცოდვა“? უკვე ვაღიარე საკუთარი თავის წინაშე, რომ ცოდვიანი მოქმედებები მახასიათებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბიბლია მეტს გულისხმობდა. იმისათვის, რომ სრულად ჩავწვდომოდი ცოდვის დაავადებას, პირველ რიგში უნდა გამეგო, რას ამბობდა ბიბლია ჩემს მდგომარეობაზე. რა ქმნის ადამიანის მოდემას?

ადამიანის ფიზიკური სხეული ჰგავს კომპიუტერის მანქანას, სული კი კომპიუტერის პროგრამას. კომპიუტერის აპარატურა ხილულია, მისი ფიზიკური ნაწილი ისევე ამყარებს კონტაქტს მთელ მსოფლიოსთან, როგორც ადამიანი. სული/ადამიანის ფშვინვა, ან "შინაგანი", გვევლინება ფიზიკურ სხეულში ცხოვრებით. კომპიუტერის ხილული აპარატურა დაზიანდება, დაიმტვრევა და დაიტანჯება, როგორც ჩვენი სხეულები. თუმცა, კომპიუტერის შიგნით არსებული პროგრამა ფიზიკურად არ იმსხვრევა და იგი შეიძლება, ახალ კომპიუტერში "სხეულში" ჩატვირთო.

კომპიუტერის პროგრამა მოიცავს ინფორმაციას და ენას, რაც ამოქმედებს კომპიუტერს, ისე როგორც სული/ფშვინვა იქნება ფიქრის, ემოციის და პიროვნების წყარო. პროგრამული უზრუნველყოფა, ან სული/ფშვინვა იქნება ცხოვრების ნამდვილი წყარო. თავისთავად კომპიუტერი "მკვდარია". ის არც ჩაირთვება და არც იმუშავებს, მაგრამ თუ მასში

პროგრამას ჩავტვირთავთ, ჩაირთვება და "გაცოცხლება."

ადამიანი = სხეულს + სული; ან ადამიანი = სხეულს + პროგრამა

სავარაუდოდ, "სული/ფშვინვა" იყო ადამიანის ნაწილი, რაც არასდროს არავის აუხსნია ჩემთვის, არც სათხილამურო მოგზაურობისას და არც მარკოს კუნძულებზე. ასეთი იდეა არასოდეს მომსვლია თავში აზრად. ევოლუციამ, ბიოლოგიის გაკვეთილებმა და სამედიცინო სკოლამ გარკვევით მასწავლა, რომ ადამიანი შედგება მხოლოდ ფიზიკური სხეულისაგან და სხვა არაფრისგან (ბიოლოგიური ნივთიერებისგან). მინდოდა შემეწყნარებინა ადამიანში სულის იდეა, რადგან, როგორც ჩანს, მას შეეძლო პასუხი გაეცა ადამიანის სხეულთან დაკავშირებულ ჩემს შეკითხვებზე.

სამედიცინო სასწავლებელში ტვინის ანატომიის შესწავლისას ყოველთვის ვფიქრობდი, როგორ შეიძლება ადამიანის ტვინი შეიცავდეს მხოლოდ ორგანულ ნივთიერებას და მას შეეძლოს სიყვარული, ემოციების გამოხატვა; ჰქონდეს მეხსიერება, გრძნობები და სინდისი. უბრალოდ, შეუძლებელი იყო, ან აზრი არ ჰქონდა. ეს იყო კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემა არავის შეეძლო. თანამედროვე მეცნიერებას წარმოადგენა არა აქვს, თუ როგორ მუშაობს ეს სისტემა.

სულის სხეულში ცხოვრების იდეა ადვილად დასაშვებია იყო და ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემაც შეეძლო. რთული დასაჯერებელი კი იყო, მაგრამ უფრო ადვილად დასაშვებია ვიდრე მოლეკულის მიერ ემოციისა და პიროვნულობის ჩამოყალიბება. ვიცოდი, რომ სხეულში არსებულ ნერვებსა და ნივთიერებათა ცვლას შეეძლო ჩვენს ემოციასა და გრძნობებზე ნაწილობრივი ზემოქმედების მოხდენა, მაგრამ შეუძლებელი იყო, მთლიანად მათ აედოთ ამ საქმეზე პასუხისმგებლობა. როგორ შეუძლია ქიმიურ ნივთიერებას, გამოიწვიოს ჩემი ოჯახის სიყვარული და მათთვის თავგანწირვის სურვილი? როგორ შეიძლება, ნერვებმა და ქიმიურმა ნივთიერებებმა, იცოდნენ როდის ჩავიდინე რაღაც არასწორი და გამოიწვიონ დანაშაულის შეგრძნება?

უცხად გავიგე, რომ თუ ადამიანს მართლა აქვს სული, მაშინ ეს ნიშნავს, რომ ჩემი პიროვნება, სიყვარული, ფიქრები და ემოციები მოდის ჩემი სულიდან, რომელიც ჩემს სხეულში მკვიდრობს. მიუხედავად იმისა, რომ ეს რადიკალური მოსაზრება გახლდათ, აზრი ჰქონდა-მითუმეტეს, თუ ეს მართალი იყო. დამატებით, ისიც გავაცნობიერე, რომ მე მარადიული ვიყავი და იმაზე მეტი, ვიდრე "განვითარებული ორგანული სიტხე." ეს უფრო მისაღები იყო ჩემი გულისათვის, რომელიც მარადიულობის საკითხზე პასუხებს ეძებდა. შეიძლება, რომ მართლა მარადიული სული ვიყო? ვფიქრობდი მოკრძალებით.

როცა გავიგე, რას ასწავლიდა ბიბლია ჩემი არსებობის შესახებ, მაშინ მივხვდი ცოდვის დაავადებას.

ცოდვის დაავადება

სწრაფად დავუბრუნდი ადამისა და ევას ისტორიას კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით. წავიკითხე დაბადება, ბიბლიის პირველი წიგნი, პირველი ორი ადამიანი მართლა ღვთისაგან იყვნენ შექმნილნი. როცა ისინი ღმერთს ეურჩნენ, რადიკალურად შეიცვალნენ ცუდისაკენ. სულიერად და ფიზიკურად ღმერთს ჩამოშორდნენ. ღმერთთან მათი ადრეული დამოკიდებულება მგრძნობიარე იყო; ახლა ისინი შემოქმედს დაშორდნენ. ამ "დაცემამ" მათ სხეულებში დრამატული ცვლილებები გამოიწვია. არსებობის ახალი მდგომარეობა, როდესაც ფიზიკური სიკვდილი შემოვიდა ქვეყნიერებაზე. ადამიანის სხეული მგრძნობიარე იყო გახრწნის, ჭრილობისა და სიკვდილის მიმართ.

დაბადების წიგნის შესწავლისას გავიგე, რომ ამის შემდეგ ნებისმიერი ადამიანი ღვთისაგან დაშორებულ დაცემულ სხეულში იბადებოდა და ბოლოს კვდებოდა. თუ ბიბლიური მოსაზრება სწორია, ღვთისაგან დაშორების მდგომარეობა "დაცემულ სხეულში" არის ცოდვის მდგომარეობა, ან "ცოდვიანი ბუნება." ღვთისაგან დაშორებას ბიბლიაში სულიერი სიკვდილის მდგომარეობას უწოდებენ. თუ ასეა, ეს იმას ნიშნავს, რომ სულიერად მკვდარი და ცოდვის გამო ღვთისაგან დაშორებულ მდგომარეობაში დავიბადე.

ცოდვის დაავადება = ღვთისაგან განშორებას = სულიერ სიკვდილს
ცოდვილი კაცი = დაცემული ფიზიკური სხეული ღვთისაგან განშორებული + მარადიული სული/ღმერთის განშორებული სული

კომპიუტერის ანალოგია დამეხმარა ცოდვის დაავადების საკითხის გაგებაში. პიროვნების ანალოგი კომპიუტერთან, რომელიც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ძლიერი და უზარმაზარი კომპიუტერის წყაროსთან (ესე იგი ღმერთთან). კავშირი, რატომღაც შეწყდა ცოდვის გამო. გათიშული ვიყავი საჭირო კავშირიდან და მასთან შესაფერისი ურთიერთობა არ მქონდა. ცოდვა ვირუსს ჰგავდა, რომლის გამოც მის სისტემაში შეღწევა შეუძლებელი ხდებოდა. ვირუსმა კავშირის გაწყვეტა გამოიწვია. მოწყვეტილი ვიყავი კომპიუტერის მთავარ სისტემას, ანუ ღმერთს. იმისათვის, რომ კავშირი აღმედგინა, ცოდვის ვირუსი მთლიანად უნდა მომეშორებინა.

ჯერ კიდევ ვეჭვობდი იმაზე, თუ როგორ შეეძლოთ ადამსა და ევას ადამიანის მოდგმის დაცემა, ღვთისაგან ჩვენი დაშორება და ცოდვის ამ ასპექტის უკეთესად გაგება მინდოდა. ეს სრულიად ახალი კონცეფცია იყო ჩემთვის. ღვთის ფიზიკურად ხილვის უნარი არ შემეწევდა, რადგან ჯერ არ მიხილავს, არ განმიცდია იგი და ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ ბევრი არაფერი მსმენია ხალხისაგან მის შესახებ. აქედან გამომდინარე,

დაშორების კონცეფციამ სრული აზრი შეიძინა.

თუ დახსნამდე ცოდვა ჩემი ორიგინალური დაავადება იყო, მაშინ რა იყო ამ დაავადების სიმპტომები? ეს სიმპტომები გარდაქმნამდეც მქონდა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ცოდვის სიმპტომები უნდა მომეძია.

მეცამეტე თავი

ცოდვის სიმპტომები

ნებისმიერ დაავადებას, სანამ არსებობს, აქვს სიმპტომებიც. სიმპტომები არის სხეულში არსებული უფრო დიდი პრობლემების ნიშანი. მაგალითად, მკერდის ტკივილი ნიშნავს გულის დაავადებას. როცა გულის მკვებავი არტერიები იჭედება გული საკმარის ჟანგბადს ვეღარ იღებს. მკერდის ტკივილის განცდა ნიშნავს იმას, რომ გულს დახმარება სჭირდება.

თუ ცოდვა დაავადებას ჰგავს, მაშინ ვვარაუდობ, რომ მასაც ექნება სიმპტომები. თუ ეს ასეა, რა არის ღვთისაგან ჩამოშორების ამკარა გამოვლინება? ცოდვის სიმპტომები ხომ არ შეესაბამება იმ სიმპტომებს, გარდაქმნამდე რომ მაჩასიათებდა? ეს იყო მნიშვნელოვანი კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა მჭირდებოდა.

ბიბლიაში მოვძებნე ის მუხლები, რომლებიც განსაკუთრებით ამ საკითხს ეხებოდა.

ხორცის საჭმელები ამკარაა: ეს არის სიძვა, უწმინდურობა და თავაშვებულობა, კერპთმსახურება, მისნობა, მტრობა, ჩხუბი, შური, რისხვა, შუღლი, უთანხმოებანი, მწვალებლობა, სიძლივლი, მკვლელობა, ლოთობა, გაუმადლობა და სხვა ასეთი. გეუბნებით წინასწარ, როგორც ადრე მითქვამს, რომ ამის ჩამდენნი ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ. (გალატელთა 5:19-21)

შოკი მომგვარა წაკითხულმა, რადგან ეს ყველაფერი ძველ კაცს მაგონებდა. ძიებას ვაგრძელებდი და აღმოვაჩინე, რომ სიბრაზე, შური, ტყუილები, ცდუნება, მოუთმენლობა, სიხარბე, სიამაყე და სხვა მრავალი ღვთისაგან განშორებამ გამოიწვია. ეგოიზმი გახლდათ ცოდვიანი ბუნების პირველი გამოვლენა. ამან მიიპყრო ჩემი ყურადღება, რადგან უკვე აღმოვაჩინე, რომ ეგოიზმი იყო ჩემში ყველაზე დიდი პრობლემა ცვლილებამდე. ცოდვა და მისი გვერდითი მოვლენები სრულყოფილად შეეფერებოდა ჩემს სიტუაციას.

რატომღაც, ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ცოდვა "ნორმალური ადამიანური ბუნება" იყო, რადგან ყველას ახასიათებდა. მივხვდი, რომ ეს თუ "ნორმალური ადამიანური ბუნებაა", ნამდვილი ცოდვის ბუნება ღმერთისაგან განშორებას გამოუწვევია, მაშინ ადამიანი ორ მთავარ პრობლემაში დაბადებულია. არა მხოლოდ განშორებულნი ვართ ღმერთთან, არამედ თვით განშორება იწვევს მთელ რიგ პრობლემებს, როგორიცაა ეგოიზმი, სიამაყე, მარტოობა და სიკვდილი.

ბიბლია აცხადებდა, რომ ეს ქვეყნიერება და ჩვენი არსებობა დაცემულია (ანუ, ასე არ უნდა ყოფილიყო). თუ ეს მართალია, მაშინ რაღაც საშინლად არასწორი არსებობდა ჩემში დაბადებისთანავე. მიჭირდა ამის დაჯერება. უკვე რაღაც არასწორს ვხედავდი, მაგრამ არ შემეძლო ზუსტად ჩამოყალიბება. ეს ხომ არ არის ის მიზეზი, რის გამოც იმედგაცრუებული

ვიყავი ცხოვრებაზე? ვფიქრობდი მე.

ჩემთვის საინტერესო აზრი ის იყო, რომ ცოდვიანი მოქმედება არის ცოდვის შედეგი, ან ღვთისაგან დაშორება. ცუდი საქციელი ცოდვის შედეგია. ცოდვა არ არის დაავადების სიმპტომებით გამოწვეული. ისე როგორც, მკერდის ტკივილი. ცოდვის სიმპტომები იმის ნიშანია, რომ რაღაც ვერ არის კარგად სიღრმისეულად. ცოდვა ფესვია და ცოდვიანი ქცევა ნაყოფი. ღვთისაგან დაშორებას აქვს გვერდითი მოვლენები. პირადი კომპიუტერი არ მუშაობს, რადგან გათიშულია ძირითადი წყაროსაგან.

უნდა ვაღიარო, რომ ბავშვობაში არავის უსწავლებია ჩემთვის ტყუილები ან ეგოისტობა. ამაში პიროვნულად დავრწმუნდი ჩემი ბიჭების შემთხვევაში, როცა ისინი ჩვილები იყვნენ. ისინი ეგოიზმისა და ცოდვის ტენდენციით დაიბადნენ. კარგი მტკიცებულება მქონდა იმისა, რომ ადამიანთა მოდგმა ამ თვისებებით იბადება. ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეთი საქციელი არასწორი იყო, მაგრამ რადგან ყველა ასეთი იყო, დავადგინე, რომ უბრალოდ ასეთები ვართ ადამიანები. არასოდეს მიფიქრია, რომ შეიძლებოდა, ჩვენს შინაგანში არსებული დეფექტი ყოფილიყო ამისი გამომწვევი მიზეზი.

ღმერთისგან დაშორება ალბათ იმის მიზეზია, რომ ადამიანები გრძნობენ სიცარიელეს, მარტოობას, უკმარისობას და უკმაყოფილებას. პერსონალური კომპიუტერი, რომელიც შექმნილი იყო მთავარ წყაროსთან უწყვეტი კავშირისათვის, ინფორმაციას ვერ იღებს. მას შეუძლია, ეცადოს და შექმნას პროგრამები, მაგრამ ეს მას ვერასოდეს დააკმაყოფილებს. პერსონალური კომპიუტერი ყოველთვის "მარტო" და "არასრული" იქნება, რადგან გამორთულია. ბიბლია ამტკიცებს, რომ ადამიანი შეიქმნა ღმერთთან ცხოვრებისა და მისადმი მსახურების მიზნით. ის ამბობს, რომ ჩვენს შექმნაში არ იყო ნაგულისხმევი ღვთისაგან დაშორებული, დამოუკიდებელი ცხოვრება.

ამ დოქტრინამ ძალიან იმოქმედა ჩემზე, რადგან, რა უაზროდაც არ უნდა გვეჩვენებოდეს, ღმერთს ჩამოშორება იყო მიზეზი და გასაღები იმ მრავალი კითხვის ასახსნელად, რომლებიც გამუდმებით მიღრღნიდნენ გულს. რაც თავი მახსოვს, სულ სიცარიელეს ვგრძნობდი შინაგანად. ყველაფერი მქონდა, მაგრამ არაფერი მაკმაყოფილებდა! რატომ? როგორ შეიძლებოდა ეს? წლების მანძილზე მოვთქვამდი ამის შესახებ. ვფიქრობდი ღვთისგან ჩამოშორების მიზეზზე და საკუთარ თავს ვეკითხებოდი, შეიძლება, ეს იყოს ნამდვილი მიზეზი? თუ ყველაფერი ვცადე აღვსებისათვის, მაშინ "რამე" კი არა, არამედ „ვიღაც“ მაკლია. ჩემს ცხოვრებაში პირველად აღმოვაჩინე ამ განცდებზე პასუხი.

მაშინვე დავუბრუნდი ჩემს მიერ შედგენილ დიაგრამას (იხილეთ მეათე თავი), რაც ახსნასა და კავშირს გვაწვდიდა გარდაქმნადელი სიმპტომების შესახებ. ეს დიაგრამა ნათლად ხსნიდა იმას, თუ როგორ განაპირობებდა ჩემს ცხოვრებაში არსებული სიცარიელე ჩემს პრობლემებს, სიმპტომებს, პიროვნებებთან ურთიერთობებს. თუ ღვთისაგან ჩამოშორებამ ადამიანების ცხოვრებაში სიცარიელე წარმოქმნა, მაშინ კარგი მოწმობა მქონია იმისათვის, რომ მთელი ცხოვრება ჩამოშორებული

ვიყავი ღმერთს. ყველა ჩემი სიმპტომი შეეფერებოდა ცოდვის დაავადებას. უცნაური შეგრძნება იყო იმის გაცნობიერება, რომ რაღაც არასწორი იყო ჩემს შინაგანში მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე.

უკვე მქონდა ცოდვილი საქციელისა და გარდაქმნადი განცდილი სიცარიელის შესახებ ახსნა-განმარტება. სავარაუდოდ, მარადიული სული იყო ჩვენი არსებობის ნაწილი, აქედან გამომდინარე, ისიც მესმოდა, თუ როგორ შეიძლებოდა ადამიანს ჰქონოდა ემოცია, სიყვარული, სინდისი და პიროვნულობა. გამოაცა ბიბლიის კავშირისა და შინაგანად თანმიმდევრულმა ბიბლიურმა დოქტრინამ. ეს მრავალ კითხვას სცემდა პასუხს და ჩემი მდგომარეობის სხვადასხვა საფეხურებს შეეფერებოდა.

ცოდვის ეს დაავადება და მისი სიმპტომები საკმაოდ შეეფერებოდა ჩემს მდგომარეობას, მაგრამ განკურნება? თუ ჩემი განახლებული კაცი ცოდვისაგან განკურნების შედეგია, მაშინ უნდა დავრწმუნებულიყავი, რომ ეს იყო გარდაქმნის პასუხი. რა არის განკურნება? როგორ მოქმედებს იგი? რა შედეგები ახლავს? როგორ იღებს ადამიანი განკურნებას? ეს იყო ის შემდეგი კითხვები, რომლებზედაც პასუხები უნდა მიმეღო.

ცოდვის დაძლევა ცოდვისაგან განკურნება

კვლევის განმავლობაში ვისწავლე, რომ იესო არის ცოდვის დაძლევა. გონების განახლების მიზნით, უკვე ნასწავლი გავიმეორე. პირველად ვაღიარე, რომ ცოდვილი ვიყავი, როცა მივხვდი, რომ ვიტყუებოდი, ვიპარავდი და სხვა მრავალი ცუდი რამ მქონდა გაკეთებული. ჩემი ცოდვების სასჯელი იყო საუკუნო სიკვდილი ანუ ღმერთთან მარადიული დაშორება. რადგან ღმერთი უცოდველია და სრულყოფილი, იგი თავის გარემოცვაში ცოდვას ვერ შეიწყნარებს. მე სამოთხეში ვერ მოვხვდები, ვიდრე მთლიანად არ გავთავისუფლდები ცოდვისაგან. მეც ისევე სრულყოფილი უნდა ვიყო, როგორც ღმერთი.

ღმერთმა, როგორც სამართლიანმა მოსამართლემ, უნდა განსაჯოს ჩემი ცოდვები, მაგრამ ისე, როგორც მოსიყვარულე მამამ, მიტევება რომ სურს. იესო გახდა გამოსავალი, რადგან ჩემი მონაცვლე გახდა ჯვარზე სასჯელის მიღებაში, რათა ღმერთს შესძლებოდა ჩემი მიტევება. ამის შემდეგ ღმერთს შეეძლო ჩემი უცოდველად გამოცხადება ისე, თითქოს არასოდეს შემიცოდავს.

ძიების განმავლობაში, ჯერ ვერ ვაცნობიერებდი, რომ დაბადებიდანვე ჩამოშორებული ვიყავი ღმერთს, რაც იმას ნიშნავს, რომ სულიერად მკვდარი ვიყავი. არ მესმოდა, რომ ჩემი ცოდვიანი ქმედება იყო სიმპტომი ცოდვილი ბუნებისა ან ცოდვის დაავადებისა (ღვთისაგან განშორება არის დაცემული სხეული). პრობლემა უფრო ფართო იყო, ვიდრე, უბრალოდ, ჩემი არასწორი საქციელი.

ცოდვისაგან განკურნებას სამი მთავარი პრობლემა უნდა გადაეჭრა: ცოდვის საზღაური, ღმერთისგან ჩამოშორება და მისგან გამოწვეული ცოდვიანი საქმეები. ცოდვისაგან განკურნებას უნდა შემოეთავაზებინა სიკვდილის საზღაური და ღმერთთან შეერთება და მას უნდა დაემყარებინა ახალი ბუნება. აშკარა იყო, რომ ღმერთთან კავშირს ვერ დავამყარებდი ცოდვის საზღაურის გადახდამდე და უცოდველად აღიარებამდე.

ამ გამოძიებამ ახსნა პირველი მთავარი პრობლემა, მაგრამ არა დანარჩენი ორი. იესომ გადაიხადა ცოდვის საზღაური ჯვარზე სიკვდილით, მაგრამ როგორ შეძლო იესომ ჩვენი ღმერთთან ხელახლა დაკავშირება და ახალი ბუნების შექმნა, რომელიც თავისუფალი იყო ცოდვისგან.

ეს ბოლო ორი პრობლემა იყო განკურნების მექანიზმი და მისი შედეგი. ორივე უნდა გამეგო, რათა დამენახა, შეეფერებოდა თუ არა ცოდვისაგან განკურნება გარდაქმნას.

განკურნების მექანიზმი

სამედიცინო დაავადებისას მნიშვნელოვანია გაიგო, თუ შესაძლებელია, როგორ გამოასწორობს პრობლემას წამალი. ეს ეხმარება ექიმს იცოდეს, რას უნდა მოელოდეს და განსაზღვროს პროგრესი.

თუ ცოდვის დაავადებამ ღმერთს ჩამომაშორა, მაშინ წამალი მასთან დამაკავშირებდა. პირადი კომპიუტერი შეუერთდებოდა მთავარ სისტემას, რაც შესაძლებელს გახდიდა კომუნიკაციასა და ინფორმაციის გაცვლას. გაოცებული ვიყავი, რომ ზუსტად ამას მივაგენი ბიბლიაში და ბილი გრეემის წიგნში.

გაოცება, მოკრძალება და მცირედი შიშიც კი გამოიწვია შერიგების მექანიზმმა.

როცა პიროვნება ღმერთს შეღალატებს მონანიებით ცვლილებისა და პატიებისათვის, იესო ქრისტეს რწმენის მეშვეობით, რამდენიმე რამ ხდება ამ დროს. პირველი, ღმერთი მას აცხადებს მართლად, ისე თითქოს არასოდეს შეუცოდავს. რადგან იესო გახდა ადამიანის მთელი მოდგმის მონაცვლე, ღმერთს შეუძლია ადამიანის უცოდველად გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომ იგი ცოდვილია წარსულში, აწმყოში და მომავალში.

ღვთის ეს განცხადება კომპიუტერს მთავარ წყაროსთან დაკავშირების საშუალებას აძლევს. პირადი კომპიუტერი არ უნდა იყოს მაინცდამაინც დაშორებული და იზოლირებული, რადგან ცოდვის ვირუსის პრობლემა უკვე მოგვარდა. გამაოცა იმან, რომ ღმერთია განახლებული კავშირი. სულიწმიდა, რომელიც არის ღმერთი, შედის მორწმუნის სხეულში და უერთდება მორწმუნის სულს დაშორება – დასრულების მიზნით. ეს იმას ნიშნავს, რომ ხსნის მომენტიდან ღმერთი სინამდვილეში მორწმუნის არსებაშია. ეს გარდაქმნა არის ის, რაც "დახსნას" ნიშნავს. ისე როგორც სამედიცინო დაავადებისას, განკურნება უნდა შევიდეს სხეულში შედეგის გამოსაწვევად.

ახლა ყველაფერი ერთმანეთს ერწყმის, გავიფიქრე მე. როცა პირველად "დახსნილის" წინასწარი დიაგნოზი გავაკეთე, მაშინ არ მესმოდა სულიწმიდის არსი, ახლა კი გავიგე.

ხსნა არა მხოლოდ ღმერთთან ლოცვაა, არამედ ის მიზნად ისახავს ღვთისაგან ნამდვილ გარდაქმნას. ქრისტიანობა არა მარტო რაღაცის რწმენაა, არამედ რაღაცად გახდომაცაა. გულწრფელად ღაღადის შემდეგ ღმერთი სამუდამოდ ცვლის ადამიანის ბუნებას. ახლა ადამიანი ღმერთთან კავშირშია, ცოცხალია და აღდგენილია მასში მცხოვრები ღვთის მიერ. შესანიშნავი იქნება, თუ ეს მართალია, – გავიფიქრე მე.

მას შემდეგ, რაც მეუბნებოდნენ, რომ ღმერთი არ არსებობდა და შეუძლებელია მისი შეცნობა, გამაოცა იმ აზრმა, რომ ის სინამდვილეში ჩემში ცხოვრობს. ამის გაცნობიერებამ ჩემში უფრო მეტის კითხვისა და შესწავლის სურვილი გამოიწვია. თუ ცოდვის ავადმყოფობამ ღმერთს ჩამომაშორა და სულიერად მომკლა, მაშინ ხელახლა მასთან კავშირი იმას ნიშნავს, რომ ახლა სულიერად გავცოცხლდი!

საუკუნო სიცოცხლე ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ საუკუნოდ ვიცოცხლებ, არამედ იმასაც, რომ ახლა ხელახლა შევუერთდი ღმერთს. თუ ეს მართალია, მაშინ ღმერთთან საუკუნო ცხოვრება დახსნის მომენტიდანვე დაიწყო. ბიბლიის შემდეგმა მუხლმა თავი მოუყარა ამ აზრებს.

თქვენც, მკვდრები შეცოდებებში და თქვენი ხორცის წინადაუცველობაში, გაგაცოცხლათ მასთან ერთად და მოგიტევათ ყველა შეცოდება. განჩინებით წაშალა თანანადებთა ხელით წერილი, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ იყო, აიღო იგი შუაგულიდან და ჯვარს მიამსჭვალა. (კოლოსელთა 2:13-14)

დახსნილი = სულიერად ცოცხალი = ადამიანის სული + სულიწმიდა (ერთობა/კავშირი)

დახსნილი = სულიწმიდა შენში = საუკუნო სიცოცხლე = ღმერთთან განახლებულ კავშირს

თუ ქრისტიანობა ჭეშმარიტია და ღმერთი ახლა ჩემშია, ამ ფაქტს ადვილად შეუძლია ერთ ღამეში მომხდარი ცვლილების ახსნა. აქამდე არ მესმოდა, როგორ შეიძლებოდა, ვყოფილიყავი განსხვავებული მოლექულების ფონზე ახალი ემოციით, გრძნობებით, სინდისით და იმ ადამიანებისადმი სიყვარულით, რომლებიც აქამდე არ მყვარებია, მაგრამ ჩემში არსებულმა ღვთის ძალამ ადვილად დასაჯერებელი გახადა, თუ რა თქმა უნდა, ეს ჭეშმარიტება იყო.

თუ ჩემში ნამდვილად არსებობდა სულიწმიდა და სულიერი სიკვდილიდან საუკუნო სიცოცხლეში გადავდი, მაშინ ნამდვილად მოველოდი შესამჩნევ ცვლილებებს ამ გარდაქმნის ფონზე. შემდეგი შეკითხვა იყო "რა არის ხელშესახები და შესამჩნევი შედეგი დახსნისა და სულიწმიდის შინაგანად არსებობისა?" უნდა განმესაზღვრა, შეეფერებოდა თუ არა ხსნის შედეგი ჩემში გარდაქმნისას განცდილ ცვლილებებს.

განკურნების შედეგები

როცა პრაქტიკანტი ექიმი ვიყავი, მუცლის ტკივილი დამემართა, რამაც გამოიწვია შინაგანი ტკივილი. როცა განვიკურნე, ტკივილმა გაიარა, ჭამის მადა მომემატა, უკეთესად მეძინა და დაკლებული წონა ისევ ავინაზღაურე. მაშინ პრაქტიკულად განვიცადე განკურნებისა და ცვლილებების შედეგები.

რა შედეგები უნდა მოჰყოლოდა სავარაუდოდ იესო ქრისტეს მიღებას და ცოდვისაგან განკურნებას? მაქვს თუ არა ნამდვილად მისი შენების ნიშნები?

ძალიან ვღელავდი და მაინტერესებდა, შემესწავლა და გამეგო განკურნების შედეგები. ეს დამიმტკიცებდა, ნიშნავს თუ არა ხსნა ნამდვილ გარდაქმნას, რაც სულიწმიდის შედეგად წარმოიშვება. ეს დაავადება,

სიმპტომები და ცოდვისაგან განკურნება არის ბიბლიური დოქტრინა, მაგრამ შედეგები არის ობიექტური და ხელშესახები. ცოდვის სიმპტომები ყველა ადამიანში არსებობდა, რომელთაც ოდესმე შევხვედრივარ, მაგრამ მიუხედავად ამისა, რთული იყო იმის დაჯერება, რომ ეს დაავადება მთელ პლანეტას ახასიათებდა.

გავიგე, რომ იესო არის კურნება, მაგრამ ეს ყველაფერი შეიძლება დამოკიდებული იყოს ყალბ პიროვნულ მოსაზრებასა და რწმენაზე. თუ ქრისტიანობა სხვა არაფერია, გარდა ყოველდღიური ადამიანური ქცევის "ცოდვად" შერაცხვისა, ჩვენი ცოდვების მიტევებისათვის ქრისტეს სიკვდილის გონებრივად დაჯერებისა, მაშინ არ არსებობს გზა, გავიგო ნამდვილად ასეა თუ არა ეს დღეს ჩემთვისაც. ადვილად შემიძლია, დავჯდე ეკლესიაში და ვენდო ჩემს კვლევებს იესოსა და მის აღდგომაზე და თავი კარგად ვიგრძნო ჩემი ქრისტიანობის გამო, მაგრამ შეუძლებელია, ნამდვილად გავიგო, მართალი იყო თუ არა ეს.

იესო ქრისტესაგან განკურნების მიღების შემდეგ, ყველაფერი შეიცვალა ადამიანში. თუ არსებობს ნამდვილი დათვალშისაცემი შედეგები განკურნებისა, მაშინ არსებულა იმის პიროვნული მტკიცებულებაც, რომ ეს მართალია ისევე, როგორც სამედიცინო სფეროში ქრება დაავადების ძველი სიმპტომები და აუცილებლად ჩნდება განკურნების ნიშნები.

გავოცდი, შეიძლება განკურნების ეს ნიშნები მართლა მოქმედებს ჩემში. ამას არასოდეს ვიფიქრებდი, რადგან არანაირ ცვლილებებს არ მოველოდი, მინდოდა, კვლავ მეცადა ეკლესიაში წასვლა, მაგრამ ამჯერად აღჭურვილი ვიყავი ბიბლიის ჭეშმარიტების ინტელექტუალური რწმენით. იმდენად არ არსებობდა ღმერთი ჩემს ცხოვრებაში, რომ არც კი ვიცოდი, რა ცვლილებები იყო მოსალოდნელი. მთელი ჩემი ცხოვრებისა და კულტურული გამოცდილების განმავლობაში ასეთი დასკვნა მქონდა, რომ ეკლესიაში სიარული საკმარისი იყო. არ მეგონა, თუ ხალხი დარწმუნებული იყო ღმერთის არსებობასა და ცოდვისაგან დახსნაში. ჯერ კიდევ დარწმუნებული არ ვიყავი ჩემი ხსნის რეალურობაში და მივხვდი, რომ სიკვდილამდე უნდა მომეცადა დარწმუნებისათვის და თუ მართალი არ ვიყავი, დასაკარგიც არაფერი მექნებოდა.

გამაჩხენდა ჯოშ მაკდაუელის დამოწმება, რომ სიბრაზე გაიფანტა იესოს მხსნელად მიღებისა და ღვთისადმი ლოცვის შემდეგ. ნამდვილად არ მესმოდა, როგორ შეიძლებოდა ეს. როგორ შეიძლება პიროვნების ლოცვის შედეგად ცვლილება? ჩემი სამედიცინო ხარისხი და ცოდნა გამორიცხავდა ადამიანის პიროვნულობისა და ემოციის ლოცვის შედეგად ცვლილებას. ტვინსა და ნერვულ სისტემას შორის ღრმა და ბიოქიმიური კავშირი ჯეროვნად არ არის შესწავლილი. თანამედროვე მსოფლიო თავს არიდებს ამ ორ მოვლენას შორის კავშირისა და ურთიერთობის შესახებ გაგების შესაძლებლობას. ჩემის აზრით, ეს უნდა ყოფილიყო რელიგიური რწმენით გაძლიერებული თვითდარწმუნების ფსიქოლოგიური ცვლილება. იმ დროს არაფერი მესმოდა სულიწმიდის შესახებ. მაინტერესებდა, ჯოშ მაკდაუელი დახსნის შემდეგ, როგორ შეიცვალა.

ბიბლიის სახელმძღვანელო და ბილი გრეემის წიგნი გამოვიყენე

პასუხებისათვის. ღვთის სულიწმიდა არა მარტო კავშირის აღდგენის გზა არის, არამედ ადამიანის ცხოვრების შესაცვლელი გზა. ღმერთი არა მარტო ადამიანის ცოდვისაგან დახსნის მიზნით მოვიდა, არამედ სურდა, რომ მორწმუნეს იესოში ჰქონოდა ცოდვაზე გამარჯვების ძალა, ვიდრე ადამიანი მოკვდებოდა – უფრო სწორად, ვიდრე ცოცხალი იყო. ბილი გრეემმა ახსნა, რომ ღმერთმა იცოდა, რომ ცოდვების მიტევება არ იქნებოდა საკმარისი. რადგან ეს ადამიანი კვლავ ჩაიდენდა იმავე ცოდვას. ჩემს შემთხვევაში, იგივე გრეგ ვიემანი იმავე თვისებებით იხეტიალებდა დედამიწაზე. ღმერთმა იცოდა ამ დახმარებისა და წინამძღოლობის საჭიროების ძალა, რადგან ჩვენ თვითონ არ შეგვწყევს ცვლილების უნარი. სულიწმიდა არის ამ პრობლემის გადაჭრის გზა.

თუ ღმერთი ცხოვრობს ჩემში ცვლილების ძალით, მაშინ რა ცვლილებებია მოსალოდნელი? ვკითხე საკუთარ თავს. ეს ცვლილებები კავშირში უნდა ყოფილიყო იმ ახალ სიმპტომებთან, რასაც გარდაქმნის შემდეგ განვიცდიდი.

ღვთის სიყვარული: უანგარო გაცემა

გავიგე, რომ ღმერთი სიყვარულია, მაგრამ არა ისეთი სიყვარული, რასაც მე ვიყავი მიჩვეული. ღვთის სიყვარული შეიძლება, განისაზღვროს, როგორც უანგარო გაცემა. სხვა ადამიანებზე ზრუნვა და უანგარობა არის დახსნის ნიშანი, თუ კი ღმერთი მართლა ცხოვრობს ჩემში. ამან მაშინვე მიიპყრო ჩემი ყურადღება, რადგან უკვე დავასკვენი, რომ ახალი და აუხსნელი ძალა მქონდა, უანგარობა, არა მხოლოდ მოქმედებებში, არამედ მოქმედების მიღმა არსებულ მოტივებშიც. შინაგანი ძალა იწვევდა ჩემში განსხვავებულ ადამიანს. ერთი მუხლი ვიპოვე პიროვნებაში მცხოვრები სულიწმიდის "სიმპტომთან" დაკავშირებით.

ხოლო სულის ნაყოფებია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სახიერება, სიკეთე, ერთგულება, სიმშვიდე, თავშეკავება-ამათ წინააღმდეგ არ არის რჯული. ხოლო მათ, ვინც ქრისტესნი არიან, ჯვარს აცვენ თავიანთი ზოცი ვნებებთან და გულისთქმასთან ერთად. (გალატელთა 5:22-24)

გამოაგნა წაკითხულმა, რადგან სინამდვილეში ყოველი მათგანი განვიცადე. იმ ადამიანებისადმი სიყვარული განვიცადე, რომლებიც არ მიყვარდნენ. სიხარული და მშვიდობა იყო გასაოცარი კომბინაცია იმ ეიფორიის და კმაყოფილების, რომლის სიტყვებით გადმოცემაც შეუძლებელია. მოთმინება არის არათავკერძა ქმედება, რაც ვოლმარტის გამოცდამ გამოააშკარავა. განვიცადე ჭეშმარიტი სათნოება. წარსულზე ვფიქრობდი და მივხვდი, რამდენად ხშირად ვმოქმედებდი კარგად, მაგრამ მის უკან იდგა ფარული ინტერესები.

გარდაქმნამდე ერთგული ვიყავი ჩემი პასუხისმგებლობებისადმი, მაგრამ მათშიც ეგოისტური მოტივები იყო. ახლა ვგრძნობდი უანგარობას, ჩემს საიმედოობას რომ აძლიერებდა. ვიდრე შევიცვლებოდი კონტროლსა და თავაზიანობის ნაკლებობას განვიცდიდი. უფრო იმპულსური ვიყავი,

ნაკლებად მომთმენი და ხანდახან ვფეთქდებოდი კიდეც. ღმერთთან ღალადისა და გამოღვიძების შემდეგ, კონტროლის უნარი მომეცა. რა თქმა უნდა სრულყოფილი არა, მაგრამ საგრძნობლად ახალი და ძლიერი. ეს იყო არაეგოისტური ძალა, რომელიც დიდად განსხვავდებოდა ძველი ეგოისტური მესაგან.

ახლა ეგოიზმისგან თავისუფალი, სხვებისაკენ მიმართული და გამცემი განცდა ბატონობდა. როცა მთელი ცხოვრება საკუთარი თავისადმი უპირატესობის მინიჭებასა და ნარცისისტული პიროვნულობით გაგიტარებია, გამოჩენისთანავე შენიშნავ უანგარო მოტივებს. არ ვიცი, რატომ ვერ ვგრძნობდი მათ შემოსვლას. გამიკვირდა, რომ ამ მოკლე სიას შეეძლო მრავალ ცვლილებებზე პასუხის გაცემა.

ძველი კაცი მკვდარია

ამ მუხლში სხვა რაღაცაც იყო სულიწმიდის შესახებ. დაჟინებით დავაკვირდი ცოდვიანი ბუნების სიკვდილის განსაზღვრებას. ეს ჰგავდა ახალ აღთქმაში შესწავლილ რომაელთა მეექვსე თავის კონტექსტს. ეს თავი გვასწავლის რომ, როცა პიროვნება დახსნილია, მისი ძველი ბუნება კვდება. აშკარად ვიგრძენი, რომ ჩემი ძველი პიროვნება, ცუდი ჩვევები და ბოროტი სურვილები გაქრა. თუმცა, კიდეც მქონდა ძველის კეთების და თქმის ცდუნება, მაგრამ ახლა შემეძლო, მეთქვა "არა" და უკეთესი არჩევანი გამეკეთებინა. ახლა მესმოდა ეს მდგომარეობა და შემეძლო, დაფიქრებულიყავი და მერე გამეკეთებინა. ცვლილებამდე არასოდეს მიფიქრია რას ვაკეთებდი. ძალიან სწრაფად ვმოქმედებდი სიტუაციაში, მაგრამ ახლა გაცნობიერებული მქონდა ცოდვიანი მოქმედებები და ფიქრები, რაც სრულიად ახალი განზღოდა.

ნელი, მაგრამ მიმდინარე შედეგები

აღმოვაჩინე, რომ განკურნების შედეგები შეიძლება ისეთი დრამატული და სწრაფი იყოს, როგორც ჩემს შემთხვევაში, მაგრამ ადამიანების უმეტესობა თანდათანობით იცვლება. იმ ღამის შემდეგ სრულყოფილი ადამიანი არ გავმხდარვარ, მაგრამ რადიკალურად კი გარდავიქმენი. არ ვიცოდი, რატომ ჰქონდა ზოგ ადამიანს სწრაფი ცვლილებები, მაშინ, როცა სხვები მზარდ პროცესს გადიან. ამ კითხვაზე პასუხს ვერც სასწავლო ბიბლიაში მივაგენი და ვერც ინტერნეტში.

ისიც აშკარა იყო, რომ "განკურნება" სრულყოფილი ვერ იქნება, ვიდრე პიროვნება არ მოკვდება და სამოთხეში არ წავა. მიუხედავად იმისა, რომ ახლა ძალა მქონდა ცოდვაზე, მაინც ვაგრძელებდი შეცდომების დაშვებას. სასწავლო ბიბლიის შენიშვნა ლაპარაკობდა, რომ ახლა მორწმუნეებმა უნდა გააგრძელონ ზრდა ქრისტიანულ გზაზე ცხოვრებაში ცოდვაზე გამარჯვების მოსაპოვებლად. ბიბლიიდან ერთი ადგილი გამახსენდა, სადაც პავლე მოციქული ამ განსაცდელის შესახებ საუბრობდა თავის ცოდვილ ცხოვრებაში. ჯერ კიდეც არ მესმოდა ეს საკითხი სრულად, მაგრამ ჭეშმარიტად მომეჩვენა, რადგან აქამდე სრულყოფილ ადამიანს

არასოდეს შევხვედრივარ.

სულიერი გაგება

განკურნების შემდეგი შედეგია სულიერი საკითხებისა და ბიბლიის უკეთესად გაგება. პიროვნებაში მცხოვრები სულიწმიდა ადამიანს აძლევს ბიბლიის ახლებურად გარჩევისა და გაგების უნარს.

აი, მიწიერი ადამიანი, არ ღებულობს იმას, რაც ღვთის სულისაგან არის, ვინაიდან უგუნურებად მიიჩნევს და არც ძაღუძს შეცნობა, რადგან სულიერად არის განსასჯელი. ხოლო სულიერი განსჯის ყოველივეს, თავად კი არავისგან არ განისჯება. რადგან ვინ შეიცნო უფლის აზრი, რათა ასწავლოს მას? ჩვენ კი გვაქვს ქრისტეს აზრი. (1 კორინთელთა 2:14-16)

ეს მაშინვე სიმართლედ მომეჩვენა, როგორც კი ბიბლია ავიღე ღვთისადმი მიტევებისა და ცვლილების შემდეგ, მაშინვე ვიგრძენი განსხვავება. უკეთესად გავიგე ყველაფერი და გაგრძელების სურვილიც დამეუფლა. განა ადრე ვერ ვგებულობდი, მაგრამ ახლა უფრო გასაგები იყო; ისე, თითქოსდა ბუნდოვანი ხედვა 20 პროცენტით გაუმჯობესდა. უბრალოდ, საკმარისს ვერ ვიღებდი და ამ განცდას არასოდეს დავუტოვებია, საკვებივით გახდა. არ მესმოდა, რატომ ან როგორ ვგრძნობდი თავს ასე. ბიბლია აცხადებდა, რომ ეს იყო ჩემში სულიწმიდის არსებობის ნიშანი.

სიცარიელის დასასრული.

ბოლოს, გავიგე, რომ დახსნილი ადამიანები აღარ განიცდიან სიმარტოვესა და სიცარიელეს. ამის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ ჩვენ შექმნილნი ვიყავით ღვთისთვის და მხოლოდ მას შეუძლია ჩვენი გულის აღვსება და ჩვენი ცხოვრების დაკმაყოფილება. ხსნა ღმერთთან დაშორების დასასრულია. ეს ჰგავს შენს საყვარელ ადამიანთან მრავალი წლის განშორების შემდეგ ხელახლა შეხვედრას. კავშირის თავიდან აღდგენისას ყველაფერი იცვლება. გავვოცდი, შეიძლება, ეს იყოს იმის მიზეზი, რატომაც აღარ ვგრძნობ თავს ძველებურად.

მიმოხილვა

ყველაფერი, რაც ვისწავლე ბიბლიაში ცოდვის დაავადების სიმპტომებისა და განკურნების შედეგების შესახებ, შეეფერებოდა იმას, რაც მე დამემართა. ბიბლიის მიხედვით ჩემი დიაგნოზი იყო ის, რომ იესო ქრისტეს მეშვეობით ხსნამ გამოიწვია სულიწმიდის მიერ ღმერთთან ხელახლა დაკავშირება, რომლის შედეგადაც მომეცა ახალი ბუნება. ცოდვის დაავადებისაგან განვიკურნე.

მაშასადამე, ის, ვინც ქრისტეშია, ის ახალი ქმნილებაა. ძველი განქარდა და ახლა ყოველივე ახალია. (2 კორინთელთა 5:17)

ცოდვის განკურნებამ გადაჭრა სამივე ძირითადი პრობლემა: სიკვდილი ცოდვის საზღაურად, ღვთისაგან ჩამოშორება და მისგან

გამოწვეული ცოდვიანი საქციელი. იესო ქრისტემ გადაიხადა ცოდვის საზღაური თავისი სიკვდილით. სულიწმიდა კი ღმერთთან დაკავშირებისა და ცოდვაზე გამარჯვებით ადამიანში ახალი ბუნების შემქმნელია.

მხოლოდ ერთადერთი ასპექტილა დამრჩა გამოსაძიებელი, მივიღე თუ არა განკურნება. მინდოდა, დავრწმუნებულიყავი, რომ ჩემი ახალი მდგომარეობა ზუსტად შეესაბამებოდა ბიბლიურ განმარტებას ხსნასთან მიმართებით. თუ იესო ცოდვების განმკურნებელია, როგორ იღებს ადამიანი ამ კურნებას? ნამდვილად მივიღე თუ არა განკურნება ბიბლიის მიხედვით?

განკურნების მიღება

განკურნების მიღება საოცრად ადვილია. ადამიანმა უნდა ირწმუნოს გულში, რომ იესო არის ღმერთი, რომ იგი მისი ცოდვებისათვის მოკვდა და მესამე დღეს აღსდგა. პიროვნებამ უნდა აღიაროს, რომ იგი ცოდვილია, რომ შესცოდა ღვთის წინაშე და პირადად მოუხმოს იესოს პატიებისათვის. ყველაზე მნიშვნელოვანია ბიბლიისეული აზრი, რომ პიროვნებამ უნდა მოინანიოს თავისი ცოდვები და ცვლილების სურვილი გამოთქვას. მონანიება არის ძველი ჩვევებისაგან შემობრუნება და ახალი მიმართულებით წასვლა. ეს არ არის სინდისის ქენჯნა ან სინანული ცუდი ჩვევების გამო; ეს არის ცვლილების სურვილი, რაც საქმეში გამოიხატება.

ვფიქრობდი ამის შესახებ და გონებაში თვალი გადავაკლე ახალ სიმპტომებს. კვლევა-ძიების დასრულების შემდეგ ჯერ ინტელექტუალურად ვირწმუნე ქრისტე, მაგრამ არანაირი ცვლილება არ შემინიშნავს. აღმოვაჩინე, რომ ისტორიული ანალიზის მიხედვით, შემეძლო, მერწმუნა, რომ ღმერთი ნამდვილად არსებობდა, მაგრამ გონებრივად ინტელექტუალიზმის ჩარჩოში ჩავსვი იგი. იმ დროს ჩემი ახალი რწმენა დაფუძნებული იყო პირად მოგზაურობაზე, რომლის შედეგადაც დავასრულე დეტალური ძიება მტკიცებულებისა, რადგან საკუთარ განსჯას ვენდობოდი.

არაფერი, რაც აქამდე მინახავს და მსმენია ქვეყნიერებაზე, არ მთავაზობდა ღვთისრეალურ ცოდნას. ღვთისუარმყოფელ საზოგადოებაში გაზრდა ვერ წაგიძღვება ქრისტიანობის სხვა განმარტებისკენ, გარდა ეკლესიაში სიარულისა. მაგრამ, ნამდვილად მჯერა, რომ ეს მოხდა? მჯერა, რომ ღმერთი მართლა დადიოდა დედამიწაზე ადამიანის სახით, რომ ჯვარზე მოკვდა და მესამე დღეს აღსდგა? მჯეროდა, მაგრამ ისე შორეული ჩანდა ეს ყველაფერი, შეუხებელი და პირადად ჩემთვის არაპრაქტიკული. თუ ბიბლია მართალი იყო, მაშინ დასაწყისში ცვლილებების არ არსებობას აზრი ჰქონდა, რადგან ჯერ არ მომინანიებია და მხოლოდ ინტელექტუალურად ვეძებდი ქრისტეს. გონებრივად მჯეროდა, მაგრამ გულით არ მიმიმართავს ღვთისათვის პატიებისა და დახსნისათვის.

თუმცა, იმ ღამით ყველაფერი გავაკეთე ჩემს ოფისში ბიბლიურად დახსნისათვის. გონებრივი საფეხურიდან პირადულზე გადავედი და გულით დავნებდი ღმერთს. მჯეროდა, რომ იესო ღმერთი იყო და მესამე

დღეს აღსდგა. საკუთარი თავი დავინახე, როგორც ცოდვილი და იესოს შევღალადე, რომ მთელი გულით მინდოდა, შეცვლილიყავი. ძალიან ვწუხდი ჩემი ძველი ქმედებების გამო. ღვთისა მეშინოდა და სრული მორჩილებით მოვუხმე მას. აღმოვაჩინე, რომ ღვთის რწმენის განმარტება უფრო მეტია, ვიდრე მისი არსებობის დაჯერება, მისადმი სრული ნდობა, ყველაფრის მის ფერხთან მიტანა და შენი რწმენის საქმეში გამოვლენა. თითქოს სკამს უყურებ და იცი, რომ ეს სკამია, მაგრამ წინააღმდეგი ხარ მასზე დაჯდომისა და არ ენდობი, რომ ეს სკამი დაგინდობს.

სიგიჟე ის არის, რომ შეგნებულად არაფერს ვამბობ და ვაკეთებ. წინასწარ განსაზღვრულად არ ვამბობდი ამა თუ იმ სიტყვას, არც რელიგიურ ამონარიდს ვიზეპირებდი იმ ღამით. უბრალოდ, დავჯექი იმის დასამტკიცებლად, რომ ქრისტიანები ფარისეველთა ჯგუფი იყო და არა რეალობა. როცა ღმერთს შევღალადე, არაფერს მოველოდი მისგან. წარმოდგენაც კი არ მქონდა, რომ ღმერთს პირადად ესმოდა ჩემი. არც ვიცოდი, განკურნება მივიღე თუ არა.

იმასაც მივხვდი, რომ ადვილად შემეძლო ინტელექტუალურ დონეზე იესოს რწმენასა და ქრისტიანობის ძირითადი დოქტრინის მიღების ეტაპზე შევჩერებულიყავი. დაახლოებით, ერთი კვირით ადრე, ვიდრე იესოს პირადად ვთხოვდი პატიებასა და შეცვლას. შემეძლო, ინტელექტუალურად ქრისტიანად გამეგრძელებინა ცხოვრება, განსაკუთრებით მაშინ, როცა წარმოდგენაც კი არ მქონდა, თუ სხვა რამესაც მოიცავდა ქრისტიანობა.

ეს იმას ჰგავს, რომ წამალი ხელში გიჭირავს, მაგრამ არ სვამ. შეიძლება ანტიბიოტიკი გეჭიროს ხელში და ინტელექტუალურად გწამდეს, რომ მას შეუძლია შენი განკურნება, მაგრამ უნდა დალიო, რომ იმოქმედოს. ვფიქრობდი არსებობდნენ თუ არა ისეთი ადამიანები ამ დედამიწაზე, რომელთაც წამლის სჯეროდათ, მაგრამ არ სვამდნენ სხეულის განკურნების მისაღწევად.

უდაო იყო, რომ იესო მივიღე და ბიბლიის მიხედვით ცოდვისაგან განვიკურნე. ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა ჩემი მდგომარეობა.

რეაქცია განკურნებაზე

ეს იყო რადიკალური კონცეფცია, რაზეც ბევრი უნდა მეფიქრა. ეს ისეთი რამ იყო, რასაც არასოდეს მოველოდი ან არასოდეს მიფიქრია, რომ შესაძლებელი იქნებოდა. როგორც წავიკითხე და ვისწავლე, რაღაცა მიმოწმებდა გულსა და გონებაში, რომ ეს ყველაფერი მართალი იყო დრამატულად განსხვავებულად ვგრძნობდი თავს ყველა კუთხით. იესო ქრისტეს ხსნის ნიშნებს ემთხვეოდა ყველა ჩემი ნიშანი და სიმტომები. მერე უცბად აზრი მომივიდა, ფარდა აიხადა და მივხვდი. "ოჰ, ღმერთო ჩემო! მართლა დახსნილი ვარ. ღვთის სულიწმინდა მომეცა!" – შევყვირე ხმამაღლა.

იმ ღამეს, როცა ღმერთს შევღალადე, მომისმინა, დამიხსნა და სულიწმინდით ამავესო. "აი, რაზე ლაპარაკობდა ბიბლიის ქალი!" –

წამოვიძახე მე. მან თქვა: "ვლოცულობ, რომ სულიწმინდა გამოგეცნადოს." ეს უკვე ახსნა იყო იმისა, თუ როგორ შევიყვარე ის ხალხი, რომლებიც აქამდე არ მიყვარდა და უანგარობის წყარო მაწვდიდა ფიქრებსა და მოტივებს. ვგრძნობდი, რომ სულიწმინდა ცხოვრობდა ჩემში. ეს საოცრება იყო.

იმ წუთში გავაცნობიერე ჩემში და ჩემს ირგვლივ ღვთის რეალურად არსებობა. იმასაც მივხვდი, რომ ღმერთმა არა მხოლოდ გაიგო, რა ვთქვი, არამედ უკვე რეალურად ჩემში ცხოვრობდა. ვუთხარი: "მამაო, მართლა აქა ხარ?" – არაფერი მიპასუხა, მაგრამ ვიცოდი, რომ მეუბნებოდა: "დიახ, აქ ვარ, ყოველთვის შენთან ვიყავი." თითქოს იმ სიზმრიდან გამოვერკვიე, რომელიც ოცდათექვსმეტი წელი გრძელდებოდა. ისეთი აღელვებული ვიყავი, რომ აღარ ვიცოდი, რა გამეკეთებინა.

ეს დიდებულია! ეს არის პირადი დამოწმება იმისა, რომ ქრისტიანობა რეალობაა და არა რელიგია! – გავიფიქრე მე. ჩემი რწმენა დაფუძნებულია ახალ არსებობაზე და არა, უბრალოდ, დოქტრინის ინტელექტუალურად მიღებაზე. ეს შოკისმომგვრელი და სრულიად მოულოდნელია ჩემთვის, იმ გარემოში, სადაც ტოლერანტობა, აგნოსტიციზმი და ნატურალიზმი ბატონობს. ღვთის უცოდინრობიდან ჩემში ღვთის ცხოვრებაზე გადავედი.

განკურნების ქვეტექსტები იმ მშფოთვარე ტალღებს ჰგავდა, მე, რომ მეხეტებოდნენ. ჩემი შეგნებული და რეალური ცხოვრება იმაზე სწრაფად იცვლებოდა, ვიდრე თავის გართმევა შემეძლო. ხშირად ვიმეორებდი: "არ მოველოდი, რომ იესო ქრისტე ასეთი ნამდვილი და ჩემს ირგვლივ მყოფი იქნებოდა. არავის უთქვამს ჩემთვის, რომ მისი სული შემოვიდოდა ჩემში ხსნის შემდეგ."

რასაც ვაკეთებდი და რაც ოდესმე უსწავლებიათ, ძალიან შორს იყო ამ ჭეშმარიტებისაგან. მიჭირდა ამის დაჯერება, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. სხვა მრავალი მშფოთვარე ტალღა მოდიოდა ჩემსკენ.

საბოლოო დიაგნოზი იყო ცოდვის დაავადებისაგან იესო ქრისტეს მეშვეობით ხსნა. დაბადებიდან ვავლენდი ცოდვის სიმპტომებს, მაგრამ არასოდეს მიფიქრია, რომ ეს ღმერთისაგან დაშორებას ნიშნავდა. ქრისტიანობის ფარისევლთა რელიგიურ ინსტიტუტად დამტკიცების მცდელობაში, მე თვითონ გავხდი მორწმუნე. კვირაობით ეკლესიაში სიარული ქრისტიანობის დამადასტურებელ ნიშნად სამუდამოდ შეიცვალა, მას შემდეგ, რაც ღმერთს შევლაღადე ჩემს საძინებელში.

მე ვფიქრობდი, რომ ეს იყო ემოციური მსხვერვა, რელიგიურ საკითხებზე ბევრი კითხვისაგან გამოწვეული, სინამდვილეში კი, მარადიული მნიშვნელობის გარდაქმნასთან გვქონდა საქმე.

იმ ღამით უკვე დახსნილი ვიყავი და არ ვიცოდი, რას ნიშნავდა ხსნა, ან ის, რომ ეს სიმართლე იყო. ღვთის სულიწმიდა შეუერთდა ჩემს სულს, კვლავ დამაკავშირა ღმერთთან და ახალი ბუნება მომცა. მაგრამ ამას ვერ ვაცნობიერებდი.

გაღვიძებისთანავე რადიკალურად განსხვავებულად ვიგრძენი თავი, რომლის არანაირი ლოგიკური ახსნა არ მომეპოვებოდა. ვიფიქრე, რომ დაავადების მდგომარეობას ვუსვამდი დიაგნოზს, როცა არსებული სიმპტომები განკურნებით იყო გამოწვეული და არა დაავადებით. პირიქით გავიგე და სულიერი კომედიის კომედია შევქმენი! სინამდვილეში, მთელი ჩემი ცხოვრება ცოდვის დაავადებით ვყოფილვარ შეპყრობილი და არ ვიცოდი. შემდეგ განვიკურნე და არც ეს ვიცოდი. არასწორი დიაგნოზის დასმას ვცდილობდი მიმდინარე პროცესზე, თურმე განკურნებას ვუსვამდი დიაგნოზს! რადგან ჩემი ქცევითი ცვლილებები გადამწყვეტი იყო, მხოლოდ ის შემეძლო მეფიქრა, რომ რაღაც ვერ იყო კარგად ჩემში. აღმოვაჩინე, რომ ცხოვრებაში პირველად დავამყარე სწორი ურთიერთობა ღმერთთან.

ერთ ღამეში, შორეული, შეუცნობი, ან არარსებული ღმერთი ჩემი მხსნელი გახდა, ვინც ჩემში და ჩემს ირგვლივ ცხოვრობდა. ცოდვის დაავადებისაგან დახსნილი ვიყავი იესო ქრისტეს მიერ და ახლა საუკუნო ცხოვრების დასაწყისს განვიცდიდი, ანუ ღმერთთან ხელახლა კავშირის დამყარებას. ჩემი გული მეუბნებოდა, რომ ეს ჭეშმარიტება იყო და ამ სიმპტომების ახსნის უნარი არ შესწევდა ადამიანის გონებას. სიმპტომები სავსებით შეეფერებოდა ცოდვის დაავადებას და ცვლილებები კი, იესო ქრისტეს მიერ ბიბლიურ ხსნას. მოძრავი სასწაული ვიყავი იმ კულტურაში, რომელიც ამბობდა, რომ ეს არ არსებობდა. ცოცხალი მტკიცებულება ვიყავი იმისა, რომ იესო ღმერთი ზეციური პასუხი და საუკუნო ცხოვრებაა. უკვე დავსვი დიაგნოზი ღმერთზე.

უზომოდ აღელვებული ვიყავი. ერთი სული მქონდა, როდის გავუზიარებდი მეგობრებს ჩემს ამბავს და კეთილ უწყებას. იმ ღამით თითქმის არ მეძინა. დარწმუნებული ვიყავი, რომ გაეხარდებოდათ. შოკში ვიყავი.

"გრეგ? სახლში ვართ. სად ხარ?! – დაიძახა ჩემმა ცოლმა.

საათს შევხედე და ექვსი იყო. დროის შეგრძნება დაკარგე, თურმე ზუთ საათზე მეტი გასულა. ბოლო რამდენიმე დღე დაკავებული ვიყავი დიაგნოზის დასმით. ყოვლდღე თავისუფალი დროის გამოჩენისთანავე ვსწავლობდი. "მაღლა ვარ, კაბინეტში. ახლავე ჩამოვალ." რა უნდა ვუთხრა? როგორ უნდა ავუხსნა ყველაფერი? დამიჯერებს?

"რას აკეთებდი მთელი დღე?" – მკითხა მან.

"მოგვიანებით გეტყვი. გრძელი ისტორიაა."

"ახლა მითხარი, უცნაურად ნუ იქცევი, მთელი დღეები განმარტოებით კითხულობ." "

"სიწყნარე გვჭირდება. ბავშვების დასაძინებლად წასვლის შემდეგ გეტყვი."

"კარგი", – დამეთანხმა.

მთელი საღამო დარდიანი და შეშფოთებული ვიყავი. ვიცოდი, რომ ბიბლიის შემსწავლელ გაკვეთილებს ესწრებოდა, მაგრამ არ ვიცოდი, სად იდგა. დარწმუნებული არ ვიყავი, დახსნილი იყო თუ არა, ან ესმოდა თუ არა ქრისტიანობა რეალურად, რადგან ამის შესახებ არ გვიმსჯელია. ვფიქრობდი, რა უნდა მეთქვა. რაც უფრო ახლოვდებოდა საუბრის დრო, მით უფრო მიცემდა გული გამალებით. ბავშვები დასაძინებლად წავიდნენ და საუბრის დრო დადგა. გული უკვე ამოვარდნაზე მქონდა.

საძინებელში შევედი. რუთი საწოლზე იჯდა და კითხულობდა. საწოლზე დავჯექი, რამდენიმე ბალიში დავიდე ზურგს უკან. "რუთ, იცი, იმ წიგნის კითხვა დავიწყე, შენ რომ მაჩუქე? ბიბლიაზე გეუბნები", – ვთქვი ყოყმანით.

"დიახ, ვიცი?" – თქვა მან, რასაც კითხულობდა დაბლა დადო და მთელი ყურადღებით შემომხედა.

"დავამთავრე. მთელი ახალი აღთქმაც მივაყოლე და დეტალურად შევისწავლე. ადრეც ვახსენე ამის შესახებ, მაგრამ არასოდეს მითქვამს, რას ვაპირებდი."

"გააგრძელე", – თქვა მან მოლოდინით.

"გადავწყვიტე, იესო ვირწმუნო. მივხვდი, რომ შემიძლია ეკლესიაში წავიდე და ქრისტიანულად მოვიქცე."

"შესანიშნავია. ვფიქრობდი, რომ ცოტა უცნაურად იქცეოდი. გინდა იმ ეკლესიაში ვიაროთ დევიდმა, რომ წაგვიყვანა?"

"რა თქმა უნდა, მაგრამ, მოითმინე. უფრო მეტი მაქვს სათქმელი. დაახლოებით ორი კვირის წინ გვიანობამდე დავრჩი ოფისში. ვფიქრობდი ჩემს ცხოვრებაში არსებული პრობლემების შესახებ. ღვთის წინაშე წარვსდექი და პატიება დაშეცვლა ვთხოვე." კვლავ ინტერესით მიყურებდა. "რუთ, ღმერთმა რაღაც მოიმოქმედა ჩემში. მან შეცვალა ჩემი ბუნება.

სრულიად განსხვავებულ ადამიანად გავიღვიძე. იმ დღის შემდეგ ყოველი წუთი იმის გარკვევაში გავატარე, რომ გამეგო, რა დამემართა. ახლა ვიცი, ჩემი დახსნა მოხდა. სულიწმიდა მომეცა. ახლა ღმერთი ცხოვრობს ჩემში, რა საოცრებაა და მან შემცვალა. ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა."

ცოტა ხანს არაფერი უთქვამს. სახეზე მაკვირდებოდა, რათა დარწმუნებულიყო მართალს ვამბობდი თუ არა. "შესანიშნავია! მეც გავხდი მორწმუნე, მაგრამ ის არ განმიცდია, რაზეც ახლა შენ ლაპარაკობ.

"უნდა დამიჯერო. არც გიჟი ვარ და არც რაღაც რელიგიური უცნაურობა მჭირს", – ვთქვი დარწმუნებით.

"მესმის, მესმის", – თქვა მან. მაგრამ ექვსი კილო შევნიშნე ნათქვამში.

"მაპატიე, ასე რომ გექცეოდი", – ვთქვი ქვითინით და თვალები ცრემლით ამევსო. "დამნაშავე ვიყავი. ვწუხვარ. გპირდები, რომ გამოვასწორებ. ძველ კაცს აღარ დავუბრუნდები", – ვთქვი ტირილით.

რუთი გადამეხვია და თქვა: "მიპატიებია. არა უშავს."

"არა! რა არა უშავს! მე ამაყი, უბადრუკი და ეგოისტი ვიყავი შენი და მრავალი ადამიანის მიმართ, რომელთაც ვიცნობ", – ვთქვი ენის ბორძიკით და სიტყვასა და სიტყვას შორის ვქვითინებდი. "რა სიგიჟეა. როგორ შეიძლება, ღმერთი ასე ახლოსდა რეალური იყოს, მიუხედავად ამისა, არავინ ლაპარაკობს მასზე?! რაღაც ვერ არის კარგად, რუთ! რაღაც მნიშვნელოვანი ვერ არის კარგად. ვფიქრობ, რომ ბევრი ადამიანი ვერ აცნობიერებს, რას ნიშნავს ნამდვილი ქრისტიანობა. ბიბლიის შესწავლის შემდეგაც კი არ მქონდა წარმოდგენა იმაზე, რომ ღმერთი დახსნილ ადამიანში ცხოვრობს. წარმოდგენა არ მაქვს, რას ნიშნავს ამ ფაქტის სიდიადე ჩემთვის. ხვდები, რომ მთელი ჩემი ცხოვრება სულიერად მკვდარმა გავატარე, ღმერთისაგან დაშორებულმა? ერთი სიტყვაც კი არასოდეს მითქვამს მისთვის და ის აქ იყო, ჩემს გვერდით. მან გაიგონა, რაც ვუთხარი იმ ღამით. მან გაიგონა! ღმერთს შეუძლია, ჩემი ხმა გაიგოს დედამიწაზე მცხოვრებ მილიონობით ადამიანს შორის? დაფიქრდი ამაზე, რუთ. ღრმად დაფიქრდი! ჩვენ არაფერი ვიცით ჩვენი არსებობის შესახებ. რაშიც ჩვენ ცხოვრობდით მირაჟი და ფასადი იყო, ჭეშმარიტებას რომ მალავდა. თითქმის ყველაფერი, რაც უსწავლებიათ ჩვენი არსებობის ჭეშმარიტებისა და ცხოვრების მიზნის შესახებ, ტყუილია. მე ვფიქრობ, რომ მთელი ჩვენი ერი დიდ ტყუილზეა დაფუძნებული.

"ამას არ მოველოდი. ეს ყველაფერს ცვლის. ეს არ არის მხოლოდ ეკლესიაში სიარულსა და სასიამოვნო პიროვნებად ყოფნაზე. ეს არ არის ჩემს კარიერასა და პირად მიღწევებზე. არ ვიცი, რა ვიფიქრო. მჯეროდა, რომ ეს ჭეშმარიტება იყო, მაგრამ არასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ღმერთი ასეთი რეალური და აქტიური იყო დღეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მან მართლა გააკეთა ეს. იესო მართლა იყო აქ, როგორც ღმერთი და ჯვარს ეცვა. როგორ შეიძლება ამდენი რელიგიის არსებობა, როცა ეს ჭეშმარიტებაა? რეალობაზე ჩემი წარმოდგენა იცვლება!"

"გრეგ, დამშვიდდი. გულს იკოდავ!" – თქვა რუთმა.

"დამშვიდებას არ ვაპირებ. დავმშვიდდებ? გესმის, რასაც გეუბნები?"

ხვდები ეს რას ნიშნავს?" წამოვიძახე და თვალებზე ცრემლი შევიმშრალე.

"მე მგონი, მესმის. მეც ახალი ვარ ამ საკითხებთან. ეკლესიაში გავიზარდე, მაგრამ ეს მხოლოდ ეკლესიაში სიარული იყო და მეტი არაფერი."

"ბევრი ფიქრი მჭირდება, რუთ. ქვეტექსტები ძალიან ღრმა და საოცარია. ოფისში უნდა წავიდე და ვიფიქრო. გოცნებული ვარ."

"კარგი. ზვალ კიდეც ვისაუბროთ. მიყვარხარ."

"მეც მიყვარხარ. ჯერ არავის უთხრა ამ საუბრის შესახებ! სიტყვაც არ წამოგცდეს. მინდა, ჯერ ის ვუთხრა ხალხს, რა დამემართა, მაგრამ ჯერ კიდეც მჭირდება ინფორმაცია. ცოტა მეტი დრო მჭირდება."

"კარგი."

მეჩვიდმეტე თავი

განკურნების ქვეტექსტები

დავჯექი თუ არა სამუშაო კაბინეტში, შვება ვიგრძენი. მე და რუთს ჯერ კიდევ ბევრი გვქონდა სალაპარაკო, მაგრამ მიხაროდა, რომ არ ფიქრობდა გაგჩეხულაო. სკამზე მოვკალათდი და ფეხები მაგიდაზე დავაწყვე. გონება მოვიკრიბე და ქვეტექსტებზე დავიწყე ფიქრი. მინდოდა, მარტივ ფაქტებზე გამემახვილებინა ყურადღება.

ღმერთი მომეჩვენა ფიქრის დაწყების სამართლიან ადგილად, რადგან ყველაფერი მის შესახებ იყო. ფურცელზე დავიწყე წერა.

ღმერთი

იესო ქრისტე არის ღმერთი. იესო ცოცხალია. მან მომიხმინა.

აქ შევჩერდი და ამის განმარტებაზე ფიქრი დავიწყე. როგორ შეიძლება ღმერთმა ჩემი ხმა გაიგოს, როცა ექვსი მილიარდი ადამიანია დედამიწაზე? რა იცის მან, რომ გულწრფელად შევლაღადებდი იმ ღამით? რა იცის მან ჩემს გულში დაფარული ზრახვების შესახებ?

მერე დავწერე:

ღმერთი ყოველსმცოდნეა (ყველაფერი იცის) და ყველგანმყოფი (ყოველთვის ყველგან არის).

პირველად ვიფიქრე, რომ ეს აშკარა იყო, რადგან ის ღმერთია, მაგრამ რაც უფრო მეტად ვფიქრობდი, უფრო ღრმა ჩანდა საკითხი. რას ამბობს ეს რეალობაზე? დავასკვნენი:

არაფერი ვიცი ჩემი არსებობის რეალობის შესახებ, როდის ეხმარა ღმერთს ჩემი და როდის გრძნობს ჩემს გულს.
გავოცდი.

სამოთხე

სამოთხე რეალობაა. მე იქ წავალ.

ეს მწვანე ფერით დავწერე. სიკვდილზე ფიქრი ყოველთვის მაწუხებდა, განსაკუთრებით, როცა ჩემს შვილებს გადავხედავდი ხოლმე და მძინარეებს ვუყურებდი. ვფიქრობდი, რამხელა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მათდამი სიყვარულსა და განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ესენი, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალონ, მაშინ ჩემი სიყვარულის საგანი არსებობას შეწყვეტს, უაზრო გახდება და ქიმიურად დაღუპება. როგორ იძენს ბავშვი მემკვიდრეობით გულსა და

სულს, რომელიც მხოლოდ განვითარებად საკითხს წარმოადგენს?

ამის გამო, ყოველთვის მეშინოდა სიკვდილის, მაგრამ ახლა არა! საუკუნო სიცოცხლემ და ჩემში ღვთის ყოფნის დარწმუნებამ უამრავი შიში და წუხილი წაშალა. ექსტაზში ჩამაგდო იმ აზრმა, რომ მე და ჩემი ოჯახი ფიზიკური მატერიისაგან წარმოქმნილზე მეტი ვიყავით; მეტი ვიდრე გადასამუშავებელი ნაგავი. ახლა გავიგე, რატომ ჩანდა სიკვდილი ასე არასწორი. სიკვდილი დასასრული კი არა, დასაწყისია. იგი ღმერთთან მარადიულობაში გადასვლის გზაა. ასეთ რადიკალურ ცვლილებაზე არასოდეს მიფიქრია! სინარულის ჟრჟოლამ დამიარა. თავისუფლად ვიგრძენი თავი. იმედი მომეცა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ამას კარგი შედეგები მოყვებოდა.

ჯოჯოხეთი

ჯოჯოხეთი ნამდვილია. მე იქ მივდიოდი.

ამ სიტყვის წერისას, ცოტა არ იყოს, ხელი მიკანკალებდა. თუ ახლა მივიღე ხსნა, მაშინ წარსულში არ ვყოფილვარ დახსნილი. გამახსენდა, რომ იესო ჯოჯოხეთზე უფრო მეტს საუბრობდა, ვიდრე სამოთხეზე. შიშის ნიაღვარმა და სუსხმა დამიარა ხერხემალში. პირველად მივხვდი, რომ მთელი ცხოვრება ჯოჯოხეთის ბილიკზე ვიდექი. მთელი ჩემი მიღწევები, კარგი დრო და ამქვეყნიური წარმატებები არაფერს ნიშნავდა. ამან შემაშინა, მაგრამ ვიცოდი, რომ ეს სიმართლეს შეეფერებოდა. ღმერთი დედამიწაზე მოვიდა ცოდვებისაგან ჩვენს დასახსნელად, რომლებიც სამუდამოდ დაგვაშორებდა ღმერთს. ჯოჯოხეთის სიახლოვემ და რეალობამ შემაშფოთა. ცრემლები წამომცვივდა და მადლობა გადავუხადე იესოს დახსნისათვის. მადლიერებამ მომიცვა. მაისურით ცრემლი შევიმშრალე და წერა გავაგრძელე.

სასწაულები

მე ვარ ცოცხალი სასწაული.

ღვთის მიერ შექმნილი თანამედროვე სასწაული ვიყავი. მე ვიყავი მოსიარულე და ცოცხალი მტკიცებულება იმისა, რომ იესო ქრისტე ცოცხალი ღმერთია. იმ ღამეს როცა ვლოცულობდი, ის ჩემს ოთახში იმყოფებოდა. უცხად, ყველა ბიბლიური სასწაული ვირწმუნე. თუ ღმერთს შეუძლია ადამიანთან ხელახლა დაკავშირება და ჩემი გულის შეცნობა, მაშინ ნებისმიერი რამის გაკეთბა შეუძლია, რასაც მოისურვებს. მაგალითად, წყალზე სიარული, წითელი ზღვის გაყოფა, ან ბრმის განკურნება. თუ იესო აღსდგა და მასზე ვარ დაიმედებული, რომ მეც აღმადგენს, მაშინ რატომ უნდა მეპარებოდეს ეჭვი ბიბლიაში ნახსენებ სასწაულებზე?

ბიბლია

ბიბლია არის ღვთის სიტყვა.

თუ ღმერთს შეუძლია ჩემი ნათქვამის მოსმენა და ჩემი გულის

შეცნობა, მაშინ მან იცის და მონაწილეობს უმცირეს დეტალშიც კი. რადგან ბიბლია ღვთის გამოცხადება და მისი დახსნის გეგმაა, მაშინ ეს ზუსტად ისე უნდა მოხდეს როგორც მას სურს. დეტალების ღმერთი, რა თქმა უნდა, დაიცავდა წერილს. უკვე აღმოვაჩინე, რომ გადაწერის დროს საუკუნეების განმავლობაში დაშვებულ შეცდომებს, ნებაყოფლობით ცვლილებებს, წაშლასა და დამატებებს არ შეუცვლია ბიბლიის მთავარი უწყება ან დოქტრინა. წერილის დაცულობა და სიზუსტე შესანიშნავი იყო. ღმერთმა წინასწარ იცოდა, რომ საუკუნეების განმავლობაში ორიგინალური ხელნაწერი ზედაპირულ ცვლილებებს განიცდიდა. მიუხედავად ამისა, თავისი ზებუნებრივი ძალით დაიცვა მთავარი უწყება და განსაკუთრებული იდეები, რომლებიც აუცილებლად უნდა გვცოდნოდა. წერილი მაინც შეიცავს მარადიული ცხოვრების გასაღებს.

ჩემი სამედიცინო ცოდნიდან გამომდინარე, ვთვლიდი, რომ ჩვენი სხეულებისა და პიროვნებების დეენემისაგან წარმოდგენის ფაქტი, დამყარებულია ხუთ ასოიან კოდზე. დეენემის ასოები, კოდის მიხედვით, შეიცავს ინფორმაციასა და ინსტრუქციას ცხოვრებისათვის. ბიოლოგიიდან ვიცოდი, რომ ჩემი დეენემი აგროვებს მცირე შეცდომებს დროთა განმავლობაში, მაგრამ მათი უმრავლესობა უმნიშვნელოა. ინფორმაცია, რომელიც უნიკალური კოდია ჩემი სხეულისათვის, მაინც ფუნქციონირებს და დაცულია. დაგროვილი მცირე "შეცდომები/ცვლილებები" უარყოფითად არ მოქმედებს ჩემს არსებობაზე, ისევე როგორც ბიბლიაში არსებული რამდენიმე მცდარი სიტყვა არ ცვლის იმ ფაქტს, რომ ის ღვთის სიტყვაა. თუ ღმერთს ჩემი გულის ცოდნა შეუძლია, მაშინ მისი სიტყვა, შეიძლება, უბრალო ქაღალდის ყდის ბიბლიაშიც ცოცხალი იყოს. თუ მან შეცვალა ჩემი ბუნება, როგორ უნდა დავაყენო კითხვის ქვეშ მის მიერ წიგნის შექმნისა და დაცვის შესაძლებლობა?

დიდი სიცრუე

ჩემი ცხოვრება იყო ცყულობა.

ცრემლები ჩამომცვივდა, როცა ჩემს მიერ დაწერილ ამ სიტყვებს ვუცქერდი. დავიწყე იმის გაცნობიერება, რომ ჩემი რეალობისადმი დამოკიდებულება და მიზნების უმეტესობა მცდარი იყო. ცხოვრების ყველა მომენტის პარადიგმა, რომელიც სიტყვამ მასწავლა და დამიმოწმა ტყუილი იყო. თითქმის სიზმრიდან გამოვიღვიძე, რომელიც ოცდათექვსმეტი წელი გრძელდებოდა. სათითაოდ ვწერდი ფურცელზე განსხვავებებს ძველსა და ახალ რეალობას შორის.

უღმერთო	ღმერთი ჩემში
უიმედობა	საუკუნო სიცოცხლე
ღვთის მონაწილეობის გარეშე	ღმერთი მისმენს და იცნობს ჩემ გულს
"კოსმიური ნივთიერებისაგან" შექმნილი	ღვთის მიერ შექმნილი
დედამიწაზე სიცოცხლე ნორმალურია	ცოდვის გამო დაცემული ცხოვრება
შთამომავლობით კარგი ვარ	შთამომავლობით ცოდვილი
წარმატების მწვერვალს მივადწიე	ჯოჯოხეთისაკენ მივექანებოდი
ყველაფერი მქონდა ცხოვრებაში	არაფერი მქონდა იესოს გარეშე
ყველაფერი ჩემზე და ჩემს სურვილზე	ღმერთზე და მის სურვილებზე
კარგი პიროვნება ვარ, ჯანმრთელი	ცოდვილი, სულიერად მკვდარი
უპასუხისმგებლო	პასუხისმგებელიანი
თვითკმაყოფილი, საკუთარ თავზე დაიმედებული	ღმერთი მჭირდება
ყველაფერი ვიცი	არაფერი ვიცი

ცრემლი ღვარად მოედინებოდა სახეზე. როგორ შეიძლება, ასე მოტყუებული ვყოფილიყავი? მთელი ჩემი ცხოვრება ტყუილი ყოფილა. ქვეყნიერებამ მასწავლა ამერიკული ოცნებისაკენ ლტოლვა და წარმატების მწვერვალსაც მივადწიე, მაგრამ ამერიკული ოცნება კოშმარი გახდა. ცოტა ხანს უნდა შემეჩერებინა ამის წერა.

ჩემი ოჯახი და მეგობრები

ჩემი შვილები, მშობლები და მეგობრები არ არიან დახსნილი!

პანიკამ და შიშმა დამირბინა სხეულში ელვასავით. ღვთის რეალობამ, ზეცამ და ჯოჯოხეთმა კინაღამ გადმომაგდო სკამიდან. პანიკაში ჩავვარდი. "არა, მათ არ ჰყავთ სულიწმიდა. ისინი ჯერ კიდევ სიზმარში ცხოვრობენ. მათ წარმოდგენაც კი არ აქვთ!" დავიყვირე გულგამგმირავად. უცბად ვიგრძენი ჩემი ახლობლებისათვის ამის თქმის აუცილებლობა.

ფურცელი მაგიდაზე დავდე და საძინებელში შევედი რუთთან ბავშვებზე სალაპარაკოდ, მაგრამ უკვე ეძინა. ქრისტიანობის რეალობამ გამოაგნა. რელიგიური არ ვიყავი, მაგრამ გადავწყვიტე, მიმელო და გავყოლოდი. არ მესმის, რატომ არაფერი მსმენია მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში. როგორ გამომრჩა? მიკვირდა. შეიძლება, გათიშული

ვიყავი რადიომიმღებივით. არ მგონია, მაგრამ უნდა გამეგო, ვიდრე ამის შესახებ ხალხს მოვუყვებოდი.

გადავწყვიტე, ერთი კვირის განმავლობაში ახლოს დავკვირვებოდი ყველაფერს ჩემს ირგვლივ ქალაქ კარიში, ჩრდილო კაროლინაში. ბალიშზე თავი დავდე და დავგეგმე, რომ იესოს კვალი მომეძებნა ყველგან. მოვუსმენდი ხალხის საუბრებს, გავივლიდი ქალაქის ქუჩებში, ვუყურებდი ახალ ამბებს, შევიხედავდი მაღაზიებში და დავინახავდი რას გააკეთებდა ხალხი. ვაპირებდი ყოველდღიურ ცხოვრებაში მომეძებნა იმის სამხილი, რომ იესო ქრისტე ცოცხალი იყო. თუ ხალხი დახსნილია და ღმერთი ცხოვრობს მათში, მაშინ ისინი უნდა საუბრობდნენ ამის შესახებ. ეს იქნება ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი რამ. რა თქმა უნდა ვიპოვი ამის შესახებ მოსაუბრე ხალხს, არა? იყო თუ არა სხვა რამ ჭეშმარიტების განცხადების შესახებ გარდა კვირას ეკლესიაში სიარულისა? არსებობდა თუ არა განკურნების მტკიცებულება?

განკურნების გამოვლინება

შობა იდგა. ცხოვრებაში პირველად მივხვდი, რომ სიტყვა "ქრისტე" იგულისხმებოდა შობაში. საკუთარი შობის ზეიმშიც კი დაკარგული იყო სიტყვა იესო ქრისტე. მივხვდი, რის შესახებ იყო შობა, სწორედ ახლა შეხვდებოდით ქრისტიანობის ელემენტებს საზოგადოებაში. რადგან შობისას იესოს დაბადებას ზეიმობენ, ამ დროს ისაუბრებს ხალხი მის შესახებ და იმაზე თუ როგორ ცხოვრობს სულიწმინდა მათში-ასე არ არის? მოველოდი, რომ იესოს შესახებ მტკიცებულებებს ყველგან წავაწყდებოდი. „ბიბლიის გარემოცვაში ვცხოვრობ“, – გავიფიქრე მე. ჩემი კვლევისათვის უკეთეს დროს ვერც კი ვინატრებდი.

გადავწყვიტე, ისე მომეჩვენებინა თავი, თითქოს არაფერი არ ვიცოდი. მინდოდა, მენახა ჩემს ირგვლივ არსებული ქვეყნიერება თუ წამოძვებოდა ჭეშმარიტებისაკენ, განსაკუთრებით, შობის დროს; განსაკუთრებით, ყოველდღიური ცხოვრების რიტმში. მივალ თუ არა იმ დასკვნამდე, რომ იესო არის ქვეყნიერების მხსნელი, შობის დღესასწაულზე საზოგადოების ცხოვრებაზე დაკვირვებით?

შობის დეკორაციები და განათება

დაღამებამდე მოვიცადე და გადავწყვიტე სამეზობლოში მანქანით გამევიღო. სამზარეულოს მაგიდიდან გასაღებები ავიღე. "ძვირფასო, სად მიდიხარ?" მკითხა რუთმა.

"ცოტა ხანს გავივლი. მალე დავბრუნდები." მანქანაში ჩავჯექი და სამეზობლოსაკენ გავწიე. ყინავდა! ვკანკალებდი სიცივისაგან და ყოველი ამოსუნთქვისას ჰაერში ორთქლს ვხედავდი. ამ დროს ყველას ექნებოდა განათებები ჩართული. შესაფერისი დრო იყო.

მთავარ ქუჩას გავუყვე. მართლაც, განათებული იყო. ლურჯი, წითელი და მწვანე ხეები ციმციმებდნენ. თეთრი ირემი იყურებოდა ეზოებიდან. სანტა, გაყინული თოვლის პაპა და რუდოლფი იცინოდნენ და ხელს გვიქნევდნენ, მაგრამ იესო, ან ნებისმიერი რამ მის შესახებ, არსად ჩანდა. (საახალწლო სიმღერა). გზა გავაგრძელე და მთელი სამეზობლო შემოვიარე, მაგრამ შობის სცენის ფიგურების გამოფენას ვერსად წავაწყდი. მეორე ქუჩის გადაღმაც გავედი, მაგრამ იქაც ანალოგიური სურათი დამხვდა. მივდიოდი და მივდიოდი. გული ამომივარდა. თავალზე ცრემლი მომადგა ჩემი საშობაო გამოცდილების მოგონებისას.

პატარაობაში მასწავლიდნენ, რომ მოგონილი თოვლის პაპის უნდა მერწმუნა და არა ცოცხალი ღმერთის, ვინც შემქმნა და ჩემს გარშემო იყო მუდამ. ჩრდილოეთ პოლუსზე ვაგზავნიდი წერილებს, მაგრამ არასოდეს მილოცია ღვთის წინაშე, რომელსაც სინამდვილეში ესმოდა ჩემი ხმა და იცნობდა ჩემს გულს. მჯეროდა, რომ სანტა კლაუსი მომიტანდა, რაც

მინდოდა და არასოდეს მითხოვია ზეციერი მამისათვის, რომელთანაც ერთი ამოსუნთქვით ვიყავი დაშორებული. გამანადგურა იმის გაგებამ, რომ ის ჩემს ირგვლივ იყო და ამის შესახებ წარმოდგენაც კი არ მქონდა. ჩემთვის შობა იყო საჩუქრები, საკვები, წვეულებები, განათებები, ოჯახური შეხვედრები, სიმღერები, მაგრამ არა რეალობა იესოზე.

ვაგრძელებდი ქუჩების დათვალიერებას, მაგრამ ვერსად ვიპოვე განათებული ჯვარი, იესოს სახელი ან შობის სცენა. "გარეშე დამკვირვებელს არანაირი წარმოდგენა არ შეექმნება, რომ ეს დღესასწაული იესოს შესახებაა", – ვუთხარი საკუთარ თავს ხმამაღლა.

ადგილობრივი მაღაზია

იმედგაცრუებულმა ადგილობრივ მაღაზიაში შევუხვით, სადაც ყველაფერია. საგიჟეთს ჰგავდა იქაურობა! დერეფანში სანტა კლაუსი იდგა და ფულს აგროვებდა. შიგნით ხალხი ირეოდა, ერთმანეთს უბიძგებდნენ, მუჯღუგუნებს ურტყამდნენ და ჩხუბობდნენ. გრძელი სახეები, იმედგაცრუებულები და მოუთმენლები. ქაოსში გზა საშობაო სექციისაკენ გავიკვლიე. ანგელოზებით, თოვლის ფიფქებით, ნათურებით, სათამაშო ჯარისკაცებით და გასასვენებელი ქაღალდებით იყო იქაურობა სავსე. ნათურები, ეზოსა და ხის მოსართავები დავძებნე და ვერაფერი ბიბლიური ვერ ვნახე, გარდა ანგელოზებისა. ვერც ბიბლია ვიპოვე, ვერც საშობაო სცენა, ან ნებისმიერი რამ, რაზეც იესოს სახელი ეწერებოდა. არაფერი იყო იესოსა და სულიწმინდის შესახებ. გეგონება, ხალხს ღვთის არსებობა დაავიწყდაო. რა სარგებელი აქვს შობას, თუ ქრისტე არა მყავს? რატომღაც, დაცულად ვიგრძენი თავი, რადგან ოცდაათი წლის განმავლობაში არასოდეს მსმენია იესოს ან ხსნის საჭიროების შესახებ შობის დღესასწაულზე. შობა ყოველთვის იყო სასიხარულო დრო საჩუქრების, ოჯახისა და მეგობრების შეხვედრის. ახლა ეს ტკბილი მოგონებები ცხოვრებისეული ტყუილი აღმოჩნდა. ძლივს გავიკვლიე გზა მაღაზიაში, ჭრელ და არაფრისმოქმედ ნივთებში და ცრუ იმედისმომცემ გარემოში.

რესტორნები

მეორე დღეს რამდენიმე რესტორანს ვეწვით სადილად და ვახშმად. საშობაო საყიდლების მოლოდინში ხალხი რესტორნის კარებებთან იდგა და ადგილს ელოდებოდა. ჩუმად მივუგდე ყური მათ საუბარს, მაგრამ იესო არ იყო მათ საუბარში. დავაკვირდი მაგიდასთან მსხდომ ხალხს, მაგრამ ჭამის წინ არავის ულოცია. რამდენიმე მაგიდაზე შევნიშნე საახალწლო ნაძვის ხე და ნათურები, მაგრამ არაფერი ღმერთის შესახებ. კვირასაც იგივე გავიმეორე, ვიფიქრე, რომ იესო ახლა მაინც იქნებოდა ხალხის გონებაში. მაგრამ არა.

ყველა ისე მიდიოდა თავის საქმეზე, თითქოს ამ დედამიწაზე ჩვენი არსებობა ნორმალური იყო. ვფიქრობდი, ნეტავ ვინმემ თუ იცოდა ჭეშმარიტების შესახებ. სხვების ყურებაში მივხვდი, რომ მეც ზუსტად ასე გავატარე ცხოვრება. წარმოდგენაც კი არ მქონდა და დაბრმავებული

ვიყავი. ღმერთი იყო ჩემს გარშემო და შეეძლო ჩემი სიტყვების მოსმენა და გულის შეცნობა, მაგრამ ერთი სიტყვაც არ მითქვამს მისთვის. ჩემი ძველი კაცი დავინახე ჩემს გარშემო მყოფ ადამიანებში და შევძრწუნდი.

დაკვირვებას თავი დავანებე და სახლში წავიდი. "უფალო, თუ გესმის ჩემი და ყველა დანარჩენების, მაშინ ხალხი რატომ არ გელაპარაკება? რატომ არ ლაპარაკობს ხალხი შენს შესახებ? თუ ადამიანებს ხსნა სჭირდებათ, მაშ რატომ იქცევიან ისე, თითქოს დედამიწაზე სიცოცხლე ნორმალურად მიდის?" ვკითხე მე.

ჯერ იესოსთან პირადი საუბარი არ დამიწყო. უბრალოდ, რიტორიკული კითხვა დავსვი, რათა საკუთარი თავისათვის შემეხსენებინა მისი იქ ყოფნა, რადგან რასაც კი ვაკვირდებოდი, ყველაფერი ცდილობდა მის იქ არ არსებობაში დავერწმუნებინე.

ოფისი

მეორე დილით, ოფისში მისვლისას, გამიხარდა, ბიბლიის ქალბატონი ბიბლიის კითხვაში გართული რომ დავინახე. მან ჯერ არ იცოდა ჩემი დახსნის შესახებ. მივუახლოვდი. "თამი, რატომ არავინ საუბრობს ღმერთის შესახებ შობის დროს?" – ვკითხე მე.

"რას გულისხმობ?" – მიპასუხა მან და ჩემი კითხვით გაოცებულმა შემომხედა.

"მოდით, უბრალოდ ვთქვათ, რომ ბიბლია ჭეშმარიტებაა და ხალხს სჭირდება ხსნა. თუ ხსნა ადამიანის ცხოვრებაში ნამდვილი მოვლენაა, რის შემდეგაც ღმერთი სახლდება მასში, განა ეს საუბრად არ ღირს? განა ეს ყველაზე საოცარი ჭეშმარიტება არ არის?" და შევჩერდი და სახეზე დავაკვირდი, რათა გამეგო, მომყვებოდა თუ არა და შემდეგ გავაგრძელე, "მე ვაკვირდებოდი ხალხს და ამ რეალობის მტკიცებულებებს ვეძებდი, მაგრამ ვერსად ვიპოვე. რატომ? როგორ შემიძლია, ვირწმუნო მისი ჭეშმარიტება, როცა არავინ საუბრობს მის შესახებ?"

ის გაჩერდა და დაფიქრებული გამომეტყველება მიიღო. "უამრავმა ადამიანმა არ იცის ჭეშმარიტება და არც სურთ, რომ იცოდნენ, ეკლესიაშიც, რომ დადიოდნენ მაინც. ხალხს მოსწონს ღმერთისა და იესოს იდეა, მაგრამ არა რეალობა და მის გამო პასუხისმგებლობის აღება", – თქვა მან.

"მაგრამ თუ ეს ჭეშმარიტებაა და ყველაფერი: ზეცა, საუკუნო ცხოვრება, ხსნა, ღმერთი შენში, იმედი და მშვიდობა კარგია, რა ხდება, არ მესმის." – ვუპასუხე გაღიზიანებულმა.

ზუსტად ამ დროს ექთნებმა შეგვაწყვეტინეს დილის განრიგის თაობაზე კითხვით. მთელი კვირა ვუსმენდი და ვაკვირდებოდი პაციენტებს. არც ბიბლია, არც ლოცვა ოპერაციამდე, არც იესოზე საუბარი. არავინ ჩანდა ღმერთის გვერდით ყოფნით აღფრთოვანებული. არავინ იყო იმით დაინტერესებული, რომ ხალხს სჭირდებოდა ხსნა. თუკი იცოდნენ, რომ ის ნამდვილად არსებობდა.

ყველაფერს ახალი პერსპექტივიდან ვუყურებდი. თავს ვახსენებდი, რომ ღმერთი უსმენს ყოველ ადამიანს შეუცნობელი გზით.

გაოცებული ვიყავი ჩვენი ერის ღუმელით. ამ სიჩუმემ გამოიწვია ჩემში საკუთარი ხსნის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება. გიჟი ვარ? ვფიქრობდი. დახსნილი ვარ. ახლა ღმერთი ცხოვრობს ჩემში. შევიცვალე და სულიერად გავცოცხლდი. ღმერთს ესმის ჩემი და იცნობს ჩემს გულს! ვარწმუნებდი საკუთარ თავს.

ტელევიზია

ამ მდგომარეობაში ყოფნა აღარ მინდოდა, მაგრამ გაგრძელების საჭიროება ვიგრძენი. ტელევიზორი ჩავრთე და თვალი გადავაკლე საოჯახო თემებით დაინტერესებულ არხებს. არსად ღმერთისა და იესოს ნიშანი არ იყო, გარდა ცუდი სიტყვებისა. არავინ ლოცულობდა, არავინ ახსენებდა ღმერთს, არავინ თვლიდა მას ყოველდღიური ოჯახის ცხოვრების ნაწილად. ღმერთის სურათი აშკარად დახატული იყო, როგორც ოჯახისათვის არასასურველი. წარსული გამახსენდა და მივხვდი, რომ წლების მანძილზე ნანახი მრავალი საოჯახო გადაცემა დუმდა და ღმერთის შესახებ არაფერს ამბობდა. ახლა იესო ცხოვრობდა ჩემში, ამის შემდეგ ღუმელი აღარ იყო ნეიტრალური მდგომარეობა. იმასაც მივხვდი, რომ ეს სიწყნარე უარყოფას ნიშნავდა.

ახალი რეალობის აღქმაში ვიყავი, რამაც მთელი არსებით შემძრა. ჩემს ირგვლივ არსებული ფართო კონტრასტი და უფსკრული არ აღიარებდა იესოს და ადამიანთან მისი ასე ახლოს ყოფნის ჭეშმარიტებას, ეს განსაცვიფრებელი იყო. თავს ისე ვგრძნობდი, გეგონება "ბაზარში" ვცხოვრობდი. საკუთარი ხსნის სიხარული შთანთქა ჩემს ირგვლივ მის შესახებ სიცრუის არსებობის ახალმა შესაძლებლობამ.

ვიღაცასთან უნდა მესაუბრა, მაგრამ არ მინდოდა, ისეთი ვინმე ყოფილიყო, ვინც ვერ გამიგებდა. ვგრძნობდი, იფიქრებდნენ, რომ გიჟი ვიყავი და სამედიცინო საბჭოზე დამასმენდნენ. უნდა ვაღიარო, ამ ფიქრებსა და შინაგან ხედვებს ადამიანების უმეტესობა შიზოფრენიად ჩათვლიდა.

"მივხვდი!" – წამოვიძახე აღელვებულმა. "თამის ვეტყვი. შემიძლია, მას ვენდო. ის ყოველთვის საუბრობს იესოზე და ბიბლიას კითხულობს." უკვე ვკითხე კიდეც ხალხის ცხოვრებასა და საუბრებში იესოს ნაკლებობის შესახებ. მოუთმენლად ველოდი მეორე დღისით სამსახურში წასვლას. დავგეგმე, თამს ვეტყოდი ჩემი დახსნის შესახებ და ვკითხავდი განკურნების მტკიცებულების ნაკლებობაზე.

დილის ცვლის პაციენტების მიღება ჩვეულებრივზე ადრე დავამთავრეთ, სადილამდე. ვიცოდი, რომ თამთან საუბრის დრო იყო, ბიბლიის ქალბატონთან. მივხვდი, რომ უბრალოდ ვერ ვეტყვოდი, რომ დახსნილი ვარ. ჩემი სიამაყე უნდა დამეძლია და მასთან უნდა მეღიარებინა, რომ შემეშალა. ნიშნს მომიგებდა, ვითომ? რატომღაც ასე არ ვფიქრობდი, მაგრამ ვნახოთ?

რამდენიმეჯერ გავიმეორე მასთან სათქმელი სიტყვა. არ ვიყავი მიჩვეული შეცდომების აღიარებას. უცნაური გრძნობა დამეუფლა, რომ მალე ეს კარგ ჩვევად გადაიქცეოდა. ხელის გულები გამოიფლიანდა და სულისშემზუთავი გრძნობა დამეუფლა მისი მაგიდისაკენ მიმავალს. შენ შეგიძლია ამის გაკეთება, ვუთხარი საკუთარ თავს.

შეუმჩნევლად შევედი ლაბორატორიაში. არ გამკვირვებია, რომ მაგიდასთან იჯდა და ბიბლიას კითხულობდა. უკნიდან მივუახლოვდი, მაგრამ ყოყმანი დავიწყე. ჩემს ერთ მხარეს უკან გაბრუნება სურდა, მეორეს კი მასთან საუბარი ღმერთზე და იმაზე, თუ რატომ ვერ მივაგენი განკურნების ვერანაირ მტკიცებულებას.

"თამი?" შემოხრუნდა და გოცებულმა შემოხედა სამოციანი წლების კატისთავლება სტილის სათვალის ზემოდან ისე, თითქოს ჩემს ცვლილებას გრძნობსო.

"ჰეი, ექიმო ვიემან, რა ხდება?"

"შეიძლება, ჩემს კაბინეტში ვისაუბროთ?" – ვთქვი მე და მივხვდი, რომ ისევე გამოვიყურებოდი, როგორც შინაგანად ვგრძნობდი თავს.

"რა თქმა უნდა. წავიდეთ." ოთახში შევედით და ერთმანეთის პირისპირ დავსხედით სკამებზე. ჩემი კაბინეტი შენობის ბოლოს იყო. ორი კედელი მხოლოდ მინისა ჰქონდა. ავტოფარების პირდაპირ იდგა და ნებისმიერ გამვლელს შეეძლო ჩვენი დანახვა. ვიდრე საუბარს დავიწყებდი, ავდექი და ფანჯრები დავაბნეულე.

"ყველაფერი კარგად არის?" – იკითხა მან.

"ნუ სწუხართ. უბრალოდ, არ მინდა, ვინმემ დაგვინახოს, რომ ვსაუბრობთ. ეს პირადულია."

"რა არის?" – იკითხა მან. და შეეძლო ჩემს ხმაში ყოყმანი შეენიშნა.

"თამი, უნდა გითხრათ, რა დამემართა. როგორც იცით, ბიბლიის კითხვა დავიწყე ქრისტიანების ფარისევლობის დასამტკიცებლად. არაფერი ვიცოდი ღმერთის შესახებ და არც მინდოდა, მცოდნოდა. ისეთ საზოგადოებაში გავიზარდე, რომელმაც ღმერთი არასაჭიროდ და შეუცნობლად გადააქცია ცხოვრების ყველა სფეროში. ბოლო თვის განმავლობაში ყველაფერი შევისწავლე, რასაც კი მივაგენი იესოს შესახებ, მის მიერ ღმერთად თავის გამოცხადებაზე და აღდგომაზე. ძიების ყოველ დეტალს ჩემთვის სარგებელი მოჰქონდა. ჩემდა გასაოცრად, რაც უფრო

ჩავუღრმავდი საკითხს, მით უფრო დამაჯერებლად მეჩვენებოდა. რაც რელიგიურ ზღაპრად დაიწყო, მალე აბსოლუტური ჭეშმარიტების ძიებად იქცა. გამაოცა იმ ფაქტმა, რომ ბიბლიაში იყო ჩემი ცხოვრების მრავალი პრობლემისა და მათი აღმოცენების პასუხები.

"მრავალი ზარისა და ფრთხილი კვლევის შემდეგ მივაღწიე მდგომარეობას, როცა გადავწყვიტე, რომ შემეძლო ინტელექტუალურად მერწმუნა ქრისტიანობა და ეკლესიაში წავსულიყავი. ჩემთვის ეს იყო დიდი ნაბიჯი, რადგან ეკლესიური ბუნების არ ვიყავი, ვისაც კვირაობით საგარეო სამოსში გამოწყობა და ნორმალურად მოქმედება მოსწონს. მაგრამ დასაკარგიც რა მქონდა? მზად ვიყავი, უკეთეს ადამიანად გადაქცევა მეცადა, ქადაგებებიდან მესწავლა, მეღიარებინა ღმერთი და სადილის წინ მელოცა. ვიფიქრე, რომ მხოლოდ ეს იყო საკმარისი.

"რამდენიმე დამის შემდეგ ჩემს ცოდვებსა და ჩემი ცხოვრების ყველა უბედურ ქმედებაში დავრწმუნდი. იესოს შევღალადე და ცვლილებისა და პატიებისთვის ვთხოვე. დაძინებამდე ვფიქრობდი, რომ უცნაურ და რელიგიურ ადამიანად გადავიქცევი. თამი, მეორე დილით სრულიად განსხვავებულ ადამიანად გავიღვიძე. არ შემიძლია იმ მდგომარეობის სიტყვებით გადმოცემა. ჩემი ფიქრები, მოტივები, პრიორიტეტები, სიბრაზე, იმედგაცრუება და მრავალი სხვა რამ ან გაქრა ან შეიცვალა. არ ვიცოდი, რა დამემართა და ვეცადე, დიაგნოზი დამესვა საკუთარი თავისთვის. ვფიქრობდი, ან დაავადება მჭირდა ან ჰორმონალური დისბალანსი, მაგრამ არც ერთი სიმართლეს არ შეეფერებოდა. ისევ ბიბლიას დავუბრუნდი და მივხვდი, რომ ყველაფრის ახსნა შეიძლება მოიძებნოს იესოსგან ბოძებული ხსნის მეშვეობით. თურმე დახსნილი ვყოფილვარ და ერთი კვირის მანძილზე არც ვიცოდი. წარმოდგენა არ მქონდა, რომ თურმე ღმერთი ცხოვრობს ჩემში! გამაოგნა ამ ფაქტმა."

"ვაშა, ექიმო, ვიემან! შესანიშნავია. ძალიან მიხარია. ჩემი ბიბლიის შემსწავლელი ჯგუფი ლოცულობდა თქვენთვის. ღმერთი კარგია!"

"თქვენ ჩემთვის ლოცულობდით? იმ ხალხს არც კი ვიცნობ და ჩემზე ლოცულობდნენ? რა საოცარია. თამი, მე ვცდებოდი. ვცდებოდი ღმერთზე, ბიბლიაზე და თითქმის ყველაფერზე. მაპატიეთ ლაბორატორიაში, რომ დაგცინოდით და მასხარად გიგდებდით. მინდა, ახალი ცხოვრება დავიწყო. გთხოვთ, მაპატიოთ."

"გვიპატიებია. მიჭირს, გამოვხატო როგორი გახარებული ვარ, რომ ღმერთმა დაგიხსნათ. როცა გპატიობენ უფრო ადვილია, სხვებსაც აპატიო."

"მადლობა, თამი."

"რუთმა რა თქვა? უკვე უთხარით ვინმეს?"

"რუთმა იცის. ჩემგან ბიბლიის შესწავლის დაწყებამდე ექვსი თვით ადრე მოინანია. აღფრთოვანებულია, მაგრამ ცოტა არ იყოს სკეპტიკურად უყურებს ჩემი ცვლილების ხანგრძლიობას."

"დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ცვლილება მუდმივი იქნება, ექიმო, ვიემან. ახლა ღვთის ძალა ცხოვრობს თქვენში. თუმცა, სრულყოფილი არ იქნებით. თქვენ კვლავ ჩაიდენთ მრავალ შეცდომასა

და ცოდვას, მაგრამ იგივე აღარასოდეს არ იქნებით. ახლა უფრო დამშვიდებული და მოსვენებული ჩანხართ."

"თითქოს წამლის გავლენის ქვეშ ვიმყოფები, მაგრამ კარგი გაგებით. აქამდე ისეთი შემოთხუთებული და გაღიზიანებული ვიყავი და ასეთი სიმშვიდის განცდა მართლაც შესანიშნავია. თითქოს ღმერთმა ბუმტს უჩხვლიტა და ცუდი ჰაერი და დაძაბულობა გარეთ გამოვიდა."

"ეკლესიაში წახვედი?" – მკითხა მან.

"დიახ. ჩვენს სახლთან ახლოს მდებარე ეკლესიაში კომფორტულად ვგრძნობ თავს, თუმცა ცოტა არ იყოს, უხერხულობას ვგრძნობ მუსიკის დროს."

"რატომ?"

"ბევრი ადამიანი მაღლა სწევს ხელებს და თვალეხს ხუჭავს. ცოტა ზედმეტი ხომ არ არის?"

"სპორტულ გადაცემებს უყურებთ, ექიმო, ვიემან?"

"დიახ, მაგრამ რა კავშირი აქვს ამას გალობასთან?" ვუპასუხე მე.

"თუ თქვენი გუნდი გოლს გაიტანს განა არ ახტებით და დახტებით და ხელებს ჰაერში არ შეათამაშებთ?"

"დიახ", – ვთქვი მე დარცხვენილმა. ახლა მივხვდი, რასაც გულისხმობდა.

"მაშინ, უცნაური რატომ უნდა იყოს იმ ღმერთის ხელების აპყრობით განდიდება, რომელმაც შეგქმნა და დაგიხსნა?"

"მართალი ბრძანდებით. როგორც ჩანს, დარწმუნებული არა ვარ, კონკრეტულად რა არ მომწონს." იგრძნო ჩემი უხერხულება და საუბრის თემა შეცვალა.

"კიდევ სხვამ ხომ არავინ იცის თქვენი დახსნის შესახებ? კიდევ ხომ არავის უთხარით?"

"არა. ჯერ არა. ერთი კვირა ვაკვირდებოდი, თუ განიცდიდა ყოველდღიური ცხოვრება იესოს ნაკლებობას. აქეთ-იქეთ დავდიოდი და ვაკვირდებოდი, ადამიანების ცხოვრებაში არსებობდა თუ არა იესო. შემოვიარე რესტორნები, სავაჭრო ცენტრები, ქალაქი."

"რა აღმოაჩინე?"

"არაფერი. დუმილი. თამი, თუ ღმერთი ასე ახლოსაა, რომ შეუძლია ჩემი ნათქვამის გაგონება და ჩემი გულის შეცნობა, რატომ არავინ აცხადებს მის შესახებ? მიბრძანდით და თქვენ თვითონ დააკვირდით. დააკვირდით, თუ დაინახავთ ღმერთს ადამიანების ცხოვრებაში. ეს საიდუმლო ან პირადული ხომ არ არის, იგი ჩვენი არსებობის აუცილებელი ფაქტია. ეს რელიგია არ არის. ეს რეალობაა."

"ღმერთი განდევნილია ჩვენი საზოგადოებიდან, ექიმო, ვიემან. მრავალი რელიგია არსებობს, მაგრამ ნაკლები ურთიერთობები. ხალხს მოსწონს იდეა ღმერთის შესახებ, მაგრამ არა რეალობა და პასუხისმგებლობა მის წინაშე. ხალხი ამბობს, 'რომ სწამთ ღმერთი', მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დახსნილნი არიან ან ღმერთთან ურთიერთობა აქვთ. მართალი ბრძანდებით. ყოველთვის მასზე უნდა ვსაუბრობდეთ. როგორ შეიძლება, ხალხმა ირწმუნოს, რომ იესო ნამდვილია, თუ ისინი

მას ჩვენს ცხოვრებაში ვერ დაინახავენ?"

"თამი, თქვენ ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი ხართ, რომელთაც შევხვდი და რომლებიც ღიად ლაპარაკობენ ღმერთის შესახებ. ვაკვირდებოდი, რათა დავრწმუნებულიყავი ნამდვილი იყო თუ არა ღმერთი, მაგრამ არასოდეს გეტყოდით ამას. გულის სიღრმეში მინდოდა, რომ ღმერთი შესაცნობი ყოფილიყო, მაგრამ მეშინოდა იმის წარმოდგენა, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა ჭეშმარიტებას ჩემი ცხოვრებისათვის. წარსულში რამდენიმე ადამიანმა სცადა ღმერთის შესახებ რაღაცის თქმა, მაგრამ არ მოვუსმინე. თუ მათი ნათქვამი ჭეშმარიტება იყო, მაშინ მთელი ჩემი ცხოვრებისეული პარადიგმა მცდარი ყოფილა. ჩემი ბავშვობა, ოჯახი და ჩემი უფროსი ცხოვრების გზა ტყუილი ყოფილა. რამდენ ადამიანს შეუძლია ამ აზრის მონელება, თამი?"

"ვუყურებ ჩემს წარსულ ცხოვრებას და დუმილი მიპყრობს. დაბადებიდანვე ღმერთს ვიყავი დაშორებული. წლების განმავლობაში მიმდინარე ურთიერთობები, სკოლა და სხვა გამოცდილებები, ყველაფერი ისე ხდებოდა, რომ ერთი სიტყვაც კი არ მითქვამს ღმერთისათვის. უცნაურია, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ის ჩემს გვერდით იყო. დუმილი შემაშფოთებელია. ჯოჯოხეთი და ხსნის საჭიროება რეალურია. თითქოს სიზმრიდან გამოვიღვიძე. "ძილის" პერიოდში ყველაფერი ნორმალურად ჩანდა, მაგრამ ახლა "გაღვიძებულისათვის" ყველაფერი საშინელებაა. თითქოს კიანო რივსი ვარ ფილმში „მატრიცა“. გინახავთ ეს ფილმი?"

"არა."

"ეს მეცნიერული ფანტასტიკაა, მაგრამ კარგი პარალელია ჩემს მიერ განცდილ გრძნობებთან შესადარებლად. ფილმში კაცი, სახელად ნეო, ყალბი რეალობიდან იღვიძებს. ის აცნობიერებს, რომ მისი მთელი ცხოვრება ტყუილი ყოფილა. მეც ზუსტად ასე ვგრძნობ თავს. ხსნა, საუკუნო ცხოვრება და ქრისტიანობის ზეციური ასპექტი ამაღელვებელია, მაგრამ წარსული ცხოვრების ქვეტექსტები გამანადგურებელი."

"ადამიანებს უნდა უთხრათ ამის შესახებ, ექიმო ვიემან."

"კარგი. შეგიძლიათ დასიას დაუძახოთ?"

'რა თქმა უნდა.' გადამეხვია და ოფისიდან გავიდა. დასია უფროსი ექთანის და კარგი მეგობარი იყო. წარმოდგენაც კი არ მქონდა, რა სწამდა, მაგრამ შემდეგი, ვისაც ვეტყოდი, მინდოდა, რომ ის ყოფილიყო. მოსმენისას დასიას თვალები გაუბრწყინდა. როცა საუბარი დავასრულე, გადამეხვია და მითხრა, რომ ისიც ქრისტიანი იყო.

"შესანიშნავია, ექიმო ვიემან. ძალიან მიხარია თქვენი ამბავი!"

ამოვიხსენს. მას არ უფიქრია, რომ გავგიჟდი! მან იცოდა ხსნისა და სულიწმიდის შესახებ.

თანდათან მომეწონა ჩემი დამოწმების გაზიარება, რადგან შესანიშნავი და დაუჯერებელი იყო. ხალხს ამხნევებდა ჩემი დახსნის ამბის მოსმენა. მტკიცედ ვიყავი შინაგანად დარწმუნებული, რომ ეს უნდა გამეკეთებინა. იმასაც ვგრძნობდი, რომ ქრისტიანობა იმაზე მეტია, ვიდრე ხალხისათვის იესოს შესახებ საუბარი და სამოთხეში შესასვლელი

ბილეთის შეძენა, მაგრამ არ ვიცოდი, ეს სხვა რამ რა იყო. არის თუ არა უფრო მეტი? ვფიქრობდი. წარმოდგენა არ მქონდა, რომ ღმერთი უპასუხებდა ჩემს კითხვას და გონებისათვის გასაოცარ ჭეშმარიტებას გამიმხელდა. ის აპირებდა, ურთიერთობისათვის ფარდა აეხადა.

მეოცე თავი

ურთიერთობა

მეორე დღეს, სამუშაო საათების მიწურულს უფროსი ექთანს დასია შემოვიდა და საჩუქარი შემოიტანა.

"ექიმო, ვიემან, რაღაც მაქვს თქვენთვის." და საშობაო ქაღალდში გახვეული წიგნის ზომის საჩუქარი გადმომცა. ქაღალდი შემოვაცალე და ჟამშის ტყავის ჩანაწერების წიგნი იყო შავი ფურცლებით სავსე.

"ეს რა არის, დასია?"

"ლოცვის ჟურნალი. ჩაწერეთ თქვენი ლოცვის საკითხები და დრო. შემდეგ უკან დაუბრუნდით და აღნიშნეთ, რომელ ლოცვას უპასუხა ღმერთმა. ეს ლოცვაშიც დაგეხმარებათ."

"რას გულისხმობთ, ღმერთი ლოცვებს პასუხობს? როგორ?" – ვკითხე მე.

მან კარი დახურა და დაჯდა. "ექიმო, ვიემან, ღმერთი თქვენი მამაა. მას თქვენ უყვარხართ, ახლა თქვენში ცხოვრობს და თქვენთან ურთიერთობა სურს. ის თქვენი ცხოვრების უმცირესი დეტალითაც კი დაინტერესებულია."

"ეს როგორ შეიძლება? მე ყოველთვის მის გარეშე ვცხოვრობდი. მილიონობით უმნიშვნელო დეტალი მქონდა და არასოდეს ჩამირთავს იგი ჩემ საჭმეებში. როგორ შეიძლება, ის ჩემს ცხოვრებაში ჩაერიოს? მე ვფიქრობდი, რომ დახსნის შემდეგ სიკვდილამდე შენს თავთან ხარ. შეიძლება, დიდი განსაცდელისას ღმერთი ჩაერიოს, მაგრამ არა ყოველდღიურ დეტალებში. მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში ერთხელაც არ მსმენია ამის შესახებ, მაშინაც კი, როცა რამდენიმე ადამიანი ეცადა ჩემთვის ღმერთის შესახებ რაიმე ეთქვა. რასაც თქვენ ამბობთ, დაუჯერებელი ჩანს!"

"დაუჯერებელია, გეთანხმებით, მაგრამ სიმართლეა. მას სურს, რომ თქვენი ცხოვრების უფალი იყოს და ყველაფერში წაგიძღვეთ."

"შესანიშნავია, შეიძლება პიროვნული ურთიერთობა მქონდეს იესოსთან! ვიცი, რომ მას ჩემი ესმის, რადგან იმ ღამით, მართლაც, გაიგო როცა დამიხსნა. ვფიქრობდი, რომ ურთიერთობა ძირითადად მაშინ ხდებოდა, როცა საქმე ტრაგედიასა და დახსნას ეხებოდა."

"არა. მას სურს, რომ თქვენი ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში მიიღოს მონაწილეობა. ასეც იქნება, თუ ნებას დართავთ", – თქვა მან.

გაოცებულმა ვკითხე, "როგორ? რა უნდა გავაკეთო?"

"უბრალოდ, დაიწყეთ მასთან საუბარი. ესაუბრეთ ყველაფრის შესახებ. ჰკითხეთ, რა უნდა გააკეთოთ. ყველაზე მნიშვნელოვანი, ილოცეთ, რომ ის წარუძღვეს თქვენს ცხოვრებას და გადაწყვეტილებებს. დაიწყეთ ამის კეთება და ნახეთ, რა მოხდება. ყოველთვის იკითხეთ ბიბლია. ბიბლია ღვთის სიტყვაა. ამით ღმერთი გელაპარაკებათ. თქვენი ლოცვებით კი, თქვენ ესაუბრებით მას, როგორც მე და თქვენ ვსაუბრობთ

ახლა. ურთიერთობა სიტყვის გაცვლაა."

"როგორ შეიძლება, ღმერთი ბიბლიის მეშვეობით დამელაპარაკოს?" ვიკითხე მე.

"ღმერთი ეცხადება ადამიანს სიტყვის მეშვეობით. ისწავლით, ვინ არის ღმერთი და როგორია იგი მისი სიტყვის მეშვეობით, ბიბლიით. ბიბლიური მუხლებიდან დაელაპარაკება თქვენს გულს. ეს დაგანახვებთ პრობლემებს თქვენს ცხოვრებაში. ადამიანების ცხოვრების ისტორიები ზუსტად შეეფერება ჩვენსას. მათი შეცდომები და გამარჯვებები გულისხმობს ჩვენს დახმარებას. ბიბლიის კითხვისას თქვენში არსებული სულიწმინდა დაგანახვებთ ისეთ საკითხებს, თუ როგორ შეეფერება იგი თქვენს ცხოვრებას. ბიბლიის კითხვისას ნუ დაივიწყებთ, რომ სულიწმინდა ცხოვრობს თქვენში."

"ეს ისე ლამაზად ჩანს, რომ ძნელია მისი დაჯერება. ამალელებელიცაა და სიგიჟეც ერთდროულად. გეგონება, მეცნიერული ფანტასტიკის ფილმის მონაწილე ვარ. მთელი ჩემი ცხოვრების ყველა დეტალი მაჩვენებდა, რომ ღმერთი ან შეუცნობი იყო, ან არ არსებობდა და ახლა მეუბნებით, რომ ის წარუძღვება ჩემი პირადი ცხოვრების ნებისმიერ დეტალს?! თუ ეს მართალია, მაშინ ფაქტია, რომ ხალხი მას უარყოფს. აცნობიერებთ თუ არა თქვენი ნათქვამის ქვეტექსტს? მე მჯერა თქვენი, მაგრამ ისიც უნდა გაითვალისწინოთ, საიდან მოვდივარ."

"ამას დრო სჭირდება, ექიმო ვიემან. ვიცი, რომ ძნელია ამის ერთ წუთში დაჯერება. ილოცეთ, ჩააბარეთ თქვენი ცხოვრება მას, ყურადღებით წაიკითხეთ ბიბლია. ღმერთი ზებუნებრივად ბუნებრივია."

"ეს რას ნიშავს, დასია?"

"ხალხი, რომელთაც შეხვდებით, მდგომარეობები, რომელშიაც აღმოჩნდებით, თქვენს გულში არსებული გრძნობები და ფიქრები-დარწმუნდებით, რომ ის ყოველივე ამის შუაგულშია, თუ ყურადღებას გავამახვილებთ და დავემორჩილებით მის სიტყვას."

"კარგი. მე ისეთი კმაყოფილი ვარ დახსნით, რომ ყველაფერს გავაკეთებ, რასაც მეტყვის. მინდა, ვიცნობდე მას იმის გამო, რაც ჩემთვის გააკეთა. არასოდეს მიცდია ჩემს ცხოვრებაში ღმერთის მოძიება."

"აცნობიერებთ თუ არა ექიმო ვიემან, რომ ხსნამდე მისასვლელი ყველა გზავთის ძიებას ნიშნავდა? ქრისტიანობა ადამიანის მიერ ღვთის ძიებაა. ღმერთია ურთიერთობის ინიციატორი. რამხელა ძალისხმევას ეწევა ღმერთი ნებისმიერი ადამიანის ხსნისათვის."

დავმუნჯდი. უცბად დავფიქრდი იმ მოვლენებზე, რამაც ჩემი ხსნის პროცესამდე მიმიყვანა" სათხილამურო მოგზაურობა, მარკოს კუნძულები, ბიბლიის ქალბატონი, პაციენტი, ჯომ მაკდაუელის წიგნი, რომელიც რუთმა ტუმბოზე დამიდო და კარის მეზობელი, ვინც ეკლესიაში დაგვპატიჟა. ძალიან გავვოცდი.

"სინამდვილეში ღმერთი ინტელექტუალური ძიების შედეგად არ შემიცვნია. ის მოვიდა და დამიხსნა! მან ყველა ეს ელემენტი ისე დაალაგა ერთად, რომ სწორი ადამიანები მოიყვანა სწორ დროს ჩემს ცხოვრებაში. ეს საოცარი აზრი ნამდვილად ღირდა დასაფიქრებლად. ამაზე ფიქრი

ნამდვილად მჭირდება. სახლში უნდა წავიდე. უკვე გვიანია."

"ღამე მშვიდობისა, ექიმო ვიემან."

მანქანაში ჩავჯექი და შინ წავედი. გზაში მის ნათქვამზე ვფიქრობდი. უცნაურად მეჩვენებოდა ღმერთთან საუბრის იდეა, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი ისმენდა ჩემს საუბარს და ჩემი გულიც კმაყოფილი იყო მისით და მისკენ ილტვოდა.

ლოცვა

"იესო, ვიცი, რომ გესმის. ჯერ ყველაფერი არ მესმის, მაგრამ მაღლობა ჩემი დახსნისათვის. მინდა, რომ გიცნობდე და ჩემს ცხოვრებას წარუძღვე. ისეთ პიროვნებად მაქციე, რადაც გსურს, რომ ვიყო. რასაც მეტყვი, ყველაფერს გავაკეთებ ჩემი შესაძლებლობებიდან გამომდინარე. არ მჯეროდა, რომ დასაწყისიდანვე ჩემს გვერდით იყავი და არასოდეს მისაუბრია შენთან. ქვეყნიერებამ მასწავლა, რომ არ შემეძლო შენი შეცნობა და ისე ვმოქმედებდი, თითქმის არ არსებობდი. რატომ არავინ გველაპარაკებოდა და არავინ საუბრობდა შენზე, როცა პატარა ვიყავი? რატომ იყავი განდევნილი სკოლებიდან? რადგან შენ ჭეშმარიტი ღმერთი ხარ, რატომ არის ამდენი რელიგია? ძალიან ბევრი კითხვა მაქვს შენთან. როგორ უნდა გავიგო შენი პასუხი? როგორ უნდა მივხვდე, რა გინდა, რომ გავაკეთო? არ ვიცი, საიდან დავიწყო."

დანარჩენი გზა დუმილით გავლიე სახლამდე. ჩემი გონება მხოლოდ ერთ საკითხზე ფიქრში იყო ჩაძირული. ჩემი შვილები, მშობლები და მეგობრები არ არიან დახსნილნი. მათაც ისეთივე წარმოდგენა აქვთ ამ საკითხზე, როგორიც აქამდე მე მქონდა. აუცილებლად უნდა ვუთხრა მათ. ყველას უნდა ვუთხრა, რაც დამემართა, გავიფიქრე მე.

და უცბად მივხვდი, რატომ მოვიდნენ ჩემთან სასაუბროდ სათხილამურო მოგზაურობისას ახალგაზრდები. უნდა ვალიარო, რომ ისინი მართლები იყვნენ. უცბად ჩემი გული დამწუხრდა და დამძიმდა იმ ადამიანებისგან, რომლებიც არიცნობდნენ ქრისტეს. ჯერ კიდევ შეიძლება ჩემი ჯოჯოხეთში მოხვედრა, იმ ჯოჯოხეთში, ადრე, რომ შეიძლებოდა მოვხვედრილიყავი. გულზე მომხვდა და სინდისმა მიკარნახა, მათთვისაც მეთქვა, ვინც დახსნილები არ იყვნენ. დარწმუნებული არ ვიყავი, მაგრამ ვიგრძენი, რომ ამის გაკეთება უნდოდა ღმერთს ჩემით. დასიამ მითხრა, ყურადღება გამემახვილებინა ჩემს გულსა და ფიქრებზე. უკვე იწყებოდა ურთიერთობა?

იმ ღამით, როცა ყველა დასაძინებლად წავიდა, მე სამუშაო კაბინეტისაკენ გავწიე. ეს გახდა ჩემი ლოცვის, ბიბლიის კითხვისა და ღვთის ნების ძიების ადგილი. ღმერთთან დავიწყე საუბარი ყველაზე და ყველაფერზე. თავდაპირველად უცნაურად მეჩვენებოდა, თითქმის საკუთარ თავს ვესაუბრებოდი, მაგრამ უცნაური გრძნობა სწრაფად გაქრა. დაკარგული დრო უნდა ამენაზღაურებინა, რადგან მრავალი წლით ვიყავი ჩამორჩენილი ურთიერთობას და ერთი სული მქონდა როდის დავიწყებდი. როგორი საოცარი შესაძლებლობაა, რომ ღმერთს ჩემთან

ურთიერთობა სურს!

"უფალო, დასიამ მითხრა, რომ ჩემს ცხოვრებაში მოქმედება გასურს. მეც აქ ვარ. მინდა დავიწყო. რა უნდა გავაკეთო?" როგორც კი ეს ლოცვა წარმოვთქვი, მსუბუქი ბიძგი ვიგრძენი, რომ ბიბლია ამეღო. ვიფიქრე, ალბათ ჩემი წარმოდგენა მეთქი და ყურადღება არ მივაქციე. ვეცადე, ლოცვა გამეგრძელებინა, მაგრამ კონცენტრირება მიჭირდა. ერთადერთი რამ, რაც გულსა და გონებაში მიტრიალებდა, იყო ბიბლია. აჰა. დასიამ მითხრა, რომ ღმერთი ბიბლიის მეშვეობით დამელაპარაკებოდა, რადგან ეს მისი სიტყვაა. შეიძლება, კითხვა უნდა დავიწყო, გავიფიქრე. დარწმუნებული არ ვიყავი, საიდან დამეწყო. გადავწყვიტე, ბოლოდან გადამეშალა, სადაც ვიცოდი, რომ ახალი აღთქმა იყო.

ღვთის სიტყვა

"მოდღვარო, რომელია ყველაზე დიდი მცნება?"

იესომ მიუგო: " შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა." ეს არის ყველაზე დიდი და პირველი მცნება." (მათე 22:36-38)

აჰა. რას უნდა ნიშნავდეს ეს? რატომ გადავშალე ამ ადგილზე? მიკვირდა. რას გულისხმობს იესო? როგორია მოსიყვარულე ღმერთი პრაქტიკულად? ბიბლიის ამ მუხლებს მითითებული ჰქონდათ პარალელური ადგილებიც და ისინიც წავიკითხე. პირველმა მათგანმა გასცა ჩემს კითხვას პასუხი და ჩემი ყურადღება მიიპყრო.

"ვისაც ჩემი მცნებები აქვს და იცავს მათ, მას ვუყვარვარ მე, ჩემს მოყვარულს კი ჩემი მამაც შეიყვარებს. მეც შევიყვარებ მას და მე თავად გამოვეცხადები."

ეუბნება მას იუდა, ისკარიოტელი კი არა: "უფალო, როგორ იქნება, რომ შენ თავად გამოვეცხადები ჩვენ და არა სოფელს?" მიუგო იესომ და უთხრა მას: "ვისაც ვუყვარვარ, ის ჩემს სიტყვას დაიცავს და ჩემი მამაც შეიყვარებს მას. ჩვენც მივალთ და მასთან დავიდებთ სავანეს." (იოანე 14:21-23)

რას ნიშნავს, რომ იესო გამომეცხადება და თავის ბინას დაიდებს ჩემში? როგორი დამაინტრიგებელი დაპირებაა ღმერთისაგან. უნდა გავიგო ეს რას ნიშნავს!

"კი ბატონო, ღმერთის მორჩილება უდრის მისი სიტყვის მორჩილებას", – ჩავიჩურჩულე ჩემთვის. თუ ღვთის შეყვარება არის ყველაზე დიდი მცნება, მაშინ უნდა ვიცოდე მისი სიტყვა, მაგალითად, ვიცოდე ბიბლია, მისი მორჩილებისა და ღვთის სიყვარულისათვის. როგორ შეიძლება, შევიყვარო ის, თუ არ ვიცი რას ამბობს მისი სიტყვა? განვუმარტე საკუთარ თავს. იმ წუთში გულში მიზნად დავისახე, ყოველთვის წამეკითხა და მესწავლა ბიბლია. ლოცვასთან ერთად ეს იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ღვთის სიყვარულისა და მასთან ურთიერთობისათვის.

ყოველ თავისუფალ დროს ბიბლიის კითხვას ვუთმობდი. უფრო და უფრო მეტი მინდოდა, რომ წამეკითხა. ექსტრემალური სიჩქარით ვისრუტავდი ყველაფერს. ყოველი კითხვისას რაღაც ახალს ვსწავლობდი. უცნაური იყო, რადგან ვგრძნობდი, რომ სულიწმიდა მიცხადებდა ახალ საკითხებს. როცა ვკითხულობდი, სიტყვები ჩემს გულს ესაუბრებოდნენ. ისინი ხელმძღვანელობდნენ ჩემს ცხოვრებას, მიმითითებდნენ იმ სიტუაციაზე, რომელსაც ცვლილება სჭირდებოდა და მრავალი ტყუილის გამოსწორება დამჭირდა. დახსნამდე სიტყვებს ასეთი გავლენა არ ჰქონია, როგორც ახლა. როგორც საკვები, ისე მწადდა კითხვა.

იმ კვირას ეკლესიაში შევხვდი კაცს, რომლის ზედმეტი სახელიც იყო „ბიბლია ბილი“. შემომთავაზა ერთ წელში ბიბლიის მთლიანად წაკითხვა. ძველი აღთქმით დავიწყეთ. შემეძლო, იმეული მიმეწერა ან დამერეკა, თუკი რაიმე შეკითხვა გამიჩნდებოდა და თვეში ერთხელ ან ორჯერ ვხვდებოდით სადილად წაკითხულის გაანალიზების მიზნით. მახსოვს, რა თქვა დასიამ და გამახსენდა, რომ ღმერთმა გამომიგზავნა ბილი ბიბლიის შესწავლაში დასახმარებლად. კარგად ჟღერდა ის ფაქტი, რომ ღმერთს ამის გაკეთება შეეძლო ჩემთვის.

პირველი რამდენიმე შეხვედრის შემდეგ ბიბლიის ბილმა მკითხა, "რატომ ჰამ ყოველდღე?"

"იმიტომ რომ მშიერი ვარ", – ვუპასუხე მე.

"რა მოხდება, რომ არ ჰამოთ?" – გააგრძელა მან.

"ვიშიმშილებ."

"რა მოხდება შიმშილობისას? იფიქრე გრეგ, შენ ექიმი ხარ."

"დასუსტდები, დაავადდები, ვიტამინების ნაკლებობა და სიგამზდრე."

"ზუსტად! ბიბლია არის შენი სულიერი საკვები. თუ არ ჰამ ვერ გაიზრდები. გახსოვდეს, იესომ თქვა, როცა დახსნილი ხარ ხელახლა იშვი. განა შეუძლია ახალშობილს სიარული, საუბარი, გამოკვება ან საკუთარი თავის დაცვა? ჩვილმა იცის, რომ ის ჩვილია? შეუძლია თუა რა მას მამასთან მოზრდილივით ურთიერთობა?"

"არა, რა თქმა უნდა, არა." – ვუპასუხე მე.

"მაშინ დარწმუნდი, რომ საკმარისად იკვებები და ღვთის სიტყვის სასარგებლო დიეტაზე ხარ." მან ბიბლიიდან ერთი მუხლი წამიკითხა.

როგორც ახალშობილმა ყრმებმა, ინატრეთ სუფთა სულიერი რძე, რათა იმით გაიზარდოთ ხსნისათვის. რადგან იგემეთ, რომ ტკბილია უფალი. (1 პეტრე 2:2-3)

მან გააგრძელა. "ბიბლიის თითოეულ წიგნს აქვს განსაკუთრებული სულიერი საკვები, ვიტამინები და მინერალები. ერთად არებული მთელი წიგნი არის კარგად დაბალანსებული დიეტა. ბიბლიის ნაწილების წაუკითხავად დატოვებისას ჯეროვან საკვებს ვერ იღებ. მრავალ ქრისტიანს ახასიათებს არასაკმარისი კვება, რადგან ისინი მეთოდურად არ სწავლობენ და არ კითხულობენ მთელ ღვთის სიტყვას.

გახსოვდეთ, ცოდვა დაავადებას ჰგავს. ის გვაზიანებს. სხვა რა

ნიშნები ახასიათებს კვებას დაავადებისას? იგი გვეხმარება განკურნებაში, აღადგენს ჩვენს დამსხვრეულ სულს და გამოსავალს გვაძლევს ცოდვის ეფექტის შემსუბუქებაში."

მსახურება

"ბილ, ეკლესიაში სიარული მომწონს, მაგრამ სწავლება უფრო მომწონს მუსიკაზე. რატომ ხარჯავენ ნახევარ საათს სიმღერაში ხუცესის ქადაგებამდე?"

გალობა ეხმარება შენს გულს ღვთის სიტყვის მიღებაში. გალობისას ღმერთს უძღვნი ყველაფერს და ღმერთი გაძლევს ღირსებასა და ფასს. თუ მას არ სცემ თავყვანს, მაშინ სხვა რაღაცას სცემ თავყვანს მის ნაცვლად, ისე, რომ ვერ აცნობიერებ."

"მაგალითად?" – ვკითხე მე.

"თქვენს შესახებ რას იტყვით?"

"ოჰ, ბილ, მტკივა. თუმცა მართალი ხარ. მე ნამდვილად ვემსახურებოდი საკუთარ თავს. საკუთარ თავს ვუძღვნიდი ყველაფერს და ყველაფრისაგან იმავს ვიღებდი: მიღწევები, კარიერა და ასე შემდეგ."

"ემსახურე ღმერთს, გრეგ. ამისათვის ხარ შექმნილი. ეს უცხო და არაკომფორტული ჩანს შენთვის, რადგან საკუთარი თავისა და შენს გარშემომყოფი საგნების მსახურებაში გაიზარდე. კერპთაყვანისმცემლობა ის არის, როცა ღვთის გარდა სხვა რამეს ემსახურები, რაღაცას, რისი დანახვაც შეგიძლია."

"როგორ ვემსახურო ღმერთს? რა უნდა გავაკეთო?"

"გახსოვდეს, რაც გითხარი. პირველ რიგში, მას მიუძღვნი ყველაფერი. განადიდე ის შენი დახსნისათვის. მაღლობა უთხარი იმისათვის, რომ შენთვის მოკვდა. აღიარე იგი, როგორც შენი მამა, ღმერთი და შემქმენლი. როცა ღმერთს ემსახურები, საკუთარ გულსა და ცხოვრებას მას აბარებ რწმენით, ნდობითა და მაღლიერებით. დროა, ღმერთს ჩააბარო საკუთარი თავი და გააცნობიერო შენს ცხოვრებაში მისი საჭიროება."

"მეორე, მიიღე შენი ფასი ღვთისაგან. განადიდე ის იმისათვის, რომ უყვარხარ. უკვე დარწმუნდი, რამდენი რამ გააკეთა ღმერთმა შენი დახსნისათვის. უპასუხე მას მაღლიერებით და გაიხარე იმ ფაქტით, რომ მარადიული ღვთის შვილი ხარ. მუსიკა დაგეხმარება მასზე ყურადღების გამახვილებაში; კარგ საგალობლებს აქვთ იმ პრინციპების ლირიკა, რაც ახლახანს გასწავლე."

"ძალიან უხერხულად მეჩვენება."

"განდიდებისა და თავყვანისცემის საგალობლებს მოუსმინე დილით, თუ შეგიძლია. იფიქრე, ვინ არის ის და რა გააკეთა მან შენთვის. მოუსმინე სიტყვებს. ნება მიეცი ღმერთს პირველად მან აგავსოს და მერე უკან დაუბრუნე, რაც მოგცა. იფიქრე, როგორ ხასიათზე დადგები, როცა შენი ვაჟი საჩუქარს მოგცემს იქიდან, რაც შენ მიეცი."

"კარგი. ვეცდები."

მამა და ძე

"ბილ!" კიდევ ერთი რამ, რადგან ახსენეთ. დასიამ, მთავარმა ექთანმა, მითხრა, რომ ღმერთი არის მამაჩემი და ჩემთან ურთიერთობა სურს. როგორ შემიძლია ურთიერთობა დავამყარო ვიღაცასთან, ვისაც ვერ ვხედავ?"

"შენ ორი ვაჟის მამა ხარ, არა?"

"დიახ", – ვუპასუხე.

"რა გსურს ყველაზე მეტად მათთვის? რა გაგახარებდა?"

"მათთან დროის გატარება და ერთმანეთთან ყოფნი სიხარული. მინდა, მომისმინონ და საპასუხოდ ვუყვარდე. მე მომწონს მათთან ერთად ყოფნა და თამაში. ძალიან მომწონს, როცა მეხვევიან და კალთაში მიხტებიან." დაჟინებით მიყურებდა და მერე წარბები მაღლა აზიდა. როგორც მივხვდი, თითქმის სინათლის ანთებას ელოდებოდა. უცბად მივხვდი, რომ ღმერთსაც იგივე სურს ჩემგან რაც მე ჩემი შვილებისაგან."

"ძალიან სიღრმისეულია, ბილ. ახლა უფრო აშკარად ჩანს, როცა ასე ვფიქრობ."

"ღმერთს ვერ გაუგებ ურთიერთობის გარეშე. დაიმახსოვრე, მას არ უნდა ღვთისმოსაობის გამომხატველი რელიგიური ცერემონიალები ან ადამიანები, განსაკუთრებულ სამოსში, ან კვირაში ერთხელ შენობაში მათი შესვლა. წარმოიდგინე, რომ კვირის განმავლობაში შენი ბავშვები ყურადღებას არ მოგაქცევენ და არ დაგელაპარაკებიან, მიუხედავად იმისა, რომ მათ გვერდით ხარ. შემდეგ, მოულოდნელად, კვირას ლამაზად გამოეწყობიან, ზეიმით გაივლიან სახლს და ისაუბრებენ შენს შესახებ, შენ კი არ დაგელაპარაკებიან. რას იფიქრებდი?"

"რა სიგიჟეა."

"ღმერთის შემთხვევაშიც არაფერია განსხვავებული. ურთიერთობების პრინციპები ანალოგიურია. შენ იყავი შენ. იყავი გულწრფელი. იყავი ნამდვილი. დაიწყე დღე მასთან ურთიერთობით. ასეთი მაგალითი მოგცა ქრისტემ."

"კარგი."

დილის ლოცვები

ყოველ დილით სამსახურში წასვლამდე ვლოცულობდი; საგალობლებს ვუსმენდი და ბიბლიას ვკითხულობდი. ბიბლიის ბილიმ და დასიამ მითხრეს, რომ ეს არის ღმერთთან ურთიერთობის სამი საყრდენიო. მუდამ მახსოვდა ბილის ნათქვამი, გონებაში ჩამებეჭდა: "სიტყვა გაგზრდის, გალობა აგავსებს და ღვთის ნებას შთაგაგონებს. შენ ზრდა გჭირდება, აღვსება და წინამძღოლობა."

ყოველდღე ვაკეთებდი ამას და მალე შევნიშნე, რომ რაღაც ხდებოდა. ახლა უფრო განაწლებული, გაძლიერებული, კმაყოფილი და მშვიდობით აღვსილი ვიყავი, ვიდრე დახსნის პირველ ხანებში. როცა ვფიქრობდი, რომ შეუძლებელი იყო უკეთესობა, ზუსტად მაშინ ვატყობდი ცვლილებას. მუსიკამ თანდათანობით მიიპყრო ჩემი ყურადღება, ლოცვამ

ამამოქმედა, იესოს სიტყვების კითხვამ გამანათა და შემცვალა. ახალი და ენერგიით სავსე პიროვნება გავხდი მასთან დილაადრიანი ურთიერთობის შემდეგ. თითქოს ელემენტების ხელახლა დამტვირთავ ძალასთან მქონდა კავშირი. ყოველთვის აუხსნელ კმაყოფილებას ვგრძნობდი.

ვგრძნობდი, რომ მისი არსებობის აღქმის განცდა თანდათან იზრდებოდა და აღტაცებაში მოჰყავდა ჩემი გული. როგორც კი დავიწყე იმის გაგება, თუ ვინ იყო ღმერთი, როგორ ვუყვარდი და რა გააკეთა ჩემთვის, მინდოდა, მასთან დროის გატარება და მსახურება. ვალდებული კი არ ვიყავი, არამედ მიძღვნილი. ერთი სული მქონდა, როდის ავდგებოდი და იესოსთან დროს გავატარებდი. არ მჯერა, რომ ღმერთთან მაქვს ურთიერთობა და ის მისმენს! ეს საოცრებაა! ვფიქრობდი მე. ყოველდღეს იესოს ვაბარებდი და აღვუთქვი, რომ ყველაფერს გავაკეთებდი, რაც მას სურდა. მაღლიერი ვიყავი, რომ სიცარიელეს და მარტოობას აღარ ვგრძნობდი.

ერთ დღეს ჩამეძინა და დილის ლოცვის გარეშე მომიხდა წასვლა სამსახურში. მაშინვე ვიგრძენი განსხვავება. უფრო გაღიზიანებული, იმპულსური და ნაკლებად მშვიდობიანი ვიყავი. ამან შემაშინა, რადგან ძველებურად ვიგრძენი თავი. მალე მივხვდი, რომ ჩემი ძველი კაცის თვისებები ისევ ადგილზე იყო, მაგრამ იესოსთან ლოცვაში გატარებული დროის, მსახურებისა და ბიბლიის კითხვის შედეგად ძველი კაცი ჩუმდებოდა. არ მესმოდა, როგორ შეიძლებოდა ეს, მაგრამ დავრწმუნდი, რომ მართალი ყოფილა ნათქვამი, რომ არასოდეს არ უნდა გამოტოვო მსახურება. ცხოვრების ყოველი დღე მანქანის მართვას დავამსგავსე. ყოველ დღით იესოს გადავცემდი ხოლმე საჭეს.

გულის ცვლილება

ყოველდღე ვცდილობდი ურთიერთობაში ყურადღება მიმექცია ჩემი გულისა და სინდისის მდგომარეობისთვის. ყოველი დღით ვცხოვრობდი, ღვთის ხელს ვეძებდი და მოველოდი ჩემს ცხოვრებაში. პირველი, რაც შევნიშნე, ეს იყო იმ საკითხებისადმი ჩემი გულის ცვლილება, რისი გაკეთება თუ გამოსწორებაც ღმერთს სურდა ჩემს ცხოვრებაში. მაგალითად, მამაკაცების ჟურნალი მქონდა გამოწერილი, გოგონების სურათებით, სექსის, სპორტისა და თანამედროვე სიახლეებით. შევწყვიტე ამ ჟურნალის მიღება. სურვილიც კი აღარ მქონდა ასეთი რამის დანახვის. უცნაურია, მაგრამ უარი კი არ ვთქვი, არამედ ასე მსურდა.

ქრისტიანად გახდომა იმიტომ არ მინდოდა, რომ მეგონა, მოსაწყენ ადამიანად გადავიქცეოდი, ვისაც "მზიარულების ნება" არ ექნებოდა. გავოცდი, როცა აღმოვაჩინე, რომ ასე არ იყო. საკითხებმა, რომელთაც გონებაში უნდა გაველოთ, უკვე დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა. ჩემს შემთხვევაში, მაგალითად, ჟურნალის მაგალითზე, ერთი სული მქონდა, როდის მოვიშორებდი თავიდან. ღმერთმა ისიც გამომიცხადა, თუ როგორ ვცდილობდი ჩემი გულის სიცარიელის, მის ნაცვლად, სხვადასხვა საგნებით შევსებას. ახლა ღმერთთან ურთიერთობა მქონდა, რაც ასე

ძალიან სწყუროდა ჩემს გულს, რისთვისაც შექმნილი იყო და სხვა საგნები უკვე აღარ მჭირდებოდა.

საწინააღმდეგო დამოკიდებულება მქონდა იმ საკითხების მიმართ, რაც ღმერთს ჩემს ცხოვრებაში სურდა. ის, რაც ღმერთს უნდოდა, რომ გამეკეთებინა, რაც არასოდეს გამიკეთებია, რისი გაკეთებაც მომწონდა და საინტერესო იყო. პარასკევობით საოჯახო შეხვედრებზე დასწრება დავიწყე სხვა ქრისტიანებთან. ერთად ვიკრიბებოდით, ვსაუბრობდით, დესერტს მივირთმევდით და ბიბლიას ვსწავლობდით. რამდენიმე თვის წინ ასეთ შეხვედრებზე, რომ მოგეკალით, მაინც არ მივიდოდი. ახლა ძალიან მომწონდა და ერთი სული მქონდა, როდის შედგებოდა მომდევნო შეხვედრა.

სულიერი შეხვედრები

დასიას მიერ მოცემულ ჟურნალში ჩამოთვლილ ლოცვის საკითხებზე სწრაფად დაიწყე რეაგირება. ვლოცულობდი, რომ ისეთ ქრისტიან მეგობრებს შევხვედროდი, საერთოს რომ ვიპოვდი და მალევე შევხვდი რადიოლოგისტს ეკლესიაში. მის მეუღლეს უკვე იცნობდა რუთი სპორტული დარბაზიდან. დავმეგობრდით და დიდი დანხარებაც გამიწია.

ვლოცულობდი, ვინმესთვის იესოს შესახებ მეხარებინა და იმ დღეს ქალბატონი დაეცა ოფისში. მას ნერვული აშლილობა ჰქონდა და დედასთან ერთად მოვიდა კლინიკაში. ვუთხარი იესოსა და დახსნის შესახებ. იმ საღამოს სახლში დაბრუნებულმა ხსნა მიიღო. მეორე კვირას მოსულმა მითხრა ამის შესახებ და ძალიან გამიხარდა. უკან, რომ ვინებები, არც ბიბლიის ბილთან შეხვედრა ყოფილა შემთხვევითი. თითქოს ღმერთს მოჰყავდა ხალხი ჩემთან, და ასეც იყო. უბრალოდ, ამბავი უნდა მომეყოლა, როცა გამოჩნდებოდნენ, ან უნდა გამეგო, რატომ მოდიოდნენ ისინი ჩემს ცხოვრებაში.

ვიცოდი, რომ შემთხვევითობას არ ჰქონდა ადგილი. ძალიან ბევრი პირდაპირი და უშეცდომო პასუხები მქონდა. გაცემული ვიყავი, როგორ მივყავდი ღმერთს იქ, სადაც სურდა, ზუსტად იმ მდგომარეობაში, სადაც მას სურდა. დასია მართალი იყო. დავიწყე იმის დანახვა, თუ როგორ პასუხობდა ღმერთი ლოცვებს და რამდენი ფიქრი და მდგომარეობა გამოიძერწა და როგორ მიწინამძღოლა ქრისტემ. ვიცოდი, რომ დასიასთან საუბარიც კი ღვთის გაკვეთილი იყო ურთიერთობებზე. გავიგე, რომ ღმერთი სხვა მორწმუნეების მეშვეობითაც ამყარებს შენთან ურთიერთობებს.

კარებში შესვლა და ღვთის ხმა

თუმცა, ხანდახან თითქოს არაფერი "მესმოდა." ბიბლიის ბილს ვკითხე ამის თაობაზე.

"ბილ, ხანდახან არაფერი მესმის ღვთისაგან. როგორ უნდა გავიგო, რა გადაწყვეტილებები მივიღო? როგორ უნდა გავიგო, რა სურს მას ჩემგან?"

"პირველ რიგში, დარწმუნდი, რომ რის გაკეთებასაც აპირებ, ბიბლიასთან შესაბამისობაშია. თუ გრძნობ, რომ რის გაკეთებასაც აპირებ, ბიბლიაში ნათლად არ არის ამაზე საუბარი, ან არასწორია, მაშინ ნუ გააკეთებ. ღმერთმა უკვე მრავალ კითხვას გასცა პასუხი თავის სიტყვაში. ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რას ამბობს მისი სიტყვა. ხანდახან მას სურს, რომ ბიბლიას ჩაუღრმავდე და იქ იპოვო მისი პასუხი. ის ამბობს, 'გრეგ, უკვე გითხარი, ბიბლიას დაუბრუნდი და იპოვე'. თუ მაინც ვერ იპოვი, კვლავ მკითხე ან ხუცესს ჰკითხე და გაჩვენებთ, რას ამბობს ბიბლია ამის შესახებ."

"კი ბატონო, მაგრამ ყოველდღიური გადაწყვეტილებები? ახალ სამსახურში გადასვლა ან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება."

"დაიწყე ანალიზით. პირველ რიგში დარწმუნდი, რომ ეს არ არის ცოდვა ან ცოდვისაკენ არ წაგიძღვება. შეესაბამება თუ არა იგი ბიბლიის კონტექსტს? ეგოისტურია თუ სხვა ადამიანებისათვის სასარგებლო? რას გეუბნება შენი გული? შემდეგ მოძებნე 'ღია და დახურული კარი.' გონებაში ეცადე რამდენიმე დაკეტილი კარის გახსნა. თუ ლოცულობ, ჩააბარე ღმერთს შენი ცხოვრება და გულწრფელად ეცადე იმის გაკეთებას, რასაც ის გთხოვს, ამის შემდეგ ის გახსნის და დაკეტავს კარს შენი წინამძღოლობის მიზნით."

"რას გულისხმობ?" ვკითხე, რადგან ვერ გავიგე მნიშვნელობა.

"გადადგი ნაბიჯები იქით, საითაც გრძნობ, რომ მიგიძღვის და დაინახავ, რა მოხდება. მოდი ასე ვთქვათ, რომ ახალი სამსახურისათვის ინტერვიუზე ხარ. ინტერვიუზე ვერ გახვალ ისეთ სამსახურში, რომელიც ღმერთს შენთვის არ სურს. შინაგანად შეიძლება განცდა გქონდეს, რომ რაღაც ვერ არის ისე, როგორც უნდა იყოს. როცა შენთვის შესაფერისი სამსახური გამოჩნდება, რაც შენს ცხოვრებაში ღვთის ნების გამომხატველია, მაშინ ყველაფერი კარგად აეწყობა. ის მოგცემს სიმშვიდეს სულში."

განსაცდელითა და შეცდომებით ვისწავლე "ღია და დახურული კარის" გამოყენება. თუ არასოწორი მიმართულებით მივდიოდი, მაშინ კარი იხურებოდა. როცა სწორ გზაზე ვიდექი, ყველა კარი ფართოდ იხსნებოდა. მაგალითად, ორი მეგობარი მყავდა, რომელთათვისაც ჩემი დამოწმების გაზიარება მსურდა, თუმცა რაღაცამ ხელი შეგვიშალა და შეხვედრა არ შედგა. შინაგანად ვგრძნობდი, რომ სულიწმიდა ამბობდა "არა", მაგრამ არ ვიცოდი, რატომ. მალე ვისწავლე, რომ ყოველთვის არ მესმის მიზეზი. სხვა შემთხვევებში კი, დამოწმების გაზიარების შესაძლებლობა მოულოდნელად მომეცა.

ერთ დღეს ვიგრძენი, რომ ღმერთი მეუბნებოდა, ისრაელში წავსულიყავი. ჟურნალს ვკითხულობდი, სადაც ეკლესიის მოგზაურობის სურათი იყო წმინდა მიწაზე. ნაზმა, წყნარმა ხმამ მითხრა გონებაში, "გრეგ, წადი ისრაელში." მაშინვე არ მივიღე ეს აზრი, მაგრამ კვლავ მომესმა. "გრეგ, წადი ისრაელში. წადი!" სულ ეს მომესმა, მაგრამ რაღაცამ მითხრა შინაგანად, რომ ეს უფალი იყო. ბიბლიის ბილის დავურეკე და ვუთხარი, რაც მოხდა. ვკითხე, თუ გველაპარაკება ღმერთი ზუსტად ასე.

მან ძველი აღთქმის რამდენიმე მაგალითი მოიყვანა, სადაც ადამიანებმა პირდაპირ მოისმინეს ღვთის ხმა. მან თქვა, რომ ღმერთი პირდაპირ ელაპარაკება ადამიანებს, მაგრამ ეს გზა არ არის ჩვენთან ღვთის ჩვეული კომუნიკაციის გზა. საოცარი განცდა იყო, რომ მე მისი ხმა მოვისმინე. ამის შემდეგ ურთიერთობა უფრო პირადული გახდა. მან ჩემი სახელი თქვა! ვფიქრობდი ჩემთვის. რამაც უფრო გააღვივა ცეცხლი ჩემში.

ბილიმ მითხრა, რომ რწმენით გადამედგა ნაბიჯი მოგზაურობაში წასასვლელად და ვნახავდი, გაიხსნებოდა თუ დაიხურებოდა კარი. ასეც მოვიქეცი და გასაოცარი გზით გაიხსნა კარი. საკმარისი საშვებულებო დრო მქონდა. განრიგი ხელს არ მიშლიდა. ჩემმა მეუღლემ, რუთმა თქვა, რომ კარგი იქნებოდა, თუ წავიდოდი. საკმარისი თანხაც მქონდა. ადგილიც იყო. ჩემი კოლეგებიც თანახმა იყვნენ სამსახურში. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ მე მინდოდა წასვლა. გულით მინდოდა ისრაელის ნახვა და სიმშვიდე მქონდა წასვლის თაობაზე. წავედი ამ მოგზაურობაში და ცხოვრებაც შევიცვალე.

სიმშვიდეს გაყოლა

ვისწავლე, რომ ყოველდღე არ მჭირდებოდა რაღაცის გაკეთება, მხოლოდ მინიშნებას უნდა მივყოლოდი. ყურადღებას ვამახვილებდი და გულს ვუსმენდი, თუ რაიმეზე უარს ვიტყოდი, რაც იესოს სურდა, რომ გამეკეთებინა, გულსა და გონებას მიღრღნიდა. ეს მაგონებდა მეგობარს, რომელიც მეკამათებოდა, ვიდრე რაღაცას არ გავაკეთებდი. "მოდი, გააკეთე! ნუ გეშინია." ვგრძნობდი, რომ შინაგანად რაღაც მაიძულებდა მოქმედებას. ეს სულიწმიდა იყო. როცა სისრულეში მომყავდა ღვთის ნება, მშვიდობა ისადგურებდა. ჩემი მეგობარი ქრისტეც ჩხვლეტას წყვეტდა.

ხანდახან გაფრთხილებას ან "შემოწმებას" ვიღებდი სულში, რომ რაღაც ვერ იყო კარგად სიტუაციაში. ეს განცდა ყოველთვის ამართლებდა. ეს ჰგავდა გამაფრთხილებელ ნიშანს, თითქმის მეუბნებოდა, რომ ფრთხილად ვყოფილიყავი და ყურადღება გამემახვილებინა. ვისწავლე სიმშვიდით მორჩილება. დავიწყე ყურება და ლოდინი, მაგრამ არ ვიცოდი როდის, როგორ ან რატომ. ურთიერთობა იყო ამაღლებებელი. ყოველდღე ვიღვიძებდი და არ ვიცოდი, რას მოიმოქმედებდა ღმერთი. მეორე დღეს ანალოგიური იყო.

ბავშვები

ექვსის ნახევარი იყო და დიდი დღე მქონდა სამსახურში. საგიჟეთი იყო და დრო არ მქონდა იესოზე ფიქრისა და ურთიერთობისათვის. მანქანაში ჩავჯექი თუ არა, საუბარი დავიწყე ღმერთთან.

"რა მძიმე დღე მქონდა, უფალო. დაკავებული ვიყავით, არა? ახლა სახლში მივდივართ."

ახლა ყველაფერზე ვესაუბრებოდი ღმერთს, რასაც მანამდე ვერც წარმოვიდგენდი. მსიამოვნებდა ამის კეთება და მახსენებდა, რომ ის მართლა იქ იყო ღუმელის სამყაროში. მთელი დღე იმაზე ვფიქრობდი, ვისთვის უნდა გამეზიარებინა ღმერთზე. მივხვდი, რომ ღმერთმა შესანიშნავი ამბავი მომცა სხვებისათვის გასაზიარებლად.

"უფალო იესო? ვინ არის შემდეგი?" როგორც კი ეს სიტყვები ვთქვი, მაშინვე ბრენდანი და კამერონი, ჩვენი ორი ბიჭი მომივიდა თავში აზრად. ისინი ხუთი და ექვსი წლისები იყვნენ, ჩემი აზრით, საკმარისად მოზრდილები იმისათვის, რომ იესოსა და მისი ხსნის შესახებ გაეგოთ. ცოტა არ იყოს შიში დამეუფლა გულში, რადგან არ ვიცოდი, როგორ ან რა უნდა მეთქვა. პირადი სიამაყეც ვიგრძენი, რადგან არ მინდოდა ხუთი და ექვსი წლის ბავშვებთან მეღიარებინა, რომ დამნაშავე ვიყავი და მათი პატიება მჭირდებოდა. რაც უფრო ვუახლოვდებოდი სახლს, მით უფრო მეძალბოდა თქმის სურვილი. ვეცადე სხვა რამეზე მეფიქრა, მაგრამ გონება მაინც ბავშვებისაკენ გარბოდა.

"კარგი, უფალო. ბიჭებს უნდა ვუთხრა ამის შესახებ." ისევ შიში მომეძალა. იესოს, რომ არ გადავერჩინე, მაშინ ისინიც ისე გაიზრდებოდნენ, ღვთის უარყოფაში, როგორც მე ვიზრდებოდი. ხსნის რეალობამ და საჭიროებამ მოიცვა ჩემი გული. გადავწყვიტე, ყველა ღონე გამომეყენებინა, რათა ისინიც ჩემნაირ სიტუაციაში არ გაზრდილიყვნენ.

შინ მივედი, ვივახშმე და რუთს ვუთხარი, რომ ბავშვებთან საუბარს ვაპირებდი.

"რუთ, ვაპირებ ბიჭებს ვუთხრა ჩვენი დახსნისა და იესოს ღმერთობის რეალობაზე. გული დამიმძიმდა და დამიავადდა იმაზე ფიქრით, რომ მთელი ოჯახი მცდარი მიმართულებით მიმავდა. ისინიც ისე გაიზრდებოდნენ, როგორც მე, ღმერთს უარყოფდნენ და ხსნას ვერ მიიღებდნენ!"

"კარგი, მაგრამ როგორ აპირებ ამის თქმას?"

"ზუსტად არ ვიცი. ვაპირებ, გულწრფელი ვიყო და მარტივად ვილაპარაკო. ბავშვები იმაზე დაკვირვებულები არიან, ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ. მგონია, რომ გაიგებენ. ვგრძნობ, რომ ღმერთი მომიწოდებს, გავუზიარო მათ ეს ამბავი. ახლა ეს ოჯახი სრულიად სხვა მიმართულებით მიდის და ბიჭებმა უნდა იცოდნენ ამის შესახებ. უბრალოდ, ღმერთს უნდა მივუხსნო და იგი ჩემს გულწრფელებას აკურთხებს."

რუთი დამეთანხმა და ყველა მისაღებ ოთახში შევიკრიბეთ.

"ბიჭებო, მამიკოს თქვენთან საუბარი სურს", – თქვა რუთმა. ასანთის კოლოფის მანქანებით თამაშობდნენ და ზემოთ მოდიოდნენ კიბეებზე. პატარა მანქანები მოაჯირებიდან მოფრინავდნენ და დაბლა ეცემოდნენ საფეხურებზე.

"კარგი, დედიკო", – თქვეს ცოტა არ იყოს შეცბუნებულებმა. როგორც ყოველთვის, ეს იმას ნიშნავდა, რომ ისინი განსაცდელში იყვნენ და მამისაგან ლექცია უნდა მოესმინათ. რამდენიმე მანქანაც შემოიყოლეს ოთახში. მე ვნერვიულობდი და გული საგულეში აღარ მქონდა. ბიჭები დიდ, ლურჯ ტყავის დივანზე დასხდნენ ერთმანეთის გვერდით და თავისუფლად მოკალათდნენ. რუთი და მე ბავშვების პირისპირ დავსხედით. ყველანი ვნერვიულობდით.

"ბიჭებო. უნდა დაგელაპარაკოთ. იცით, ჩვენი მეზობლები, რომ არაფრად გვაგებდნენ?" ბიჭები ჯერ კიდევ ატარებდნენ მანქანებს თავიანთ ფეხებზე დაბლა-მაღლა, დივანზე და დივნის სახელურებზე.

"კარგი, გავბრაზდი და ბიბლიის კითხვა დავიწყე."

"რატომ, მამიკო?" შემაწყვეტინა ბრენდანმა.

"იმიტომ რომ ისინი ამბობდნენ ქრისტიანები ვართო და მინდოდა, დამემტიკიცებინა, რომ ისე არ იქცევიან, როგორც საჭიროა."

"რა არის ქრისტიანი, მამიკო?" – ჩაერთო კამერონი და გააგრძელა: "გავიგონე, ქუჩაში ერთმა ბავშვმა უთხრა მეორეს, რომ ის 'ნამდვილი' ქრისტიანი არ იყო. რას ნიშნავს ეს?" დაამატა მან. ვიგრძენი, რომ მათი ყურადღება მივიპყარი.

"ქრისტიანი არის ის, ვისაც სჯერა, რომ იესო არის ღმერთი. ადამიანები მას სთხოვენ პატიებას ყოველი ცუდი საქციელისათვის და ღმერთიც პატიებს." და აქ შევჩერდი, რადგან ვიგრძენი, სულიწმიდა, რომ მეხსენებინა, ისევ დამისვამდნენ კითხვას "რატომ," მე კი მზად არ ვიყავი ამის ასახსნელად.

"ღმერთისა გჯერა?" – იკითხა ბრენდანმა და თან მანქანას ატარებდა თავის მუცელზე.

"აქამდე არა, მაგრამ ახლა კი მჯერა. ის მართლა არსებობს, ბავშვებო. სწორედ ამის შესახებ მინდა, გელაპარაკოთ."

როგორც კი ეს ვთქვი, ორივემ მანქანები დაბლა დადეს და მთელი ყურადღება მომაპყრეს. ამან გამაოცა, მაგრამ გავაგრძელე. "ბიბლიის კითხვა იმიტომ დავიწყე, რომ გაბრაზებული ვიყავი ჩვენს მეზობლებზე, მაგრამ იესოს რწმენით დასრულდა ეს ძიება."

"მთელი ამ დროის განმავლობაში ამას აკეთებდი? ჩვენთან იმიტომ აღარ თამაშობდი ადრინდელივით", – თქვა ბრენდანმა.

"დიახ. ამის შესახებ ვკითხულობდი და ვსწავლობდი."

"რა ისწავლე?" იკითხა ბრენდანმა.

"ის, რომ ღმერთი ნამდვილია. მან უკვე შემცვალა. ვწუხვარ, რომ მის შესახებ აქამდე არაფერი გასწავლეთ, მაგრამ ბევრი არაფერი ვიცოდი. ახლა დავიწყებთ ლოცვას, ბიბლიის კითხვას და ეკლესიაში სიარულს."

"რა იცი, რომ ის ნამდვილია?" იკითხა კამერონმა.

"მიმოიხედეთ ირგვლივ, ბიჭებო. რას ფიქრობთ საიდან მოვიდა ეს ყველაფერი? თქვენ, მე, დედიკო, ძალი, ხეები და მთელი ქვეყნიერება. მიუხედავად იმისა, რომ მას ვერ ვხედავთ, შეგვიძლია მისი ხელის ნამოქმედარი დავინახოთ ჩვენს გარშემო. აშკარაა, რომ ამ ყველაფრის შემოქმედი ღმერთი არსებობს. მისი სინამდვილის შესახებ ბიბლიიდანაც ვიცო. ბიბლია არის წიგნი, რომელიც შეიცავს ასობით ადამიანის ისტორიას, რომლებიც ღმერთს ელაპარაკებოდნენ და ურთიერთობა ჰქონდათ მასთან. ბიბლიაში ღმერთი გვასწავლის თავისი ვინაობისა და იმის შესახებ თუ როგორ შეგვიძლია მისი შეცნობა. ის დედამიწაზეც კი მოვიდა ადამიანის სახით ორი ათასი წლის წინ და მას იესო ერქვა. ადამიანებმა, რომლებიც იესოსთან ცხოვრობდნენ სამი წლის განმავლობაში, ჩაიწერეს მომხდარი და ეს ყველაფერი ბიბლიაშია. რამდენიმე კვირის წინ ღმერთს შევლადადე. ყველა ჩემი ცუდი საქციელის პატიება ვთხოვე, რაც კი ოდესმე ჩამიდენია. მან გაიგო ჩემი თხოვნა. ღმერთი ძალიან ახლოს არის და ნამდვილია. მან მოუსმინა თქვენს მამიკოს."

"მაშ, რატომ არ ველაპარაკებოდით მას აქამდე?" იკითხა ბრენდანმა.

"იმიტომ რომ, არ ვიყავით მართლები. ამაზე უკეთესად არ ვიცოდით. ისე გავიზარდე, რომ არასდროს არ მისაუბრია მასთან და ძალიან იშვიათად მსმენია, რომ ვინმეს ეს გაეკეთებინოს. დედაჩემი დადიოდა ეკლესიაში, მაგრამ ეს მხოლოდ ეკლესიაში სიარული იყო. მისთვის არასოდეს უსწავლებიათ, როგორ უნდა მიეღო ხსნა."

"რას ნიშნავს 'ხსნა', მამიკო?" – იკითხა კამერონმა.

"როცა ადამიანი იესოს პატიებას სთხოვს, ღმერთი პატიობს მას და მისი ცუდი საქციელის კვალს შლის. ხსნის შემდეგ ღმერთი ცხოვრობს იმ ადამიანში."

"ღმერთი შენში ცხოვრობს, მამიკო?" – იკითხა ბრენდანმა.

"დიახ, შვილო და დედაშიც."

"მაგარია. როგორია ეს შეგრძნება?"

"მანამდე ყოველთვის მარტო ვგრძნობდი თავს, იმედგაცრუებული და შინაგანად უსიხარულო. სისულელეებზე გიბრაზდებოდით და გიყვიროდით. ვტყუოდი. მაპატიეთ." თვალებზე ცრემლი წამომივიდა და ხმა შემეცვალა. "ახლა განსხვავებულად და უკეთესად ვგრძნობ თავს. ახლა აღარ ვგრძნობ თავს მარტო ან მოთმინების ზღვარზე. ახლა სიმშვიდეს განვიცდი."

"ძალიან ბევრს გიყვიროდი, მამიკო", – თქვა კამერონმა.

"ვიცი. ვცდებოდი. მაპატიეთ. მაპატიებთ?"

- გაპატიებთ, გაპატიებთ! – ისინი პატარა თავებს თანხმობის ნიშნად აქნევდნენ.

"ჩვენ ყოველდღე ვისწავლით ღმერთის შესახებ და ამის შემდეგ ყოველდღე დაველაპარაკებით მას."

"როგორ მოხდა, რომ აქამდე არავისგან ღმერთზე საუბარი არ მომისმენია, თუ ის მართალია?" – იკითხა ბრენდანმა.

"არ ვიცი, რატომ არ ელაპარაკებიან ადამიანები მას ხშირად."

მამიკო ჯერ კიდევ სწავლობს ამის შესახებ. ჩვენც არ უარვყოფთ მას ამის შემდეგ."

"კარგი, მამიკო. ახლა შეგვიძლია სათამაშოდ წასვლა?"

"დიახ. წადით." მალევე აახმაურეს მანქანა და ტრაქტორი.

რუთი, უბრალოდ, ისმენდა და თავს იქნევდა. ენა დაება ჩემგან ასეთი სიტყვების მოსმენის შემდეგ. მთელი საღამო თითქმის არაფერი უთქვამს, მაგრამ ვიცოდი, რომ უხაროდა.

საუბრის შემდეგ ბედნიერად ვიგრძენი თავი. თითქოს ვულკანისებური ძალისაგან გავთავისუფლდი დანაშაულის აღიარების, ბოდიშის მოხდისა და ოჯახის სწორი მიმართულებით გაძღოლის გადაწყვეტილების გამო.

რუთის დასაძინებლად წასვლის შემდეგ სამუშაო კაბინეტში წავედი. სინათლე ჩავაქრე და მუხლი მოვიყარე. "იესო, მე ეს გავაკეთე. მათ ეს ვუთხარი. გთხოვ, დამეხმარო და მაცოდინო შემდეგი ნაბიჯი. ვიცი, რომ ბრენდანსა და კამერონს სჭირდება. მაღლობა ჩემი დახსნისათვის მაშინ, როცა ისინი ჯერ კიდევ საკმარისად ახალგაზრდები არიან მოსასმენად. ძალიან მაღლიერი ვარ, უფალო." ცრემლები ჩამომცვივდა, გული შემეკუმშა იმის გახსენებაზე, თუ როგორი ცუდი მამა ვიყავი მათი დაბადებიდანვე. "ჯოჯოხეთში წარვუძღვებოდი მათ, უფალო ჯოჯოხეთში წარვუძღვებოდი! ოხ, ღმერთო ჩემო, ჩემს მსგავსებად ვაქცევდი მათაც!" ვკვითინებდი მე.

"მაღლობა, ღმერთო, მაღლობა! გთხოვ, დაიხსნა ისინი. გთხოვ, გთხოვ დაიხსნა ისინი. ნუ დაუშვებ, რომ ისინი უღმერთოდ გაიზარდონ ჩემსავით. გთხოვ, მაპატიო და დამეხმარო. მე შენი ვარ. მთხოვე, რაც გსურს. მე შენი ვარ."

სიტყვები და ცრემლი ნიაღვარივით მოედინებოდა და ვკვითინებდი. თავს ისე ვგრძნობდი, როგორც დახსნის ღამეს, მაგრამ ახლა უფრო მეტი სიძლიერე მივიღე გულში. პოტენციურად ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეცდომის დაშვებას ვაპირებდი. ბავშვების ყალბ რეალობაში გაზრდას ვაპირებდი, თითქოს, ყველაფერი კარგად იყო ღმერთის გარეშე ჩვენს ცხოვრებაში. ოჯახის წევრები იფიქრებდნენ, რომ წარმატებას მივალწიეთ, მაშინ, როცა არაფერი გვქონდა იესოსა და ხსნის გარეშე. შევძრწუნდი და არ შემეძლო იმაზე ფიქრის შეწყვეტა, თუ როგორ უნდა შემეცვალა ცხოვრება.

შემდეგ სხვა თანამშრომლებისკენ გამიწია გულმა. დრო იყო, ყველასთვის მეთქვა ჩემი დახსნის შესახებ. სამსახურში ამის გამოცხადება მოულოდნელი იქნებოდა; თუმცა ისინი მეგობრები იყვნენ, მათ იხილეს ცვლილებები ჩემში და გაუხარდებათ მიზეზის გაგება.

ოცდამეორე თავი

ოფისი

მეორე დილით სამსახურისაკენ მიმავალმა ძლიერი სურვილი ვიგრძენი, რომ ექთნებისთვის მეთქვა ჩემი ამბავი. გონებაში ვუამბობდი მათ იესოსა და ჩემი ხსნის შესახებ. ჯერ ღვთის ახალი მიმდევარი ვიყავი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ამის გაკეთება სურდა ღმერთს ჩემგან. ენით აუწერელ კავშირს ვგრძნობდი ღმერთთან სულიწმიდის მეშვეობით, რაც მეხმარებოდა მისი ნების დანახვაში. ერთ-ერთი ექიმი ქვეყნიდან იყო გასული და ნაკლებად დაკავებული ვიყავით მხოლოდ რამდენიმე პაციენტთან მუშაობით. შეხვედრისათვის შესანიშნავი დრო იყო, განსაკუთრებით, დილის მიღებას თუ ადრე მოვრჩებოდით.

დილის თერთმეტის ნახევრისათვის ყველა პაციენტი გასინჯული გვყავდა და წასულები იყვნენ კლინიკიდან. მხოლოდ თამიმ, ბიბლიის ქალბატონმა და დასიამ, უფროსმა ექთანმა, იცოდნენ რასაც ვაპირებდი. დასიამ ისე შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა: "ნახე, ღმერთი აკონტროლებს ყველაფერს, ყველა პაციენტი წასულია." გიჟურ დამთხვევას ჰგავდა, რადგან იშვიათად ვამთავრებდით ასე ადრე დილის სმენას. დავფიქრდი, როგორ გააკეთა ღმერთმა ეს. ესე იგი, იცოდა, ამის გაკეთებას დავაპირებდი და მან მოაწესრიგა პაციენტების მიღების საქმე. მომდევნო დღის განრიგის შესადგენად ადრე ვამთავრებდით. ღმერთს ისიც უნდა სცოდნოდა, რამდენად პრობლემური ხასიათის კიბო ჰქონდათ პაციენტებს და რამდენ ხანს მოვუნდებოდით მათ მკურნალობას. თავბრუ დამეხვა ამაზე ფიქრში. უბრალოდ, უნდა მივმხვდარიყავი, რომ ღმერთს შეუძლია ნებისმიერი რამის გაკეთება რასაც მოისურვებს, რადგან ის ღმერთია.

ექთნები

იმ დილით მომუშავე რვა ექთანი ერთ-ერთ საოპერაციო ოთახში შევკრიბე. წარმოდგენა არ ჰქონდათ, რატომ ვიკრიბებოდით. ოთახში საუბრით შემოვიდნენ, მაგრამ სწრაფად დაისადგურა სიჩუმემ, რადგან ჩემს სახეზე სერიოზულობა და ნერვიულობა შენიშნეს. ერთმანეთს კითხვის თვალით უყურებდნენ, იქნებ ვინმეს ცოდნოდა, რა ხდებოდა. ჩემს გამოხედვაში ატყობდნენ, რომ გული დამძიმებული მქონდა. ექთნების ასეთი შეხვედრა არასოდეს მომიწყვია, როცა ერთადერთი ექიმი ვიყავი ოფისში. ადრე, ასეთ შეხვედრებზე სხვა ექიმებიც იღებდნენ მონაწილეობას და აცხადებდნენ, რომ ვიღაცა დღეიდან ჩვენი თანამშრომელი აღარ იქნებოდა. შემომხედავდნენ და ჩემს მზერას, რომ წააწყდებოდნენ, უკან იხედებოდნენ. ოთახს თვალი გადავაკლე, ვინ ესწრებოდა და ვინ არა. ექთნებთან კარგი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ რაც მათთვის უნდა მეთქვა, ახლა ჩემს ხასიათს მიღმა იყო.

"რადაც არაჩვეულებრივი მოხდა ჩემს ცხოვრებაში. რაც ყველაფერზე მოახდენს გავლენას. აქამდე არ ვიცოდი, თუ არსებობდა ღვთის შეცნობის შესახებ სრული ჭეშმარიტება. ბავშვობაში ეკლესიაში არ მივლია, არც სახლში უხსენებიათ მისი სახელი, არც სკოლაში, არც მედიაში, არც ურთიერთობებში და არც ჩემს გარშემო მყოფ საზოგადოებაში. დუმილმა აქცია იგი უადგილოდ და აქამდე შეუცნობად. მინდა გითხრათ, რომ ის უფრო ახლოსაა, ვიდრე თქვენ ფიქრობთ."

ჩემი საუბრისას, შევნიშნე, რომ რამდენიმე ექთანმა სახე დაიგრძელა და უხერხულად იყურებოდა. ცოტა ხანს შევჩერდი და გავაგრძელე.

"იესო გამომეცხადა ისე, რომ არ ვიცოდი, თუ ეს შესაძლებელი იყო. ის არ მიძებნია და არაფერი საერთო არ მქონია რელიგიასთან, მაგრამ ღმერთი მეძებდა მე! ეს არის ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი და ეს შეიძლება, ასევე მნიშვნელოვანი იყოს თითოეული თქვენთაგანისათვისაც. თავდაყირა დადგა მთელი ჩემი ცხოვრების აზრი, მიზანი, მნიშვნელობა და დასასრული. თუ გაქვთ სურვილი, გაიგოთ, რა მოხდა, მაშინ, დაახლოებით, ათი წუთის შემდეგ სხვა შეხვედრა იქნება ჩემს კაბინეტში."

ხუთი მათგანი საუბრის დამთავრებისთანავე კარებში გაიჭრა. სამმა გამოთქვა ჩემთან შეხვედრის სურვილი. ხუთს არანაირი სურვილი აღარ ჰქონდა დამატებითი ინფორმაციის გაგებისა. იმან გამოაცხადა, რომ იმის მოსმენაც არ სურდათ, რაც მოხდა.

სამ ექთანს შევხვდი, რომელთაც ორმოცდახუთი წუთი ვუამბობდი მომხდარის შესახებ. მათ თვალი არ მოუშორებიათ ჩემთვის მთელი ამ დროის განმავლობაში. დავინახე, რომ გაოცებულნი, დაბნეულნი და ცოტა არ იყოს შეშინებულებიც კი იყვნენ. ღვთის არსებობისა და ხსნის აბსოლუტურმა რეალობამ შოკში ჩააგდო ისინი. ვეუბნებოდი, რომ მე ვიყავი ღვთის თანამედროვე დროის სასწაული, რომ იესო ქრისტე ღმერთია და საუკუნო სიცოცხლის პასუხი, სიკვდილისა და ცოდვის პასუხი. ყოველმა მათგანმა იხილა ჩემი გარდაქმნა ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში, რამაც ეჭვი დაბადა მათ გონებაში. ისინი კარგად მიცნობდნენ მე და ჩემს ოჯახს და ხედავდნენ ჩემს ცვლილებას.

ბოლოს ერთ-ერთმა მათგანმა თქვა, "მე ეკლესიაში გავიზარდე, მაგრამ დედაჩემთან უნდა გადავამოწმო თქვენს მიერ ნახსენები 'ხელახლა შობის' შესახებ. დარწმუნებული არ ვარ ამ საკითხში."

ავუხსენი, რომ ხსნა არის მეორედ შობა; ეს არის გადარჩენის სინონიმი. წავუკითხე იოანეს 3:7 მუხლი, სადაც იესომ თქვა, რომ ადამიანი ხელახლა უნდა იშვას სამოთხეში მოსახვედრად. მიკვირდა, რომ ერთ-ერთ მათგანს ეკლესიაში უვლია, იესოს შესახებ უსწავლია, მაგრამ პიროვნული ურთიერთობა ვერ დაუმყარებია მიტევებისა და ხსნის კუთხით? მიკვირდა, როგორ შეიძლებოდა ამის დაშვება. შემაშფოთა იმ ფაქტმა, რომ ეკლესიაში მოსიარულე ყველა ადამიანი ვერ გაიგებდა რასაც მე ვლაპარაკობდი. ვიფიქრე, რომ ანომალიური მოვლენა უნდა ყოფილიყო რუთის გამოცდილება, ანუ, რომ დადიოდა ეკლესიაში, მაგრამ არ იცოდა,

დახსნილი იყო თუ არა და არც არაფერი სმენია ამის შესახებ; თუმცა მომეჩვენა, რომ არც მთლად ანომალიასთან გვქონდა საქმე. როგორ შეიძლება ეს? მიკვირდა.

რამდენიმე თვის შემდეგ ამ სამმა ექთანმა ხსნა მიიღო და მათი ოჯახები სამუდამოდ შეიცვალა.

ექიმის ასისტენტი

ექთნებთან შეხვედრის შემდეგ ექიმის ასისტენტს ვესაუბრე, ვინც შესანიშნავი ადამიანი იყო, დაახლოებით ოცდაათი წლით უფროსი და კარგი მეგობარი.

ოფისში შევხვდით. ხელახლა გავიმეორე ჩემი ამბავი. მას არაფერი უთქვამს და წარმოდგენაც კი არ მქონდა, რას ფიქრობდა, ან რა რელიგიის წარმომადგენელი იყო. ბოლოს ვთქვი, "ჰოლ, უბრალოდ მინდა, იცოდეთ, რომ იესო ნამდვილია და ცოცხალი. ის არ არის ძველი ბიბლიური მოთხრობა ან სასიამოვნო ქვევის ინტელექტუალური სისტემა. თუ პირადად მოუხმობთ მას დახსნისა და ცოდვების პატიებისათვის, მაშინ ნამდვილად მოხდება თქვენში ცვლილება."

სულიწმიდა შემოვა თქვენში. არსებობს ამის მტკიცებულება, ჰოლ! ნამდვილი მტკიცება! რაღაც რადიკალური უნდამოხდეს ჩვენს არსებობაში, რომ სამოთხეში მოვხვდეთ. ეს არ არის უბრალოდ ქრისტიანობის შესახებ ჩემი ვერსია, არამედ ჩვენი არსებობის სინამდვილეა. მას ესმის, რასაც ვამბობთ! იფიქრეთ ამ ფაქტის ქვეტექსტებზე."

ის საკმზე იჯდა სახეზე უხერხული გამომეტყველებით. ბოლოს თქვა, "იცი, მე ეკლესიაში გავიზარდე და ეს პროცესები გავიარე. ეკლესიას ბავშვობიდან ვემსახურებოდი და ასობით ქადაგებისათვის მომისმენია. მთელი იმ წლების განმავლობაში მსგავსი არაფერი გამიგია. ჩემთვის არასოდეს უსწავლებიათ, რომ ხსნა მჭირდებოდა, რომ უნდა მომენანიებინა და იესოსათვის დახსნა მეთხოვა. ოფიციალურ რელიგიურ საბჭოზე გამატარეს, რასაც მხილება ერქვა, მაგრამ მასწავლიდნენ, რა მეთქვა და როგორ მოვქცეულიყავი. მჯეროდა, მაგრამ ეს ჰგავდა რიტუალს. წესების დაცვას მოელოდნენ ჩვენგან. გვასწავლიდნენ, რა უნდა გაგვეკეთებინა, რომ მორწმუნეები გავმხდარიყავით. გეგონება, კლუბს უერთდებო. თუ ხელს მოაწერ წესდებას, დაემორჩილები და რამდენიმე გაკვეთილზე დაესწრები, მაშინ 'მიგიღებენ' "გაჩერდა, ღრმად ამოისუნთქა და შემდეგ გააგრძელა.

"მე არასოდეს გამიკეთებია ის, რაც შენ. მე არასოდეს მქონია პირადი ურთიერთობა ღმერთთან. ვიცოდი 'მამა, ძე და სულიწმიდა', მაგრამ არ ვიცოდი, თუ სულიწმიდა ცხოვრობს შენში დახსნის შემდეგ. არც ბიბლია არასოდეს წაგვიკითხავს, რადგან ამის საჭიროება არავის უსწავლებია. წლების განმავლობაში ვესწრებოდი რელიგიის გაკვეთილებს, რაც მოიცავდა ბიბლიიდან ადგილების განხილვას, მაგრამ მე თვითონ არასოდეს წამიკითხავს და არც მისწავლია. გვასწავლიდნენ, რომ ჩვენი საქმეებით გადავრჩებით და არა იმიტომ, რაც ქრისტემ გააკეთა."

ახლა მე ვდუმდი. შოკში ჩავვარდი, გავოცდი და ენით აუწერელი დაბნეულობა განვიცადე. ის საუბრობდა და მე ვფიქრობდი, ეს როგორ შეიძლება? როგორ შეიძლება, რომ მან არ იცოდეს ხსნის ელემენტარული დოქტრინა? რატომ არ უნდა ესწავლებინათ ბიბლიური ხსნის შესახებ? რა სიკეთე აქვს ნებისმიერი ფორმის ქრისტიანობას, თუ ხალხი ხსნას არ მიიღებს? როგორც კი საუბარი დაასრულა, რაღაცას მივხვდი, რასაც არ ველოდი. სხეულში შოკის ტალღამ დამიარა. ო, ღმერთო ჩემო! ქრისტიანულმა რელიგიამ დააბრკოლა ეს ადამიანი ღვთის შეცნობის გზაზე. ჯოჯოხეთის შიში და რეალობა მოიცავდა ხსნის საჭიროებას, ამის დაუნახაობამ დაამწუხრა ჩემი გული.

"ჰოლ, წადი სახლში და ილოცე ღვთის წინაშე. მოუხმე მას და მოინანიე. ჯერ კიდევ არ არის გვიან. ახლაც შეიძლება ღმერთთან ურთიერთობის დაწყება. აიღე ბიბლია და დაიწყე კითხვა. ყველაფერი, რაც ვიცი, ბიბლიიდან მოდის. გთხოვ, ამაღამ ილოცო, რომ იესომ დაგიხსნას."

მან მადლობა მომიხადა, ადგა და წავიდა. იმ ღამეს იგი ღმერთმა იხსნა და მასთან ურთიერთობა დაამყარა. მისი ცხოვრება ისეთივე აღარასოდეს ყოფილა.

შუადღის სმენის დრო დადგა. დღის ბოლოს სამსახურში დავრჩი და მომხდარის შესახებ ვფიქრობდი, სკამის საზურგეს მიყრდნობილ ფეხები მაგიდაზე მეწყო და კედლებს ვუცქერდი. კედლები სავსე იყო ჯილდოებით, ღირსების ორდენებითა და ცხოვრებისეული მიღწევებით. საკუთარ თავსა და მიღწევებს ვეთაყვანებოდი. შემადრწუნა ამ ფაქტმა, მაგრამ ვიცოდი, რომ სიმართლე იყო. ნახევარი საათის შემდეგ ყველა მათგანი ჩამოვხსენი და უჯრაში ჩავაწყვე.

როცა მოვრჩი, ისევ სკამზე დავჯექი და ცარიელ კედლებს დავუწყე ცქერა. ჩემი ცხოვრების მრავალ ასპექტს თავიდან ვიწყებდი და გამიხარდა. მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში კედლები ბიჭების სასკოლო ნახატებით ავავსე. ცოტა ხანს ვიჯექი და ვფიქრობდი ყოველივე იმის შესახებ, რაც იმ დღეს მოხდა. შემეშინდა და დავიბენი, რადგან ვერ გავიგე, როგორ შეიძლებოდა ხსნის საკითხის გამოტოვება და მისი არ სწავლება.

რაღაც ვერ იყო კარგად. ადამიანების ორ ჯგუფს ვესაუბრე ამის შესახებ და მითხრეს, რომ ხსნაზე მცდარი წარმოდგენა, განსაკუთრებით, ეკლესიურ ხალხს ჰქონდა. ჩანდა, რომ რელიგიური ხალხი უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე ისინი, რომელთაც არასოდეს სმენიათ ღმერთის შესახებ.

ლოცვის საჭიროება ვიგრძენი. "უფალო, რა ხდება? რატომ არ იცის ხალხმა რაზე ვლაპარაკობ? რატომ ვაშინებ ხალხს? რატომ მათაც ისე არ უხარიათ, როგორც თამის და დასიას? არ მესმის."

ვიცოდი, რომ რაღაც ვერ იყო კარგად, რადგან ქრისტიანული უწყება სიმართლეს შეეფერება, მოველოდი, რომ ყველა, ვინც ქრისტეს "ირწმუნებდა" გადარჩებოდა. საუკუნო ცხოვრება და ცოდვების სრული მიტევება ის შესანიშნავი საჩუქარია, რაც ყველას ენდომებოდა და რაც უკვე მიიღეს. იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს საერთოდ არ წარმოადგენდა

პრობლემას. ეს ინფორმაცია იყო აისბერგის ნამსხვრევი. მინდოდა, ვიღაცასთან კიდევ მესაუბრა ამის შესახებ, მაგრამ არ ვიცოდი, ვისთან.

მივხვდი. პაციენტს დავურეკავ, იესოს მიღებამდე რამდენიმე დღით ადრე, რომ მკითხა, მივიღე თუ არა იესო პირად მხსნელად. მადლობას მოვუხდი ამ კომენტარისათვის, გავაგებინებ, რომ დახსნილი ვარ და კითხვებს დავუსვამ ხსნის შესახებ. მაშინვე უკეთესად ვიგრძენი თავი. მოქმედების ახალი გეგმა მქონდა!

ოცდამესამე თავი

პაციენტი და დაბეჭდილი განრიგი

"დასია, მინდა, რომ დაბეჭდილი ძველი განრიგი მოძებნო", – ვუთხარი უფროს ექთანს და საჭირო დროის დეტალები მივეცი. ჩვენი ოფისი ყველა ძველ დაბეჭდილ განრიგს ინახავდა, რომელსაც ყოველდღიურად ვიყენებდით კლინიკაში. მნიშვნელოვანი ინფორმაცია ხელით იყო მასზე მიწერილი, მაგალითად, რომელ ოთახში ჩაუტარდა პაციენტს შეხვევა და რომელი ექთანი ემსახურებოდა. პაციენტი, რომელსაც ვეძებდი, იმ დღეს "დამატებით" მივიღეთ. მისი სახელი არ მახსოვს, მაგრამ მახსოვს, რომ ხუთშაბათ დილით გვეწვია სამი კვირის წინ და ნომერ მეოთხე ოთახში მოვემსახურეთ. ზუსტად მახსოვს, რომ მისი სახელი ხელით დავწერე გრაფიკზე ლურჯი მელნიით, რადგან ბოლო წუთებში მოხდა მისი დამატება.

"პრობლემა არ არის, ექიმო ვიემან, ოთახში შემოგიტანთ". და იმ კვირის განრიგი მომიტანა. აღელვებულმა გადავავლე თვალი გრაფიკს და ჩემთვის საჭირო დღეს დავხედე. თვალთა ლურჯი მელნიით ხელნაწერი მოვძებნე, მაგრამ ვერ ვიპოვე. ყველა დანარჩენი პაციენტები მოვძებნე და მეოთხე ოთახის გარდა ყველა ოთახის პაციენტი ვნახე. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ყოველი ოთახის ნომერი ეწერა პაციენტის სახელზე, გარდა მეოთხე ოთახისა. აშკარა იყო, რომ მისი სახელი გამოტოვებული იყო. მისი სახელი აქ უნდა იყოს! უცნაურია. სხვა რიცხვში ხომ არ მივიღეთ, გავიფიქრე მე. სწრაფად გადავავლე თვალი კვირის სხვა დღეებს, მაგრამ მისი სახელი ვერ ვიპოვე. ვიცი, რომ ეს ის კვირა იყო.

"დასია, გთხოვთ მომიტანოთ ამ კვირის წინა და ამ კვირის მომდევნო განრიგი."

"ახლავე. რა ხდება?"

"განსაკუთრებულ პაციენტს ვეძებ. მისი სახელი განრიგზე ეწერა და მეოთხე ოთახში მივიღეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ის იმ კვირაში იყო აქ, მაგრამ შეიძლება, შეცდომა დავუშვი. სხვა კვირებსაც შევამოწმებ. ის აქ უნდა იყოს."

"ინებეთ." – თქვა მან.

ჯერ ორივე ხუთშაბათი შევამოწმე და ვერსად ვერ ვიპოვე. არავისი სახელი არ ეწერა განრიგზე დამატებით მეოთხე ოთახზე საოპერაციოდ. მისი სახელი გაქრა!

"დასია, ამას შეხედე", – ვთქვი და განრიგის იმ დღეზე მივუთითე, როცა ის კლინიკაში იყო. "ყველა სხვა ოთახის პაციენტები მყავს, მაგრამ მეოთხისა, ოთახში არავინ. იმ ოთახში იყო ეს პაციენტი. მისი სახელი განრიგზე ეწერა, რადგან ბოლო წუთებში ჩავამატეთ. იმ დღეს დავინახე მისი სახელი ლურჯი მელნიით დაწერილი. გონებაში ახლაც ვხედავ. იმ დღის სხვა პაციენტის სახელების დანახვისას მაგონდება მისი სახელი და ვიცი, რომ ეს ის დღეა. ზუსტად მახსოვს სხვა პაციენტები, რომელთაც იმ

დღეს ვუმკურნალე, როცა ის კაცი მივიღე! იმ კვირის წინა და შემდეგი კვირის განრიგებიც ვნახე. ყოველ მეორე დღეს არის აღნიშნული ნომერ მეოთხე ოთახში პაციენტი, რეგულარული განრიგის ნუსხაზე. მხოლოდ ამ დღეს არ არის აღნიშნული, თუ ვინ იყო იმ ოთახში. როგორ გაუჩინარდა სახელი?!"

"რა ხდება, ექიმო ვიემან. რატომ გინდათ ასე ძალიან მისი ნახვა? დარწმუნებული ხართ?"

"დარწმუნებული ვარ, დარწმუნებული." ვთქვი აღელვებული ხმით.

"მაშინ კომპიუტერულ სისტემაში შეამოწმეთ. ყოველი პაციენტი ხომ კომპიუტერულ სისტემაში შეგვყავს, ალბათ გახსოვთ. დიზაინი ხომ თქვენ გააკეთეთ. მისი ფოტო საქმეში იქნება. შეიძლება, სახელის დაწერა საერთოდ დაგვავიწყდა და უბრალოდ ფიქრობთ, რომ დაინახეთ. შეამოწმეთ. სისტემაში უნდა იყოს. სურათით დარწმუნდებით, ეს თუ ის კაცია."

"მართალია! რატომ აქამდე არ ვიფიქრე ამაზე?" სკამით მაგიდას შემოვუარე და კომპიუტერი ჩავრთე.

სამედიცინო ისტორია

იმ დღის პაციენტების ისტორიები მოვძებნე. ეს სია არ მოიცავდა პაციენტის მომსახურე ექიმისა და ადგილის ინფორმაციას. საჭირო პაციენტების სია ამოვბეჭდე და ყველა მამაკაცი პაციენტი შევამოწმე. დაახლოებით, ოცი ადამიანის სახელი მქონდა ხელთ. ყველას ისტორია გადავშალე და მათი სურათებიც დავათვალიერე და გავიგე, რომელი ექიმი რომელ პაციენტს მოემსახურა, მაგრამ ის მაინც ვერ ვიპოვე. ბოლო პაციენტის სახელი წავიკითხე და ვიგრძენი, რომ მუცელი ამტკივდა. ორჯერ დავაწკაპე სურათს და სუნთქვა შემეკრა, დაკვირვებით ვუყურებდი ეკრანზე გამოსახულ სურათს. "ეს ის არ არის! არ არის!" – ხმამაღლა ვიყვირე ლაბორატორიაში. "ეს საშინელებაა!"

ძიების კიდეც ერთი გზა არსებობდა ამ სისტემაში, რომელიც ამ საქმეში დამეხმარებოდა. კიბოს სახელი ვიცოდი, პროცედურის დღე და კიბოს ადგილი. კიბო შუბლის მარცხენა მხარეს ჰქონდა. ძიებაში შევითქანე ეს მონაცემები ზუთშაბათის დროით, მაგრამ არაფერი არ დაემთხვა. შემდეგ მოვძებნე "მარცხენა შუბლი და სკალპი", ყოველ შემთხვევაში ადგილმდებარეობა თუ შეცდომით იქნა შეტანილი, მაგრამ არა. ანალოგიური კვლევა ჩავატარე მისი მკურნალობიდან ორი კვირით ადრე და ორი კვირის შემდეგ მონაცემებზეც. რამდენიმე საქმე დაემთხვა მაგრამ არც ერთი მათგანი არ იყო ის პაციენტი. დაუჯერებელია, რომ მისი მონაცემები წყაროდან გაქრა. "დაუჯერებელია!" ვიყვირე იმედგაცრუებულმა.

განრიგის სისტემური ჩანაწერი

მისაღებში მივირბინე. "გთხოვთ, ამ კვირიდან ყველა პაციენტის

ისტორია ამომიბეჭდოთ, განრიგის სისტემის გამოყენებით, თუ შეიძლება", – ვუთხარი ერთ-ერთ ჩვენს ასისტენტს. "გთხოვთ, ამ კვირის ზუთშაბათის პაციენტთა სიაც მომცეთ. ერთი კაცი დაემატა იმ დღეს პაციენტთა სიას და მისი პოვნა მინდა."

"რა პრობლემაა, ექიმო ვიემან, დამატების შემთხვევაშიც უნდა შევითქანოთ პაციენტები განრიგის სისტემაში. მისი სახელი, შეიძლება, ხელით იყო მიწერილი ქაღალდზე, რადგან განრიგს წინა დღით ვბეჭდავთ, მაგრამ რეგისტრაციაში მაინც გაატარებდნენ. აი სია, ამოვბეჭდავ და დღის ბოლომდე მოგაწვდით."

ჩვენს კლინიკას ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სისტემა ჰქონდა, ერთი განრიგისათვის და მეორე სამედიცინო ჩანაწერებისათვის. ყველა პაციენტი ორივე სისტემაში შეგვყავდა. კლინიკაში შემოსული პაციენტის სახელი განრიგის სისტემაში შეყავთ. მისი სახელი ხელით უნდა ყოფილიყო მიწერილი განრიგზე, რადგან ეს ფურცელი უკვე წინა დღეს იქნა დაბეჭდილი. მიუხედავად ამისა, კომპიუტერულ სისტემაში მაინც უნდა ყოფილიყო მისი სახელი აღნიშნული.

განრიგს ხელი დავავლე და ლაბორატორიაში გავიქეცი. ახლა სამი სხვადასხვა სია ერთმანეთს შევადარე. თუ როგორღაც განრიგის სისტემიდან და სამედიცინო ისტორიიდან წაიშალა მისი სახელი, მაშინ განრიგის სისტემაში მაინც უნდა ყოფილიყო მისი სახელი. სახელების სია ზუსტად ჰგავდა ერთმანეთს. ბოლო განრიგს მაინც უნდა ჰქონოდა მისი სახელი, მაგრამ უშედეგოდ! სიბრაზემ და იმედგაცრუებამ დამრია ხელი. ძველებურად იმატა დაძაბულობამ, დახსნამდე რომ მახსიათებდა.

"ექიმო, ვიემან, რა ხდება?" მკითხა ექთანმა. "კარგად არ გამოიყურებით. პირველი პაციენტი მზად არის."

"არაფერი! მოგვიანებით აგიხსნით. წავიდეთ!"

"ოჰ, კარგით, ექიმო ვიემან, როგორც იტყვიოთ", – ჩაიბუტბუტა ექთანმა. ისე შემომხედა, გეგონება, იცოდა, რომ რაღაც ვერ იყო კარგად, მაგრამ არ იცოდა, რა.

მთელი დღის განმავლობაში რამდენჯერმე გადავამოწმე განრიგები და ვფიქრობდი, რომ სიაში ვერ დავინახე სახელი, ისიც ვიცოდი, რომ არ გამომრჩენია. ის არ იყო კომპიუტერულ სისტემაში, დაბეჭდილ ორიგინალურ გრაფიკში, არც გრაფიკის კომპიუტერულ ქსელში. როგორ შეიძლება, რომ მისი სახელი სამივე სისტემიდან წაშლილიყო?

როგორც იქნა შესვენების დრო დადგა. იმ პროგრამისტს დავურეკე, რომელმაც პროგრამული სისტემა ამიწყო. კიდეც ერთი საფეხური არსებობდა, სადაც შეიძლებოდა ძიება, მაგრამ ამას სჭირდებოდა პროგრამის გასწორება. ყველა პაციენტის ფოტოს სკანირება მინდოდა დაკარგული კაცის მოსაძებნად.

"ბერი, სურვილი მინდა, შემისრულო. გადაგიხდი ამ საქმისათვის. პირადი სურათების მოსაძებნად პროგრამის შედგენა მჭირდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: სქესი, სტუმრობის რიცხვი, კიბოს ტიპი, ექიმი და ასე შემდეგ. სურათების სკანირება მჭირდება კლინიკაში მოსული პაციენტის მოსაძებნად."

"კი ბატონო, პრობლემა არ არის. რამდენიმე დღე დამჭირდება", – მიპასუხა მან.

"მადლობა, ბერი."

სამედიცინი ისტორიები

დღის ბოლოს ამობეჭდილი ფურცლები მიკროსკოპთან დავაწყვე, სადაც ჩემი კომპიუტერი იყო. რამდენიმე ექთანს ლაბორატორიაში შემოვიდა და ერთ-ერთმა მათგანმა მკითხა, "რას აკეთებთ?"

"გახსოვთ ნომერ მეოთხე პალატის პაციენტი? რომელმაც მკითხა, მივიღე თუ არა იესო ქრისტე, როგორც ჩემი პირადი მხსნელი და შემდეგ ოთახიდან გამოვიქეცი? ცოტა არ იყოს უცნაურად იქცეოდა და სკამის საზურგეს მიყრდნობილი სულ ჭერს უყურებდა. სინდი, მე მგონი თქვენ ემსახურებოდით." სხვა ექთნებმა ისე შემომხედეს, გეგონება, არ იცოდნენ, რაზე ვსაუბრობდი.

"ოჰ, დიას. ის განრიგს 'დავამატეთ'. რამდენიმე ადამიანსაც ვუთხარი, როგორ შეგაშინათ. უცნაური კაცი იყო. თითქმის არაფერი უთქვამს და უცბად იესოს შესახებ დაგიწყით საუბარი. ეს როგორ დამავიწყებოდა?"

"მიხარია, რომ გახსოვთ! მე კი... თითქმის ვიფიქრე, რომ ეს კაცი არ არსებობდა. დიდი ამბავია, მაგრამ იმ პაციენტმა მკითხა, მივიღე თუ არა იესო პირად მხსნელად და მას შემდეგ ვაღიარე ქრისტე. ქრისტიანი გავხდი. რამდენიმე კვირის წინ მივიღე ხსნა და ახლა ამ კაცის ნახვა მინდა. მინდა მადლობა გადავუხადო, ვუთხრა, რომ დახსნილი ვარ და რამდენიმე შეკითხვა დავუსვა."

"რისგან დახსნილი, ექიმო ვიემან?" – მკითხა სხვა ექთანმა. ის ერთ-ერთი იმათგანი იყო, რომლებმაც გადაწყვიტეს არ მოესმინათ ჩემი დამოწმება. მივხვდი, რომ გაზიარების შესანიშნავი შესაძლებლობა მომეცა.

"ჯოჯოხეთისაგან და ღმერთს ჩამოშორებისაგან დახსნილი. არ მეგონა, თუ ოდესმე ამას ვირწმუნებდი, მაგრამ იესო ნამდვილი და ცოცხალია. მას შევღალადე და მანაც მიხსნა. რაზეც წარმოდგენაც კი არ მქონდა ერთი კვირის წინ. გრძელი ისტორიაა და როცა გნებავთ, გაიმბობთ მის შესახებ." პასუხი შევამოკლე, რადგან გამოხედვაზე ვატყობდი, რომ მეტის მოსმენის სურვილი არ ჰქონდა. ჩემგან ასეთ პასუხს არ მოელოდნენ. სახეები შეეცვალათ, წარბები მოჭმუხნეს, სახეში აღარ მიყურებდნენ და ოთახიდან წასვლას ლამობდნენ.

გონებაში სათხილამურო მოგზაურობასა და მარკოს კუნძულების შემთხვევას გადავავლე თვალი. გამახსენდა, როგორ ვიგრძენი თავი, როცა იესოზე დამიწყეს ლაპარაკი. ალბათ, ახლა ექთნებიც ანალოგიურ დაძაბულობას, ზეწოლას, შიშსა და უხერხულობას გრძნობენ, მე, რომ მაშინ განვიცადე. იესოსა და დახსნის შესახებ საუბარი იწვევს ასეთ პასუხს, მაგრამ არ ვიცოდი, რატომ ან როგორ. რაღაც უნდა იყოს ისეთი, რაც ინსტიქტურად იწვევს ასეთ რეაქციას შინაგანად. უცნაური იყო ახლა

საპირისპირო მხარეს თავის დანახვა. დაძაბულობის შემსუბუქების საჭიროება ვიგრძენი.

"მესმის, რომ სიგიჟედ მოგეჩვენებათ. მეც გაქცევა მინდოდა, როცა ხალხი იესოზე მელაპარაკებოდა. მეც გამომივლია ეს მდგომარეობა და მესმის. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ეს სიმართლეა."

"აა, კარგით..." – სიტყვების ძეხნით თქვა ერთმა ექთანმა. "რატომ იმ დღის ორიგინალურ განრიგს არ ამოიღებთ კომპიუტერიდან? რატომ ეს ფურცლები?"

პაციენტის ძეხნისაგან გაღიზიანებამ ამოხეთქა. "იმიტომ, რომ მისი სახელი არ არის ორიგინალურ გრაფიკში! არც კომპიუტერულ სისტემაშია და არც გეგმიურ გრაფიკში. საერთოდ, აღარ არსებობს იმ კაცის აქ ყოფნის დამადასტურებელი ჩანაწერი. მე გიჟი არ ვარ; სხვა ექთნებსაც ახსოვთ მისი აქ ყოფნა. ამიტომ ვეძებდი მის სახელს ხელნაწერ განრიგში და დამატებული სახელი არ არის პროგრამულ სიაში, მაგრამ დარწმუნებისათვის."

"შეხედე. აი, პაციენტის აქ ყოფნის დღის ორიგინალური განრიგი. ნახეთ? მეოთხე პალატაში არც ერთი პაციენტის სახელი არ წერია! ყოველი პაციენტის სახელის გვერდით წერია პალატის ნომერი, მაგრამ არავინ წერია მეოთხე პალატის გასწვრივ. იმ კვირის ყოველი დღე შევამოწმე, დამატებით ერთი წინა კვირა და ერთი შემდეგი კვირის ყველა დღე, მისი სახელი არსად არის! ვიცი, რომ ეს ზუსტად ის დღე იყო. მისი სახელი ზუსტად აქ ეწერა ლურჯი მელნით. მახსოვს, რომ დავინახე. სხვებსაც ახსოვთ."

შიშმა მოიცვა მათი სახეები. ერთ-ერთს სახე გაუთეთრდა, ხან მე მიყურებდა, ხან განრიგს, "ოჰ, ღმერთო ჩემო! ოჰ, ღმერთო ჩემო!" დაიყვირა და ექთნების ოთახში გაიქცა.

"ეჰ, ეჰ, გვითხარით, თუ რამეს იპოვით", – თქვა მეორემ. მაგრამ თვალეში ვერ შემომხედა. რეალობიდან თავის დაღწევის მიზნით ფურცლები აიღო და ათვალეერებდა. და ყველა ერთად ისე გაიქცა ოთახიდან, გეგონება, ბომბი უნდა აფეთქდესო.

ამ შემთხვევის შემდეგ, რაღაც შეიცვალა. რამდენიმე ექთანი ჩემი თანდასწრებით თავს კომფორტულად ვეღარ გრძნობდა და თვალს მარიდებდა. ყველამ გაიგო, რაც მოხდა, მაგრამ თითქოს არ უნდოდათ, რომ სცოდნოდათ. ამაზე არც საუბარი სურდათ და არც ვინმესგან რაიმეს მოსმენა. გულის სიღმერში ვიცოდი, რატომ და მესმოდა მათი. პაციენტი და ჩემი გარდაქმნა მათ წარმოდგენას ამსხვრევდა, ამან შეაშინა ისინი და სამართლიანადაც. კაცი, რომელიც ჩვენს კლინიკას ესტუმრა და ოპერაცია ჩაუტარდა, რამდენიმე ადგილიდან გაუჩინარდა მისი ჩანაწერები.

იმ ღამით გვიანობამდე დავრჩი სამსახურში და ფურცლებს ვამოწმებდი. ყველა მამრობითი სქესის პაციენტის მონაცემები შევამოწმე. ვიცოდი, რომ ეს პაციენტი ეკლესიაში მუშაობდა. გონებაში ახლაც ვხედავდი პაციენტთა მიღების განრიგზე მელნით დაწერილ მის სახელს. ყველა პაციენტი შევამოწმე, მაგრამ არც ერთი მათგანი არ მუშაობდა ეკლესიაში. უნდა მეღიარებინა, რომ ეს მონაცემებიც გაქრა! შემდეგ

სახლში წავედი, მაგრამ ამის შესახებ არაფერი მითქვამს რუთისთვის. მინდოდა, კომპიუტერული ძიების შედეგებამდე დამეცადა.

სამედიცინო ისტორიის კომპიუტერული სისტემის აღდგენა

მეორე დღეს პროგრამისტმა დამირეკა და მითხრა, რომ განსაკუთრებული საძიებო სისტემა უკვე მზად იყო. სწრაფად გადავავლე თვალი საკითხებს, თუ როგორი ჩანაწერები შეიძლება, გაკეთებულიყო პაციენტზე ელექტრონულ მონაცემებში, ოპერაციის დღეს. ყოველ ახალ პაციენტს აქვს ორი განსხვავებული ელექტრონული ჩანაწერი სისტემაში, ერთი საქმის განსახილველად და მეორე ოპერაციის შემდეგი განხილვისათვის. მივხვდი, ერთ-ერთი შემთხვევით, რომ წაშლილიყო, პაციენტის სურათი მაინც იქნებოდა კომპიუტერულ სისტემაში შემონახული. პაციენტის ინფორმაცია შემთხვევით არასოდეს წაშლილა. ერთი პაციენტის მონაცემების ორ სხვადასხვა საინფორმაციო წყაროში გაუჩინარება შეუძლებელი იყო და არც არასოდეს მომხდარა. კომპიუტერი ავტომატურად იმასსოვრებს ვიზიტის თარიღს, შეიძლება, ვიზიტის თარიღი შეიყვანა ექთანმა არასწორად.

როგორც იქნა შესვენების დრო დადგა და პროგრამა ჩავრთე. იმ დღით დავიწყე ძიება, რომელ რიცხვშიც ვიცოდი, რომ პაციენტი გვეწვია. კომპიუტერის ეკრანი დაიფარა იმ დღიდან მოყოლებული პაციენტების თავისა და მხრების სურათებით. თუ სურათი, როგორცაა, იმ დღეს ვერ გადაიღეს, მაშინ ეკრანი შავ ლაქას აჩვენებდა პაციენტის სახელის ზემოთ. ყველა სახელი შევამოწმე და ის იქ არ იყო. ყველა უსურათო პაციენტის ისტორია შევამოწმე, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იყო ის. შემდეგ შევამოწმე ერთი კვირით ადრე და ერთი კვირის შემდეგ მიღებული პაციენტების მონაცემები, მაგრამ მაინც ვერ ვიპოვე. მისი ვიზიტის ყველა ჩანაწერი გამქრალიყო!

ლაბორატორიის ჩანაწერები

"არ მჯერა, რომ ის აქ არ არის!" – ვთქვი ხმამაღლა ლაბორატორიაში. თამი თავის მაგიდასთან მუშაობდა და ჩემთან მოვიდა.

"რაზე ლაპარაკობ?" – მკითხა მან.

"პაციენტი, რომელმაც მკითხა, დახსნილი ვიყავი თუ არა. მისი აქ ვიზიტის შესახებ ვერანაირ კვალს ვერ მივაგენი. განრიგიდანაც კი წაშლილია მისი სახელი. სახელი რომელიც ხელით მივაწერე გრაფიკის ფურცელს ოპერაციის დღეს. ის წაშლილია განრიგის ორიგინალური სიიდან, კომპიუტერული სისტემიდან და პროგრამიდანაც კი, თამი. ეს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სისტემაა. შეიძლება, გაგიჟდე!"

"ლაბორატორიის ჩანაწერები შეამოწმე? თუ ოპერაცია ჩაუტარდა, მაშინ მის სახელსა და კიბოს ადგილმდებარეობას ჩვენს წიგნში გავატარებდით."

"არა", – ვთქვი ყოყმანით, რადგან ამის გაკეთება დამავიწყდა. შემრცხვა. საოპერაციო წიგნი ჩემს წინ იდო მაგიდაზე. ისე დავავლე

ხელი წიგნს, გეგონება, ოქრო იყო. სწრაფად გადავშალე ფურცლები და მისი ვიზიტის რიცხვს მივადექი. ეს სია განრიგის სიას შევადარე. არც აქ იყო მისი სახელი! არანაირი ჩანაწერი არ იყო, რომელიც მისი ოპერაციის რიცხვს დაადასტურებდა. მთელი იმ კვირის განმავლობაში, არავინ იყო ისეთი, ვისაც ანალოგიური დაავადების მკურნალობა ჩაუტარდა თავის იმ არეში. სხვა კვირებიც შევამოწმე, რათა დავრწმუნებულიყავი, მაგრამ მაინც ვერ ვიპოვე.

"თამი! შეხედე, არც აქ არის. ხომ გითხარი. მე გიჟი არ ვარ, თამი, გულწრფელად გეუბნები. ის მართლა იყო აქ! მოიცადე", – ვთქვი და რაღაც აზრმა გამიელვა თავში. "თამი, საოპერაციო პაციენტებს თანმიმდევრობის ნომრები ენიჭებათ, როცა მათი კიბოს ნაცხი მოდის ლაბორატორიაში."

"ვიცი. მათ სახელებს შევამოწმებ, ექიმო ვიემან", – თქვა მან სარკასტული, მაგრამ იუმორის ტონით.

"თუ ის იმ დღეს აქ იყო, მაშინ მის სახელს ნომერი მიენიჭებოდა, არა?" – გავაგრძელე მე.

"დიახ, რა თქმა უნდა."

"იმ პაციენტამდე და მის მომდევნო პაციენტებს, ყველას ნომერი ჰქონდა მის გარდა. ჩანაწერების ჟურნალში უშეცდომო თანმიმდევრობით იყო შეტანილი ნომრები".

"დიახ, გააგრძელეთ."

"ჰოდა, თუ მისი სახელი გაქრა, მაშინ ყველა ნომერი რატომ არის ადგილზე და არც გამოტოვებული ადგილია და არც ციფრი? შეუძლებელია მისი სახელის წაშლა ისე, რომ ცარიელი ადგილი არ დარჩეს ჟურნალში. გესმით რას ვამბობ?"

"დიახ. თუ მას 100 ნომერი მივანიჭე, მაშინ შემდეგი პაციენტები იქნებოდნენ 101 და 102 და ასე შემდეგ. თუ მოგვიანებით მისი სახელი წაიშლებოდა, მაშინ ცარიელი ადგილი დარჩებოდა მისი ნომრის გასწვრივ. თუ სხვა სახელები გადაადგილეთ და სია თავიდან შეადგინეთ, მაშინ ანალიზის პასუხი დარჩებოდა ნომრის გარეშე."

"მართალია! ეს ხომ შეუძლებელია? ეს ხომ უაზრობაა! თითქოს გონებას ვკარგავ."

"შეიძლება, არც არის საჭირო მისი პოვნა", – თქვა მან თვითდაჯერებული ღიმილით.

გავოცდი. "რას ნიშნავს ეს? ვერ ავითან ამაზე კვირების განმავლობაში ფიქრს, როგორც სულიწმიდის შემთხვევაში."

"შეიძლება, ის მაცნე იყო", – თქვა მან ღიმილით.

"ამით რას ამბობ?"

"ვერ იპოვით მას, ექიმო ვიემან", – თქვა მან და წავიდა.

"რას გულისხმობთ? რას გულისხმობთ?"

მან უკან მოიხედა, გაიცინა, მაგრამ არ მიპასუხა. მივხვდი რასაც გულისხმობდა. ეს "კაცი" ღვთის მიერ გამოგზავნილი ანგელოზი იყო, რათა პირადად მოეტანა ხსნის უწყება. ახალ აღთქმაში წამიკითხავს ღმერთის მიერ ანგელოზების მაცნედ გამოყენების შესახებ, მაგრამ არ ვფიქრობდი, რომ დღესაც ასე ხდებოდა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთან ურთიერთობაში.

ძალიან დამაინტრიგებელი იყო ანგელოზისაგან პირადად უწყების ფაქტი, მაგრამ მინდოდა, დავრწმუნებულიყავი, რომ ყველაფერი შევამოწმე.

მომდევნო რამდენიმე დღე, სამი თუ ოთხი საათი, კიდეც გავატარე ძიებასა და ხელახლა გადამოწმებაში. დავიღალე და იმედი გადამეწურა. ვერსად ვერ მივაგენი მის კვალს და ძიება შევწყვიტე.

"შეგიძლიათ, ეს ფურცლები სამედიცინო ჩანაწერებთან დააწყოთ?" – ვთხოვე ექთანს. ეს ის ექთანი იყო ლაბორატორიიდან, რომ გარბოდა და თან ამბობდა, "ოჰ, ღმერთო ჩემო."

"ექიმო, ვიემან!" – თქვა ყოყმანით. ვიცოდი, რომ იცოდა, რატომ იყო აქ ეს ჩანაწერები. ვიგრძენი, რომ ეშინოდა კითხვის დასმა. თვალეები გაფართოებოდა. "რა იშოვეთ?" და დაძაბული ელოდა პასუხს.

ცოტა ხანს შევჩერდი და თვალეებში შევხედე და ვთქვი, "ის წავიდა. არ არსებობს." სახე გაუთეთრდა. ფურცლები ხელში გაუშეშდა და რამდენიმე წამი დაჟინებით მიყურებდა. ქვეტექსტმა იმოქმედა.

"ოჰ, ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!" – კვლავ გაიმეორა და ლაბორატორიიდან გავიდა.

თამის გადავხედე, ოთახის მეორე მხრიდან, სახეზე გაბრწყინებული ფერი ედო. რეალობის იდეა უკვე დაიმსხვრა, როცა აღმოვაჩინე, რომ ღმერთი ცხოვრობდა ჩემში და არ ვიცოდი ამის შესახებ, მაგრამ ახლა ახალი რეალობის მცირე ნაწილებიც კი ხელიდან მეცლებოდა. როგორ შეიძლებოდა, რომ პაციენტის ქაღალდზე დაწერილი ისტორია, ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერი, ლაბორატორიის ჩანაწერები, სურათები და ოფისში მისი ვიზიტის ყველა ჩანაწერი გაუჩინარდა. იმ ამობეჭდილ ფურცელზე ლურჯი მელნიით მიწერილი სახელი როგორღა გაქრა? პასუხი აშკარა იყო, მაგრამ არ მინდოდა მისი აღიარება. ღმერთი განაგებს მცირე დეტალსაც კი და უფრო მეტიც ხდება, ვიდრე მე ამის დანახვა შემიძლია ამ ფიზიკურ სამყაროში.

ყველაფერზე დავფიქრდი და გავკოცდი. ნუთუ ისე ვუყვარდი ღმერთს, რომ ანგელოზს გამომიგზავნიდა და ხსნის საჭიროებას მაცნობებდა? უნდა ვაღიარო, რომ პასუხი იყო, დიახ.

განკურნების წამალი საუკეთესო მეგობარი

იმ ღამით, როცა სამსახურიდან შინ დავბრუნდი, გადავწყვიტე, ჩემი საუკეთესო მეგობრისთვის დამერეკა ვაშინგტონში. სკოლის ასაკიდან ერთად ვიზრდებოდით და დღემდე კარგი მეგობრები ვიყავით. ის ებრაელი იყო, მაგრამ მისი მეუღლე, როგორც მსმენია, ქრისტიანი. მინდოდა, სიხარულით გამეზიარებინა მათთვის, რაც მოხდა. ვფიქრობდი, რომ მისი ცოლი ამ ამბავს ქმართან იესოზე სასაუბროდ გამოიყენებდა. დადებით დამოკიდებულებას მოველოდი, რადგან ქრისტიანობა ხომ თავიდან ბოლომდე ებრაული ისტორიაა. მისი ცოლისა და ჩემი დახმარებით, მეგონა, რომ ჩემი მეგობარი იესოს მხსნელად ირწმუნებდა.

მისი ნომერი ავკრიფე. გული აჩქარებით მიცემდა.

"გამარჯობა, ფილ?"

"ჰო, გრეგ, რა ხდება?"

"რაღაც არაჩვეულებრივი რამ. იესომ დამიხსნა, ფილ, საოცარია! ღმერთი მართლა არსებობს. ახლაც შეგიძლია, დარწმუნდე, რომ საუკუნოდ იცოცხლებ. უკეთესიც, ეს ებრაული ამბავია!"

"რა?! რაზე ლაპარაკობ? საიდან მოდის ეს ყველაფერი? თავი ხომ არაფერს დაარტყი."

"არა, ნება მომეცი, ყველაფერი აგიხსნა." და ყველაფერი ვუთხარი. გაჩუმებული იყო და არაფერი უთქვამს ბოლო წუთამდე.

"გრეგ, შესანიშნავია. მიხარია, რომ ისეთი რამ აღმოაჩინე, რამაც ბედნიერება მოგიტანა."

"არა, არა, ფილ. ვერ გაიგე, რა გითხარი? შენ დახსნა გჭირდება. ეს არ არის რელიგია, რომლის ინტელექტუალურად მიღებაც გადავწყვიტე, არამედ ჩვენი არსებობის რეალობა. ღმერთი, ვინც მე და შენ შეგვქმნა, ისრაელის ღმერთია. ის ადამიანის სახით მოვიდა დედამიწაზე და მოკვდა, რათა ცოდვებისაგან გამოვეხსენით. იცი, რომ მე და შენ ცოდვილები ვართ. მოდი, ფილ, სიის მიხედვით ნუ მომაცოლებ მაგალითებს."

"გრეგ, ალისას ელაპარაკე. ის ეკლესიაში გაიზარდა და ქრისტიანულ სკოლაშიც დადიოდა. მას უთხარი, საერთოდ არ მესმის, რას ლაპარაკობ." გავიგე როგორ გადააწოდა ტელეფონი მეუღლეს.

"გრეგ? რა ხდება?"

"ალისა, იესომ დამიხსნა. ახლა ქრისტიანი ვარ. სულიწმიდა ცხოვრობს ჩემში. ყველაფერი სიმართლეა. იესო ნამდვილად იყო აქ და ეს გააკეთა. ის ცოცხალია და ყველაფერი ესმის, რასაც ვამბობთ. ეს დიდებულია. დამეხმარე დავარწმუნო ფილი ხსნის საჭიროებაში."

"რას გულისხმობ ხსნაში? სულიწმიდა შენშია?! ეს რას ნიშნავს? გრეგ, ფილს ღმერთის სჯერა და მეც ასევე. რა მოხდა მერე?"

"აღიას, ადამიანი ხელახლა უნდა იშვას, რომ სამოთხეში მოხვდეს. თვით იესომ თქვა ეს. წაიკითხე იოანეს სახარების მესამე თავი. განა ეკლესიაში ან სკოლაში ამას არ გასწავლიდნენ?"

"არა, არ მასწავლიდნენ. რას ნიშნავს ხელახლა შობა? რატომ აწუხებ ფილს და აფიქრებინებ, რომ რაღაც ისე ვერ არის?" – ხმა შეეცვალა და ურწმუნო ტონით თქვა: "ოჰ, ეს ხალხი, ყველა რელიგიური გახდა!"

"არა, საქმე რელიგიაში არ არის. ქრისტიანობა შენი არსების ცვლილებაა და არა მორალური დოქტრინის ინტელექტუალური მიღება. ღმერთი ცხოვრობს შენში, როცა დახსნილი ხარ." საჭიროების ტონით ვთქვი ბოლო სიტყვები. არ მესმოდა რატომ მებრძოდა.

"რა სიგიჟეა, გრეგ, ფილს ელაპარაკე."

"ფილ, გიჟი არ ვარ. შენ ჩემი საუკეთესო მეგობარი ხარ. მიცნობ. ჩემგან ყველაზე ნაკლებად მოსალოდნელი ქრისტიანად გახდომა იყო. რატომ დაგირეკავდი, მართალი რომ არ იყოს? უნდა დამიჯერო!"

"უნდა ვიფიქრო, გრეგ. ძალიან გამაოცე. ამას არ მოველოდი შენგან."

მე შევწუხდი. "კარგი, მესმის. შემდეგ კვირას დაგირეკავ. ნახვამდის."

"კარგი. მერე დაგელაპარაკები."

იმედგაცრუებულმა და შოკირებულმა დავკიდე ყურმილი. მეგონა ყველას სურდა გაეგო, რომ ღმერთი ნამდვილად არსებობს და საუკუნო სიცოცხლე შესაძლებელია. რა ხდება? მას უნდა ცოდნოდა რაზე ვლაპარაკობდი. მან ისიც კი არ იცის რას ნიშნავს ხსნა. ეს როგორ შეიძლება? რატომ არ აინტერესებს, რომ მის ქმარს დახსნა სჭირდება? ეს მესამე ადამიანია, ვისაც წარმოდგენა არა აქვს ქრისტიანობის უმნიშვნელოვანეს ასპექტზე, ხსნაზე. ის ფიქრობს, რომ კარგად არის მათი საქმე, რადგან ღმერთის არსებობის სჯერათ. ამაზე მეტი, რომ არ ვიცოდე, ვიფიქრებდი, რომ რაღაც ახალი ქრისტიანული რელიგია აფერხებს ხალხს ნამდვილი კურნების მისაღებად.

ამის შემდეგ დავიწყე ფილისა და მისი მეუღლის დახსნისათვის ლოცვა. ღმერთმა უპასუხა ჩემს ლოცვას, მაგრამ არა ისე როგორც მე მოველოდი. ექვსი წლის შემდეგ ფილს შინაგანი ორგანოების კიბო დაუდგინდა. როცა სიკვდილმა ჩახედა თვალებში, მაშინ დაინახა ხსნის, იესოსგან მიტევებისა და საუკუნო სიცოცხლის საჭიროება. მან და მისმა მეუღლემ, ორივემ, მიიღეს ხსნა კიბოსთან ბრძოლის განმავლობაში. ის ახლა ღმერთთან არის ზეცაში. ეს ლოცვა პასუხგაცემულია ჩემს ჟურნალში და როცა ამაზე ვფიქრობ, გაცოცხლებული ვარ. ღმერთმა კიბო გამოიყენა ფილის გულის შესაცვლელად. რაღაც ცუდმა გამოიწვია სასწაული. ღმერთი უცნაური გზებით მოქმედებს.

ეკლესიის ხალხი

ფილთან საუბრის შემდეგ, შინაგანად პანიკაში ჩავვარდი და ძალიან მინდოდა, მეპოვა ადამიანი, ვისაც სიმართლე ეცოდინებოდა.

გადავწყვიტე, სხვა მეგობარს დავლაპარაკებოდი, ვინც ეკლესიაში გაიზარდა. მეორე დღეს დავგეგმე მასთან შეხვედრა. მის ოფისში ვისაუბრეთ.

"ჯიმ, მინდა გელაპარაკო", – ვთქვი აჩქარებული ტონით.

"კარგი. დაჯექი. რა ხდება?" მისი მაგიდის პირდაპირ შავი ტყავის სკამზე დავჯექი. იდაყვით მუხლებს ვეყრდნობოდი, ის კი შავი ტყავის სკამის საზურგეს იყო მიყრდნობილი.

"იესო ქრისტემ დამიხსნა. სულიწმიდა ჩემშია. ღმერთმა რადიკალურად შემცვალა დახსნის შემდეგ. ერთ ღამეში შეცვალა მან ჩემი პიროვნულობა, ემოცია და გულის მოტივები. ცოტა არ იყოს შეშინებული ვარ, რადგან არავის ესმის, რაზე ვლაპარაკობ გარდა ორი ჩემი თანამშრომლისა."

მის სახეს ვაკვირდებოდი ჩემი დამოწმების გაზიარებისას. რაც უფრო შორს მივდიოდი, უფრო უხერხულობას ვგრძნობდი მისგან. წრიალებდა, უხერხულად იყო და აქეთ-იქით ტრიალებდა, თვალს მარიდებდა. ჩემი ნათქვამი უზომოდ აწუხებდა. დაუჯერებელია, რომ ანალოგიური რამ ხდება, გავიფიქრე მე.

"გრეგ, რა საინტერესო ამბავია. მე და შენ ერთიდაიმავე რამის გვჯერა, ოღონდ განსხვავებულად."

"რას გულისხმობ განსხვავებულ გზაში?"

"მე მჯერა, რომ იესო ჩემი ცოდვებისათვის მოკვდა. მჯერა ღმერთის. მე მგონია, რომ უბრალოდ სხვებისაგან განსხვავებულ ტერმინებს იყენებ."

"განსხვავებულ ტერმინებს? მე ისეთ ტერმინებს ვიყენებ, იესო რომ იყენებდა. თუ ის ღმერთი და მხსნელია, რატომ უნდა გამოვიყენო მისგან განსხვავებული ტერმინები?"

"ყველა ასე ვერ გებულობს. მიხარია, რომ ღმერთი იპოვე. ეკლესიაში მსმენია სულიწმიდის შესახებ, მაგრამ ზუსტად არ მესმის, რაზე ლაპარაკობ. ეკლესიაში გვიკითხავენ ადგილებს ბიბლიიდან. ბავშვობაში მოვინათლე. ჩემი ოჯახის წევრებიც ასეთ ტრადიციას ასრულებდნენ", – თქვა მან მოუსვენარი მოძრაობით.

არ მოვეშვი. "მე ასე არ ვფიქრობ. აქ ადგილი არ აქვს 'თარგმანს'. რა არის აქ გადასათარგმნი? ბიბლია ნათელია. ვიდრე ადამიანს სულიწმიდა არა აქვს შინაგანად, ის დახსნილი არ არის. ცოდვების მონანიების, მიტევებისა და ცვლილებისათვის თხოვნის შემდეგ იღებ ხსნას ღვთისაგან. ამას არაფერი კავშირი არ აქვს ეკლესიაში სიარულსა და ნათლობასთან."

"ჩემს ეკლესიასა და დენომინაციას ასე არ სჯერა."

"საიდან იღებთ ინფორმაციას?"

"ჩვენ ეკლესია გვასწავლის, რაც უნდა ვირწმუნოთ", – თქვა მან ექვის კილოთი.

"ბიბლიას კითხულობ?" ვკითხე მე. თვალები გაუფართოვდა.

"არც მაინცდამაინც."

"რატომ?"

"რატომ? ბიბლია ადამიანის მიერ იქნა დაწერილი. ყველაფერს

სერიოზულად ვერ მიიღებ ბიბლიიდან. მნიშვნელოვანია, მაგრამ ძალიან შორს ნუ შეტოპავ."

მე პირადად გავეცი პასუხი ანალოგიურ კითხვებს ჩემს კვლევაში და დამაკმაყოფილებელზე მეტი პასუხი მივიღე გონებრივად. მაგრამ ვიცოდი, რომ ამ კვლევებზე დეტალური საუბრის დრო არ იყო ახლა. "ჯიმ, უნდა წავიდე. მაპატიე, რომ შეგაწუხე. გმადლობთ, რომ დრო დამითმეთ."

ვიგრძენი, წასვლა რომ სჯობდა კამათის დაწყებას. მისმა პასუხებმა გამაოცეს. შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან უხერხულად იგრძნო თავი და გაღიზიანდა ჩემს ნათქვამზე. ვერ გავიგე, მაგრამ მივხვდი, რომ არაბიბლიური სწავლება ჰქონდა მიღებული. იმის აღიარების ნაცვლად, რომ შეიძლება ცდებოდა, რაც მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა მის დახსნაში, ბუნებრივად უარყო ჩემი ნათქვამი, მიუხედავად იმისა, რომ იესოს სიტყვებს ვიყენებდი. რატომ უნდა ესწავლებინათ ასეთი რამ ეკლესიაში? რატომ უნდა ჩამოეშორებინა კიდევ ერთი ადამიანი განკურნებისაგან ეკლესიას? ვგოდებდი გონებრივად და უამრავი აზრი მიტრიალებდა თავში.

გეგონება, გონებრივი სისუსტის არსებობას ჰქონდეს ადგილი. იესო ნამდვილი და ცოცხალია! მისი მარადიული სიცოცხლე ცხოვრობს ჩემში სულიწმიდის სათნოების მეშვეობით. მე სამოთხისაკენ მივდივარ, სიკვდილის შიშისა და დამანგრეველი ევოლუციური უაზრობისაგან თავისუფალი ვარ. ღმერთია ჩემი მამა, ვინც შემქმნა და ვუყვარვარ. თუ ჩემს მიერ აღმოჩენილი ჭეშმარიტება ასეთი დიდებული და შესანიშნავი და იმედით სავსეა ამ უიმედო ქვეყნიერებაზე, რატომ არ ასწავლიან ხალხს განკურნების მისაღებად? რა სიკეთე აქვს ყოველკვირა ექიმის კაბინეტში სიარულს, საუბარსა და განკურნებაზე გალობას, თუ შენს სხეულში არ შეუშვებ მას? ეს ჰგავს პაციენტს, რომელსაც ეუბნები: "წამალი მიიღე?" – და ისინი გეუბნებიან: "მივიღეთ?" – როცა წამალი ჯერ კიდევ ხელში უჭირავთ.

"ეს უაზრობაა!" – ხმამაღლა ვთქვი სახლისაკენ მიმავალმა. იმ ეკლესიის ხუცესთან უნდა მესაუბრა, სადაც მსახურებებს ვესწრებოდი. ეკლესიის ოფისში დავრეკე და ვიკითხე, ხუცესს თუ შეეძლო ცოტა ხნით შეხვედრაზე მოსვლა. სიხარულით დამთანხმდა მეორე საღამოს სახლში მოსვლაზე.

შეიძლება, მე მაქვს პრობლემა, – ვიფიქრე. არც რუთის და არც სხვებისათვის არ მითქვამს რა ხდებოდა. უფრო მეტი ინფორმაციის შეგროვება მჭირდებოდა.

ვიგრძენი რაც უნდა გამეკეთებინა და ვილოცე. "უფალო იესო. ღმერთო, დამეხმარე გავიგო რა ხდება. რატომ არ სჯერა ხალხს ჩემი ან რატომ არ ესმით, რასაც ვამბობ? ცვდები? რა ხდება, ღმერთო?"

ხუცესი ოფისში

მეორე დღეს ერთი სული მქონდა, როდის დამთავრდებოდა სამუშაო დღე და როდის შეხვდებოდი ხუცესს. შემთხვევით აღმოჩნდა,

რომ შუადღის საოპერაციო პაციენტი ახლომდებარე ეკლესიის ხუცესი იყო. შუბლზე ოპერაციის გასაკეთებლად მოვიდა ოფისში. როგორც კი ოპერაციის პირველი ეტაპი დასრულდა, მცირე თავისუფალი დრო მქონდა და მასთან საუბარი წამოვიწყე.

"ხუცესო, სულ რამდენიმე კვირის წინ მივიღე ხსნა. ყველაფერი ქრისტიანების ფარისევლობის დამტკიცების მიზნით დავიწყე. არაფერი ვიცოდი ბიბლიის შესახებ და არც ღმერთი მაინტერესებდა. თუმცა მალე დამაინტერესა იესოს ღმერთად გამოცხადების საკითხმა და მიზნად დავისახე ამ განცხადების ჭეშმარიტების კვლევა. ეს ყველაფერი ჩემი ხსნით დასრულდა და სინამდვილეში ვერც კი მივხვდი, დახსნილი თუ ვიყავი, ან ასეთი რამ თუ არსებობდა. უფალმა რადიკალურად შემცვალა ერთ ღამეში. ჩემი პიროვნულობა, მოტივები და ეგოისტური გზები შეიცვალა. ვფიქრობდი, რომ დაავადება შემეყარა! ვერ მივხვდი, რომ სულიწმიდა იყო ჩემში." უცბად საუბარი შევწყვიტე, რადგან ხუცესის სახეზე თავზარდაცემული გამომეტყველება შევნიშნე. თვალები გაუფართოვდა. გაოცებული მიყურებდა და ცოტა არ იყოს, შეშინებულს ჰგავდა.

თუმცა მაინც გავაგრძელე. "ერთი კითხვა მაქვს. მრავალ ადამიანს გავუზიარე ჩემი დამოწმება, მაგრამ მათ უმეტესობას ეს არ ესმის, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ეკლესიაში გაიზარდნენ. მათ არ ესმით, რომ ღმერთი ცხოვრობს შენში დახსნის მომენტიდან. რომ ქრისტიანობა არ არის ეკლესიაში სიარული და მორალური დოქტრინის დაცვა, არამედ ღმერთთან ცოცხალი ურთიერთობაა, რაც ასხივებს ჩვენს არსებობაში. ასე რატომ ხდება? ეს ხომ აშკარაა ბიბლიაში, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის. ხუცესო, თუ ეკლესიაში მოსიარულე ადამიანების უმრავლესობას ხსნა არ მიუღია, მაშინ ეკლესია უსარგებლოა, ჯოჯოხეთი კი რეალური. რატომ არ იღებენ ამას სერიოზულად?"

დიდი პაუზა. ის, უბრალოდ, მაკვირდებოდა. ნერვიულად გადახედა მეუღლეს, მაგრამ არც მას უთქვამს არაფერი. მივხვდი, რომ რაღაც ვერ იყო კარგად. ვგრძნობდი ამას. ცივმა სიჩუმემ დაისადგურა ოთახში.

"ჩვენ ღვთის სიყვარულზე გადაგვაქვს ყურადღება. ღმერთი არის სიყვარულის ღმერთი. მას ვუყვარვართ." დაველოდე, რომ რაღაც მეტს იტყოდა, მაგრამ არა! ასე დამტოვა. სიტყვები აღარ მყოფნიდა, რადგან ვხვდებოდი, რომ მისი განცხადება სიმართლეს არ შეეფერებოდა. ვხვდებოდი, რომ რაღაც არასწორი იყო იმაში, რის თქმასაც ცდილობდა.

"ხუცესო, ამით რა გინდათ, რომ თქვათ?"

"ჩვენ არ ვასწავლით მსჯავრდებულსა და ჯოჯოხეთზე. სიყვარულის ღმერთი არავის გააგზავნის ჯოჯოხეთში. ფუნდამენტალური ქრისტიანები ქმნიან პრობლემებსა და გაღიზიანებას ამ სამყაროში. იესოს ვუყვარვართ. ის ბრალს არ დაგვდება."

"მაპატიეთ, ხუცესო, მაგრამ ხსნა და საუკუნო სიცოცხლე ქრისტიანობის საფუძველია. თუ იესოს სიტყვებს არ მივიწეებები და მათ შინაარსს, რაც ცხადად არის ნათქვამი ბიბლიაში, მაშ რას ვაკეთებ?"

ყველაფერი ფუნდამენტალურია. სიყვარულის ღმერთსაც ვხედავ, ვინც ზეციდან დედამიწაზე ჩამოვიდა, ადამიანი გახდა და ჯვარს ეცვა ჩვენი დახსნის მიზნით. ცოდვის საზღაური სიკვდილია, საუკუნო სიკვდილი. ღმერთს ისე ვუყვარვართ, რომ თავისი მხოლოდშობილი ძე მოავლინა, რათა ჩვენს ნაცვლად მომკვდარიყო. ღვთის სიყვარულს ვხედავ ჯვარზე, მაგრამ იგი მოვიდა იმისათვის, რომ ღვთისაგან საუკუნო განშორებისაგან ვეხსენით. თუ ჯოჯოხეთი არ არის, მაშ რატომ მოვიდა საერთოდ? რისგან ვართ დახსნილნი?

"დიახ, ღმერთი სიყვარულის ღმერთია, მაგრამ ის სრულყოფილად სამართლიანიცაა. მან უნდა დასაჯოს ცოდვა. ღვთის სიყვარულს სურს, რომ დაიხსნას ცოდვილნი, მაგრამ ცოდვასთან დამოკიდებულების მოგვარებასაც მოითხოვს. იმით, რაც იესომ ჯვარზე აღასრულა, ღმერთმა დასაჯა ცოდვა და ამავდროულად თვითონ მოგვცა ცოდვილთა დახსნის გზა. ჭეშმარიტი სიყვარული არ აზვიადებს ცოდვას. როგორ ფიქრობთ, რომელ მშობელს უყვარს თავისი შვილი; მას, ვინც წვრთნის შვილს თუ მას, ვინც ნებისმიერი რამის გაკეთების ნებას აძლევს?"

"ყველას არ სწამს ის, რაც თქვენ გწამთ, ექიმო ვიემან. მე ვფიქრობ, უფრო მარტივად შეხედავთ ცხოვრებას, თუ დამშვიდდებით. დაე, ყველამ თვითონ გადაწყვიტოს, რა არის ჭეშმარიტება."

"მაპატიეთ, ხუცესო, ამ საკითხის წამოჭრისათვის. მაგრამ ამას ვერ გავაკეთებ. ვიცი, რაც მე დამემართა და ეს არ არის განმარტება, ან უბრალოდ ქრისტიანობის განსხვავებულად აღქმა. გულით ვარ დარწმუნებული, რომ ყველას უნდა ვუთხრა იესოს შესახებ და იმაზე, თუ როგორ მიიღონ ხსნა."

ამის შემდეგ საერთოდ აღარ გვისაუბრია ღმერთზე მისი ოფისში სტუმრობის განმავლობაში. თავს ცუდად ვგრძნობდი და დეპრესიაში ვიყავი. ხალხისათვის საუკუნო სიცოცხლის შეთავაზებით ხალხი გავანაწყენე და გავაღიზიანე ახლა ეს ხუცესი!

ეკლესიის ხუცესი

"რუთ, სამსახურიდან დავბრუნდი. სად ხარ?"

"მეორე სართულზე."

"დაბლა ჩამოდი."

სამსახურის ჩანთის ამოღებამა ჯერ დამთავრებული არ მქონდა, რომ უკვე დაბლა ჩამოვიდა.

"დამავიწყდა, რომ მეთქვა, ხუცესი როდნი მოვა ჩვენთან ამ საღამოს."

"რატომ?"

"ბევრ ადამიანს მოვუყევი ჩემი ამბავი, მაგრამ... რუთ, ძალიან უცნაურია. თითქმის არავის სჯერა ჩემი, არც არავის ესმის, რაზე ვლაპარაკობ."

"გრეგ, შეუძლებელია, მოელოდე, რომ ხალხი უბრალოდ ირწმუნებს. აბა დაფიქრდი სად იყავი ერთი წლის წინ. მოუსმენდი?"

"მართალი ხარ, გეთანხმები, მაგრამ ის ხალხი, რომელთაც მე ველაპარაკები, ეკლესიაში დადის. ისინი ამბობენ, რომ ქრისტიანები არიან. მე ისეთ ხალხს ვეუბნები, რომელთაც უნდა სწამდეთ ხსნა. ეს არის ქრისტიანობის მთელი აზრი. თითქმის ცუდ სიზმარში ვცხოვრობ. მარტო მე ვარ გიჟი? როგორ შეიძლება, რომ ეკლესიის წევრებმა არ იცოდნენ ხსნისა და სულიწმიდის მათში ცხოვრების შესახებ? ეს დიდებული რამაა და არა უარსაყოფი და დასამალი. რუთ, როცა მისმენენ, შემიძლია მათი რეაქციის მიხედვით ვთქვა, რომ შეშინებულები არიან და არ სურთ ამის შესახებ მეტი მოსმენა."

"მე კი გეტყვი, რომ ეკლესიაში გავიზარდე და არასოდეს მსმენია ხსნის შესახებ. ბიბლიას კითხულობდნენ და საკვირაო სკოლაში იესოს შესახებ ამბებს გვასწავლიდნენ, მაგრამ არასოდეს მივუყვანივართ ხსნასთან. ეს იყო მხოლოდ ეკლესიისა და მისი საქმიანობის შესახებ და არა იესოს შესახებ. ბიბლია არასოდეს წამიკითხავს და არც არავის უსწავლებია ამის საჭიროება. ჩემი და ბეკი, ახლა მახსენდება, ერთხელ, საშუალო სკოლის წლებში, სხვა ახალგაზრდულ ჯგუფთან ერთად წავიდა მსახურებაზე და იქ მიიღო ხსნა. უკან დაბრუნებული ყველას იესოს შესახებ ელაპარაკებოდა, ბროშურებს ავრცელებდა და ყველაფერს აკეთებდა."

რუთი ცოტა ხანს გაჩერდა და გააგრძელა: "ახლახანს დავიწყე ბიბლიის შემსწავლელ ქალთა ჯგუფში სიარული და გავიგე, რომ ქალების უმეტესობა არ კითხულობს ბიბლიას. ისინი ბევრს საუბრობენ, მაგრამ როცა ვკითხვ თვითონ თუ კითხულობენ, მითხრეს, არაო. მე კი გადავწყვიტე, რომ წავიკითხო."

"ეს გამაოგნებელია, უაზრობაა, საშინელებაა. მნიშვნელობა არა აქვს, რას ვიტყვი. როგორ მივიდა საქმე აქამდე? რატომ?"

"არ ვიცი", – თქვა მან დაფიქრებულმა.

"ვიმედოვნებ, რომ ხუცესმა როდნიმ იცის, რადგან მზად ვარ საგიჟეთს მივაკითხო გამოსაკვლევად. დაუჯერებელია, რომ ადამიანებს, რომლებიც მთელი ცხოვრება ეკლესიაში დადიან, არ სმენიათ, თუ როგორ წარმართონ ღმერთის მიერ ბოძებული სიცოცხლე. მე არასოდეს მივლია ეკლესიაში, რუთ. რაღას აკეთებენ იმ ეკლესიებში, თუ ხალხი მონანიებად და ხსნამდე არ მიჰყავთ, რასაც იესოსთან პირადი ურთიერთობა მოსდევს?"

"სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია. მეც ასე ვცხოვრობდი. მითხარი, რას იტყვის ხუცესი. მე ბავშვებთან ვიქნები მაღლა."

"კარგი."

როგორც იქნა, შვიდი საათიც მოვიდა. ზარმაც დარეკა. ხუცესს კარი გავუღე და დაბლა ჩავდივით. წინა კვირას უკვე შევხვდი ამ ხუცესს ეკლესიაში და ჩემი დამოწმება გავუზიარე.

ორი ყავისფერი ტყავის სავარძელი იდგა ერთმანეთის პირისპირ გაზის ბუხართან. ხუცესი მშვიდად მიეყრდნო საზურგეს, მე კი წინ გადავიხარე მოუთმენლობისაგან და იდაყვებით მუხლისთავეს დავეყრდენი.

"როდნი, მადლობა მოსვლისათვის. მინდა, იმაზე გელაპარაკოთ, ახლახანს რომ აღმოვაჩინე."

"რა ხდება? დაძაბული ჩანხართ."

"ადამიანებს ვუთხარი ჩემი დახსნის შესახებ. მოვუყევი მათ მეორედ შობისა და ჩემში სულიწმიდის ცხოვრების შესახებ. ავუსხენი ცოცხალი ღმერთის რწმენის დიდებული შესაძლებლობები, მაგრამ ვერ გებულობენ. როდნი, ადამიანები, რომლებსაც ველაპარაკე ეკლესიაში დადიან. ერთ-ერთი მათგანი ხუცესი იყო! უცნაურად იქცევია, უხერხულობაში ვარდებთან და ჩემი მოსმენა აღარ უნდათ. მე ველოდი, რომ ჩემი ამბავი გაახარებდათ. განა ადამიანების გადარჩენა არ არის იესოს მოსვლის მიზეზი? რატომ აქცევენ გვერდს და არ ესმით ხსნის უწყება? თითქმის რაღაც არასწორს ვაკეთებდე. პრობლემა ჩემშია?"

ხუცესს ისტერიული სიცილი აუვარდა. "გრეგ, შენ გზა ხარ, ჩემო ძმაო. ოჰ, ღმერთო ჩემო." და სიცილს ვერ იკავებდა. "საიდან დავიწყო?" თქვა მან სიცილისაგან ცოტა ხნით თავის შეკავებისას.

გავლიზიანდი. რატომ არ იქცეოდა სერიოზულად?

"როდნი, რა არის სასაცილო?"

"შენ! შენა ხარ სასაცილო, გრეგ. ვერც კი აცნობიერებ, რას აკეთებ! შენი დამოწმება ძლიერი და შეუცდომელი მტკიცებულებაა იმისა, რომ იესო ნამდვილი და ცოცხალია. რაც ღმერთმა შენ გაგიკეთა, იმდენად აშკარაა, რომ ადამიანები იძულებულნი არიან ღვთისა და ქრისტიანობის რეალობას შეხედნენ. უნდა დარწმუნდე, რომ ძალიან ბევრი ადამიანია, კვირაობით ეკლესიაში სიარულობანას, რომ თამაშობენ."

გრეგ, ადამიანი ბუნებით მიდრეკილია რელიგიისაკენ, რადგან ღვთის მიერ ვართ შექმნილნი. მაგრამ ადამიანებს არ უნდათ, აღიარონ, რომ შექმნილნი არიან, რადგან ეს მათ პასუხისმგებლობას ანიჭებთ. მათ თავიანთი რელიგიური სურვილების დაკმაყოფილება სურთ ღმერთთან ურთიერთობის გარეშე; იმის გარეშე, ვინც მათში ცხოვრობს და მათ ყველა ფიქრს იცნობს. არსებობენ ეკლესიები, რომლებიც იმას აძლევენ და იმას ეუბნებიან ადამიანებს, რისი მიღებაც და რისი მოსმენაც, მათ სურთ. მრავალი ეკლესია გახდა საკვირაო შესაკრებელი, სადაც ადამიანს შეუძლია, თავი რელიგიურად იგრძნოს და გააჩუმოს სინდისი, რათა თავი აარიდოს პასუხისმგებლობას და ცხოვრება არ შეცვალოს. მცდარმა დოქტრინამ, ადამიანის მიერ დაარსებულმა ტრადიციებმა დარიტუალებმა ფართოდ ჩაანაცვლა ადამიანის იესო ქრისტესთან პირადი ურთიერთობა, იმ დონემდე, რომ სახარებისეული ხსნის მშვენიერი უწყება დაიკარგა."

"მაგრამ, როდნი, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი დახსნილები არ არიან."

"დიახ, ამას ნიშნავს, მაგრამ დაბრამავებულნი არიან. ისინი კომფორტულად გრძნობენ თავს იქ, სადაც არიან, რადგან ოფიციალურ სამოსში გამოწყობილი რელიგიური პირები ეუბნებიან, რომ ყველაფერი კარგად არის. როცა შენნაირი ადამიანი ჩნდება, მათ გულს ფარდას ხდის და ისინიც ხედავენ, რაშიც ცხოვრობენ. შენ აიძულებ მათ, აღიარონ, რომ ღმერთმა შექმნა ისინი და ის ისე ახლოსაა, რომ შეუძლია მათი საუბრის

გაგონება და იცის მათი გული. შენი დამოწმება ამტკიცებს, რომ ხსნა ნამდვილად არსებობს. იმიტომ ვიცინოდი, რომ ღმერთმა მათთან საქადაგებლად ისე გამოგიყენა, რომ არც კი იცოდი, რას აკეთებდი."

კვლავ სიცილი დაიწყო, შემდეგ მტკიცედ განაცხადა, "რა თქმა უნდა შენ ისინი დააფრთხე, გრეგ! ეს ურწმუნოსთან საუბარზე უარესია, რადგან ის ადამიანები არ ფიქრობენ, რომ იესო არ ჰყავთ, ანუ სულიწმიდა რომ არ ცხოვრობს მათში. ნუ დაგავიწყდება, რომ სულიწმიდა მსჯავრს დასდებს მათ გულებს. უცნაური სახეები, გაღიზიანება და უხერხულობა ამას ნიშნავს. სასაცილო ის არის, რომ ღმერთმა შენ – არაეკლესიური კაცი გაგაგზავნა ეკლესიაში მოსიარულე ადამიანებთან საქადაგებლად და შენ ეს არ იცოდი. ცხადია, სასაცილო არ არის, რომ ისინი დაკარგულები არიან. გთხოვ, არასწორად ნუ გაიგებთ ჩემს სიცილს. ჩვენ მათთვის უნდა ვილოცოთ. გააგრძელე მათთვის ლოცვა. შენ არ შეგიძლია მათი დარწმუნება. შენ შეასრულე შენი დავალება; ახლა ღმერთმა იცის, რას გააკეთებს. ვფიქრობ, დროა ვილოცოთ."

იმ ადამიანებისათვის ვილოცეთ, ვისაც ვესაუბრე და შემდეგ ცოტა კიდევ ვისაუბრეთ. მან ამიხსნა, თუ როგორ მიატოვა ზოგიერთმა ხუცესების აღმზრდელმა სემინარიამ, ბიბლიური ხსნისა და იესოს რეალობის სწავლება. აშკარაა, რომ ზოგიერთი მათგანი იესოსა და ბიბლიის სასწაულებსაც კი უარყოფს.

"ხუცესო როდნი, თუ ქრისტიანობის მთელი უწყება დამოკიდებულია იესო ქრისტეს აღდგომაზე, როგორ შეიძლება, რომ ეს სასწაული უარყოს სემინარიამ? აღდგომა არის უდიდესი სასწაული. განა იესოს სასწაულების უარყოფა აღდგომის არაპირდაპირი უარყოფა არ არის?"

"დიახ, ჩემო ძმაო."

"რატომ აკეთებენ ამას?"

"კარგი კითხვაა. ნუ დაგავიწყდებათ, გრეგ, რომ მტერი ნამდვილია. აქ იმაზე მეტს აქვს ადგილი, ვიდრე ადამიანისა და სემინარიის გადაწყვეტილება ბიბლიური ხსნის უარყოფასა და იესოს სასწაულებზე." მან თავისი ბიბლია გადაშალა და შემდეგი მუხლი წამიკითხა.

და თუ ჩვენი სახარება დაფარულია, დაღუპულთათვის არის დაფარული. ურწმუნოთათვის, ვისაც ამ საუკუნის ღმერთმა დაუბრმავა გონება, რათა მათთვის არ ებრწყინა სახარებისეულ ნათელს ქრისტეს დიდებისა, რომელიც უხილავი ღვთის ხატია. (2 კორ. 4:3-4)

"ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ დახსნილნი არიან, მაგრამ ცდებიან", – გააგრძელა მან. "იესო რამდენჯერმე გვაფრთხილებს ამაზე." და კიდევ ერთი მუხლი მაჩვენა.

"ყველა ვინც მეუბნება, 'უფალო, უფალო' როდი შევა ცათა სასუფეველში, არამედ ის, ვინც აღასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნებას. ბევრი მეტყვის იმ დღეს: 'უფალო, უფალო!' განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით

არ ვდევნიდით ეშმაკებს და განა შენი სახელით არ ვაბრძოლდით სასწაულებს?" (მათე 7:21-23)

"გესმის რას ამბობს იესო? 'არასოდეს გიცნობდით' ნიშნავს, რომ ურთიერთობას ადგილი არ ჰქონია. გრეგ, ეს ხალხი რელიგიურია და ფიქრობენ, რომ იესოს იცნობენ, მაგრამ არა. ეს არის ბიბლიაში ერთ-ერთი ყველაზე შემადიწუნებელი მუხლი."

"რა საშიშია, როდნი, მინდა, რომ ამ ხალხს ვუქადაგო!"

დიდი ტყუილის სიღრმეზეც ვისაუბრეთ. მან ისიც ამიხსნა, რომ მსოფლიოს გარშემო არსებობს მრავალი შესანიშნავი ეკლესია, მისიონერი და მსახური, რომლებიც ღვთის სიყვარულსა და დახსნის ძალას ქადაგებენ და მირჩიან რომ, რაც შეიძლება, მეტ ეკლესიურ ადამიანთან მესაუბრა. მეკითხა, როგორ მივიდნენ ქრისტესთან. ბევრს ისწავლი ადამიანების დამოწმებებიდან, – თქვა წასვლისას. "მიხვდები, ვინ არის ნამდვილად დახსნილი."

"მადლობა, როდნი, კვირამდე."

ბოლო რამდენიმე დღე შოკში ვიყავი. ყოველთვის ვგრძნობდი, რომ რაღაც ვერ იყო კარგად ამ ქვეყნიერებაზე, მაგრამ ეს ყველაფერს აჭარბებდა. როდნის რჩევა მივიღე და მსახურებების შემდეგ ეკლესიის ხალხთან დავიწყე საუბარი. მრავალ მათგანს ჰქონდა "ისტორია." ვსაუბრობდით იმის შესახებ, თუ რატომ ადგებოდა ბევრი ეკლესია მცდარ გზას და სწავლებას. მრავალ შესანიშნავ ადამიანს შევხვდი. მათი დამოწმებები და პასუხები თითქმის ამ წიგნის შესაბამისია.

ახლა ჩემს წარსულს ვუცქერ და დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი ჩემს ირგვლივ იყო, იმ ერში, რომელიც მის დაფარვას ცდილობდა. როგორც კი ჰეშმარიტება გავიგე უარი ვთქვი რეალობაზე და გავყევი ღმერთს. საქმის ჩემებურად კეთების მცდელობაში სასურველ შედეგს ვაღწევდი, მაგრამ მარტოობასა და დეპრესიაში ჩავვარდი. მას შემდეგ, რაც იესოს ჩემი ცხოვრების წარმართვის ნება დავრთე, თითქმის მხოლოდ ახლა დავიწყე ცხოვრება. იესოსთან ურთიერთობა არის ყველაზე შესანიშნავი, დიდებული, სისავსისა და ამაღლებელი ცხოვრების გზა – იმაზე მეტი ვიდრე ოდესმე წარმოვიდგენდი. ამ სულიერი მიზეზის გამო ვცხოვრობთ, რაც ხსნას ცილდება და უფრო სიღრმისეულია. ღმერთი არის ჩემი მამა, უფალი, შემოქმედი, მწყემსი, სინათლე, საუკეთესო მეგობარი, შემართება და მარადიული ძალა.

იცნობთ თუ არა იესო ქრისტეს, როგორც თქვენს პირად მხსნელს? გყოფნით თუ არა მხნეობა, საკუთარ თავს დაუსვით თქვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი შეკითხვა, რაც გავლენას მოახდენს მარადიულობაზე? ამ წიგნის მიზანია, ღმერთმა მოაღწიოს თქვენამდე და თქვენ შეხვდეთ მას გზაზე.

თუ თავს ქრისტიანად თვლით, გეკითხებით: მართლა მოინანიეთ, თუ არა, თქვენი ცოდვები და გამოუცხადეთ, თუ არა, ნდობა იესოს თქვენი დახსნის საქმეში? დარწმუნებული ხართ, რომ სულიწმიდა ცხოვრობს თქვენში? ასწავლის, თუ არა, თქვენი ეკლესია ბიბლიას,

როგორც ღვთის სიტყვას? აქცევს, თუ არა, თქვენი ეკლესია იესოსთან პირად ურთიერთობას დიდ ყურადღებას? გაქვთ, თუ არა, მასთან ყოველდღიური პირადი ურთიერთობა? უძღვება, თუ არა, ის თქვენი ცხოვრების ყოველდღიურ დეტალებს? მართლა იცნობთ, თუ არა, მას? მართლა გიცნობთ, თუ არა, ის თქვენ?

"ახლოა შენთან სიტყვა შენს ბაგეში და შენს გულში", – ესე იგი, რწმენის სიტყვა, რომელსაც ვქადაგებთ. იმიტომ რომ, თუ შენი ბაგით აღიარებ, რომ იესო უფალია და შენი გულით ირწმუნებ, რომ ღმერთმა აღადგინა იგი მკვდრეთით, გადარჩები, ვინაიდან გულით სწამთ სიმართლეს, ხოლო ბაგით აღიარებენ გადასარჩენად (რომაელთა 10:8-10,13).

"მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე, ვინც მიწამებს, კიდევ, რომ მოკვდეს, იცოცხლებს. ყველა, ვინც ცოცხალია და ჩემი მორწმუნეა, არ მოკვდება უკუნისამდე, გწამს ეს?" (იოანე 11:25-26)

ექიმი ვიემანი დაიბადა და გაიზარდა ვილმინგტონში, დელავარში. დაამთავრა მაგნა კომ ლაუდე დელავარეს უნივერსიტეტი. ექიმმა ვიემანმა წარმატებით დაამთავრა ჯეფერსონის სამედიცინო კოლეჯი ფილადელფიაში, პენსილვანიაში. მან პრაქტიკა გაიარა შინაგანი მედიცინის დარგში პენსილვანიის უნივერსიტეტის საავადმყოფოში ფილადელფიაში და რეზიდენტურა დერმატოლოგიის განხრით დიუკის სამედიცინო ცენტრში, სადაც მთავარი ექიმი იყო. ექიმმა ვიემანმა დიუკში დაამთავრა კანის კიბოს ქირურგია. ექიმი ვიემანი იყო ქალაქ კანის კიბოს ცენტრის თანადამფუძნებელი ქალაქ ქერიში, ჩრდილო კაროლინაში და სადაც 1998-2008 წლებში მუშაობდა. ახლა ის მართო უძღვება 'სი კოუსტის' კანის ქირურგიულ კლინიკას ვილინგტონში, ჩრდილო კაროლინაში.

ექიმი ვიემანი ლექციებს კითხულობდა დერმატოლოგიის ქირურგიაში და რამდენიმე მეცნიერული კვლევის შესახებ სტატიებიც გამოაქვეყნა. მას მრავალფეროვანი ინტერესი აქვს სირბილის, კროს ფიტ ტრეინინგის, თანამშრომლობს უკრაინაში ნიუ ლაიფის სამისიონერო მსახურებთან ერთად და აგროვებს იშვიათ ბიბლიებს. ექიმ ვიემანს ჰყავს ოჯახი, მეუღლე რუთი, ორი ვაჟი ბრენდანი, კამერონი და ქალიშვილი ჰანა. მათ ძაღლიც ჰყავთ, რომელსაც ფეფერი ჰქვია.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, შეამოწმონ ექიმ ვიემანის ვებსაიტიდამხმარე სახელმძღვანელოს, მისი შემდეგი წიგნის შესახებ ინფორმაციის, ლექციებისა და პირადი ავტოგრაფიანი წიგნის გამოწერის და საკონტაქტო ინფორმაციისათვის: www.goddiagnosis.com. თუ დარწმუნებული ხართ, რომ ეს წიგნი დაეხმარება თქვენს ნაცნობს, გთხოვთ, გამოიწეროთ ათი ცალი და გაავრცელოთ. ეს წიგნი რეკომენდირებულია ბიბლიის შემსწავლელი ჯგუფებისათვის. ბიბლიის შესასწავლად დამხმარე სახელმძღვანელო შეგიძლიათ, იხილოთ ავტორის ვებსაიტზე. და რა თქმა უნდა, მაღლიერი ვიქნებით, თუ ამაზონზე გამოაქვეყნებთ თქვენს შეფასებას.

ISBN-13: 978-0-9823554-7-3 ISBN-10: 0-9823554-7-5

